DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library in partnership with the Georgian National Museum.

- Author: Orjonikidze, A. / ორჯონიკიძე, ა.
- Title: მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ძირითადი საფეხურები აღმოსავლეთ საქართველოში
- Publication Date: 2004
- Publisher: Georgian National Academy of Sciences , GNM Archaeological center
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_5f7d838eca

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

ა. ორჯონიკიძე

მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ძირითადი საფეხურები აღმოსავლეთ საქართველოში



თბილისი 2004

IVE
5170

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

ა. ორჯონიკიძე

მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ძირითადი საფეხურები აღმოსავლეთ საქართველოში

23458

საქ. სახელმწიფო
მუზეუმის
ბიბლიოთეკა

თბილისი 2004

უაკ (UDC)902/904 (479.22)
ო. 718

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფ. ბ. მაისურაძე

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
გ. ფხაკაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ლ. ჯიბლაძე

დაიბეჭდა ავტორის ხარჯით

ISBN 99940-0-012-8

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 3

თავი I. მტკვარ-არაქსის კულტურის I საფეხური

§ 1. ძეგლები 18

§ 2. ლითონისა და ქვის ნივთები 30

§ 3. კერამიკა 34

§ 4. ნაგებობათა და სამარხთა ტიპები 46

თავი II. მტკვარ-არაქსის კულტურის II საფეხური

§ 1. ძეგლები 52

§ 2. ლითონის, ქვისა და ძვლის ნივთები 60

§ 3. კერამიკა 69

§ 4. ნაგებობათა და სამარხთა ტიპები 82

თავი III. მტკვარ-არაქსის კულტურის III საფეხური

§ 1. ძეგლები 88

§ 2. ლითონის, ქვისა და ძვლის ნივთები 99

§ 3. კერამიკა 111

§ 4. ნაგებობათა და სამარხთა ტიპები 129

თავი IV. მტკვარ-არაქსის კულტურის IV საფეხური

§ 1. ძეგლები 133

§ 2. ლითონის, ქვისა და ძვლის ნივთები 144

§ 3. კერამიკა. მტკვარ-არაქსის კულტურა ადრეყორღანული კულტურის გავრცელების ხანაში 152

ლიტერატურა 189

შემოკლებათა განმარტება 202

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ცნობილია, რომ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურა დიდმნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამ ოლქების უძველეს ისტორიაში. ამ გარემოებამ იმთავითვე განაპირობა დიდი ინტერესი მისი შესწავლისადმი როგორც ჩვენში, ისე – საზღვარგარეთ. ამის გამოა, რომ კავკასიის ბრინჯაოს ხანის არც ერთი კულტურა ისე ფართოდ და დაწვრილებით არ გაშუქებულა სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც მტკვარ-არაქსის კულტურა [Мунчаев 1975, გვ. 151]. ძნელად თუ მოიძებნება კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის ადრებრინჯაოს ხანისადმი მიძღვნილი განმაზოგადებელი ხასიათის სერიოზული სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც სათანადო ადგილი არ ექნება მიჩენილი მტკვარ-არაქსის კულტურას. ამ ნაშრომებში ფართოდაა განხილული აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებიც, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან სწორედ აქ ივარაუდება ამ კულტურის ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმთავრესი კერა, აქედან იწყება მისი გავრცელება სხვადასხვა მიმართულებით; აქვე შეინიშნება პირუკუ პროცესებიც; აქ აღმოჩენილი ძეგლები იძლევა საშუალებას თვალი გავადევნოთ ამ კულტურის განვითარების მთელ პერიოდს ჩამოყალიბებიდან დასასრულამდე; ცალკეული ეტაპების მიხედვით დადგინდეს როგორც წინააზიურ, ისე მომიჯნავე რეგიონებთან არსებული კავშირ-ურთიერთობათა უმთავრესი ასპექტები.

აღმოსავლეთ საქართველო გამოირჩევა მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლთა სიმრავლითაც. აქ აღმოჩენილი, სხვადასხვა ეტაპის ამსახველი არაერთი ათეული ნამოსახლარი ცხადყოფს მის ინტენსიურ ათვისებას ამ კულტურის მატარებელი ტომების მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

აღმოსავლეთ საქართველოში მტკვარ-არაქსის კულტურის ფორმირებისა და განვითარების პროცესზე მნიშვნელოვანი გავლენა უნდა მოეხდინა ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს. აღმოსავლეთი საქართველო მოქცეულია მთათა ორ დიდ სისტემას, ჩრდილოეთიდან – დიდი კავკასიონის, ხოლო სამხრეთიდან – მცირე კავკასიონს შორის. ორივე სისტემა მრავალგანტოტებიანია, რაც განაპირობებს აღმოსავლეთ საქართველოს რელიეფის მთაგორიანობას. მიუხედავად ამისა, აქ არაერთი მოზრდილი დაბლობია სოფლის მეურნეობის მძლავრი ბაზით.

მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია შიდა ქართლის ვაკე. იგი ჩრდილოეთიდან ემიჯნება მტკვრის შუა დინებას. ეკონომიკურად ასევე დიდმნიშვნელოვანია ქვემო ქართლის ვაკეც. იგი მტკვრის გაყოლებაზეა, იწყება თბილისის მიდამოებიდან და აღწევს ხრამის ხეობას. ვრცელი დაბლობებით ხასიათდება კახეთიც. აქ დაბლობები ალაზნის ორივე მხარესაა გაშლილი. აღსანიშნავია შირაქისა და ელდარის ველები მნიშვნელოვანი საძოვრებით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს სამხრეთ მთიანეთს, რომლის საკმაოდ მოზრდილ ნაწილს ზღვის დონიდან 2000 მ-მდე სიამღლეზე მდებარე ჯავახეთის მაღალმთიანი პლატო წარმოადგენს [ჯავახიშვილი 1926; მარუაშვილი 1964; ქსე 1981]. ტბებით მდიდარი ეს მხარე ბედენის, გომარეთისა და თრიალეთის ზეგნებთან ერთად უმდიდრეს საზაფხულო საძოვარს წარმოადგენს, რომელთანაც ისტორიულად იყვნენ დაკავშირებულნი მიმდებარე დაბლობებში მცხოვრები ტომები [ჯავახიშვილი 1919; ჩუბინიშვილი 1971, გვ. 54; კიკვიძე 1976, გვ. 65].

აღმოსავლეთი საქართველო მდიდარია მდინარეთა ქსელითაც. მთავარი მდინარეა მტკვარი. მოზრდილ მდინარეთაგან აღსანიშნავია არაგვი, ქსანი, ლიახვი, ფოცხოვი, ხრამი, ალგეთი, იორი, ალაზანი.

კლიმატური პირობები ვერტიკალური ზონალობის შესაბამისად ცვალებადობს. მაღალ ზონებში არსებულ ალპურ და სუბალპურ ველებს, რომლებზეც შესანიშნავი საზაფხულო საძოვრებია, ცვლის ტყეები და მარცვლოვანი კულტურებისათვის ხელსაყრელი ზონები. უფრო დაბალ სარტყელში საუკეთესო პირობებია მებაღეობა-მევენახეობისათვის. მომდევნო ზონებში კი ჭარბობს საზამთრო საძოვრად ვარგისი სტეპური და ნახევრადუდაბნო ლანდშაფტები. აღმოსავლეთ საქართველო ძალზე მდიდარია ფაუნითაც [ქსე 1981, გვ. 9-32].

მრავალფეროვანი და მდიდარია მისი წიაღისეულიც, რაც ხელს უწყობდა სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარებას, არსებით ზეგავლენას ახდენდა ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაზე.

გეოგრაფიული გარემოს თავისებურება, კერძოდ რელიეფის ხასიათი, მასზე დამოკიდებული კლიმატური პირობები, იმთავითვე მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ყოფასა და ეკონომიკას. გეოგრაფიული ხასიათის ფაქტორები განაპირობებდა ცალკეული რეგიონების მეურნეობის თავისებურებას, ხელს უწყობდა კულტურათა ლოკალური ვარიანტების წარმო-

შობას [კიკვიძე 1976, გვ. 64]. იგივე გეოგრაფიული ფაქტორები განსაზღვრავდა კიდეც ისტორიულ ჭრილში საქართველოს მთისა და ბარის ერთიანობასაც [Лордкипанидзе 1989, გვ. 6], რასაც ბუნებრივად მოყვებოდა კულტურათა დაახლოვება, სიჭრელე, სიმბიოზი და ამ ბაზაზე ახალი კულტურის ჩამოყალიბება [კიკვიძე 1976, გვ. 65]. იგივე ფაქტორებს გარკვეული ზეგავლენა უნდა მოეხდინა აღმოსავლეთ საქართველოში მტკვარ-არაქსის კულტურის ფორმირებისა და განვითარების პროცესზეც [კიკვიძე 1976, გვ. 65].

თავდაპირველად მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთით განსაზღვრული ეს კულტურა, ამჟამად ძალზე დიდ ტერიტორიაზეა გამოვლენილი. შეიძლება ითქვას, რომ არცერთ სხვა კავკასიურ კულტურას, არც მანამდე და არც მერე, ისე ფართო გავრცელება არ მიუღია, როგორც მტკვარ-არაქსის კულტურას [ჯაფარიძე 1976, გვ. 62].

ამიერკავკასიის გარდა ამ კულტურის ძეგლები აღმოჩენილია ჩრდილო კავკასიაში, ასევე – მახლობელი აღმოსავლეთის მთელ რიგ ოლქებში – აღმოსავლეთ ანატოლიაში, ჩრდილო-დასავლეთ ირანსა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, სადაც იგი კირბეტ-კერაკის კულტურის სახელწოდებითაა ცნობილი. ბოლო ხანებში მის კვალს აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაშიც ამჩნევენ [ჯაფარიძე 1976, გვ. 62-168].

ამ კულტურის ძეგლები მისი გავრცელების არეალზე სხვადასხვა ინტენსივობითაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით მჭიდროდ ჩანს დასახლებული შიდა ქართლის ვაკე და ქვემო ქართლი, სადაც ამ ხანის ნასახლარები ხშირად ჯაჭვისებურადაა განლაგებული ერთმანეთისაგან 2-3 კმ-ის დაშორებით [ღლონტი ლ. 1970, გვ. 3; მუსხელიშვილი 1977, გვ. 17; გრიგოლია, ტატიშვილი, 1960, გვ. 77]. ამ კულტურის მძლავრი კერა იქმნება აგრეთვე სამცხე-ჯავახეთში, არარატის ველზე და სხვ. რეგიონებში. ამ ხანის ნასახლარებს ყველგან ვხვდებით: მდინა-

რისპირა ბორცვებსა და ტერასებზე, მთის ფერდობებსა და კონცხებზე, ძირითადად მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისათვის ვარგის ადგილებთან ახლოს. ზოგიერთი ნასახლარის მაგალითზე შესაძლებელია გეგმარებაზე მსჯელობა [Кушнарева, Чубинишвили 1970]. დასახლებათა ფორმის შექმნას, მისი გარეგანი სახის ჩამოყალიბებას და ხანგრძლივად შემონახვას სხვასთან ერთად, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ერთგვარობა და მეურნეობის წარმოების თავისებურებაც განაპირობებდა [ჩიქოვანი 1989, გვ. 39].

ამ კულტურისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა ტიპის შენობები. გვხვდება როგორც მრგვალი, ისე ოთხკუთხა ფორმის, ნაგები ალიზით, ქვით ან სარ-ლასტით. იშვიათად, გვხვდება ნახევრადმიწურის ტიპის საცხოვრებლებიც [სა, გვ. 71-72]. შენობათა თიხატკეპნილი იატაკის ცენტრში ჩასმულია სხვადასხვა ტიპის თიხის კერა. ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს მრგვალი, შვერილებიანი კერა. მას შიდა მხარეს რამოდენიმე შვერილი გააჩნია. ზოგჯერ ეს შვერილები სხვადასხვა გამოსახულებებითაა შემკული. ამგვარი კერა მტკვარ-არაქსის კულტურის ერთერთ უმთავრეს ატრიბუტადაა მიჩნეულიდა ამ კულტურის არეალის მიღმა არ ჩანს [Мунчаев 1975, გვ. 156]. იგი არც ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომმა პერიოდმა იცის [ჩიქოვანი 1989, გვ. 48]. კერასთან ერთად ამ კულტურისათვის ძალზე დამახასიათებელია სადგარიც. განსაკუთრებით საინტერესოა ნალისებრი ფორმის სადგარი ანტროპომორფული გამოსახულებით, რომელიც არაპროპორციულად შემცირებულტანიან მამაკაცს გამოსახავს [ჩუბინიშვილი, გვ. 66]. მრავლადაა ასეთი სადგარი აღმოჩენილი აღმოსავლეთ ანატოლიაში, სომხეთისა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ძეგლებზე. საქართველოში ამგვარი სადგარი კარგადაა ცნობილი სამცხე-ჯავახეთიდან [ჩუბინიშვილი, გვ.66].

სამოსახლოს ტერიტორიაზე, ან მის მახლობლად გამართულია სამაროვანი. აქ აღმოჩენილი სამარხები სხვადასხვა ტიპისაა. კონსტრუქციის მიხედვით განირჩევა ნალისებრი ფორმის ქვის აკლდამები, ქვაყუთები, ორმოსამარხები, ყორღანები დაკრძალვის როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური წესით. სამარხეული ინვენტარი ძირითადად შედგება თიხის რამოდენიმე ჭურჭლით, ასევე ლითონის, ქვისა და ძვლის მცირეოდენი ნივთებით [სინ, გვ. 159].

მტკვარ-არაქსის კულტურა მიწათმოქმედ-მესაქონლეთა კულტურაა. იგი მიწათმოქმედების საკმაოდ მაღალი დონით ხასიათდება. ქვაცხელას მაგალითზე ჩანს, რომ მიწის დასამუშავებლად იხმარებოდა რქის პრიმიტიული სახვნელი გამწევი ძალის გამოყენებით [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 38]. ნასახლარებზე ხშირადაა აღმოჩენილი ხორბლისა და ქერის დანახშირებული მარცვლები [სინ, გვ. 758]. ამ ხანაში მასიურად ჩნდება კაჟის ორმხრივდამუშავებული ნამგლისპირი, რომელიც მანამდე უცნობი იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ძეგლებისათვის [Мунчаев 1975, გვ. 160; ნებიერიძე 1986, გვ. 125]. ამგვარი ნამგლისპირი თავს იჩენს ადრემტკვარ-არაქსული ხანიდანვე [ქორიძე, ტაბ. XI] და არსებობას განაგრძობს ამ კულტურის მთელი პერიოდის განმავლობაში. კაჟის ნამგლისპირის გარდა დადასტურებულია ლითონის ნამგლისპირიც. ამ ნამგლისპირით იღებდნენ როგორც მარცვლეულ კულტურებს, ისე თიბავდნენ ბალახს საქონლისათვის [სინ, გვ. 185]. მოსავლის გადმოსაზიდად გამოიყენებოდა ურმები მსგავსი ბადაანისა და არიჭში აღმოჩენილი ცალებისა [სა, ტაბ. LXVIII; Хачатрян, გვ. 74]. აღსანიშნავია, რომ ბადაანში აღმოჩენილი ურმები თანამედროვე ქართული ეთნოგრაფიული ურმის ზუსტი ასლია [სა, გვ. 178]. გარდა ურმისა, მტკვარ-არაქსის კულტურის არაერთ ნამოსახლარზე გვხვდება თიხის ბორბლის მოდელებიც. მარცვლეულის დასაფქვავად გამოიყენებოდა ქვის ნავისებრი ხელსაფქვავები, რომელთაც ამ კულტურის თითქმის ყველა ნასახლარზე ვხვდებით. მიუხედავად იმისა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მიწათმოქმედება ურწყავია, ზოგან მაინც ივარაუდება ხელოვნური მორწყვის გამოყენება მართალია, მცირე მასშტაბისა [კიკვიძე 1976, გვ. 67; მუსხელიშვილი 1977, გვ. 19].

მიწათმოქმედებასთან ერთად დაწინაურებულია მესაქონლეობაც. მის განვითარებაზე მიუთითებს მსხვილი და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ძვლების ხშირი აღმოჩენის შემთხვევები, თიხის ხარისა და ცხვრების ფიგურები, რძის პროდუქტების დასამზადებელი სპეციალური ჭურჭელი და სხვ. [სინ, გვ. 187].

დიდ აღმავლობას განიცდის ლითონის დამუშავების საქმეც. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროიდან იწყება „ნამდვილი“ მეტალურგია. ჩნდება სხვადასხვა დანიშნულების, ჩამოსხმის გზით დამზადებული საბრძოლო თუ სამეურნეო დანიშნულების იარაღი. ფორმათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა ამ დროის

ლითონის სამკაულიც, რომლის დასამზადებლად სპილენძში ხელოვნურადაა შეყვანილი დარიშხანი. ასეთი ქიმიური შედგენილობის ლითონი მაღალი საჩამომსხმელო თვისებებით ხასიათდება – ადვილად ავსებს ყოველგვარი კონფიგურაციის ყალიბს, ზუსტად იმეორებს მის ფორმებს [აბესაძე 1969, გვ. 99-100]. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლითონის ნივთების საფუძველზე ივარაუდება რამოდენიმე საწარმოო ცენტრის არსებობა [აბესაძე, გვ. 103, 110; Дедабришвили 1979, გვ. 60].

მეტალურგიის ასეთი აღმავლობა ძირითადად ძველაღმოსავლურ სამყაროსთან კონტაქტების გაძლიერებითაა გამოწვეული. მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ლითონის ზოგიერთი ნივთის ფორმა თავის საწყისს წინა აზიაში გავრცელებულ იარაღთა ტიპებიდან იღებს. ასეთია ყუამილიანი ცული, შუბისპირი, ხიშტი, სატეხი და სხვ. ამავე დროს ყალიბდება იარაღ-სამკაულის ადგილობრივი ფორმებიც [ჯაფარიძე 1991, გვ. 125]. ამ თვალსაზრისით სხვასთან ერთად შეიძლება დავასახელოთ ქვაცხელას სპილენძის დიადემა, რომელიც მსგავსებას პოულობს რა მახლობელი აღმოსავლეთის ადრეული ხანის ძეგლების მასალებში [ჯავახიშვილი, ღლნტი, გვ. 42; Кавтарадзе 1983, გვ. 115], თავისი შემკობით იმეორებს მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის ორნამენტს [ღლონტი 1982, გვ. 67].

ცნობილია, რომ წინააზიური წარმომავლობის ლითონის ნივთები ამიერკავკასიის გზით ფართოდ ვრცელდება ჩრდილო კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაში [ჯაფარიძე 1976, გვ. 131, 139; ავალიშვილი 1994, გვ. 54-60]. სამხრეთული ცივილიზაციების ამ მიღწევათა ჩრდილოეთით გავრცელებაში დიდია აღმოსავლეთ საქართველოს როლი. ამ რეგიონს უკავშირდება ძირითადად ცენტრალურ კავკასიონზე და მიმდებარე მხარეებში აღმოჩენილი ამ დროის ლითონის ნივთების უმრავლესობა [ჯაფარიძე 1961; Ростунов 1988, გვ. 33].

გამორჩეული ადგილი უჭირავს მეთუნეობას. ამ დროის კერამიკა იმდენად თავისებურია, რომ წარმოადგენს ამ კულტურის უმთავრეს ატრიბუტს [Мунчаев 1975, გვ. 161]. ჭურჭელი ხელით ნაძერწია, მოვარდისფროდ, მოყავისფროდ და შავად გაპრიალებული ზედაპირით. ფორმითა და დანიშნულების მიხედვით იგი მრავალფეროვანია. გვხვდება დერგის, ქოთნის, კოჭბის, ჯამის და სხვ. ტიპის

ჭურჭელი შემკული რელიეფური, ამოღარული და ნაკაწრი ორნამენტით. იშვიათად გვხვდება მოხატული ჭურჭელიც [სა, გვ. 70-124].

მტკვარ-არაქსის კულტურაში რამოდენიმე ლოკალური ვარიანტია გამოყოფილი. ერთ ასეთ ვარიანტს შიდაქართლური წარმოადგენს, რომელიც ძირითადად საქართველოს ტერიტორიაზეა გავრცელებული. მისთვის დამახასიათებელია სარ-ლასტით ნაგები, თიხალესილი ოთხკუთხა საცხოვრებელი და ზარისებური ფორმის ჭურჭელი [ჯაფარიძე 1976, გვ. 101-105].

მტკვარ-არაქსის კულტურის თავისებური ვარიანტი ჩამოყალიბდა სომხეთის მთიანეთსა და არარატის ველზე. მისთვის დამახასიათებელია მრგვალი შენობა და სამნაწილადტანიანი თიხის ჭურჭელი [ჯაფარიძე 1976, გვ. 124].

ცალკე ლოკალურ ჯგუფად გამოყოფენ აზერბაიჯან-ჩრდილოდასავლეთ ირანის ძეგლებს. ასევე ლოკალური თავისებურებებით ხასიათდება დაღესტანის ძეგლებიც და სხვ. [Мунчаев 1975, გვ. 172].

მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობის ხანგრძლივობა მისი გავრცელების ძირითად არეალზე, რომელშიც აღმოსავლეთ საქართველოც შედის, რადიოკარბონული მონაცემების, სტრატიგრაფიული დაკვირვებებისა და მასალის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ტრადიციული ქრონოლოგიით ძვ.წ. IV ათასწ. მეორე ნახევრითა და ძვ.წ. III ათასწ. შუა ხანებითაა განსაზღვრული [ჯაფარიძე 1961, გვ. 121]. ბოლო ხანებში მრავალრიცხოვანი წინააზიური პარალელებისა და ნახშირბადის მეთოდებით მიღებული თარიღების შესწორების საფუძველზე მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობის დრო მნიშვნელოვნად იქნა დაძველებული [ქავთარაძე 1981; Кавтарадзе 1983]. სტრატიგრაფიული მონაცემების, ფორმისა და ორნამენტის მარტივიდან რთულისაკენ ევოლუციის, წინარე, მომდევნო და მეზობელ კულტურებთან შენიშნული კავშირების გათვალისწინების საფუძველზე შემუშავებულია ამ კულტურის პერიოდიზაციის სქემაც [Куфтин 1941; ჯაფარიძე 1976; Кушнарева, Чубинишвили და სხვ.]. ამ სქემის

მიხედვით, რომელიც სათავეს ბეშთაშენის კერამიკული მასალის ბ. კუფტინისეული დაყოფიდან იღებს, მტკვარ-არაქსის კულტურაში განვითარების სამი საფეხურია წარმოდგენილი. ადრეულს მიეკუთვნება ე.წ. დიდუბე-კიკეთის რიგის ძეგლები. მისთვის დამახასიათებელია მორუხო-მოყვითალო ფერის, მარტივი ფორმის თიხის ჭურჭელი ცილინდრული ყელით, მომრგვალებული ან კვერცხისებრი ტანითა და ნახევარსფერული ყურებით. შემკობას წარმოადგენს მარტივი ნაკაწრი სახეები, ფოსოები, კოპები, წყვილი ირიბი რელიეფური ზოლები და სხვ. რამდენადმე მოგვიანებით ჩნდება რელიეფური ე.წ. „სათვალისებრი" სპირალის მოტივი. ეს კერამიკა სათავეს უდებს მომდევნო საფეხურის ჭურჭელს, რომელშიც წამყვანი უკვე შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი კერამიკა ჩანს. ჭურჭლის ტანი ბიკონუსურ ფორმას იღებს, მრავალფეროვანი ხდება და რთულდება ორნამენტის მოტივები. კიდევ უფრო გართულებულია ბოლო საფეხურის ორნამენტი. რელიეფური, ნაკაწრი, ჩაღარულ-ამობურცული და სხვა ხერხებით კვლავ გვხვდება სპირალური, ზოომორფული და გეომეტრიული მოტივები, რომლებიც ახლა უფრო მრავალფეროვანია და ჭურჭლის მთელ ტანს შემოუყვება. წამყვანია სამნაწილადტანიანი ჭურჭელი, თუმცა არსებობას განაგრძობს მომრგვალებული და ბიკონუსური ფორმაც.[Куфтин 1941 გვ. 115-117].

ზოგადად ასე გამოიყურება მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის განვითარების სურათი, რომელიც ამ კულტურის გავრცელების ძირითად არეალს, პირველ რიგში კი აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებს უფრო შეესაბამება. აქ გამოვლენილი ძეგლები სრულად ასახავენ განვითარების ყველა ეტაპს ამ კულტურის ჩამოყალიბებიდან მის დასასრულამდე. ბოლო ხანებში ამ სქემის ფარგლებში განვითარების ოთხ საფეხურსაც გამოყოფენ [ორჯონიკიძე 1983; მახარაძე 1994; Кушнарева 1993].

კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი ისტორიის მრავალი კარდინალური საკითხის გარკვევა მჭიდროდ უკავშირდება მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი განვითარების პროცესების წარმოჩენას, რაც შეუძლებელია აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლების შესწავლის გარეშე. ამ გარემოებამ განაპირობა დიდი ინტერესი ამ რეგიონის მტკვარ-არაქსის კულტურის მიმართ როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, რაც სათანადოდ აისახა სამეცნიერო ლიტერატურაში.

ჯერ კიდევ აკად. ბ. კუფტინი, ამ კულტურის ფაქტიური აღმომჩენი, აღნიშნავდა, რომ იგი უფრო მცირე აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთისაკენ იჩენს ლტოლვას, ვიდრე მესოპოტამია-ირანისაკენ [Куфтин 1948 გვ. 27]. იგი მკვეთრად გამოყოფდა ამ კულტურის კერამიკას წინა აზიის მოხატულკერამიკიანი ტრადიციისაგან და მეტ სიახლოვეს ხედავდა ადრეული ტრადიციების მქონე ჩრდილოსირიულ მონოქრომულ ნაწარმთან [Куфтин 1944, გვ. 126]. მტკვარ-არაქსული კულტურისათვის დამახასიათებელ სპირალურ მოტივს, უცნობს წინა აზიისათვის, იგი ცენტრალურ ხმელთაშუაზღვისპირეთში ხედავდა, სადაც ამ მოტივს უძველესი ფესვები გააჩნია. ნალისებრი სადგრის გამოჩენის გზას იგი ალიშარზე გავლით ეგეოსს უკავშირებდა [იქვე, გვ. 127]. ბ. კუფტინის მიერ ბეშთაშენის მასალების საფუძველზე პირველად იქნა დაყოფილი მტკვარ-არაქსის კულტურული კომპლექსი სამ ქრონოლოგიურ ეტაპად, რითაც საფუძველი ჩაეყარა ამ კულტურის პერიოდიზაციის სისტემას, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა [Куфтин 1941 გვ. 115-117]. ბ. კუფტინის მოსაზრებაც მტკვარ-არაქსის კულტურის მცირე აზიასთან სიახლოვის შესახებ არაერთი ავტორის მიერ იქნა გაზიარებული [ჯაფარიძე 1976, გვ. 71; გოგაძე, 1972, გვ. 81; Мепрперт, 1988, გვ. 7-36].

ტ. ჩუბინიშვილი და კ. კუშნარიოვა განიხილავენ რა მტკვარ-არაქსის კულტურას, რომელშიც საკმაო ადგილი აქვს დათმობილი აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებს, მათ შორის ახალციხის ამირანის გორას, ხედავენ წინარე კულტურის ნიშნებს, აღნიშნავენ ირანულ-მესოპოტამიურ მოტივებს კერამიკაზე. თუმცა, აქვე გამოყოფენ მცირეაზიური კულტურების ზემოქმედების კვალსაც მტკვარ-არაქსის კულტურის ოთხკუთხა არქიტექტურის, შავი და რუხი კერამიკის წარმოების ტრადიციაში და სხვ. [Кушнарева, Чубинишвили გვ. 183-184]. ცვლილებებს ადრებრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურის მთელ რიგ ელემენტებში ტ. ჩუბინიშვილი ახალი ეთნიკური ჯგუფების შემოღწევას უკავშირებს [Чубинишвили 1971, გვ. 164]. მისი აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურა ერთდროულად წარმოიქმნა როგორც კავკასიაში, ისე ჩრდილო-დასავლეთ ირანსა და აღმოსავლეთ ანატოლიაში [იქვე, გვ. 156]. ტ. ჩუბინიშვილისა და კ. კუშნარიოვას აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურაში ლოკალური ვარი-

ანტების გამოყოფა ჭირს. ეს თითქოს შესაძლებელია მოხერხდეს შენობათა ფორმებისა და კერების მიხედვით, ასევე კერამიკითა და კერის ზესადგარებით. მაგრამ საქმე რთულდება სამარხებთან დაკავშირებით, ვერ ხერხდება კანონზომიერების დაჭერა გავრცელების არეალზე მათი სიჭრელის გამო [Кушнарева, Чубинишвили, გვ. 174-175]. აღნიშნულის მიუხედავად, ტ. ჩუბინიშვილი შესაძლებელად მიიჩნევს გამოყოს აღმოსავლეთ საქართველოში ორი ლოკალური ჯგუფი: ერთი შიდა ქართლსა და საჩხერეში, მეორე – უფრო მოზრდილში იგი აერთიანებს სამხრეთ საქართველოს, შიდა ქართლის აღმოსავლეთ ნაწილსა და კახეთს. ამ ჯგუფის კერამიკა უფრო ინარჩუნებს ადრემტკვარარაქსულ ფორმებს [სინ, გვ. 167].

აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლების განხილვას დიდი ადგილი აქვს დათმობილი ო. ჯაფარიძის არაერთ ნაშრომში. მისი აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბება მჭიდროდ უკავშირდება როგორც ადგილობრივ წინარე ხანის კულტურას, ისე ანატოლიის ადრეულ კულტურებს, რომელთა შერევას შედეგად უნდა მოჰყოლოდა ახალი კულტურის ჩამოყალიბება [ჯაფარიძე 1976, გვ. 71, 84]. ეს პროცესი, რომელიც საკმაოდ სწრაფად უნდა წარმართულიყო, ანატოლიის მხრიდან გარკვეული ეთნიკური ელემენტის ჩრდილოეთით გადმოადგილებითა და ადგილობრივი სამიწათმოქმედო საზოგადოების შეხვედრითაა ახსნილი. მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების ერთერთ უმთავრეს კერად მას აღმოსავლეთ საქართველო, უფრო ქვემო ქართლი და მიმდებარე რაიონები მიაჩნია, სადაც ამ კულტურის უადრესი ძეგლებია თავმოყრილი. სწორედ აღმოსავლეთ საქართველოში ჩანს ყველაზე მეტი საერთო წინამორბედ კულტურასთან როგორც მშენებლობის ტრადიციაში, ისე კერამიკული ნაწარმის მხრივაც [ჯაფარიძე 1976, გვ. 71]. ასეთი კავშირის არარსებობა მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელებას სხვა ტერიტორიებზე სამართლიანად აფიქრებინებს ავტორს, რომ ეს ოლქები არ უნდა შედიოდეს ამ კულტურის ჩამოყალიბების თავდაპირველ არეალში, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს [ჯაფარიძე 1976, გვ. 68].

მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლების შესწავლის საფუძველზე ო. ჯაფარიძე გამოყოფს რამოდენიმე ლოკალურ ვარიანტს, რომელთაგან საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულია ადგილობრივ ჩამოყალიბებული შიდა ქართლური

ვარიანტი დამახასიათებელი არქიტექტურითა და კერამიკული ნაწარმით. შიდა ქართლიდან ივარაუდება ამ ვარიანტის ფართო განფენა საქართველოს სხვადასხვა მხარეებში. მასთანაა დაკავშირებული ამ კულტურის გავრცელება თრიალეთში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და სხვ. ამ კულტურის განვითარების მოგვიანო ეტაპზე ის ამჩნევს სამხრეთული, ძირითადად არარატის ველისათვის დამახასიათებელი ვარიანტის მომძლავრებას სამხრეთ საქართველოში [ჯაფარიძე 1976, გვ. 113-114]. მტკვარ-არაქსის კულტურის დაკნინებას კი, სხვა მიზეზებთან ერთად, იგი ამიერკავკასიაში ახალი – ადრეული ყორღანების გამოჩენას უკავშირებს, ხოლო მის საბოლოო ჩაქრობას - ბედენის კულტურას [ჯაფარიძე 1991, გვ. 285].

აღმოსავლეთ საქართველოს მტკვარ-არაქსულ ნასახლარებზე გამოვლენილ ნაგებობათა ფართო არეალზე განხილვის შემდეგ ალ. ჯავახიშვილი მტკვრის აუზის ოთხკუთხა არქიტექტურას გამოყოფს არაქსის აუზის მრგვალი, ოთხკუთხა მინაშენიანი ნაგებობებისაგან. მისი აზრით, ადრებრინჯაოს ხანის დაწყება არაქსის აუზში ხასიათდება სამშენებლო ხერხებისა და არქიტექტურის კონსერვატულობით მაშინ, როცა მტკვრის აუზში სწრაფად ხდება ახალი არქიტექტურული ფორმების ჩამოყალიბება [Джавахишвили, გვ. 352, 236].

ქვემო ქართლის ადრემტკვარ-არაქსული ძეგლების მასალებში გ. ფხაკაძე ნეოლითის პერიოდის კერამიკის დამახასიათებელ ნიშნებს ამჩნევს [ფხაკაძე 1963, გვ. 119-121]. ქვემო და შიდა ქართლის ძეგლების შედარებისას იგი ასკვნის, რომ ეს ორი რეგიონი განსხვავდება ერთმანეთისაგან სამშენებლო ტრადიციებით – შიდა ქართლში ალიზითა და სარ-ლასტით ნაგები საცხოვრებლებია, ხოლო ქვემო ქართლში ნაგებობები ქვის ფუნდამენტზეა. ამ ოლქების კულტურის ლოკალურობას ის კერამიკაშიც ამჩნევს [იქვე, გვ. 64, 96].

თ. კიღურაძის აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურის ფორმირების საქმეში სიონის ტიპის ძეგლებმა გარკვეული როლი შეასრულეს [კიღურაძე 1998, გვ. 19-20].

სამშვილდის ნასახლარის უძველესი ფენის მასალის ნაწილს გ. მირცხულავა უდარებს წინარე მტკვარ-არაქსულ კულტურას, მეორე ნაწილს კი ადრემტკვარ-არაქსული ძეგლების ნაწარმს [მირცხულავა 1975, გვ. 20-21]. ამავე პე-

რიოდში იგი ვარაუდობს კასპიისპირეთის სამხრეთიდან მოსახლეობის ინფილ-ტრაციას [იქვე, გვ. 66]. აღმოსავლეთ საქართველოს მტკვარ-არაქსის კულტურის ძირითად განმსაზღვრელ ნიშნებზეა საუბარი მირცხულავას სხვა ნაშრომში. მასში დახასიათებულია საცხოვრებელი და სამარხი ნაგებობები, კერამიკული მა-სალა და ლითონის იარაღ-სამკაული. განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ქვემო ქართლისა და კახეთის ძეგლების მასალას, რომელიც განვითარების ეტა-პების მიხედვითაა დახასიათებული [Мирцхулава 1991, გვ. 36-49].

კახეთში აღმოჩენილი მასალები განხილული აქვს შ. დედაბრიშვილს. მისი აზრით, ამ კულტურის განვითარებული და გვიანი საფეხურის კახეთის ძეგლები, მსგავსად თრიალეთისა არ შეიძლება მიეკუთვნოს რომელიმე ლოკალურ წრეს. მაგრამ უფრო ახლოს ეს მხარე მაინც შიდა ქართლთან დგას [Дедабришвили 1970, გვ. 15]. ილტოს ნასახლარი და სხვა ძეგლების საფუძველზე იგი თვლის, რომ ამ კულტურის ბოლო ეტაპი ამავე დროს არის შუაბრინჯაოს ხანის კულ-ტურაზე გარდამავალი ეტაპიც [Дедабришвили 1969, გვ. 61]. აქვე მტკვარ-არაქ-სული კერამიკის გარდა იგი ამჩნევს ჩრდილი-აღმოსავლეთ კავკასიისათვის დამა-ხასიათებელ კერამიკასაც [იქვე, გვ. 54].

ი. კიკვიძის აზრითაც კახეთში, თრიალეთსა და ჯავახეთში გავრცელებული მტკვარ-არაქსული კულტურა ისეთი სიჭრელითა და სიმბიოზით ხასიათდება, რომ გაჭირდება რომელიმე ლოკალური ვარიანტსიადმი მათი მიკუთნება. ამირა-ნის გორის მაგალითზე ის ამბობს, რომ შიდა ქართლთან კავშირის არსებობის მიუხედავად, იგი ქარაზთან ერთად ცალკე უნდა განიხილებოდეს. ამირანის გო-რის ანალოგიურ დასახლებას ვარაუდობს ის მესხეთ-ჯავახეთის დიდ ნაწილში, მთის ფერდობებზე მაინც. პლატოებზე კი უფრო ქვაცხელასებური დასახლება წარმოუდგენია [კიკვიძე 1976, გვ. 62-64]. მისი აზრით, მტკვარ-არაქსისა და და-სავლეთ საქართველოს კულტურათა შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა შიდა ქარ-თლური ვარიანტი, რომელიც შიდა ქართლის გარდა მოიცავდა იმერეთს, იორ-ალაზნის ზემო წელსა და თრიალეთს. ეს უკანასკნელი კი სომხეთ-აზერბაიჯანში გავრცელებული კულტურის ელემენტების მატარებელიცაა [კიკვიძე 1972, გვ. 92].

მტკვარ-არაქსის კულტურაში რამოდენიმე ლოკალურ ჯგუფს გამოყოფს რ. მუნჩაევი, რომელთა შორის არქიტექტურასა და კერამიკული ნაწარმის მიხედვით გამოარჩევს შიდა ქართლურ, დიდუბე-კიკეთის, იორ-ალაზნის ჯგუფებს. ცალკე ფიგურირებს ქარაზი და ამირანის გორაც [Мунчаев 1975, გვ. 171-172].

ზოგი სამხრეთ საქართველოს მთიანეთის, კერძოდ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ათვისებას ადრემტკვარ-არაქსული ხანის მოგვიანო ეტაპზე, ქვემო ქართლის მხრიდან ვარაუდობს [ორჯონიკიძე 1983, გვ. 92; ორჯონიკიძე 1989, გვ. 174], განვითარების ეტაპების შესაბამისად შენიშნავს კავშირებს შიდა ქართლსა და აღმოსავლეთ ანატოლიასთან. სამცხე-ჯავახეთი მიჩნეულია იმ მხარედ, სადაც ამ ორი ლოკალური ვარიანტის შეხვედრა და შერწყმა ხდებოდა [ორჯონიკიძე 1983, გვ. 96]. ამავე რეგიონში მტკვარ-არაქსის კულტურის მიწურულს შენიშნავენ ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელი ნაწარმის არსებობასაც და თვლიან, რომ ეს კულტურები თანაარსებობენ და ერწყმიან ერთმანეთს, რაზეც მომდევნო ხანის „ადგილობრივი" კერამიკაც მეტყველებს [ორჯონიკიძე 1983, გვ. 106; ორჯონიკიძე 1994, გვ. 9].

სამცხეში, აბასთუმნის ყანობილის ნასახლარზე მტკვარ-არაქსულ კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა იმერეთის გამოქვაბულებისათვის დამახასიათებელი კერამიკა და ქვის ნაწარმი, რის გამოც აბასთუმნის რაიონი ჩაითვალა ამ კულტურათა საკონტაქტო ზონად [Пхакадзе, Каландадзе, Орджоникидзе, გვ. 20].

აღმოსავლეთ საქართველოს ბედენურ კომპლექსებში დამოწმებულ მტკვარ-არაქსულ კერამიკაში გამოყოფენ ამ კულტურის სხვადასხვა ლოკალური ვარიანტის ნაწარმს, რომელშიც წამყვანი ადგილი სამხრეთულ ვარიანტს აქვს მიკუთვნებული [ორჯონიკიძე 1996, გვ. 4].

ხაშურის ნაცარგორაზე მოპოვებული მასალის საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება, რომ აქ თავდაპირველად გავრცელებული იყო მტკვარ-არაქსის კულტურის შიდაქართლური ვარიანტი, ხოლო შემდგომ მასთან ერთად ბედენური კულტურის კერამიკაც იწყებს გამოჩენას. აქვე, ქვედა ჰორიზონტებში გვხვდება სამხრეთული ვარიანტის თიხის ჭურჭელი და ადრეული ყორღანების მსგავსი კერამიკა [ა.ორჯონიკიძე 1992, გვ. 6-7].

ბედენური და მტკვარ-არაქსული ნაწარმის თანაარსებობა კარგად ჩანს კასპის ციხიაგორას ნასახლარის ზედა ფენებშიც. აქ მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების IV ეტაპზე ვარაუდობენ აღმოსავლეთ ანატოლიიდან მტკვარ-არაქსული ტომების გადმოადგილებას, რაც ბედენური კულტურის გამოჩენასთან შეიძლება ყოფილიყო დაკავშირებული. უფრო ადრე, III ეტაპზე აქ ჩანს არარატის ველისათვის დამახასიათებელი ნაწარმისა და შიდა ქართლის ვარიანტის არსებობა. ეს უკანასკნელი მალევე, B_2 ფენის ხანაში წყვეტს თავის განვითარებას, რასაც ზ. მახარაძე უკავშირებს მტკვარ-არაქსის კულტურის საერთო დესტაბილიზაციას და ბედენური კულტურის მატარებელი ტომების შემოჭრას ამიერკავკასიაში [მახარაძე 1994, გვ. 75]. ბედენურ კულტურას უკავშირებს იგი მტკვარ-არაქსის კულტურის საბოლოო ჩაქრობასაც აღმოსავლეთ საქართველოში [მახარაძე 1994, გვ. 74].

კერამიკული მასალის ანალიზისას ვ. როსტუნოვი ამჩნევს სამხრეთ საქართველოში წინააზიური იმპორტის მომძლავრებას. ამირანის გორაზე ის ვარაუდობს ქარაზიდან მოსახლეობის ინვაზიას. სამცხიდან დაძრული მოსახლეობა მისი აზრით მიემართება შიდა ქართლისაკენ, არაგვის ხეობაში და საბოლოოდ – ცენტრალურ კავკასიაში [Ростунов 1985, გვ. 3-42].

განიხილავს რა კავკასიის ადრეული ყორღანების მასალებს გ. მინდიაშვილი ხედავს მათ პირდაპირ კავშირს მტკვარ-არაქსული ნასახლარების ზედა ჰორიზონტებთან და თვლის, რომ ადრე ყორღანული ეტაპი ძირითადად ემთხვევა მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ფინალურ ეტაპს, ხოლო ადრეული ყორღანების შექმნელი საზოგადოება მტკვარ-არაქსის კულტურის სამეურნეო ტრადიციების გამგრძელებლად მიაჩნია [მინდიაშვილი 1993, გვ. 8-9].

ამიერკავკასიის მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლების პერიოდიზაციის სქემა მოცემულია ა. საგონას ნაშრომში [Sagona 1984]. იგი თითქმის იმეორებს ამ ძეგლებისათვის უკვე შემუშავებულ პერიოდიზაციის სქემას. ადრეული ფაზის უადრეს ძეგლებს იგი ქვემო ქართლში ხედავს; II ფაზა სამი ტრადიციითაა წარმოდგენილი: 1. შიდა ქართლი, 2. წალკა, 3. არარატის ველი. III ფაზაში იგი აქცევს თრიალეთს, კახეთის ნაწილს, დაღესტანსა და ქვემო ქართლს (ღაითმაზი, დანგრეული გორა) [Sagona 1984, გვ. 97-107].

არაგვის ხეობის მასალებს მ. ღლონტი უახლოვებს კავკასიის სხვადასხვა რეგიონის ნაწარმს და თვლის, რომ ამ ხეობის განსახლება ემთხვევა შიდა ქართლისა და კახეთის ათვისების დროს [ღლონტი 1996, გვ. 15-18].

როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურა ფართოდაა განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში. მის შესახებ მიღებული დასკვნები ძირითადად ემყარება კუფტინისეული პერიოდიზაციის სამსაფეხურიან სქემას. ვფიქრობთ, ამ სქემის ფარგლებში ოთხი საფეხურის გამოყოფა მეტ შესაძლებლობას იძლევა უფრო სრულად და დეტალურად აისახოს რეგიონში მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების და განვითარების სურათი.

23488

თავი I

მტკვარ-არაქსის კულტურის I საფეხური

§ 1. ძეგლები. თუ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების მიმართულებათა შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა, მისი ფორმირების უმთავრეს კერად ქვემო ქართლისა და მიმდებარე რაიონების ცნობას მკვლევართა უმრავლესობა უჭერს მხარს მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ბოლომდე ნათელი არ არის მტკვარ-არაქსის კულტურის წინამორბედ კულტურასთან ურთიერთობის მრავალი ასპექტი. მათ შორის შენიშნული მსგავსება ხშირ შემთხვევაში ზედაპირული ხასიათისაა და უფრო ზოგად ხაზებში ვლინდება [ჯაფარიძე 1976, გვ. 70]. და მაინც, მისი გავრცელების მთელ ტერიტორიაზე ეს კულტურა არსად იმდენ საერთოს არ პოულობს წინამორბედ კულტურასთან, როგორც აქ. სწორედ ამ ტერიტორიაზე გავრცელებულ წინარე ხანის კულტურაში ხედავენ მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელ რიგ ისეთ ნიშნებს, როგორიცაა მრგვალი შენობის აგების ტრადიცია, სადა ზედაპირგაპრიალებული მოუხატავი კერამიკა, შემკული რელიეფური და ნაკაწრი ორნამენტით, კოპებით და სხვ. [იქვე, გვ. 81]. ამ საფეხურს მიეკუთვნება ძვ.წ. IV ათასწ. მეორე ნახევრით დათარიღებული შემდეგი ძეგლები: თეთრიწყარო A, სამშვილდე, კიკეთი, კოდა, ღრმახევისთავი, თამარისი, აბელია, შულავერის № 3 ყორღანი, ბარმაქსიზისა და ტაშ-ბაშის სამარხები, წეროვანი II, თრელის ნასახლარი, გრემი, მაშნაარის, მაღაროსა და ზეიანის (№ 2) ყორღანები, ნაომარი გორის ორმოსამარხი და სხვ.



სურ. 1. ნაომარი გორის სამარხი

ნაომარი გორის სამარხი. ამავე სახელწოდების მრავალფენიანი ნამოსახლარის მახლობლად აღმოჩნდა. იგი ორმოსამარხია, რომელსაც ორი ქვაყრილი ჰქონდა. ზედა ქვაყრილი დაახლოებით 1 მეტრით იყო დაცილებული ქვედას, რომელიც უშუალოდ მიცვალებულის ჩონჩხზე იყო დაწყობილი. სამარხში ერთი მიცვალებული იყო დაკრძალული, გვერდზე მოკრუნჩხულად. მას თავთან ედგა ერთი ჭურჭელი. აქვე იყო ცხვრის ძვლები [მინდიაშვილი 1977].

აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი ანალოგებს პოულობს ადრემტკვარ-არაქსული ხანის ჭურჭელთან და ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით თარიღდება [მინდიაშვილი 1977, გვ. 23].[1]

გრემის დროებითი სადგომი ხევის პირას აღმოჩნდა. აქვე ჭრილში გაიწმინდა ორმო, რომელშიც აღმოჩნდა მოყვითალო-მოწითალო ფერის, ანგობირებული კერამიკა. აღსანიშნავია განიერ და მაღალყელიანი მოზრდილი ორყურა ჭურჭელი, ცალყურა ჯამი, თასი და სხვ., რომელთა პარალელებს დიდუბე-კიკეთის რიგის ძეგლების მასალებში ხედავენ, მაგრამ უფრო ადრეული ხანისად მიაჩნიათ თეთრიწყაროს, სიონის და სხვ. ძეგლების კერამიკასთან სიახლოვის გამო [Дедабришвили 1969, გვ. 70].

მცხეთასთან, წეროვანი II გაითხარა ქვაყრილიანი და უყრილო ორმოსამარხები, ინდივიდუალური და კოლექტიური დაკრძალვის წესით. მათში აღმოჩნდა არქაული იერის რამოდენიმე ჭურჭელი. აქვე გაიწმინდა სამეურნეო ორმოებიც, რომელთა კერამიკა ახლო დგას დიდუბე-კიკეთის ჯგუფთან [Апакидзе и др. 1982, გვ. 82; მცხეთა IX, გვ. 78-80].



სურ. 2. ბერიკლდეები

ბერიკლდეების ნამოსახლარი მდებარეობს მტკვრისა და ფრონეს შეერთებაზე, მტკვრის მარცხენა მაღალ ნაპირას. იგი მრავალფენიანი ძეგლია. მასზე ბედენის ხანის ფენის ქვეშ ორ ადგილას დაფიქსირდა მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპის ფენის კვალი. არქაულ კერამიკასთან ერთად აქ იყო ნალისებრი ზედსადგრის ფრაგმენტი. ერთი ელიფსური შენობიდან შემორჩა ცენტრალური სტაციონარული კერა – თიხის ბრტყელი დისკო, შუაში ცილინდრული ორმოთი. კედლის გასწვრივ – ექვსი „ვაზა“ [Глонти, Джавахишвили, გვ. 80-87; Djavakhishvili 1998].

[1] ზოგი არ იზიარებს ამ თარიღს [სა, გვ. 177].

თეთრიწყაროს ნასოფლარი თეთრიწყაროსთან, ადგილ სოფიელზე გამოვლინდა. აქ გაითხარა დიდი ქვებით ნაგები ოთხკუთხა ნაგებობის ნაშთი. ნაგებობაში აღმოჩენილი ბათქაშის ნატეხები ცხადყოფს, რომ იგი შიგნიდან შელესილი იყო. ამ ნაგებობის მახლობლად აღმოჩნდა მრგვალი ქვაფენილი თიხის კერით. ეს ნაგებობა საკულტო დანიშნულებისადაა მიჩნეული.

აქვე გაითხარა დიდი ქვებით შემოზღუდული მოზრდილი ფარეხი და კაჟისა და ობსიდიანის იარაღების დასამზადებელი სახელოსნოც.

ნასახლარზე დამოწმებული სტრატიგრაფიით ორი ფენის გამოყოფა მოხერხდა: ქვედა – A და ზედა – B. A ფენა მტკვარ-არაქსის კულტურის უადრეს პერიოდს ასახავს, ხოლო B – ამ კულტურის განვითარების შუა და მოგვიანო საფეხურს მიეკუთვნება. ორივე ფენისათვის საერთოა თიხის შვერილიანი კერები, ასევე ნარინჯისფერი კერამიკა იმ განსხვავებით, რომ ქვედა ფენაში იგი ბზენარევია. საერთოდ ნასახლარზე მოპოვებული კერამიკული ნაწარმი ძალზე ფრაგმენტულია, რაც აფერხებს ჭურჭლის ფორმებზე ნათელი წარმოდგენის მიღებას. ეს განსაკუთრებით ითქმის A ფენის მიმართ. მიუხედავად ამისა, გამოიცნობა თასები, ტოლჩები, დიდი ქოთნები. მათი უმრავლესობა უორნამენტოა [გობეჯიშვილი 1978].

აბელიას ნასახლარი თეთრი წყაროს რაიონში, ალგეთის ხეობის მარჯვენა ნაპირას, სოფ. აბელიას მახლობლად მდებარეობს. მასზე სხვადასხვა დროს წარმოებული სადაზვერვო გათხრებით გამოვლინდა არეული ფენები. აქ მოპოვებული ადრემტკვარ-არაქსული ხანის მასალიდან აღსანიშნავია თიხის ოთხშვერილიანი ზედსადგარი, ჯამისებრი სარქველი ფსკერზე ყურით, კაჟის ნამგლისპირი და სხვ. [Чубинишвили 1971, გვ. 42].

სურ. 3. ქვ. ქართლის № 3 ყორღანი

შულავერის (ქვემო ქართლის) № 3 ყორღანი მიწაყრილიანი იყო, 20 მ დიამეტრისა. მის ყრილში ორი სამარხი იყო მოთავსებული. ერთში ადამიანის ძვლებთან ერთად აღმოჩნდა თიხის ცილინდრულყელიანი ჭურჭელი, ღრმა ბადია და ძვლის კვირისტავი. მეორე სამარხში მიცვალებული მო-

კრუნჩხულად იყო დაკრძალული. მას ჩატანებული ჰქონდა ხუთი ჭურჭელი. ორივე სამარხის ჭურჭელი მსგავსია ადრემტკვარ-არაქსული ხანის კერამიკისა [ჯაფარიძე 1975, გვ. 150].



სურ. 4. სამშვილდის ნასახლარი. ქვედა ფენა.

სამშვილდის ნასახლარი და სამა-

როვანი მდებარეობს თეთრიწყაროს რაიონში, სოფ. სამშვილდის მახლობლად. ტერასულად გაშენებულ ნასახლარზე გამოვლინდა ნაგებობათა კომპლექსი – სამი ნახევარწრიული ნაგებობის ქვის საძირკველი. კედლები კონცენტრულად იყო განლაგებული. აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრიდან მიშენებული ჰქონდა ოთხკუთხა ნაგებობები. მთელი კომპლექსი მიდგმული იყო ქვის კედელს. ხის წნულანაბეჭდიანი თიხის შელესილობის ნატეხები ცხადყოფს, რომ ნაგებობის ზედა ნაწილები ხის იყო.

ნასახლარზე დამოწმდა ორი კულტურული ფენის არსებობა. ქვედა ფენაში ნაგებობათა კედლები დანგრეულია. აქ აღმოჩენილი ორმო სავსე იყო ნაცრითა და კერამიკული ნატეხებით. კერამიკა ღია ფერისაა, კეცში მცენარეული მინარევებით. ამ ფენის კერამიკის ნაწილს ძეგლის გამთხრელი სიონ-თეთრიწყაროს და



სურ. 5. სამშვილდე. სამაროვანი.

წინარე მტკვარ-არაქსული ძეგლების მასალას უდარებს, ნაწილს – ხიზანაანთგორის E ფენის კერამიკას. წინამტკვარ-არაქსული იერისაა ამ ფენის ქვის იარაღის ნაწილიც.

ქვედა ფენის კერამიკა გარკვეულ სიახლოვეს იჩენს ზედა ფენის თიხის ჭურჭელთან ფორმისა და ტექნოლოგიის მხრივ.

ზედა ფენისა და სამაროვნის კერამიკის მსგავსება ცხადყოფს, რომ სამაროვანი ნასოფლარის ზედა ფენის მოსახლეთ ეკუთვნოდა. ეს კერამიკა მონაცრისფრო-მოყავისფროა, ხშირად შეღებილია წითელი, იშვიათად – მოყავისფრო საღე-

ბავით. შემკობას წარმოადგენს ცალკეული თუ წყვილი კოპები, შვერილები, ტეხილხაზოვანი ამოკაწრული ორნამენტი და სხვ.

აქ გათხრილი სამარხები დიდი ლოდებით ნაგებ და გადახურულ აკლდამებს წარმოადგენს. მათი შესასვლელი ჩაკეტილია ქვის „კარით". უმეტესობა კოლექტიურია. სამარხეულ ინვენტარს შეადგენს თიხის ჭურჭელი და იშვიათად, ქვის, ძვლისა და ლითონის ნივთები.

სამაროვანზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი ხუთ ჯგუფში ერთიანდება და ანალოგები ადრემტკვარ-არაქსულ ძეგლთა წრეში ეძებნება. ქვის იარაღები აქ ცოტაა და წარმოდგენილია კაჟისა და ობსიდიანის ისრისპირებით, რომელთა ზოგი ფორმა უცხოა ამ კულტურისათვის. ლითონის ნივთებიდან აღსანიშნავია ორვოლუტიანი საკინძი, ზამბარისებრი ხვია და სასაფეთქლე რგოლები [მირცხულავა 1975; სა, გვ. 154-157].



სურ. 6. ზეიანის № 2 ყორღანი.

ზეიანის № 2 ყორღანი. საგარეჯოს რაიონში, ადგილ ზეიანში გაითხარა 30 მ დიამეტრის ყორღანი, რომელსაც ჰქონდა ქვის ფილებით გადახურული დრომოსი და დასაკრძალავი ორმო. ორმოში, რომელიც ადრე ხით უნდა ყოფილიყო გადახურული, აღმოჩნდა მოკრუნჩხულად დაკრძალული ექვსი მიცვალებულის ჩონჩხი. დრომოსშიც დადასტურდა ათამდე მიცვალებულის ნაშთები. ყორღანში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის საფუძველზე ძეგლი ძვ.წ. IV ათასწ. მეორე ნახევრის ფარგლებშია მოქცეული. ამ სამარხის კონსტრუქციის, დაკრძალვის წესისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით არსებობს სხვა შეხედულებაც [კაპანაძე, გვ. 12-23; მინდიაშვილი 1990, გვ. 177-181].



სურ. 7. მაღაროს ყორღანი

მაღაროს ყორღანი სიღნაღის რაიონის სოფ. მაღაროშია. იგი კოლექტიური სამარხია დრომოსითა და დასაკრძალავი ორმოთი. მასში 18 მიცვალებული იყო დაკრძალული. აქ აღმოჩენილი კერამიკა ყორღანს ძვ.წ. IV დასასრულით ან ოდნავ მოგვიანო ხანით ათარიღებს [Пицхелаури и др. 1995, გვ. 76-78].

მაშნაარის ყორღანი სიღნაღის რაიონში, სოფ. მაშნაარ. თანაა აღმოჩენილი. ამ ყორღანს გარს შემოუყვებოდა ლოდების წრე. სამარხი უორმო იყო. საფიქრებელია, რომ აქ მიწისზედა ნაგებობა იდგა. ყორღანში ათამდე მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა. მოპოვებული თიხის ფრაგმენტებით სამარხს მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურით ათარიღებენ; თრელისა და ღრმახევისთავის პარალელები საშუალებას იძლევა მის ძვ.წ. IV ათასწ. მე-2 ნახევრით განსაზღვრისა [Дедабришвили 1979, გვ. 58].



სურ. 8. ღრმახევისთავი

ღრმახევისთავი მდებარეობს დმანისის რაიონში, სოფელ ვარდისუბანთან, მდ. მაშავერას ნაპირას, კონცხისებრ პლატოზე. აქ გაითხარა ნაცრითა და კერამიკული მასალით შევსებული ასი ორმო და ძლიერ დაზიანებულ ნაგებობათა ნაშთები. ორმოები ხშირად ქვაყრილიანი იყო, ან ქვის ფილებით შემდგარი გადახურვა ჰქონდა. ორ შემთხვევაში ორმო სამარხად იყო გამოყენებული. მრავალრიცხოვანი კერამიკული მასალის საფუძველზე ორმოები ადრეულ და მოგვიანო ჯგუფებად იყოფა. არის გარდამავალი ეტაპის ორმოებიც.

ადრეული ჯგუფისათვის დამახასიათებელია მოყვითალო და მოწითალო ფერის მცენარეულჩანართიანი თიხის ჭურჭელი და ადრემტკვარ-არაქსული კერამიკა ცილინდრული ყელით, რომლის ძირში პატარა ყურებია მიძერწილი. ეს კერამიკა ახლო დგას თრელის, თეთრიწყაროს A ფენის კერამიკასთან. აქვე აღმოჩენილი რქისებრი სადგარი პარალელებს პოულობს საქართველოს და კავკასიის სხვადასხვა ძეგლების მასალებში. ბზენარევი კერამიკის არსებობის გამო ეს ძეგლი მტკვარ-არაქსის კულტურის ყველა ძეგლზე ადრეულადაა მიჩნეული და ძვ.წ. IV ათასწ. შუა ხანებით დათარიღებული.

ღრმახევისთავზე გაითხარა ადრემტკვარ-არაქსული პერიოდის ხუთი ორმოსამარხი და ორი აკლდამა. ორმოსამარხები ინდივიდუალურია, მცირე ქვაყრილით. მიცვალებული დაკრძალულია გვერდზე მოკრუნჩხულად. სამარხეული ინვენტარი ღარიბულია და ორიოდე ჭურჭლითაა წარმოდგენილი.

აკლდამები ნაგებია ყორულად ამოყვანილი ნაგლეჯი ქვის კედლებით და ლოდებითაა გადახურული, რომელთა ზემოთ მცირე ქვაყრილია. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს მოწყობილი. ზოგჯერ სახურავზე მსხვილფეხა საქონლის ძვლები ეწყო. სამარხის ცენტრში ერთი მთავარი და ოთხი მიცვალებულის კედელთან მიხვეტილი ძვლები აღმოჩნდა. აქვე აღმოჩნდა თიხის ოთხი ჭურჭელი. როგორც სამარხი ნაგებობა, ისე სამარხეული ინვენტარი ძალზე ემსგავსება სამშვილდის აკლდამებს [აბრამიშვილი და სხვ. 1980; სა, გვ. 158-159].

კოდის ნასახლარი და სამაროვანი თეთრიწყაროს რაიონში სოფ. კოდის ტერიტორიაზეა. 1970 წელს აქ გამოვლინდა ნამოსახლარი და ორი სამაროვანი. ნასახლარზე აღმოჩნდა 2,3-4 მ-მდე დიამეტრის ხუთი გეგმაში ოვალური ნახევრადმიწურები. ისინი ერთმანეთთან ახლოსა გამართული; ორს ერთი საერთო კედელი ჰქონდა. ყოველ საცხოვრებელში იყო კერა. № 2 ნახევრადმიწურში იყო ნიშისებრი ჩაღრმავება, რომელშიც ბავშვის თავის ქალა იყო მოთავსებული. ნიშისა და მიწურის გარშემო პატარა ფოსოები შემოუყვება, რაც ნახევრადმიწურის ზედა მოწნული და თიხით შელესილი ნაწილის არსებობაზე მეტყველებს.

აქვე გაიწმინდა ნაცრით, კერამიკითა და ქვის ნაწარმით შევსილი ორმოც. ქვის ნაწარმი წარმოდგენილია საფხეკებით, სახოკებით, ნამგლის ჩასართებითა და ყუნწიანი ისრისპირებით. კერამიკა რუხ-მოყავისფროა, ცუდად გამომწვარი. ხშირია წითლად შეღებილი ფრაგმენტები. განირჩევა მომრგვალებულტანიანი ჯამები, შემკული შვერილებით, ცილინდრულყელიანი ქოთნები მომრგვალებული ტანით; ოვალური ყური მიმაგრებულია ყელსა და მხარზე. აქვეა ცალყურა კათხა პირთან ორი კოპით.



სურ. 9. კოდა

ნასახლარს გარეთ მოქცეული სამაროვანი შეიცავდა ქვაყრილიან ორმოსამარხებსა და ქვაყუთებს. ორმოსამარხები ინდივიდუალურია, ჩატანებულია ერთი ჭურჭელი. მიცვალებული მოკრუნჩხულადაა დაკრძალული.

ქვაყუთები – კოლექტიურია, მიხვეტილი ადრეული მიცვალებულების ძვლებით. ინვენტარს რამდენიმე ჭურჭელი წარმოადგენს. ქვაყუთებს ჰგავს სოფლის დასავლეთით გათხრილი ხუთი აკლდამა. ისინი ქვის ფილებითაა ნაგები, ზემოდან სამარხები ასეთივე ფილებით იყო გადახურული, ძირზეც ფილა ჰქონდა დაფენილი. სამარხეული ინვენტარი უფრო მრავალსახოვანია, მაგრამ აბსოლუტურად მსგავსი სამაროვნის, რაც სამარხის ყველა ამ ტიპის თანადროულობას გულისხმობს. თანადროულია სამაროვანი და ნასახლარიც და ძვ.წ. IV ათასწ. ბოლო მეოთხედით თარიღდება.

ადრემტკვარ-არაქსულ პერიოდს მიეკუთვნება სოფ. კოდის აღმოსავლეთ უბანში გათხრილი 4 ქვაყუთიც. ისინი დიდი ზომის ფილებითაა ნაგები. სამი სამარხი კოლექტიურია. ინვენტარი მოვარდისფრო, რუხი ფერის რამოდენიმე ჭურჭელია, რომელთაც ანალოგ. ები კიკეთში, დიდუბეში, სამშვილდეში ეძებნება [Пхакадзе 1972, გვ. 457-459; Чубинишвили и др. 1976, გვ. 14-20; Пхакадзе 1976, გვ. 45-48; Са 1992, გვ. 164-166].



სურ. 10. ხიზანაანთგორა. E ფენა.

ხიზანაანთ გორა. ნასახლარი ქარელის რაიონში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ამაღლებული ტერასის კიდეზე მდებარეობს. იგი შექმნილია ნამოსახლართა დაფენების შედეგად. კულტურული ფენის სისქე აქ 8 მეტრს აღემატება. ფეოდალური და ანტიკური ხანის ფენების ქვეშ აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის ოთხი ფენა, რომელთაგან უადრესს E ფენა წარმოადგენს. აქ ერთ მთლიან, თიხით მოტკეპნილ მოედანზე მცირე ზომის კონუსური ან ორფერდასახურავიანი მოწნული თოლოსების არსებობა ივარაუდება. შენობის ცენტრში იატაკზე ჩალესილი იყო ბორდურიანი სტაციონარული კერა. ამ ფენის კერამიკას გამთხრელი უდარებს როგორც მტკვარ-არა-

ქსის ორმდინარეთისათვის დამახასიათებელ ტიპიურ კერამიკას, ისე დასავლეთ საქართველოს და დასავლეთ ჩრდილო კავკასიის ადრებრინჯაოს ხანის ნაწარმს.

თიხის ჭურჭ ლის უმეტესობა ორმოებშია აღმოჩენილი და შეიცავს პირმოყრილ ჯამებს, განიერყელიან ორყურა ქოთნებს, ცალყურა ხელადებს, რომელთაგან ზოგი შემკულია წვრილად ნაკაწრი სამკუთხედებითა და რომბებით. კერის სადგარებიდან აღსანიშნავია რქისებრი და ნალისებრი ზესადგარები. საერთოდ, ხიზანაანთგორის E ფენის მასალა თავისი იერით მეტ სიახლოვეს იჩენს სხვა ძეგლების მასალასთან, ვიდრე მისსავე ზედა ფენებში აღმოჩენილ თიხის ნაწარმთან. იგი უახლოეს ანალოგებს ე.წ. დიდუბე-კიკეთის ჯგუფის კერამიკასთან პოულობს [კიკვიძე 1972].

დიდი ახალსოფელი მდებარეობს ქარელის რაიონში მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სადგურ ქარელიდან დასავლეთით 12 კმ-ზე.

1946 წ. აქ სარწყავი არხის გაჭრისას აღმოჩნდა კულტურული ნაშთების შემცველი ცალკეული „ბუდეები", რომელნიც ერთმანეთისაგან დაშორებული ყოფილა 5-12 მეტრით, მიწის ზედაპირიდან 0,4-1,5 მ სიღრმეზე. არხის ორივე კედელში დაზიანებულ „ბუდეებს" ჭრილში გუმბათისებრი ან ოვალური მოყვანილობა აქვთ. მათი სიგრძე 1-1.5 მ, ხოლო სიმაღლე 0.5-0.7 მ უდრის.

თითეული „ბუდე" დამწვარი თიხის, ნახშირისა და ნაცრის გარდა, შეიცავდა შავი ფერის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს ნახევარსფერული ფორმის ყურით, ობსიდიანის დაუმუშავებელ ნატეხებს, ცხოველთა ძვლებსა და კბილებს.



„ბუდეების" რაოდენობა 12-ია. ერთერთ მათგანში აღმოჩნდა მოზრდილი ორყურა დერგი. მას განიერი ცილინდრული ყელი, კარგად გამოსახული მხარი და ცილინდრული მოყვანილობის კორპუსი აქვს. იგი ბრტყელძირაა, მხარზე ორი ნახევარსფერული ყურით. მას პარალელები ეძებნება მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ მასალებში [ჯაფარიძე, ჩუბინიშვილი 1948, გვ. 23-31].

სურ. 11. დიდი ახალსოფელი

ბარმაქსიზისა და ტაშ-ბაშის სამარხები მიკვლეულია წალკის პლატოზე. ბარმაქსიზის სამარხი პატარა ზომის ქვაყუთია, რომელშიც მიცვალებული მოკრუნჩხულ პოზაში იყო დაკრძალული, გვერდზე. სამარხში ორი ჭურჭელი აღმოჩნდა.



სურ. 12. ტაშ-ბაში (1-5), ბარმაქსიზი (6-7)

ტაშ-ბაშის სამარხიც ქვის ფილებითაა ნაგები. მასში აღმოჩნდა მიცვალებულის ძვლები და თიხის შვიდი ჭურჭელი. ორივე სამარხის მასალა უახლოვდება ადრემტკვარ-არაქსულ კერამიკას [Куфтин 1941, გვ. 117].

თამარისის აკლდამა მარნეულის რაიონში, მდ. ხრამის მარცხენა ნაპირას იქნა მიკვლეული. სამარხი წარმოადგენდა ოვალურ ორმოში მშრალი წყობით ამოყვანილ ქვის აკლდამას, რომელიც გადახურული იყო დიდი ზომის ქვებით. მასში მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპის 15 ჭურჭელი აღმოჩნდა. ყოველი მათგანი ხელითნაძერწია და არათანაბრად გამომწვარი [ფხაკაძე 1963, გვ. 16].

სურ. 13. დიდუბე

დიდუბიდან ცნობილია ადრემტკვარ-არაქსული ხანის მოზრდილი კოლექცია, რომელიც შეიცავს ამ პერიოდის არქაულ ნაწარმს. კერამიკა არათანაბრადაა გამომწვარი, ლაქებიანია, ზოგი ბზენარევია. მასში განირჩევა სქელკედლა ჯამები, ქოთნები, ხელადები, კათხები და სხვ. ამას გარდა, კოლექციაში შედის კვირისტავი, ძვლის იარაღები და ყუნწიანი ისრისპირი [ქორიძე 1955].

თრელის ნასახლარი გამოვლინდა საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ არსებული ბორცვების აღმოსავლეთი ფერდობის ძირში. გაითხარა ძლიერ დაზიანებული ნასახლარის ნაშთები და ექვსი ორმო. ნასახლარზე აღმოჩნდა ქვის ნაგებობის კუთხე. ბათქაშის ნატეხები, ხის ძელების კვალით მიუთითებს თიხით შელესილი ხის ნაგებობების არსებობაზე.



სურ. 14. თრელი

ორმოების მასალა წარმოდგენილია ბათქაშის ნატეხებით, კერამიკით, ქვისა და ძვლის ნაშთებით. ყველა ორმოს ცეცხლის კვალი ეტყობა. კერამიკა სქელკეციანია, უმეტესად მოწითალო ან მოყვითალო ფერის, იშვიათად შემკულია რელიეფური ორნამენტით. გვხვდება მცენარეულჩანართიანი კერამიკაც უცხო მტკვარ-არაქსის კულტურისათვის და უფრო დამახასიათებელი წინარე ხანისათვის. თრელის კერამიკა პარალელებს ადრემტკვარ-არაქსულ მასალებში პოულობს, თუმცა მასზე ადრეულადაა მიჩნე-

ული ბზენარევი კერამიკის არსებობის გამო. ქრონოლოგიურად თრელის ნასახლარი ექცევა ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებსა და IV ათასწლეულის მეორე ნახევარს შორის [თბილისი I, 1978; სა, გვ. 197].

არაგვის ხეობაში, სოფ. აბანოსხევთან, ადგილ **ხიმშიანთ მიწაზე**, ბრინჯაოს ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე გამოვლინდა სხვადასხვა ზომის ხუთი ორმო. ორმოებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი და ზედსადგრები პარალელებს პოულობს ადრემტკვარ-არაქსული ხანის ძეგლებზე [Рамишвили 1991].



სურ. 15. აბანოსხევი

კიკეთის სამაროვანი მდებარეობს კიკეთის მახლობლად. იგი გამართული ჩანს უფრო ადრე არსებული ნასახლარის ტერიტორიაზე.

აქ სამი ტიპის სამარხს გამოყოფენ: ქვის, ნალისებრი ფორმის აკლდამას, ქვაყრილიან ორმოსამარხს და ქვაყუთს. ყველა სამარხი კოლექტიურია. ნალისებრი აკლდამა ქვით ამოშენებული ორმოა. მას შესასვლელი სამხრეთიდან უნდა ჰქონოდა გაკეთებული. ყველა დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

უმეტესობას ქვაყრილიანი ორმოსამარხი შეადგენს. ზოგიერთ ორმოსამარხში დაკრძალულ მიცვალებულებს თავის ქალა არ ახლდა და არც ინვენტარი გააჩნდათ. ფიქრობენ, რომ ეს სამარხები იმ მიცვალებულებს ეკუთვნოდათ, რომელთა თავის ქალები მტერმა ნადავლად წაიღო.

რაც შეეხება სამარხის მესამე ტიპს, იგი ოთხკუთხა ფორმის ორმოშია გამართული და ყოველი მხრიდან გარშემოწყობილია ცერად დაყენებული ბრტყელი ქვებით. ქვის ასეთივე ფილები მის სახურავს წარმოადგენდა. ძეგლის გამთხრელის აზრით აქ აღმოჩენილი ყველა ტიპის სამარხი ძირითადად თანადროულია.

სამაროვანზე მოპოვებული კერამიკა ძირითადად მოვარდისფრო-მონაცრისფროა. არის შავი, ვარდისფერსარჩულიანი ნაწარმიც. გაპრიალება სუსტია. ზოგს ემჩნევა წითელი ან მოყავისფრო საღებავის კვალი. თიხის ჭურჭელში განირჩევა ჯაჭი, კოჭობი, ქოთანი და სხვ. სამაროვანზე დადგინდა სტრატიგრაფიული სურათი, რამაც შესაძლებელი გახადა აქ აღმოჩენილი კერამიკის ქრონოლოგიური დანაწევრება. კიკეთის სამაროვანს ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრით ათარიღებენ [ფხაკაძე 1963].



სურ. 16. კიკეთის სამაროვნის ადრეული (I) და მოგვიანო (II) ხანის კერამიკა

§ 2. ლითონისა და ქვის ნივთები. ლითონის პირველი ნივთები – სამკაული ამ საფეხურის ბოლოს, სამშვილდის სამაროვანზე იჩენს თავს. იგი საქართველოს მტკვარ-არაქსის კულტურის უადრესი ძეგლია, სადაც ლითონის ნივთების არსებობა დასტურდება. აქ აღმოჩენილი ლითონის ნაკეთობებიდან აღსანიშნავია ორვოლუტიანი საკინძი, დამზადებული ღეროს ორად გაყოფისა და თითოეული ნაწილის სპირალურად დახვევის გზით [მირცხულავა 1975, გვ. 61]. მისი მსგავსია კახეთში, სოფ. მაღაროში შემთხვევით აღმოჩენილი ორვოლუტიანი საკინძიც იმ განსხვავებით, რომ მას ღეროს ზედა, დაბრტყელებულ ნაწილზე, ორივე მხარეს, ნაკაწრით რომბები აქვს გამოყვანილი [Дедабришвили 1969, გვ. 37].

საერთოდ, საქართველოში აღმოჩენილი ორვოლუტიანი საკინძი ორ ტიპად იყოფა. I ტიპი ღეროს ორად გაყოფისა და თითოეული ნაწილის სპირალებად და-

ხვევის გზითაა მიღებული და მიეკუთვნება თეფე ჰისარის ტიპს. II - ქვაცხელას ტიპს ღეროს ზედა, მორკალური ნაწილის ბოლოები სპირალებით უმთავრდება [ჭილაშვილი 1964, გვ. 22]. განსხვავებით პირველი ტიპისაგან, რომელიც ფართოდაა გავრცელებული წინა აზიასა და ჩრდილო კავკასიაში, მეორე ტიპის საკინძი არ უკავშირდება წინააზიურს და მხოლოდ საქართველოსთვის, ძირითადად შიდა ქართლისათვისაა დამახასიათებელი [ჯაფარიძე 1961, გვ. 175; ჭილაშვილი 1964, გვ. 22; ჯაფარიძე 1976, გვ. 139].[1]



სურ. 17. საკინძების გავრცელების რუკა.
1. ამირანის გორა, 2. ძაღინა, 3. ქვასათალი, 4. ურბნისი, 5. ქვაცხელა, 6. კორინთა, 7. ჟინვალი, 8. გიორგიწმინდა, 9. ბეშთაშენი, 10. სამშვილდე, 11. ღაითმაზი, 12. მაღარო.

სამშვილდისა და მაღაროს საკინძები მიეკუთვნება I ტიპს. ამ საკინძების ახლო პარალელებს ვხვდებით მახლობელი აღმოსავლეთის, განსაკუთრებით კი ირანის ძეგლების თეფე ჰისარ II და თეფე სიალკ II საკინძებში. ამდენად, საქართველოს ეს საკინძები, კავკასიის სხვა საკინძებთან შედარებით, უფრო ადრეული ხანისა ჩანს [მირცხულავა 1975, გვ. 61][2] და წარმოადგენს აქ გავრცელე-

[1] არ გამორიცხავენ საკინძის ორივე ტიპის შიდაქართლურ წარმომავლობას [ჯაფარიძე 1991, გვ. 126].

[2] ზოგი, სამშვილდის საკინძს და საერთოდ, სამშვილდის სამაროვანს, ადრებრინჯაოს ხანის დასასრული პერიოდისად მიიჩნევს [Sagona 1984, გვ. 103], რაც არ უნდა იყოს მართებული.

ბული ამგვარივე ტიპის მოგვიანო ხანის საკინძების პროტოტიპს [Дедабришвили 1969, გვ. 39].

მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე მრავლად ვხვდებით ქვის იარაღებს. ამ დროისათვის თავს იჩენს ორი ახალი ტიპის იარაღიც — კაჟის ორმხრივდამუშავებული ნამგლის ჩასართი და ისრისპირი. მათ აქ ადგილორბრივი ფესვები არ უჩანს — ორივე ეს იარაღი უცნობი ან მეტად იშვიათია წინამორბედი — ადრესამიწათმოქმედო კულტურისათვის [ჯაფარიძე 1991, გვ. 74; კიღურაძე 1976, გვ. 124]. ქვის ისრისპირი მტკვარ-არაქსის კულტურის არაერთ ნასახლარზეა



სურ. 18. ქვის ისრისპირები.

1-8. ქვაცხელა B
9. ღრმახევისთავი
10. ოზნი
11-12. ბეშთაშენი
13-15. ამირანისგორა
16-18. ციხიაგორა
19. ტყვიავის ყორღანი
20-22. ხიზანაანთგორა C
23-25. ხიზანაანთგორა B
26. ხირსა
27-28. ორწყლები
29-31. აბასთუმანი
32-33. სვირი
34-38. ქულბაქები
39-46. სამშვილდე
47-48. კოდა
49. დიდუბე
50-60. თეთრიწყარო

აღმოჩენილი და როგორც ჩანს, ერთ-ერთ მთავარ საბრძოლო-სანადირო დანიშნულების იარაღს წარმოადგენდა. ამიტომ, უსაფუძვლო ჩანს მოსაზრება, რომ ისრისპირი ამ კულტურის ძეგლებისათვის ძალზე იშვიათია [Мунчаев 1975, გვ. 181]. მის დასამზადებლად ძირითადად გამოყენებულია კაჟი და ობსიდიანი.

ნედლეულის შერჩევა განპირობებული უნდა ყოფილიყო შესაბამის საბადოთა სიახლოვით [გობეჯიშვილი 1978, გვ. 104]. ზედაპირის დამუშავება ხდებოდა უმთავრესად მცოცავი რეტუშით, რომლითაც ისრისპირის ორივე გვერდია ათლილი [კიკვიძე 1972, გვ. 75]. ზოგჯერ ისრისპირი დამატებით წვრილი რეტუშითაცაა ფხაწამახული. იგი ძირითადად ორი ტიპისაა: ყუნწიანი და უყუნწო, მეტნაკლებად გამოხატული სამკუთხა მოყვანილობის პირით. ადრეულ საფეხურზე უფრო ყუნწიანი ისრისპირია გავრცელებული, მოგვიანებით კი ჩნდება ფუძეამოღარული ფორმა [ჯაფარიძე 1961, გვ. 88]. უმრავლესობას ყუნწიანი ისრისპირი შეადგენს, რომელშიც ყუნწის მოყვანილობის მიხედვით განირჩევა სწორყუნწიანი და „თევზისბოლოსებრყუნწიანი" ქვეტიპები. პირველი აღმოჩენილია დიდუბეში, სამშვილდეში, კოდასა და თეთრიწყაროს ნასახლარზე [ორჯონიკიძე, გვ. 77], მეორეს ძირითადად თეთრიწყაროს ნასახლარზე ვხვდებით. არის ის სამშვილდეშიც [მირცხულავა 1975, გვ. 59]. მსგავსი ისრისპირი აღმოჩენილია შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირას გათხრილ ქვაყუთშიც [Миндиашвили, Квижинадзе 1997, გვ. 21]. არამკვეთრად გამოყოფილი ფრთები და ყუნწი აქვს მჭადიჯვრის ანალოგიურ ისრისპირს [Цитланадзе и др. 1979], რომელიც ამავე ტიპის უფრო განვითარებულ ფორმას უნდა წარმოადგენდეს. საერთოდ, ამგვარი ისრისპირი მტკვარ-არაქსის კულტურაში იშვიათია [მირცხულავა 1975, გვ. 59], საკმაოდ უცხოდ გამოიყურება და მისი განვითარება შემდგომ საფეხურებზე მაინცდამაინც აღარ ხდება. სამაგიეროდ ფართოდ ვრცელდება და ვითარდება სწორყუნწიანი ისრისპირი.

ორივე ქვეტიპის ისრისპირი მჭიდროდაა დაკავშირებული აღმოსავლეთ საქართველოს მტკვარ-არაქსის კულტურაში ქვის ისრისპირის თავდაპირველი გამოჩენის საკითხთან. ამ თვალსაზრისით საინტერესო პარალელები ეძებნება ორივე ქვეტიპის ისრისპირს. „თევზისბოლოსებრყუნწიან" ისრისპირს შეიძლება დავუახლოვოთ ზოგი იარაღი დასავლეთ საქართველოდან – საგვარჯილედან [ჯაფარიძე 1976, გვ. 172, სურ. 80]. კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი პარალელები მოეძებნება მას იორდანიაში [Bokai, Kooring 1995, გვ. 511, სურ. 4], ასევე ნა-

ტუფიურ და ტახუნიურ იარაღებში [Чайлд 1956, გვ. 341, სურ. 110]. ამ უკანასკნელთ განსაკუთრებით უახლოვდება სამშვილდის ცალები [მირცხულავა 1975, გვ. 59]. ანდეზიტ-ბაზალტის მსგავსი ისრისპირები ცნობილია სომხეთში სოფ. კეტიდანაც [Петросян, ტაბ. 6].

ქვის ყუნწიანი ⊥ და ფუძეამოღარული △ ისრისპირები



სურ. 19. 1. აბასთუმანი, 2. ამირანისგორა, 3. ხიზანაანთგორა, 4. ქვაცხელა, 5. ცხინვალი, 6. ტყვიავი, 7. გუდაბერტყა, 8. მჭადიჯვარი, 9. ციხიაგორა, 10. დიდუბე, 11. ხირსა, 12. ბეშთაშენი, 13. ოზნი, 14. თეთრიწყარო, 15. სამშვილდე, 16. კოდა, 17. ორწყლები, 18. ღრმახევისთავი

რაც შეეხება სწორყუნწიანი ისრის ტიპს, მის პარალელებს დასავლეთ საქართველოში ვხვდებით, სადაც ამგვარი იარაღი დამოწმებულია უფრო ადრეული ხანის ძეგლებზე — თეთრამიწაზე, ანასეული II-ზე და სხვ. [ჯაფარიძე 1976, სურ. 20, 30, 31; ნებიერიძე 1986, ტაბ. XVI], საიდანაც შეიძლება დავუშვათ მისი გავრცელების შესაძლებლობა აღმოსავლეთ საქართველოში ადრემტკვარ-არაქსულ ხანაში.

§ 3. **კერამიკა.** ამ საფეხურის კერამიკა მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი ხასიათისაა. იგი ხელნაძერწია, ფენა-ფენა, აქვს ნაპრიალები ზედაპირი; უპირატესად ღია-მოყვითალო, მოვარდისფრო და რუხია. ჯერ კიდევ იშვიათია შავპრიალა ვარდისფერსარჩულიანი ნაწარმი. მისთვის დამახასიათებელია მარტივი ფორმები

– ფართო ცილინდრული ყელი, გამობერილი ან კვერცხისებრი ტანი, ნახევარ-სფერული ყურები. შემკობას წარმოადგენს შვერილები, კოპები, ირიბი ზოლები, ნაკაწრი ტეხილხაზოვანი ორნამენტი და სხვ. [ჯაფარიძე 1976, გვ. 90].

ზოგიერთი ძეგლის მასალაში გვხვდება დამზადების ტექნიკითა და ფორმით წინარე კულტურასთან ახლო მდგომი თხუპნია და ბზენარევი კერამიკა, რომელსაც ამ საფეხურის უადრეს ნაწარმად მიიჩნევენ [Дедабришвили1970, გვ. 10-12; Мирцхулава 1975, გვ. 36; აბრამიშვილი და სხვ. 1980]. თუმცა, ზოგჯერ მასთან ერთად ჩანს ტიპიური ადრემტკვარ-არაქსული ნაწარმიც [მირცხულავა 1975].[1] როგორც ჩანს, ამ ორგვარი ნაწარმიდან ერთი ახლა მკვიდრდება, მეორე კი გადმონაშთის სახითაა წარმოდგენილი და ადგილს უთმობს ახალ, ე.წ. დიდუბე-კიკეთის კერამიკას, რომელიც სწრაფად ვრცელდება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და იკავებს რიგ ოლქებს [ჯაფარიძე 1976, გვ. 78]. აღსანიშნავია, რომ იგი იმთავითვე ფორმათა მრავალგვარობით ხასიათდება, რაც კარგად ჩანს როგორც ნამოსახლარების, ისე სამაროვნების მასალებით. ზოგიერთ ძეგლზე მიღებული სტრატიგრაფიული სურათი შესაძლებლობას იძლევა საკუთრივ ამ ჯგუფის ნაწარმში დავინახოთ განვითარების სურათი. ასე, მაგალითად, კიკეთის სამაროვნის № 14 სამარხის ქვედა ფენასა და ამ სამარხის მიერ ჩაჭრილ ორმოში მიკვლეული უძველესი კერამიკა ცილინდრული ყელითა და მომრგვალებული მუცლით არსებობას განაგრძობს ამავე სამარხის ზედა ფენაშიც, მაგრამ უფრო დახვეწილი და განვითარებული ფორმების გვერდით, რომელშიც უკვე ვხვდებით ბიკონუსურტანიანი ჭურჭლის ჩანასახებსაც [ფხაკაძე 1963, გვ. 109]. ამავე თვალსაზრისით გარკვეულ მონაცემებს იძლევა ხიზანაანთ გორის უძველესი – E დონეც, რომელიც ორი ჰორიზონტითაა წარმოდგენილი [კიკვიძე 1972, გვ. 36]. იგივე შეიძლება ითქვას სამშვილდის ნასახლარის მიმართაც, რომლის ქვედა ფენა გარკვეულ სიახლოვეს იჩენს ამავე ნასახლარის ზედა ფენისა და სამაროვნის ჭურჭელთან [მირცხულავა 1975]. სტრატიგრაფიული მონაცემები მართალია მწირია და არ იძლევა კერამიკის მასშტაბური შედა-

[1] საკონტროლო გათხრებით ამირანის გორაზე წინარე ხანის კულტურული ფენის არსებობა არ დადასტურდა [ფხაკაძე, ორჯონიკიძე 1979].

რების საშუალებას, მაგრამ გარკვეულ წარმოდგენას მაინც გვიქმნის ჭურჭლის ფორმასა და ორნამენტის განვითარების შესახებ მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურის შიგნით.

ამ საფეხურის თიხის ჭურჭელში გამოირჩევა რამოდენიმე წამყვანი ტიპი: სამყურა ქოთანი, ქვაბ-ქოთანი, კოჭობი, ხელადა, ჯამი და სხვ. ეს ჭურჭელი საფუძვლად ედება მომდევნო საფეხურების თიხის ჭურჭელს და, შესაბამისად, იცვლის ფორმასა და ორნამენტს, მაგრამ თითქმის ყოველთვის ინარჩუნებს საერთო ძირიდან მომდინარე ელემენტებს [ჯაფარიძე 1976, გვ. 89].

სამყურა ქოთანი განსაკუთრებით დამახასიათებელია შიდა ქართ ლისათვის ამ კულტურის მთელი პერიოდის განმავლობაში და მიჩნეულია შიდაქართლური ლოკალური ვარიანტის წამყვან და დამახასიათებელ ფორმად [კიკვიძე 1978, გვ. 67]. მაგრამ იგი ადრევე იჩენს თავს ქვემო ქართლში და ადრეული პერიოდის არაერთ ძეგლზეა აღმოჩენილი. ეს ჭურჭელი ყველა თავისებური ფორმისაა: დიდუბის ჭურჭელს აქვს მაღალი და განიერი ცილინდრული ყელი და მომრგვალებული კორპუსი, ზედა ნაწილში სამი ყურით. მომრგვალებული, უფრო კვერცხისებრი ფორმისაა ხიზანაანთ გორის E ფენის ჭურჭელი. მას კორპუსის შუა ნაწილზე სიმეტრიულად განლაგებული ყურები ასხია. ტანით მასვე ემსგავსება თრელის სამყურა ქოთანიც, მაგრამ ყურები კორპუსის ზედა ნაწილზე აქვს დაძერწილი. კვერცხისებრი კორპუსი ზედა ნაწილში შსხვილი ყურებით ცნობილია კიკეთიდანაც. არის ის კეტის ადრეულ სამარხშიც [Петросян ტაბ. 30].

შიდა ქართლის სტრატიგრაფიული ძეგლების მონაცემებით შენიშნულია, რომ სამყურა ჭურჭელს მრგვალი ტანი უფრო ადრეულ პერიოდში აქვს, მომდევნო ხანებში კი იგი ბიკონუსურ ან ზევით გამობერილ მოხაზულობას იღებს [კიკვიძე 1972, გვ. 61]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მცირე გამონაკლისის გარდა ადრეული ხანის სამყურა ჭურჭელს ყურები უმეტესად კორპუსის ზედა ნაწილზე ასხია, მოგვიანოდ კი ისინი უფრო კორპუსის შუა ნაწილთანაა მიძერწილი. ადრეული ხანის ეს ჭურჭელი როგორც წესი უორნამენტოა.

ქვაბ-ქოთანი ცილინდრულტანიანი ჭურჭელია, თითქმის ვერტიკალური კედლებით, დაახლოებით თანაბარი დიამეტრის პირითა და ძირით. გვხვდება როგორც უყურო, ისე ყურიანი ცალები. ძირითადად უორნამენტოა.

რამოდენიმე ამგვარი ჭურჭელი, დამზადებული ბზენარევი თიხისაგან, აღმოჩნდა თრელის ორმოებში [თბილისი I, გვ. 42]. იგი უადრესია და სათავეს უდებს ამ კულტურაში გავრცელებულ ცალებს კოდიდან, კიკეთიდან [ჯაფარიძე 1976, სურ. 34; ფხაკაძე 1963, სურ. 10]. არის ის სამშვილდეშიც [მირცხულავა 1975, ტაბ. XLI]. მსგავსი ჭურჭელია ზაგლიკში, არმავირ-ბლურში [Куфтин 1941, გვ. 91, ტაბ. 33], კეტის ადრეულ სამარხებში [Петросян, ტაბ. 31].

ორყურა ქოთანს აქვს მაღალი ცილინდრული ყელი, გამობერილი მუცელი და შედარებით ვიწრო ძირი. ყურები, როგორც წესი, მიძერწილი აქვს ყელისა და მხრის შეერთებასთან [თბილისი I, გვ. 39]. ასეთ ჭურჭელს ადრეული ხანის არაერთ ძეგლზე ვხვდებით. ქვემო ქართლში ის ცნობილია ღრმახევისთავის ადრეულ კომპლექსებში, კიკეთში, კოდასა და სამშვილდის სამაროვანზე [ფხაკაძე 1963, სურ. 7, 11; ჯაფარიძე 1976, სურ. 34; მირცხულავა 1975, ტაბ. XLI]. შიდა ქართლში – დიდუბიდან, ხიზანაანთ გორის E ფენიდან, აბანოსხევიდან და სხვ. [ქორიძე 1955, ტაბ. I_3, II_2; კიკვიძე 1972, ტაბ. XXVII]. ამგვარივე, ოღონდ უფრო კასრისებრი ფორმა აქვს დიდი ახალსოფლის ქოთანს, რომელსაც უახლოესი ანალოგი თრელის ნასახლარზე გააჩნია [ჯაფარიძე, ჩუბინიშვილი, გვ. 26]. კახეთში ამგვარი ჭურჭელი აღმოჩენილია ნაომარი გორის სამარხში [მინდიაშვილი 1977], ზეიანის № 2 ყორღანში [კაპანაძე, გვ. 12-23]. არის ის გულგულაშიც [ფიცხელაური 1965, ტაბ. I]. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ჭურჭელს ორნამენტი არა აქვს. გამონაკლისს წარმოადგენს კიკეთში აღმოჩენილი ქოთნების ნაწილი, რომლებიც შემკულია რელიეფური „სათვალისებრი" სპირალით, სირაქლემის ფიგურებით [ფხაკაძე 1963, გვ. 90] და ამ საფეხურის რამდენადმე მოგვიანო ეტაპს განეკუთვნება [ჯაფარიძე 1976, გვ. 91; ფხაკაძე 1963, გვ. 111].

კოჭობი ასევე ფართოდაა წარმოდგენილი ადრეული საფეხურის კერამიკულ კომპლექსებში. იგი ცილინდრულყელიანი და მომრგვალებულ მუცლიანი ჭურჭელია ყელსა და მხარზე ან პირსა და მხარზე მიძერწილი ყურით. იგი ცნობილია კიკეთიდან, დიდუბიდან, სამშვილდიდან, ხიზანაანთ გორის E ფენიდან, მანგლისის გზაზე გათხრილი სამარხიდან და სხვ. [ფხაკაძე 1963, ტაბ. XV; ქორიძე 1955, ტაბ. I5; მირცხულავა 1975, ტაბ. XLI_4; კიკვიძე 1972, ტაბ. XXVII;

Куфтин 1941, სურ. 126]. ერთი ამგვარი ჭურჭელი შემთხვევით აღმოჩნდა ზველშიც [ორჯონიკიძე 1983, ტაბ. 27]. როგორც კიკეთის სამაროვნის სტრატიგრაფიული მონაცემები მოწმობს, რამდენადმე მოგვიანო ხანის სამარხებში აღნიშნული ფორმის გვერდით გამოჩენას იწყებს კოჭობი წიბოიანი ტანით, პირთან მიერთებული ყური აქ ზოგჯერ სამკუთხა მოედანს ქმნის, ე.ი. ჩნდება მომდევნო საფეხურის ჭურჭლისათვის დამახასიათებელი ნიშნები [ფხაკაძე 1963, გვ. 83, ტაბ. XV].

ქვემო ქართლის ამგვარ ჭურჭელს გააჩნია შემკობა – რელიეფური ზოლები, კოპები, კორპუსზე შემოყოლებული ტეხილხაზოვანი სარტყელი და სხვ. აღსანიშნავია ერთი ფრაგმენტი ზველიდან ზოომორფული რელიეფური გამოსახულებებით, რომელიც სიახლოვეს იჩენს ქვემო ქართლის მასალასთან [ორჯონიკიძე 1983, ტაბ. 27_2].

ხელადა ვიწრო, მაღალცილინდრულყელიანი ჭურჭელია, გამობერილი მუცლით. ყური მიმერწილია აქვს, როგორც წესი, ყელსა და მხარზე. ამგვარი ჭურჭელი განსაკუთრებით მრავლად გვხვდება სამშვილდეში, სადაც მას ვხვდებით როგორც ქვედა, ისე ზედა ფენაში [მირცხულავა 1975, ტაბ. VII, XLI_2]. ასეთივე ჭურჭელი ცნობილია ღრმახევისთავიდან [აბრამიშვილი და სხვ. 1980], კოდიდან [ჯაფარიძე 1976, სურ. 34], დიდუბიდან [ქორიძე 1955, ტაბ. I_2]. საინტერესოა, რომ ამგვარი ჭურჭელი უცნობია კიკეთისათვის [მირცხულავა 1975, გვ. 52]. შედარებით დაბალყელიანია ხიზანაანთგორის E ფენის ხელადები, რომელთაგან ზოგს მხარზე ნაკაწრი რომბები და ირიბად დაშტრიხული სამკუთხედები შემოუყვება [კიკვიძე 1962, სურ. 9]. ნაკაწრითაა შემკული სამშვილდის I ფენის ჭურჭელიც, მსგავსად ღრმახევისთავის ცალისა [მირცხულავა 1975, ტაბ. VII]. ესაა ყელის ბოლოს შემოყოლებული ბადურა ორნამენტი. საინტერესოა, რომ სამშვილდის სამაროვნის ამგვარი ჭურჭელი, წინარე ფენის ასეთივე ჭურჭლისაგან განსხვავებით უორნამენტოა [მირცხულავა 1975]. რამდენიმე ცალყურა ხელადა ცნობილია აგრეთვე ნახიჭევანის ქიულ-თეფედან [Мунчаев 1975, сур. 23]. არის ის არმავირ-ბლურსა და ზაგლიკზე. ეს უკანასკნელი შემკულია ფართო

და წყვილი, ირიბი რელიეფური ზოლით [Куфтин 1944, ტაბ. 33, სურ. 49]. იგი კეტის ადრეულ სამარხებშიცაა [Петросян, ტაბ. 30,].

შიდა ქართლში აღმოჩენილი ამგვარი ჭურჭელი, განსხვავებით ქვემო ქართლისაგან და სხვა ოლქების ხელადებისაგან, უორნამენტოა. გამონაკლისს ხიზანაანთგორის E ფენის ჭურჭელი წარმოადგენს. ამ ფენის კერამიკული კომპლექსი მჭიდროდ უკავშირდება ქვემო ქართლს და მიჩნეულია ამ ხანის ძეგლების დასავლეთით გავრცელების ამსახველ პუნქტად [კიკვიძე 1972, გვ. 90].

ამ საფეხურის ჯამი უმეტესად უყელო ან დაბალცილინდრულყელიანი ჭურჭელია, მომრგვალებული ან ოდნავწიბოიანი კორპუსით და შედარებით ვიწრო, ბრტყელი ძირით. ყურები მიძერწილია პირსა და მხარზე, იშვიათად – კორპუსზეც. ზოგჯერ ყურის მოპირდაპირე მხარეს წყვილი კოპი ამკობს. კოპები და შვერილები ყურის ნაცვლადაცაა მიძერწილი. ყელზე ან კორპუსის ზედა ნაწილზე მოცემულია შემკულობა – რელიეფური ზოომორფული გამოსახულება (კიკეთი, სამშვილდე), წყვილი ირიბი რელიეფური ზოლი (სამშვილდე), ან ნაკაწრითა და ფოსოებით გამოყვანილია ტეხილხაზოვანი ორნამენტი (სამშვილდე).

ამგვარი ტიპის ჯამი ძირითადად ქვემო ქართლის ძეგლებზეა აღმოჩენილი. სავსებით ანალოგიური ფორმისა და ორნამენტის მქონე ჯამი შემკული წყვილი ირიბი რელიეფური ზოლით აღმოჩნდა ჯავახეთშიც [ორჯონიკიძე 1987, გვ. 175]. არის ის შიდა ქართლშიც – დიდუბეში, ხიზანაანთგორის E ფენაში, აბანოსხევში [ქორიძე 1955, ტაბ. IV; კიკვიძე 1972, ტაბ. 28; Рамишвили Р. и др. 1981]. კახეთში მას ვხვდებით მაღაროს ყორღანში [Пицхелаури 1995, ტაბ. 124], გრემში [Дедабришвили 1969; ტაბ. IV], არეშში [ჭილაშვილი 1991, გვ. 136].

აღსანიშნავია, რომ შიდა ქართლსა და კახეთში ორნამენტირებული ჯამი იშვიათია, მაგრამ აბანოსხევსა და დიდუბის ჯამები კოპებითაა მორთული, ხოლო ირიბი რელიეფური ზოლები აახლოვებს ჯავახეთის ჭურჭელს ქვემო ქართლისა, განსაკუთრებით – სამშვილდის სამაროვნის ცალებთან [ორჯონიკიძე 1989].

ამრიგად, I საფეხურის თიხის ჭურჭელში წამყვანი ადგილი უკავია ცილინდრულყელიან ფორმებს, ხოლო ამავე საფეხურის დასასრულისათვის თანდათან ყალიბდება ბიკონოსურტანიანი ჭურჭელი, საფუძველი ეყრება მომდევნო საფეხურის კერამიკის წამყვან ფორმას. ორნამენტი ადრეული კერამიკისათვის ნაკ-

ლებადაა დამახასიათებელი. მას უფრო ხშირად მომცრო ზომის ჭურჭელზე – ჯამსა და კოჭობზე ვხვდებით. დიდი ზომის ჭურჭელი კი უმეტესად ორნამენტია, მაგრამ ზოგჯერ გააჩნია რელიეფური სპირალური და ზოომორფული შემკობა [ფხაკაძე 1963, გვ. 90]. ქვემო ქართლის ძეგლების სტრატიგრაფიული მონაცემებით ჩანს, რომ უადრეს მასალაში ჭარბობს ნაკაწრი ორნამენტი, თუმცა არც რელიეფურია მისთვის უცხო. რამდენადმე მოგვიანოდ, ამ საფეხურის ნაწარმში მატულობს რელიეფური შემკობა [ფხაკაძე 1963, გვ. 111]. შიდა ქართლის კერამიკა ნაკლებადაა ორნამენტირებული მაშინ, როცა ქვემო ქართლის ჭურჭელი ხშირად შეიცავს ნაკაწრ და რელიეფურ, განსაკუთრებით სპირალურ ორნამენტს. ამ განსხვავებამ იმთავითვე მიიპყრო ყურადღება. გამოითქვა ვარაუდი, რომ ეს განსხვავება ამ მხარეების ძეგლებს შორის არსებულ ქრონოლოგიური სხვაობის არსებობითაა გამოწვეული [ჯაფარიძე 1961, გვ. 61], ან უფრო, საქმე ეხება ერთი კულტურის ლოკალურ ვარიანტებს [ფხაკაძე 1963, გვ. 96]. ამ თვალსაზრით საინტერესოა რელიეფური ორნამენტის თავისებური სახე – „სათვალისებრი" სპირალი. იგი ძირითადად თრიალეთშია აღმოჩენილი [ჯაფარიძე 1961, გვ. 58]. მისი გამოჩენის დრო ზოგი მკვლევარის აზრით ემთხვევა ამ პერიოდს, უფრო მის მოგვიანო ეტაპს [ჯაფარიძე 1976, გვ. 91]; ზოგს კი მიაჩნია, რომ ადრემტკვარ-არაქსული ხანისათვის იგი უცნობია [ფხაკაძე 1963, გვ. 109; მირცხულავა 1975, გვ. 57]. ვიზიარებთ რა მოსაზრებას ამგვარი ორნამენტის ადრემტკვარ-არაქსულ ხანაში არსებობის შესახებ, მის არაპირდაპირ დამამტკიცებლად მიგვაჩნია სამშვილდისა და მაღაროს ლითონის არქაული საკინძები ორვოლუტიანი თავით [მირცხულავა 1975, ტაბ. XL; Дедабришвили 1969, გვ. 38]. ორნამენტის არარსებობით კახეთის კერამიკა განსხვავდება ქვემო ქართლურისაგან და უფრო მეტად შიდა ქართლურ ნაწარმთან პოულობს საერთოს.

ამავე საფეხურზე დამოწმებულია კერის სხვადასხვა ტიპი, რომელთა შორის მრგვალ, შვერილებიან კერას განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან იგი მხოლოდ ამ კულტურას ახასიათებს [Мунчаев 1975, გვ. 156]. როგორც ფიქრობენ, მას ჰქონდა როგორც საკულტო, ისე სამეურნეო ფუნქცია [ჯაფარიძე 1961, გვ. 76]. ფართოდაა იგი გავრცელებული საქართველოსა და სომხეთში, ხოლო ირანისა და აზერბაიჯანისათვის იგი უცხოა ისევე, როგორც ანატოლიის

ელიაზიგ-მალათიის მხარეს და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისათვის [Кушнарева, Чубинишвили, გვ. 175; ჯაფარიძე 1976, გვ. 160].

ამგვარი კერა შენგავითის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით აღარ ვრცელდება [Мунчаев 1975, გვ. 348]. სამაგიეროდ, ამ კერამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი შიდა ქართლში. სტრატიფიცირებული ძეგლების მასალებით ჩანს, რომ იგი აქ თავს იჩენს უკვე ადრეულ საფეხურ ზევე. ხიზანაანთ გორის E ფენიდან მოკიდებული იგი აქ ამ კულტურის ჩაქრობამდე აგრძელებს არსებობას [კიკვიძე 1972, გვ. 48].[1] შვერილიანი კერა მახლობლად, სოფ. ტახტიძირის ადრეულ ნასახლარზეც აღმოჩნდა [გაგოშიძე 1997]. დიდუბიდან კი ამგვარი კერის მინიატურული მოდელია ცნობილი [დ. ქორიძე, ტაბ. X,]. არის ის თეთრიწყაროს ქვედა ფენაშიც [გობეჯიშვილი 1978, გვ. 64].



სურ. 20. კერათა ტიპების გავრცელების რუკა.

1. ზველი, 2. ამირანისგორა, 3. არგვეთი, 4. ხაშურის ნაცარგორა, 5. ტახტისძირი, 6. ბერიკლდეები, 7. ხიზანაანთგორა, 8. ქვაცხელა, 9. ქულბაქები, 10. გუდაბერტყა, 11. მეტეხი, 12. ციხიაგორა, 13. ჟინვალი, 14. მუხათგვერდი, 15. დიდუბე, 16. თეთრიწყარო, 17. ორხევი, 18. ილტო, 19. ბადაანი, 20. ბარალეთი, 21. ახალქალაქი, 22. სათხე, 23. ოზნი, 24. ბეშთაშენი, 25. მჭადიჯვარი

[1] მართალია, ძეგლის გამთხრელი კიკვიძე აღნიშნავს, რომ ამგვარი კერა არაა დადასტურებული ხიზანაანთ გორის E დონეზე [კიკვიძე 1972, გვ. 48], მაგრამ აქვე აღწერს მას და

შვერილებიანი კერის გარდა ამ საფეხურზე გვხვდება კერის სხვა ტიპიც. ბერიკლდეების მტკვარ-არაქსულ ნასახლარზე აღმოჩნდა სტაციონარული კერა – თიხის ბრტყელი დისკი შუაში ნახვრეტით [Глонти, Джавахишвили 1987, გვ. 82]. ამგვარი კერა უფრო წინა და შუა აზიის ადრეული კულტურებისთვისაა დამახასიათებელი [ჩუბინიშვილი 1963, გვ. 64]. მას ვხვდებით ხიზანაანთ გორის E ფენაში [კიკვიძე 1976, გვ. 164]. როგორც ჩანს, ბერიკლდეებისა და ხიზანაანთ გორის E ფენის ეს კერები უნდა წარმოადგენდეს ოზნის, ამირანის გორის, ზველის მოგვიანო ხანის შუაგულამოღებული კერების პროტოტიპს, რომლებიც გადმონაშთის სახით კი არაა წარმოდგენილი [კიკვიძე 1976, გვ. 164], არამედ საკმაოდ განვითარებული ტიპისაა და წამყვანი ადგილიც უკავია საქართველოს სამხრეთში. როგორც ფიქრობენ, ამგვარი კერისა და რქისებრი ან ნალისებრი სადგრების შერწყმის შედეგად უნდა იყოს წარმოშობილი მრგვალი, შვერილებიანი კერა [კიკვიძე 1972, გვ. 55].

კერასთანაა დაკავშირებული რქისებრი სადგარი, რომელიც ამავე საფეხურზე იჩენს თავს. იგი წარმოადგენს თიხის ფილას, რომლის ცალ მხარეს ორი ზეაწეული შვერილია გამოყვანილი, ხოლო მოპირდაპირე მხარეს ნახვრეტი გააჩნია. ამგვარი სადგარი რქისებრი სადგრის უადრეს ტიპს წარმოადგენს [სა, გვ. 76]. იგი უკვე ხიზანაანთ გორის E ფენაში გვხვდება და ძალზე ემსგავსება ზემო ავჭალის სადგარს [კიკვიძე 1972, გვ. 42]. ცნობილია ის არაგვის ხეობიდან ადრემტკვარ-არაქსულ მასალასთან ერთად [Рамишвили Р. и др. 1987, გვ. 75]. ასეთივე სადგრის ფრაგმენტებია აღმოჩენილი კიკეთში გათხრილ ორმოებსა და ღრმახევისთავის ადრეულ ძეგლებზეც [ფხაკაძე 1963, გვ. 100; აბრამიშვილი და სხვ. 1980 გვ. 16]. მცხეთასთან, წიწამური II-ის არქაული იერის კერამიკის შემცველ ერთ სამარხში რქისებრი სადგარიც უნდა იყოს [მცხეთა IX, გვ. 78-80].

რქისებრი სადგარი, კარგად ცნობილი მცირე აზიასა და ბალკანეთში, ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიაშიც [კიკვიძე 1972, გვ. 50-52]. ჩვენში აღმოჩენილი სადგარები უახლოვდება შენგავითისა და ჭიულ-თეფეს ცალებს, [Мунчаев 1975, გვ. 159], თუმცა ამ უკანასკნელთ უფრო დაკუთხული ტანი და

მოცემული აქვს ილუსტრაციაც [კიკვიძე 1972, გვ. 42, ტაბ. XXVIII].

ნახვრეტის ნაცვლად ყური აქვთ მიძერწილი. ნახვრეტიანი სადგარია ჩრდილო კავკასიაში – ლუგოვოეს ნამოსახლარზე, მაგრამ იქ აღმოჩენილ ზოგიერთ სადგარს ნახვრეტი გვერდიდანაც აქვს დატანილი [Мунчаев 1961, გვ. 124], რაც უცხოა ამიერკავკასიური ცალებისათვის. ჩრდილო კავკასიურ სადგრებთან ახლოს უფრო აბელიას ოთხშვერილიანი რქისებრი სადგარი დგას, შუაზე ყურით [Чубинишвили 1971, ტაბ. XXIII], მსგავსად შაუ-ლეგეტისა და სერჟენ-იურტის ცალებისა [Мунчаев 1975, გვ. 342].



სურ. 21. ზესადგართა ტიპების გავრცელების რუკა.
1. ლოდობანა, 2. ზველი, 3. ამირანისგორა, 4. არგვეთი, 5. ხიზანაანთგორა, 6. ქვაცხელა, 7. ცხინვალი, 8. აბანოსხევი, 9. ჟინვალი, 10. მჭადიჯვარი, 11. წეროვანი, 12. ზემო ავჭალა, 13. კიკეთი, 14. აბელია, 15. ღრმახევისთავი, 16. ორწყლები, 17. ოზნი, 18. ბეშთაშენი, 19. სათხე, 20. პატარა ხორენია, 21. დილისკა

ჩრდილო კავკასიურ სადგრებთან იჩენს კავშირს I საფეხურზე გავრცელებული სადგრის მეორე ტიპიც – კოჭისებრი სადგარიც. იგი ცილინდრული ფორმისაა, მეტ-ნაკლებად გამოყვანილი ტანით და კოჭისებრი მრგვალი თავებით ბოლოებში. ამგვარია კიკეთში აღმოჩენილი სადგარი [ფხაკაძე 1963, გვ. 101, სურ.

13]. მისი პარალელები ცნობილია ქიულ თეფედან [Мунчаев 1975, გვ. 342, სურ. 78; ჯაფარიძე 1961, გვ. 83]. მრავალრიცხოვანი დამთხვევები კერამიკასა და სადგრებში ზოგ მკვლევარს ავარაუდებინებს შიდა ქართლიდან ჩრდილო კავკასიაში მტკვარ-არაქსული მოსახლეობის შეღწევას [Мунчаев 1975, გვ. 365].

ამავე საფეხურზე გვხვდება კიდევ ერთი – ტორსისებრი ტიპის სადგარიც, ფართოდ გავრცელებული მცირე აზია-ეგეიდაში. თუმცა ამიერკავკასიაში იგი არაა მრავალრიცხოვანი. ამგვარი სადგარი ფართოა, ჭრილში ოვალური, შუაზე აქვს ნახვრეტი. მსგავსი სადგარი აღმოჩენილია ზემო ავჭალაში, ტყვიავსა და ზღუდერის გვერდაზე [ჯაფარიძე 1961, გვ. 81]. იგი ასევე ცნობილია ქვემო ქართლშიც – აბელიას ნასახლარიდან [Чубинишвили 1971, ტაბ. XXIII_2].



სურ. 22. ზესადგართა ტიპების გავრცელების რუკა.
1. ლელოვანი, 2. ბენარა, 3. ფარეხა, 4. ამირანისგორა, 5. ზველი, 6. ჩუნჩხა, 7. ბარალეთი, 8. დიგაშენი I, 9. ორწყლები, 10. აბელია, 11. ღაითმაზი, 12. ბერიკლდეები, 13. ხიზანაანთგორა, 14. ზღუდრის გვერდა, 15. ტყვიავი, 16. ციხიაგორა, 17. ზემო ავჭალა, 18. ბადაანი, 19. აბანოსხევი

აღნიშნულს გარდა აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულია თიხის ნალისებრი ფორმის ზესადგარიც. მასში ორი ტიპი გამოიყოფა: ცენტრალურ-შვერილიანი და უშვერილო. უკანასკნელი შიდა ქართლის ადრეულ ძეგლებს

ახასიათებს. შვერილიანი კი მხოლოდ სამცხე-ჯავახეთშია აღმოჩენილი და იქ კერის ზესადგარის ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის მტკვარ-არაქსის კულტურის მესამე საფეხურზე [ორჯონიკიძე 1983, გვ. 100].

რაც შეეხება I საფეხურს მიკუთვნებულ ნალისებრი ფორმის ზესადგარს, იგი შიდა ქართლში ცნობილია ხიზანაანთ გორის E ფენიდან [კიკვიძე 1972, გვ.]. მისი თანადროულია ნალისებრი ზესადგრის ფრაგმენტები ბერიკლდეებიდან [Глонти, Джавахишвили 1987, გვ. 80-87]. ამგვარივე სადგრის ფრაგმენტი ნაპოვნია ზღუდრის გვერდაზეც. მას ზემოდან მომცრო კოპი აქვს დაძერწილი [Любин, გვ. 15]. არსებული მონაცემებით ჩანს, რომ ნალისებრმა სადგარმა შიდა ქართლსა და მის მიმდებარე ოლქებში ფეხი ვერ მოიკიდა. იგი უცნობი დარჩა ამ რეგიონის მთელი რიგი საკვანძო ძეგლებისათვის.[1] ამგვარ ზესადგარს არც ქვემო ქართლის ძეგლებზე ვხვდებით; იგი არც კახეთშია გავრცელებული. სამაგიეროდ, მტკიცედ დამკვიდრდა ის მესხეთში ამ კულტურის მოგვიანო საფეხურზე [ორჯონიკიძე 1983, გვ. 100].

აღმოსავლეთ საქართველოში ამ საფეხურის ძეგლები სხვადასხვა მხარეშია მიკვლეული. მაგრამ განსაკუთრებული კონცენტრაცია ამ ხანის ძეგლებისა შეინიშნება ქვემო ქართლში, როგორც დაბლობში – მარნეული ვაკეზე, ასევე თეთრიწყარო-დმანისის მთიან ზოლში, უწყვეტ ჯაჭვად გრძელდება იგი თბილისი-მცხეთა-არაგვის ხეობის მიმართულებით, საიდანაც ერთის მხრივ მიემართება ჩრდილო კავკასიისაკენ, რომლის უადრესი მტკვარ-არაქსული კერამიკა და კერის ზესადგრები მჭიდროდ უკავშირდება შიდა ქართლის ადრეულ ნაწარმს [ჯაფარიძე 1976, გვ. 165; Мунчаев 1975, გვ. 364-365], ხოლო მეორეს მხრივ, მტკვრის შუა წელის სიღრმეში ვრცელდება, სადაც ამ ხნის ძეგლები შედარებით პატარა ტერიტორიაზეა თავმოყრილი. მტკვრის ხეობის ზემო წელზე კი ამ საფეხურის ძეგლები იშვიათია და წარმოდგენილია ცალკეული აღმოჩენებით სამცხესა და ჯავახეთში [Чубинишвили, გვ. 75; ორჯონიკიძე 1989, გვ. 175]. ამ აღმოჩენების საფუძველზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ათვისების დაწყება ქვემო ქართლის

---

[1] ნალისებრ ზესადგარს ასახელებენ ხიზანაანთ გორის B ფენაშიც [კიკვიძე 1972, გვ. 51, სურ. 8]. მაგრამ ფრაგმენტულობის გამო მისი გრაფიკულად აღდგენილი სურათი მთლად დამაჯერებლად არ გამოიყურება; ბ. კუფტინი ერთგან აღნიშნავს ამგვარი სადგრის არსებობას ოზნიშიც [Куфтин 1948, გვ. 36].

ტომებს დაუკავშირდა [ორჯონიკიძე, 1983, გვ. 92; ორჯონიკიძე 1989, გვ. 174]. თრიალეთის მაღალმთიანი ზოლიც თავდაპირველად ქვემო ქართლელებს უნდა ათვისებინათ. აქ აღმოჩენილ კერამიკაში ადრევე ხედავდნენ ქვემო ქართლურ ელემენტებს [Куфтин 1941, გვ. 117; ჯაფარიძე 1961, გვ. 72]. ამ პერიოდის არაერთი ძეგლია მიკვლეული იორ-ალაზნის აუზშიც, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურის საკმაოდ მძლავრი კერა იქმნება [Дедабришвили 1970, გვ. 10-12].[1] აქ აღმოჩენილი უადრესი ხანის კერამიკა ქვემო ქართლის მასალებთან ავლენს სიახლოვეს [Дедабришвили 1970, გვ. 10-12], რამდენადმე მოგვიანებით კი შიდა ქართლის ნამოსახლარების ნაწარმთან პოულობს ბევრ საერთოს [კიკვაძე, 1972, გვ. 92; ჯაფარიძე 1976, გვ. 113; Дедабришвили 1970].

§ 4. **ნაგებობათა და სამარხთა ტიპები.** ამ საფეხურის ნაგებობის ტიპის შესახებ მონაცემები მცირეა და მასზე მსჯელობა მხოლოდ რამოდენიმე ნასახლარის მიხედვითაა შესაძლებელი, ისიც ნაწილობრივ. ამ მხრივ აღსანიშნავია შიდა ქართლის ძეგლების ხიზანაანთ გორის და ბერიკლდეების უადრეს მტკვარ-არაქსულ ფენებში დამოწმებული ნაგებობანი, რომელთაც წრიული ან ელიფსური ფორმა უნდა ჰქონოდა [Глонти, Джавахишвили 1987, გვ. 80-87; კიკვიძე 1972, გვ. 46]. ხიზანაანთ გორის მაგალითზე ამჩნევენ წინარე კულტურისაგან განსხვავებულ სიახლეს მშენებლობის ტექნიკაში ხის გამოყენების გამო, თუმცა წინამორბედ კულტურასთან მსგავსება ნაგებობის წრიულ ფორმაში ვლინდება [კიკვაძე, 1972, გვ. 47].

ოთხკუთხა და ნახევარწრიული ნაგებობების კომპლექსი აღმოჩნდა სამშვილდის ნასახლარზე [მირცხულავა, 1975, გვ. 12]. ოთხკუთხა შენობის ქვის საძირკველი გამოვლინდა თეთრიწყაროს ნასახლარის ქვედა ფენაში [გობეჯიშვილი, 1978]. სწორხაზოვანი კედლების ნაშთებია დიღმისა და ღრმახევისთავზე [სა, გვ. 71]. სოფ. კოდაში კი განსხვავებული ტიპის შენობები – ოვალური ფორმის ნახევრადმიწურები გაითხარა [Пхакадзе, 1972].

ამრიგად, ამ საფეხურის ნასახლარებზე გამოვლენილი ნაგებობები სხვადასხვა ტიპს მიეკუთვნება. თუ შიდა ქართლის ნაგებობები უმთავრესად მრგვალი ფორმისაა, ქვემო ქართლის არქიტექტურა უფრო მრავალფეროვანია და შეიცავს

---

[1] სიონი-ბრეშის ტიპის ძეგლების ადრეულ ასაკს ზოგი არ იზიარებს [Муграев, 1975 გვ. 194].

როგორც მრგვალ, ისე ოთხკუთხა ფორმის შენობებს. მაგრამ ამით არ შემოიფარგლება ამ ორი რეგიონის არქიტექტურას შორის განსხვავება. იგი ვლინდება მშენებლობის ტექნიკაშიც: შიდა ქართლში შენობები სარ-ლასტითაა ნაგები და არაა გამოყენებული ქვა, ქვემო ქართლის ნაგებობები კი ქვის ფუნდამენტზეა აგებული. ეს განსხვავება მშენებლობის ტექნიკაში ამ რეგიონების კულტურის ლოკალური ვარიანტის არსებობითაა ახსნილი [ფხაკაძე 1963, გვ. 64].

ნაგებობათა ტიპები: □ - ოთხკუთხა ○ - მრგვალი ან ოვალური



სურ. 23. 1. აბასთუმანი, 2. ამირანისგორა, 3. სვირი, 4. ხაშურის ნაცარგორა, 5. ბერიკლდეები, 6. ხიზანაანთგორა, 7. ქვაცხელა, 8. ქულბაქები, 9. გუდაბერტყა, 10. მჭადიჯვარი, 11. ჟინვალი, 12. ორხევი, 13. ილტო, 14. ბადაანი, 15. მეტეხი, 16. ციხიაგორა, 17. მუხათგვერდი, 18. დიღომი, 19. ოზნი, 20. თეთრიწყარო, 21. ყორანთა, 22. სამშვილდე, 23. კოდა, 24. ახალქალაქის ამირანისგორა, 25. ჯიგრაშენი, 26. სათხე, 27. ღრმახევისთავი, 28. ორწყლები

აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეული მხარე გარკვეულ თავისებურებებს ავლენს დასაკრძალავი ნაგებობის აგების მხრივაც. როგორც ცნობილია, ამ საფეხურზე აღმოსავლეთ საქართველოში მიცვალებულის დასაკრძალავად გამოიყენებოდა ოთხი ტიპის სამარხი: ქვაყუთი, ორმოსამარხი, აკლდამა და ყორღანი [სა, გვ. 72]. ორმოსამარხი ჯერ კიდევ წინარე ხანაში იყო ცნობილი, დანარჩენი

სამი ტიპი კი ახალია და მტკვარ-არაქსის კულტურის პროდუქტი ჩანს [Г. Мирцхулава 1991, გვ. 40; Дедабришвили 1979, გვ. 59].

ორმოსამარხი ერთერთი ყველაზე გავრცელებული სამარხის ტიპია ამ საფეხურის აღმოსავლეთ საქართველოში. მას ვხვდებით რეგიონის თითქმის ყველა მხარეში, მაგრამ განსაკუთრებით მრავლად – ქვემო ქართლში, სადაც იგი განსხვავებულ სამარხებთან ერთადაა აღმოჩენილი. რამდენიმე ორმოსამარხი გაითხარა ღრმახევისთავში, სადაც ამის გარდა ორი აკლდამაც იქნა მიკვლეული [აბრამიშვილი და სხვ. 1980]. სხვადასხვა ტიპის სამარხებთან ერთად ორმოსამარხებიც გამოვლინდა კიკეთის სამაროვანზე. ის აქ უმრავლესობას შეადგენს [ფხაკაძე 1963, გვ. 73]. კოდის ტერიტორიაზეც აღმოჩნდა ამ ტიპის სამარხი [Пхакадзе 1972]. შიდა ქართლში ამ ხანის სამარხები ნაკლებადაა გამოვლენილი. აქ აღსანიშნავია ერთი ორმოსამარხის აღმოჩენა ხიზანაანთგორის ნასახლარის

სამარხთა ძირითადი ტიპები: △— ქვის სამარხები ○—გრუნტული სამარხები



სურ. 24. 1. აბასთუმანი, 2. ზველი, 3. ამირანისგორა, 4. მზეთამზე, 5. ძალინა, 6. კუსირეთი, 7. ცხინვალის ნაცარგორა, 8. ნული, 9. ქვასათალი, 10. ტახტისძირი, 11. ხაშურის ნაცარგორა, 12. არადეთი, 13. ხიზანაანთგორა, 14. ქვაცხელა, 15. წეროვანი II, 16. აბანოსხევი, 17. გიორგიწმინდა, 18. ილტო, 19. ორხევი, 20. ოკამი, 21. ახალქალაქის ამირანისგორა, 22. ოზნი, 23. ტაშბაში, 24. ბარმაქსიზი, 25. თეთრიწყარო, 26. არდასუბანი, 27. კოდა, 28. კიკეთი, 29. რაჭისუბანი, 30. თამარისი, 31. სამშვილდე, 32. ღრმახევისთავი, 33. ნაომარიგორა, 34. ხირსა

ტერიტორიაზე, მის უადრეს ფენაში [კიკვიძე 1972, გვ. 42]. ამ ხანის სამარხებია მცხეთასთან – წეროვანი II [მცხეთა IX, გვ. 78-80]. ერთი ასეთი სამარხი გაითხარა კახეთშიც – ნაომარ გორაზე [მინდიაშვილი 1977, გვ. 20]. არქაული მასალის შემცველი ორმოსამარხები ცნობილია სამცხეში – სოფ. ზველში [Чубинишвили 1971, გვ. 74].

ქვაყუთის ტიპის სამარხიც უმთავრესად ქვემო ქართლშია მიკვლეული. მას ვხვდებით კიკეთის სამაროვანზეც [ფხაკაძე 1963, გვ. 74]. იგი აღმოჩენილია სოფ. კოდაშიც [Пхакадзе 1971, გვ. 457-459; Чубинишвили и др. 1976, გვ. 14-20; Пхакадзе 1976, გვ. 45-48]. აღსანიშნავია, რომ კოდაში გათხრილი მოზრდილი ქვის ფილებით ნაგები აკლდემები, მსგავსად სამშვილდის სამარხებისა, წააგავს ქვაყუთებს [Мирцхулава 1975, გვ. 25; Пхакадзе 1976, გვ. 45-48]. სამშვილდის სამარხებს ემსგავსება ღრმახევისთავში გათხრილი ნაგლეჯი ქვით ნაგები და ლოდებით გადახურული სამარხებიც [სა, გვ. 159]. ქვაყუთი ასევე ცნობილია თეთრიწყაროდანაც [გობეჯიშვილი 1978]. ქვაყუთებს ვხვდებით თრიალეთშიც [Куфтин 1941, გვ. 117]. თეთრიწყარო-სამშვილდის ტიპის ისრისპირის შემცველი ერთი ქვაყუთი შიდა ქართლშიც აღმოჩნდა [Миндиашвили, Квиникадзе 1997]. იგი აქ ქვემო ქართლიდან ჩანს შემოსული.

ცალკე ჯგუფს ქმნის ქვით ნაგები ნალისებური ფორმის აკლდამები, რომელთა უმეტესობა კიკეთის სამაროვანზეა აღმოჩენილი. თვლიან, რომ ისინი იმდროინდელი საცხოვრებლის მიბაძვით კეთდებოდა [ფხაკაძე 1963, გვ. 72; სა, გვ. 73]. ერთი ამგვარი სამარხი გაითხარა სოფ. თამარისშიც [ფხაკაძე 1963, გვ. 16]. აკლდამის ტიპის სამარხი აღმოჩნდა რაჭისუბანშიც [Чубинишвили 1971, გვ. 52].

რაც შეეხება ყორღანს, I საფეხურს მიკუთვნებული ამ ტიპის სამარხი ძირითადად კახეთშია აღმოჩენილი. მას ვხვდებით მაშნაარში, სოფ. მაღაროსთან, საგარეჯოს რ-ში, ადგილ ზეიანში [Дедабришвили 1970, გვ. 14-15; Пицхелаури 1990, გვ. 76-78; კაპანაძე, გვ. 12]. კახეთის ამ ყორღანების საფუძველზე შესაძლებელი გახდა სამარხის ამ ტიპის გამოჩენის დრო მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურით, ძვ.წ. IV ათასწ. მეორე ნახევრით განსაზღვრულიყო

[Дедабришвили 1970, გვ. 15]. ამავე ათასწლეულის მიწურულით თარიღდება ბოლო ხანებში შიდა ქართლში, კასპის რაიონში გათხრილი ყორღანიც [მახარაძე 1998, გვ. 25]. მისი სინქრონული უნდა იყოს ქვემო ქართლის № 3 ყორღანიც [ჯაფარიძე 1975, გვ. 150].[1]

სამარხთა ტიპების გავრცელების შესახებ არსებული მოსაზრების თანახმად მტკვარ-არაქსის კულტურის გარკვეულ საფეხურზე მდ. მტკვარი წარმოადგენს ერთგვარ გამყოფ ზოლს, რომლის ჩრდილოეთით გავრცელებულია მხოლოდ ქვაყრილიანი სამარხები და ყორღანები, ხოლო მის სამხრეთით – აკლდამები და ქვაყუთები, მოგვიანებით კი - ყორღანებიც [ღლონტი 1982, გვ. 62]. ზოგის აზრით, ამ კულტურის ადრეული ეტაპისათვის უფრო ორმოსამარხებია დამახასიათებელი [სინ 1970, გვ. 160]. ზოგს მიაჩნია, რომ ამავე დროს ჩნდება ქვის სამარხებიც – ქვაყუთი და აკლდამა. ეს უკანასკნელი ქვემო ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთშია გავრცელებული, ხოლო შიდა ქართლისათვის იგი უცხოა. აქ უფრო ორმოსამარხები, მოგვიანებით კი - ყორღანები ჩანს გამოყენებული [Мирцхулава 1991, გვ. 40-42].

თუ გადავხედავთ ამ საფეხურის სამარხთა ტიპების გავრცელების რუკას, რამდენადმე განსხვავებულ სურათს დავინახავთ: ქვემო ქართლში ყველა ტიპის სამარხი ნაგებობაა წარმოდგენილი, განსაკუთრებით მრავლადაა ის ძეგლები, სადაც ქვით ნაგები სამარხები – აკლდამა და ქვაყუთი დასტურდება. აქ შედარებით ნაკლებადაა აღმოჩენილი ყორღანი. სამაგიეროდ, უკანასკნელი უფრო იორ-ალაზნის აუზშია გავრცელებული, სადაც მასთან ერთად გვხვდება ორმოსამარხიც. სხვა ტიპის სამარხი მისთვის უცნობია [Дедебришвили 1970, გვ. 15]. შიდა ქართლში განსხვავებით ქვემო ქართლისაგან, ქვის სამარხია იშვიათი, ხოლო აკლდამა საერთოდ არ ჩანს. აღსანიშნავია, რომ აქ ქვაყუთის მხოლოდ ერთი შემთხვევა გვაქვს [Миндиашвили, Квиникадзе]. მისი აქ გამოჩენა ქვემო ქართლის

---

[1] ზოგჯერ ამ ყორღანს მოგვიანოდ, თრიალეთის ადრეული ყორღანების სინქრონულად თვლიან, რაც არ უნდა იყოს გამართლებული მასში არქაული კერამკის არსებობის გამო. ეს ნაწარმი მიეკუთვნება დიდუბე-კიკეთის წრეს [ჯაფარიძე 1998, გვ. 150] და ნაკლებად უკავშირდება მოგვიანო მასალას. მის ადრეულ ასაკზე მიუთითებს მსგავსი ნაწარმის აღმოჩენის შემთხვევები საქართველოსა და სომხეთის ზოგიერთი სტრატიგრაფიული ძეგლის ადრეულ ფენებში, რომლის ზემოდ იგი აღარ ჩანს [ქავთარაძე 1981, გვ. 68-70]. აღსანიშნავია, რომ ადრეული

მხრიდან უნდა ვივარაუდოთ, რასაც ამ სამარხში აღმოჩენილი თეთრიწყარო-სამშვილდის მსგავსი ისრისპირიც უნდა მოწმობდეს. სამცხე-ჯავახეთში ამ ხანის სამარხები ნაკლებადაა გამოვლენილი. აქ მხოლოდ ორმოსამარხებია ცნობილი [Чубинишвили 1971, გვ. 74].

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოში, მტკვარ-არაქსის კულტურის პირველ საფეხურზე სამარხების გავრცელების თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს ორი ზონა: ერთი მოიცავს სამხრეთ საქართველოს მთიანეთს, მეორე – შიდა ქართლსა და კახეთს. პირველისათვის სამარხის სხვადასხვა ტიპია დამახასიათებელი, მაგრამ წამყვანი ჩანს ქვით ნაგები სამარხი, ხოლო მეორესათვის – უფრო ორმოსამარხი და ყორღანი. ამდენად, სხვაობა ამ ორ მხარეს შორის, შენიშნული კერამიკასა და საცხოვრებლის სამშენებლო ტექნიკაში [ფხაკაძე 1963, გვ. 64; ჯაფარიძე 1976, გვ. 85] დგინდება ამ საფეხურის სამარხების მიხედვითაც.



სურ. 25. მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოში. I საფეხური

ყორღანების კულტურაში არ გვხვდება მტკვარ-არაქსული ბადია [ჯაფარიძე 1998, გვ. 141]. ამიტომ, ქვემო ქართლის № 3 ყორღანის ადრეული თარიღი გამართლებულად მიგვაჩნია.

თავი II

მტკვარ-არაქსის კულტურის II საფეხური

§ 1. **ძეგლები.** II საფეხურზე, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ ეტაპს შეესაბამება, მნიშვნელოვანი ძვრები ხდება – იწყება სპილენძის მეტალურგიის აღმავლობა, მოსახლეობის რიცხვის მკვეთრ ზრდასთან ერთად ჩნდება ახალი და მსხვილდება ადრე არსებული ნასახლარები. სულ უფრო და უფრო იზრდება ახალ-ახალი მიწების ათვისების მოთხოვნილება, რამაც განაპირობა მტკვარ-არაქსის კულტურის ფართოდ გავრცელება ამიერკავკასიის სხვადასხვა მხარეს. მალე იგი ამიერკავკასიის მიმდებარე ოლქებშიც ვრცელდება, იშლება ამ კულტურის ერთიანი ხასიათი. ჩნდება ახალი დასახლებები შიდა ქართლში, თრიალეთში, სამცხე-ჯავახეთში, არარატის ველზე და სხვ. განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს კონტინენტური კლიმატის ზონის ათვისება. ასეთი გარემო, ჩანს, სავსებით აკმაყოფილებდა ამ კულტურის მატარებელი ტომების ყოფა-ცხოვრების მოთხოვნილებებს. შესაძლოა, ამის გამო უფრო მასშტაბურად მიმდინარეობს მისი გავრცელება სამხრეთის მიმართულებით – აღმოსავლეთ ანატოლიასა და ურმიისპირეთში. თანდათან ყალიბდება ამ კულტურის სხვადასხვა ლოკალური ვარიანტი [ჯაფარიძე 1976, გვ. 93-96]. საგრძნობი ძვრები შეინიშნება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც იქმნება მტკვარ-არაქსის კულტურის მძლავრი კერა. მისთვის დამახასიათებელია წნულ-თიხალესილი ან ქვითნაგები ოთხკუთხა არქიტექტურა, ბრტყელი ბანური გადახურვით. ამგვარი ნაგებობა ამიერიდან წამყვანი ტიპი ხდება საქართველოს უმეტეს ნაწილზე და არ იცვლება ამ კულტურის ბოლომდე [კიკვიძე 1972, გვ. 48].

მიცვალებულთა დასაკრძალავად კვლავ გამოიყენება აკლდამა, ქვაყუთი, ყორღანი და ქვაყრილიანი უორმო ან ორმოიანი სამარხი. ამ საფეხურის ძეგლებია: ქულბაქები, ხიზანაანთ გორის D, C, B ფენები, ქვაცხელას C ფენა, ბეშთაშენი („კერა", „თხრილი"), ოზნი (სამარხები, მოედანი ჰიდროსადგურთან, თიხატკეპნილი იატაკი), ამირანის გორის ქვედა ფენა, აბასთუმანი, ძალინა, ტყვიავის

ყორღანები, არდასუბანი. მათი უმეტესობა ძვ.წ. IV ათასწ. ბოლოთი და ძვ.წ. III ათასწ. პირველი ნახევრის საწყისი საუკუნეებით თარიღდება.



სურ. 26. ოზნი

ოზნი. წრიული ნაგებობის მახლობად, თიხატკეპნილ იატაკზე აღმოჩნდა სათვალისებრი სპირალით ორნამენტირებული თიხის მოზრდილი ჭურჭელი და ასეთივე ბიკონუსური ჭურჭელი ზედ რელიეფური სირაქლემების გამოსახულებით. ორივე ჭურჭელი უახლოვდება კიკეთის მასალას. აქვე აღმოჩნდა ოთხწახნაგა ისრისპირი, ორი ჯამი, ერთზე ნაკაწრით გამოყვანილი სახეებით.



სურ. 27. ოზნი

მეორე მონაკვეთზე – ჰიდროსადგურის მოედანზე ადრებრინჯაოს ხანის ფენაში გამოვლინდა კერა, ბიკონუსურტანიანი კოჭბები, სამყურა ჭურჭელი, სპილენძის სადგისი, დანისპირი და სხვ. მახლობლად გაითხარა ბიკონუსურტანიანი ჭურჭლის შემცველი რამოდენიმე ქვაყუთი, მცირეოდენი არაკერამიკული სამარხეული ინვენტარით [Куфтин 1948, გვ. 26-48].



სურ. 28. ბეშთაშენი

ბეშთაშენში ამ საფეხურის ძეგლია კერასთან გათხრილი კომპლექსი, საიდანაც მომდინარეობს ბიკონუსურტანიანი ჭურჭელი, რელიეფური კონცენტრული წრეებით შემკული ფრაგმენტი და სხვ. ეს ნაწარმი უახლოვდება რა დიდუბე-კიკეთის ჯგუფის კერამიკას, უფრო განვითარებული იერი აქვს.

აქვე თხრილთან გამოვლინდა ცალყურა ხელადა, მხარზე შემოყოლებული ამოკაწრული ორნამენტით, სათვალისებრი რელიეფურორნამენტიანი ფრაგმენტი, სადგარი და სხვ. [Куфтин 1948, გვ. 115; ჯაფარიძე 1961, გვ. 71].

არდისუბნის აკლდამა თეთრიწყაროს რ-ნის სოფ. არდისუბანში აღმოჩნდა. იგი ნაგები იყო ქვით, სწორკუთხა ფორმისა იყო, გადახურვა ძელური უნდა ჰქონოდა, იატაკი — თიხატკეპნილი. აკლდამაში ერთმანეთზე დაკრძალული ორი მიცვალებული აღმოჩნდა. სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს თიხის ორი ჭურჭელი, ძვლის კვირისტავი და შურდულის ქვა. იგი ანალოგიებს პოულობს კიკეთის, თამარისის და სხვ. ძეგლებში, თუმცა აკლდამის კონსტრუქციული ანალიზის საფუძველზე იგი გამთხრელს თამარისის, კიკეთისა და ამირანის გორის აკლდამებზე გვიანდელად მიაჩნია და ძვ.წ. III ათასწ. დასაწყისით ათარიღებს.



სურ. 29. ტყვიავის ყორღანები

ტყვიავის ყორღანები. სოფ ტყვიავთან გათხრილი სამივე ყორღანი კონსტრუქციულად ერთმანეთის მსგავსია. პირველ ყორღანში სხვადასხვა დონეზე აღმოჩნდა 42 სამარხი დაკრძალვის სხვადასხვა წესით. სამარხების უმრავლესობა უინვენტარო იყო. მხოლოდ სამ სამარხში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, კაჟის ისრისპირი, დანისპირი და სხვ.

მეორე ყორღანში ერთი მიცვალებული აღმოჩნდა. ყორღანში იყო თიხის ჭურჭელი, ქვის ლახტისთავი, ბრინჯაოს სადგისი და სხვ.

მესამე ყორღანში ორი მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა. თან ახლდა მცირეოდენი სამარხეული ინვენტარი [მაკალათია 1943].



სურ. 30. ქულბაქები

ქულბაქების ნასახლარი ცხინვალის მახლობლად მდებარე ბორცვზეა განლაგებული. მასზე სხვადასხვა დროს წარმოებული გათხრების შედეგად გამოვლინდა ადრებრინჯაოს ხანის ნაშთები. აქ, ქვაყრილის ქვეშ აღმოჩნდა ამ ხანის ჭურჭლით მოფენილი მოედანი. მოედანზე დაფიქსირდა მრგვალი, შვერილებიანი კერა,

გარშემოწყობილი ჭურჭლით. მახლობლად აღმოჩნდა თიხატკეპნილი მოედანი, ზედ ადამიანის დამწვარი ძვლებით.

ქულბაქებთან ახლოს რამოდენიმე პუნქტზეც აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურის ნაშთები – თიხის ჭურჭელი, მრგვალი კერის ფრაგმენტები, რქისებრი სადგარი და სხვ. ამ ძეგლებზე აღმოჩენილი თხელი კულტურული ფენები, მოედნები მრგვალი კერებით მიუთითებს იმაზე, რომ საცხოვრებელი ხისაგან იყო ნაგები და მიწისზედა ნაგებობას წარმოადგენდა. ქულბაქების ჭურჭელზე კარგად ჩანს ძველიდან მომდინარე ტრადიციები და შიდა ქართლის განვითარებული მტკვარ-არაქსის კულტურის დამახასიათებელი ნიშნები [Куфтин 1947,; ჯაფარიძე 1961, გვ. 38-55; ჯაფარიძე 1976, გვ. 103].



სურ. 31. ძაღინა

ძაღინას სამაროვანი შიდა ქართლშია აღმოჩენილი, სოფ. ძაღინასთან ახლოს. სამარხები ორ უბანზეა დაჯგუფებული: აღმოსავლეთი უბნის სამარხებში მიცვალებული პირდაპირ მიწის ზედაპირზე იდო და ზემოდან ქვაყრილი ჰქონდა გაკეთებული. დასავლეთ ნაწილში კი მას ჯერ საგანგებოდ ამოღებულ ორმოში ათავსებდნენ და შემდგომ აყრიდნენ ქვას. მიცვალებული ორივე უბანზე გვერდზეა დაკრძალული, მოკრუნჩხულად. ჩატანებული აქვს მცირეოდენი სამარხეული ინვენტარი - ბიკონუსურტანიანი ჭურჭელი, ვოლუტებიანი საკინძი, მარყუჟისებრთავიანი ქინძისთავი და სხვ. ძაღინას სამარხებს ზოგი ავტორი ქვაცხელას C ფენის ხანისად თვლის [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 59], ზოგი მათ ამ საფეხურის კიდევ უფრო ადრეული ეტაპით ათარიღებს [Кушнарева, Чубинишвили, გვ. 76; ჯაფარიძე 1961, გვ. 203-210].

ქვაცხელა მდებარეობს ქარელის რაიონში, მდ. მტკვრის მარცხენა, მაღალ ტერასაზე. ნასახლარზე ადრებრინჯაოს ხანის ორი კულტურული ფენა აღმოჩნდა – B და C, სამ-სამი ჰორიზონტით, რომლებიც თანმიმდევრობით არის წარმოშობილი ერთიმეორეზე, ცხოვრების დროებითი შეჩერების შემდეგ.

ქვაცხელას ჰორიზონტები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშიებული. აქ ზოგჯერ კერა კერასა და კედელი კედელს აზის. სტერილური ფენები მათ შორის არ

არის. ქვედა, C ფენაში, გაითხარა შიდა ქართლისათვის დამახასიათებელი „სტანდარტული“ ტიპის შენობები.

სურ. 32. ქვაცხელა C



სურ. 33. ქვაცხელა C

სახლები განლაგებულია მეტ-ნაკლებად სწორ მწკრივებად ერთმანეთთან ახლოს და დაჯგუფებულია პატარა მოედნებისა და გასასვლელების გარშემო; სახლები ოთხკუთხაა, წაგრძელებული, მომრგვალებული კუთხეებით. ნაგებობა, როგორც წესი, შედგება ორი ნაწილისაგან – თითქმის კვადრატული ოთახისა და მისგან კედლით გამოყოფილი, ფასადისაკენ გაგრძელებული შესასვლელი დერეფნით. ოთახი საცხოვრებელია, დერეფანს კი სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა. ხშირად უკანა კედელთან გამართულია პლატფორმა. ოთახის ცენტრში სტაციონარული მრგვალი შვერილიანი კერაა. მის უკან ორმოში მდგარ ბოძს უკავია სახურავი. კედლები იგებოდა ან ალიზის აგურით, ან დაწნული თიხალესილი კარკასით.

ქვაცხელაზე, გარდა ნასახლარისა, აღმოჩენილია ამ ხანის სამაროვანიც. იგი ნასახლარის ტერიტორიაზე იქნა მიკვლეული. სამარხები გრუნტული, უორმო ქვაყრილიანი და ქვაყრილიანი ორმოსამარხებია, დაკრძალვის ინჰუმაციური წესით. მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა მცირეოდენი სამარხეული ინვენტარი.

ქვაცხელას სამაროვნის პირველი და მეორე იარუსები, რომლებიც მოქცეულია C ჰორიზონტის ქვეშ, შესაბამისად უკავშირდება C_2 და C_3 ჰორიზონტებს [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 22-25].

სურ. 34. ხირსის სამარხი

ხირსის სამარხი წარმოადგენს აკლდამას, რომლის კედლები ნაგებია რიყის ქვის მშრალი წყობით. მისი იატაკი მოგებული იყო წვრილი ქვით. სამარხის ორმო გადახურული იყო ხით, რომელსაც ზემოდან ქვაყრილი ჰქონდა. სამარხში აღმოჩნდა ერთი მიცვალებულის ჩონჩხი, რომელიც გადახურვის ხის კონსტრუქციების ჩანგრევის შემდეგ ჩაცვენილმა ქვაყრილმა ძალზე დააზიანა. მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა ორი ხარის თავის ქალის ზედა ნაწილები, ცხვრის თავის ქალა და კიდურების ძვლები, თიხის ორი ჭურჭელი და კაჟის ყუნწიანი ისრისპირი [ფიცხელაური 1965, გვ. 32; სა, გვ. 176].



სურ. 35. ხიზანაანთგორა D

ხიზანაანთ გორა D, C, B ადრებრინჯაოს ხანის ფენებია, რომლებიც შესაბამისად თანმიმდევრობითაა განლაგებული ქვედა – E ფენის ზემოთ.

D ფენაში, წინას მსგავსად, მრგვალი შენობებია აღმოჩენილი. ამ დროის შენობა წრიული გეგმის წნული ოთახია, თიხალესილი, იატაკის ცენტრში სტაციონარული შვერილიანი კერაჯ, რომლის უკან ამოღებულია დედაბოძის ორმო. ოთახს აქვს ასევე სარ-ლასტით ნაგები წრიული მინაშენი. გადახურვა ბანური უნდა ყოფილიყო. მართალია, C ფენაში მრგვალი ნაგებობები კვლავაც გვხვდება, მაგრამ გადმონაშთის სახით. წამყვანი უკვე სწორკუთხა ნაგებობა ჩანს, რომელიც ამიერიდან აღარ იცვლება და სათავეს უდებს „სტანდარტულ" ნაგებობებს, დამახასიათებელს მტკვარ-არაქსის კულტურის შიდა ქართლური ვარიანტისათვის. D ფენიდან ჩნდება მეტალის ნივთები. ამ დროიდან შეინიშნება არსებითი სხვაობა კერამიკაში – ჩნდება



სურ. 36. ხიზანაანთგორა C



სურ. 37. ხიზანაანთგორა C



სურ. 38. ხიზანაანთგორა B

კორპუსზე წიბოიანი, ზარისებრი ფორმის ჭურჭელი, რომელიც ბოლომდე აგრძელებს აქ არსებობას. ი. კიკვიძე თვლის, რომ D დონეზე აქ კულტურის განვითარება კი არა – მისი ცვლილება გვაქვს.



სურ. 39. ურბნისის სამაროვანი

ურბნისში, ხიზანაანთ გორასთან გამოვლინდა სამაროვანი, რომელზეც ამ ხანის რვა ორმოსამარხი გაითხარა თითო მიცვალებულით. ყოველ სამარხში აღმოჩნდა ინვენტარი, შემდგარი კერამიკისა და ლითონის ნივთებით [ჭილაშვილი 1964; კიკვიძე 1972].

აბასთუმნის ნასახლარი აღმოჩნდა კურორტ აბასთუმანში, მდ. ოცხის მარჯვენა ნაპირზე, ყანობილის მთის ჩრდილო ფერდის ძირში. ტერასულად განლაგებულ ნასახლარზე სწორკუთხა, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი ქვის, მშრალი წყობით ნაგები შენობები აღმოჩნდა. აქედან მხოლოდ ერთის

გათხრა მოხერხდა მთლიანად. მის თიხატკეპნილი იატკის ცენტრში თიხალესილი კერაა გამართული. კერასა და იატაკზე აღმოჩნდა კერამიკის ფრაგმენტები, ძვლოვანი და ქვის მასალა. კერამიკა ორი ჯგუფითაა წარმოდგენილი. ერთი — შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი მტკვარ-არაქსული ნაწარმია, მეორე — ქილისებრი, ბრტყელი ან მომრგვალებულძირიანი, ზოგჯერ წითლადშეღებილი ზედაპირით ახლო პარალელებს პოულობს დასავლეთ საქართველოს გამოქვაბულების მასალებთან. დასავლეთ საქართველოს ძეგლების მასალასთან იჩენს სიახლოვეს კაჟისა და ობსიდიანის იარაღთა უმეტესობაც.

აბასთუმნის ნასახლარი ძვ.წ. III ათასწ. I ნახევრით თარიღდება.

აბასთუმანშივე, სანატორიუმის მშენებლობის დროს აღმოჩნდა ქვაყუთები. სამარხეული ინვენტარიდან შემორჩა მხოლოდ ერთი, ლეგა-მოყავისფროდ გაპრიალებული ცალყურა კოჭობი, განიერი ცილინდრული ყელითა და ბიკონუსური ტანით. იგი ძალზე ემსგასება ახალციხის ამირანის გორის ადრეული სამარხების და ოზნის სამაროვნის თიხის ჭურჭელს [Каландадзе 1973; ორჯონიკიძე 1983, გვ. 24; Пхакадзе, Каландадзе, Орджоникидзе 1982].

ახალციხის ამირანის გორაზე ამ საფეხურის კომპლექსები აღმოჩენილია



სურ. 40. ახალციხის ამირანისგორა

ნასახლარის ძირა დონეზე რამოდენიმე ორმოსა და შენობის ნაშთის სახით. ძირითადი მასალა კი აქ გამოვლენილი ადრეული ხანის სამარხებიდან მომდინარეობს. ეს სამარხები ორი ტიპისაა – ქვის ნალისებრი ფორმის აკლდამები და ქვაყუთები. უკანასკნელი უმრავლესობას წარმოადგენს. მათში ერთი ან ორი მიცვალებული იყო დაკრძალული მცირეოდენი სამარხეული ინვენტარით, რომელშიც გარდა კერამიკისა, ლითონის, ქვისა და ძვლის ნივთებიც აღმოჩნდა.

ნალისებრი აკლდამაც დიდ ორმოშია ნაგები ტალახზე ნაწყობი რიყისა და ფიქალი ქვებით. „კარს" ვერტიკალურად დაყენებული ბრტყელი ქვები წარმოადგენდა. ასეთივე ქვებით იყო გაკეთებული სახურავიც. ამგვარ სამარხებში რამდენიმე მიცვალებულის ჩონჩხი და მცირეოდენი სამარხეული ინვენტარი იყო [ჩუბინიშვილი 1963].

§ 2. ლითონის, ქვისა და ძვლის ნივთები. ლითონის სატევრისპირი.



სურ. 41. 1. ამირანისგორა, 2. ლიკანი, 3. ხიზანაანთგორა, 4. ქვაცხელა, 5. ცხინვალი, 6. ტყვიავი, 7. ჟინვალი, 8. ციხიაგორა, 9. ოზნი

აღმოსავლეთ საქართველოს მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში ერთერთი ყველაზე უფრო გავრცელებული იარაღია, რომელიც ამ საფეხურზე იჩენს თავს [ჯაფარიძე 1976, გვ. 136]. იგი ადგილდობრივადაა ჩამოყალიბებული [ჯაფარიძე 1991, გვ. 125]. უმეტესობა ამგვარი იარაღისა აღმოჩენილია რეგიონის დასავლეთ ნა-

წილში – შიდა ქართლსა და სამცხეში. იგი წარმოადგენს ძირითადად ჭედვით გამოყვანილ ბრტყელ, დაქანებულმხრებიან ვიწრო სამკუთხა ფორმის, უმეტესად უქედო პირის მქონე სპილენძის პრიმიტიულ იარაღს ტარის დასაგები უნახვრეტო ყუნწით. გვხვდება როგორც პატარა, ისე მოზრდილი ცალები.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მტკვარ-არაქსის ლითონის სატევრისპირი სამ ტიპად შეიძლება დაიყოს: I - ყუნწიანი, II - უყუნწო და III - ლითონისტარიან სატევრისპირებად.[1] აქედან აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულია პირველი ორი ტიპი, ხოლო III - მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, საჩხერეშია აღმოჩენილი. აღმოსავლეთ საქართველოს ამ საფეხურის ძეგლებზე I და II ტიპი გვხვდება. უფრო ფართოდ I ტიპია გავრცელებული, ახალციხის ამირანის გორის ადრეულ სამარხში აღმოჩენილ ერთ პატარა ზომის სატევრისპირს აქვს ვიწრო, გრძელი ყუნწი და სამკუთხა ფორმის ბრტყელი პირი [ჩუბინიშვილი, გვ. 47]. მის უახლოეს პარალელად მიჩნეულია ქვაცხელას C ფენის გრძელყუნწიანი მომცრო სატევრისპირი [ჩუბინიშვილი, გვ. 48]. მაგრამ ეს მსგავსება მხოლოდ ზოგადია, რადგან ქვაცხელას ცალს პირთან შედარებით გაცილებით გრძელი ყუნწი აქვს და ამირანის გორის სატევრისპირისგან განსხვავებით ყუნწიდან პირზე გადასვლა მასზე უფრო „რბილად" ხდება. ფორმით იგი ემსგავსება ტყვიავის ყორღანის სატევრისპირს, რომელიც ასეთივე გრძელი ყუნწით „რბილად" გადადის მომრგვალებულ მხრებზე [მაკალათია, ტაბ. XII-2]. ახალციხის სატევრისპირი კი მეტ არქაულობას ავლენს ჩამოთვლილ სატევრისპირებთან შედარებით. მას შეიძლება დავუახლოვოთ პატარა ზომის სატევარი გეო-თეფედან [ჩუბინიშვილი, გვ. 48]. გარკვეული სიახლოვე ჩანს დ. სტრონახის მიერ I ტიპში გაერთიანებულ ზოგიერთ ანატოლიურ სატევრისპირთანაც აღმოჩენილს ალიშარზე, დუნდარ თეფესა [Stronach, გვ. 90] და ჰოროზ-თეფეზე [Özgüç T., Akok M., 1957, ტაბ. 22]. ეს განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ვიწროყუნწიან, მომრგვალებულმხრებიან და გვერდშეზნექილი პირის მქონე სატევრებით. თუმცა, ტექნიკური თვალსაზრისით – ყუნწზე ნახვრეტითა და პირზე ქედის არსებობით ანატოლიური სატევრები შედარებით მოგვიანო ხანისა

[1] ნაშრომში ლითონის იარაღების ტიპოლოგიისათვის გამოყენებულია ო. ჯაფარიძის ნაშრომები [ჯაფარიძე 1961; ჯაფარიძე 1976]. ასევე ზ. მახარაძე, ა. ორჯონიკიძე, გ. მინდიაშვილის მიერ

ჩანს [გოგაძე, გვ. 36] ისევე, როგორც სომხეთის ზოგი სატევრისპირი შუაზე ქედით [Мартиросян, სურ. 8]. თუმცა, სომხეთის სატევრისპირები ეჩმიაძინიდან, კარმირ-ვანქიდან, კიროვოკანიდან და ელარიდან მაღალი ყუნწითა და გრძელი პირით [Ханзадян 1979, ტაბ. VII] ახლო მსგავსებას იჩენს საქართველოს იმ იარაღებთან, რომლებიც ცნობილია ხიზანაანთ გორის D ფენიდან [კიკვიძე 1972, გვ. 8. სურ. 1], ამირანის გორის ადრეული სამარხებიდან [ჩუბინიშვილი, გვ. 47], ლიკანიდან [Чубинишвили и др. 1957], ცხინვალიდან [ჯაფარიძე 1961, ტაბ. XVI_{12}], ჟინვალიდან [ჯორბენაძე და სხვ., გვ. 115-122]. ეს სატევრები უახლოეს ანალოგებს საჩხერის ყორღანული სამაროვნის მასალებში პოულობს, ერთმანეთთან მჭიდრო ტიპოლოგიურ სიახლოვეს ამჟღავნებს და, როგორ ჩანს, ერთი საერთო ტრადიციას ემყარება მიუხედავად იმისა, რომ ამ დროის საქართველოში ლითონის ნივთების ქიმიური შემადგენლობის საფუძველზე სხვადასხვა საწარმოო ცენტრის არსებობა ივარაუდება [აბესაძე, გვ. 103, 110].

ამ სატევრისპირებიდან ზოგი (იარაღები ლიკანიდან და ცხინვალიდან) მიჩნეულია შუაბრინჯაოს ხანის სატევრისპირთა პროტოტიპად [ჯაფარიძე 1961, გვ. 154]. მაგრამ, ვფიქრობთ, მხოლოდ აღნიშნულით არ განისაზღვრება მტკვარ-არაქსისა და მომდევნო ხანის კულტურათა სატევრისპირების ტიპოლოგიური თანხვედრა. მტკვარ-არაქსის კულტურის I ტიპის სატევრისპირი კიდევ უფრო მეტ სიახლოვეს იჩენს ადრეული ყორღანების მასალასთან, განსაკუთრებით ბედენური წრის იარაღთან, სადაც განსხვავებული ტიპის სატევრისპირების გვერდით ვხვდებით მტკვარ-არაქსის კულტურის I ტიპის სატევრისპირის ანალოგიურ ან მასთან ტიპოლოგიურად დაკავშირებულ სატევრისპირებსაც. ასე, მაგალითად, სავსებით იდენტურია ხიზანაანთ გორისა და თრიალეთის XL ყორღანის იარაღები [გოგაძე, გვ. 27]; ასევე საჩხერული და მასთან ახლო მდგომი აღმოსავლეთ საქართველოს მტკვარ-არაქსული სატევრები ახლოს დგას ბაკურციხის, კაჭრეთის და ქორეთის ბედენური სამარხების მოგრძო და პირვიწრო სატევრებთან [Пицхелаури 1982, ტაბ. XX; ბუჩუკური 1985; ჯაფარიძე 1961, სურ. 29], რაც

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტით შესრულებული გამოკვლევა [1999] და ჩვენს მიერ ბოლო წლებში ამ თემაზე შესრულებული წლიური თემები.

იმაზე მიუთითებს, რომ ადრეყორღანულ ხანაში სატევრის ეს ტიპი კი არ ქრება, არამედ კვლავაც განაგრძობს არსებობას.

ხიზანაანთ გორის D ფენის სატევარი მიჩნეულია საჩხერულ იარაღებზე ადრეულად, ხოლო მათ შორის შუალედური ადგილი ახალციხურ სატევრისპირებს აქვს მიკუთვნებული [გოგაძე, გვ. 31]. ამდენად, ხიზანაანთ გორის D ფენისა და ამირანის გორის მოზრდილი სატევრისპირები შეიძლება მივიჩნიოთ საჩხერული სატევრისპირების უშუალო პროტოტიპებად [საქართველოს არქეოლოგია, II, გვ. 87], ისევე, როგორც ცენტრალური ამიერკავკასიის ზოგიერთი, მაგალითად, კიროვაკანის ტიპის სატევრისა [Ханзадян 1979, ტაბ. VIII].

აღნიშნულის პარალელურად აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება II ტიპიც – უყუნწო სატევრისპირი, რომელსაც ყუნწის ნაცვლად ფართო სატარე აქვს გამოყვანილი [ჯაფარიძე 1961, გვ. 209]. იგი ცნობილია ძაღინას სამაროვნიდან [ჯაფარიძე 1961, გვ. 207]. არის ის ქორეთის ყორღანშიც [ჯაფარიძე 1961, გვ. 151], ელარში [Ханзадян 1979, სურ. 7], ანატოლიაში – ბაინდირკოიში [Stronach, გვ. 91] და სხვ. უნდა ითქვას, რომ ამგვარი იარაღი მტკვარ-არაქსის კულტურაში მაინცდამაინც არ გავრცელებულა. მის ანალოგებს უფრო ჩრდილო კავკასიაში – ადრემაიკოპური ხანის ძეგლებზე ვხვდებით [Мунчаев 1975, გვ. 224, სურ. 41].

რაც შეეხება ყუნწგახვრეტილ სატევრისპირს, ის მტკვარ-არაქსის კულტურისათვის არაა დამახასიათებელი. იგი ჩვენში საკმაოდ გვიან ჩნდება [ჯაფარიძე, გვ. 156], როგორც ჩანს, არაუადრეს ადრეყორღანული ხანისა.

ოთხწახნაგა ისრისპირი ფართოდ იყო გავრცელებული ევრაზიის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე, მათ შორის მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალზეც [ჯაფარიძე 1969, გვ. 168]. აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებზე ის ამ საფეხურზე ჩნდება და შემდგომაც განაგრძობს არსებობას. აქ აღმოჩენილი ისრისპირი მომცრო ზომისაა, წამახული თავ-ბოლოთი. მასში ორი ტიპი გამოიყოფა: დიფერენცირებულტანიანი, რომელსაც ყუნწი პირისაგან პატარა შესქელებით აქვს გამოყოფილი და არადიფერენცირებული ფორმისა – ერთმანეთისაგან გამოუყოფელი ყუნწითა და პირით. ძველაღმოსავლურ სამყაროში ეს უკანასკნელი უფრო ადრეულია [ჯაფარიძე 1969, გვ. 168]. წინააზიური იარაღის

მსგავსად აღმოსავლეთ საქართველოს ისრისპირების ადრეული ფორმებიც არადიფერენცირებულია. იგი ხიზანაანთგორის C ფენაში იჩენს თავს [კიკვიძე 1972] და ამ კულტურის ბოლომდე არსებობს. მას აგრეთვე ვხვდებით ოზნის „თიხატკეპნილ იატაკზე“ და ჰიდროსადგურის მოედანზე [Жоржикашвили, Гогадзе, ტაბ. 20, 25]; ცნობილია ის ქვაცხელას C ფენასა და ტყვიავის ყორღანშიც [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 27; მაკალათია, გვ. 30].



სურ. 42. 1. ამირანისგორა, 2. ხიზანაანთგორა, 3. ქვაცხელა, 4. ტყვიავი, 5. ბადაანი, 6. ბარალეთი, 7. სათხე, 8. ოზნი

II საფეხურზე ჩნდება ორვოლუტიანი საკინძის II ტიპი. განსხვავებით I ტიპის საკინძისაგან, მას ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში, უფრო შიდა ქართლის ძეგლებზე ვხვდებით [ჯაფარიძე 1976, გვ. 139]. იგი ცნობილია ქვაცხელას სამაროვნის ქვედა იარუსიდან (C_3 ფენის ხანა). მისი მსგავსია ურბნისის სამაროვნის ცალიც [ჭილაშვილი 1964]. ანალოგიური ფორმის საკიდია ძაღინას სამროვანზე, ქორეთში [ჯაფარიძე 1961, ტაბ. XVIII]. ამგვარ საკინძებს ვხვდებით ჩრდილო კავკასიაშიც – ნალჩიკში [ჯაფარიძე 1961, გვ. 208], ოსეთში – ზაგლი I სამაროვანზე [Ростунов 1988, გვ. 25, სურ. 19]. ჩანს, ეს საკინძები იქ საქართველოდან უნდა მოხვედრილიყო [Ростунов 1988].

ამ ტიპის საკინძის სპირალებს ხშირად უდარებენ მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის ორმაგ სპირალურ ორნამენტს, ხედავენ რა მათზე ცხვრის სქემატურ გამოსახულებას [ჭილაშვილი 1964, გვ. 22; Дедабришвили 1969, გვ. 38], რაც ამ საკინძის ადგილობრივი წარმომავლობის მაჩვენებელადაა მიჩნეული [Кушнарева, Чубинишвили გვ. 127]. არ უარვყოფთ რა ამ მოსაზრებას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს მსგავსება მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთი არეალის კერამიკას უფრო გულისხმობს, სადაც სპირალურმა ორნამენტმა ფართო გავრცელება ჰპოვა, მაგრამ უცნობი დარჩა მისთვის საკინძის ეს ტიპი – ვიდრე შიდა ქართლს – იმ კულტურულ წრეს, რომელშიც იგი ჩამოყალიბდა [ჯაფარიძე 1976, გვ. 139] და რომლის თანადროული კერამიკული ნაწარმისათვის მსგავსი ორნამენტი უცნობი დარჩა. რითი იყო განპირობებული ეს მოვლენა - სამხრეთული მეტალურგიული ცენტრების წარმოებაში დამკვიდრებული თავისებურებით, თუ შიდაქართლური კერამიკული ტრადიციების სიძლიერით – ძნელი სათქმელია.

ამავე საფეხურზე ჩნდება ლითონის მარყუჟისებრთავიანი საკინძი. მას ღეროზე შემოხვეული აქვს მავთული, რომლის თავი მარყუჟით ბოლოვდება [ჯაფარიძე 1961, გვ. 170]. ამგვარი საკინძი ფართოდ იყო გავრცელებული წინა აზიაში ძვ.წ. III ათასწ. I ნახევარში, ხოლო შემდეგ ევროპაში [Кушнарева, Чубинишвили, 1970, გვ. 128; ჯაფარიძე 1961, გვ. 170]. მისი ადრეული ეგზემპლარები ცნობილია სიალკ IV, ამუკ H, არსლან-თეფეს VIB ფენიდან, ტასკუნ-მევკიდან [Кушнарева, Чубинишвили, გვ. 128; ჯაფარიძე 1998, გვ. 161]. ეს საკინძი არაკავკასიური წარმოშობისადაა მიჩნეული [Кушнарева, Чубинишвили, გვ. 128].

ამგვარი საკინძი აღმოჩენილია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველოში იგი უფრო საჩხერის ყორღანებშია აღმოჩენილი [ჯაფარიძე 1961, გვ. 170], აღმოსავლეთ საქართველოში კი მას ვხვდებით ძაღინას სამაროვნის დასავლეთ უბანზე, ამირანის გორაზე და კორინთოს სამარხში [ჯაფარიძე 1998, გვ. 161]. საქართველოში აღმოჩენილი ამგვარი საკინძები ორ ტიპად შეიძლება დაიყოს. I ტიპში ერთიანდება საჩხერული მოზრდილი საკინ-

ძები, რომელთაც ღეროს ზედა ნაწილზე აქვს გამსხვილება ან ქოლგისებრი შესქელება. II ტიპში კი – აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ცალები. მათ არა აქვს ქოლგისებრი შესქელება, შედარებით მომცრო ზომისაა და ტექნიკურად უფრო არქაული ჩანს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ საჩხერის ამგვარი საკიძები ყორღანის ძირა სამარხებიდან მომდინარეობს, ზედაში კი ალარ გვხვდება [ჯაფარიძე, გვ. 170], ხოლო მათზე ადრეული იერის ძაღინას საკინძი ამ სამაროვნის უფრო ადრეულ – დასავლეთ უბანზეა აღმოჩენილი [ჯაფარიძე, გვ. 207]. ამდენად, შეიძლება დავუშვათ, რომ საჩხერულ საკინძებს პროტოტიპი აღმოსავლეთ საქართველოს ცალებში ეძებნება.[1]

ამ საფეხურზე კვლავ ვხვდებით ქვის სწორყუნწიან ისრისპირს. იგი ცნობილია ხიზანაანთ გორის C და B ფენებში, ქულბაქებზე, აბასთუმნის ყანობილის ნასახლარზე [ორჯონიკიძე 1983, გვ. 77]. გვხვდება როგორც ფრთადაშვებული, ისე სწორფრთიანი ცალები. ისინი I საფეხურის ამგვარივე ისრისპირებისაგან თითქმის არ განსხვავდება და მის განვითარებულ ვარიანტს წარმოადგენს. ამის პარალელურად ჩნდება უყუნწო ისრისპირიც, აღმოჩენილი აბასთუმანში, სვირში, ქულბაქებზე [ორჯონიკიძე 1983, ტაბ. 26; ჯაფარიძე 1961, გვ. 88, სურ. 19]. ამგვარივე, ოღონდ შედარებით უხეშად დამუშავებული იარაღები კარგადაა ცნობილი დასავლეთ საქართველოდან – თეთრამიწიდან [ნებიერიძე 1986, ტაბ. XVI], დაბლაგომიდან [ჯაფარიძე 1961, გვ. 89]. არის ის ჩრდილო კავკასიაშიც – სერ-ჟენ-იურტის ნასახლარზე [Мунчаев 1975, გვ. 339].

ამავე საფეხურზე პირველად იჩენს თავს ძვლის ბიპირამიდული ისრისპირი. იგი ძირითადად მსხვილფეხა საქონლის ლულოვანი ძვლისაგან დამზადებული იარაღია მრგვლად გათლილი პირითა და შედარებით მოკლე, ასეთივე წესით დამზადებული წვეტიანი ყუნწით. ამგვარი იარაღი მტკვარ-არაქსის კულტურაში მაინცდამაინც არ გავრცელებულა. საქართველოში მას უმთავრესად შიდა ქართლის ძეგლებზე ვხვდებით, მოგვიანებით კი ბედენურ ძეგლებზეც, განსაკუთრებით კახეთისა და ბედენის ყორღანულ სამარხებში [გობეჯიშვილი 1980, ტაბ. XI; Дедеабришвили 1979, ტაბ. XLII]. როგორც ჩანს, ბედენის ამგვარი ისრისპირები

---

[1] ამგვარივე საკინძის არსებობა ივარაუდება ქვაცხელას B ფენაშიც [სა, ტაბ. C].

თავის საწყისს ამ საფეხურის მტკვარ-არაქსული ძეგლების იარაღებიდან იღებს [Дедабришвили 1979, გვ. 67; მინდიაშვილი 1993, გვ. 7].

ძვლის ბიბირამიდალური ისრისპირი



სურ. 43. 1. ქვაცხელა, 2. მჭადიჯვარი, 3. ციხიაგორა, 4. მცხეთა, 5. ბადაანი

სტრატიგრაფიული მონაცემებით ჩანს, რომ ეს იარაღი ქვაცხელას C დონეზე ჩნდება და შემდგომაც, ამ ძეგლის ადრებრინჯაოს ხანის თითქმის ყველა ფენაში განაგრძობს არსებობას. ვარაუდობენ, რომ ამგვარი ისრისპირი უნდა დასდებოდა საფუძვლად ლითონის ოთხწახნაგა შუბისპირს [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 28; ქავთარაძე 1981, გვ. 96].

აღმოსავლეთ საქართველოს მტკვარ-არაქსულ ძეგლებზე ქვის ცული ნაკლებად გვხვდება [ჯიბლაძე 1992, გვ. 15]. ძირითადად ორი ტიპითაა წარმოდგენილი – ხვრელიანითა და უხვრელო სოლისებურით. მათი უმეტესობა შიდა ქართლშია აღმოჩენილი. ჭარბობს ხვრელიანი ტიპის ცული. სტრატიფიცირებულ ძეგლებზე ამგვარი ცული ხიზანაანთ გორის C ფენაში იჩენს თავს. იგი კირქვისაა, სამკუთხა ფორმის, ყუა მოტეხილი აქვს. დაწყებულია ახალი ხვრელის კეთება [კიკვიძე 1972, გვ. 21]. ხიზანაანთ გორაზე კიდევ ორი ცულია აღმოჩენილი. ერთი ცული, რომელიც გორის მუზეუმშია დაცული (ნადიმაშვილისეული), თეთრი ფერის რბილი ქვიშაქვისგანაა გაკეთებული. ზედა ნაწილში მას ორი მხრიდან

გაკეთებული კონუსური ხვრელი აქვს [Мунчаев 1961, გვ. 57]. აქვე აღმოჩენილი მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცული მესამე ცული რომბისებრი ფორმისაა, კარგად გაპრიალებული [Мунчаев 1961, გვ. 59].



სურ. 44. 1. აბასთუმანი, 2. ამირანისგორა, 3. სვირი, 4. ოჟორა, 5. რუსთავი, 6. თერეგვანი, 7. ხიზანაანთგორა, 8. ქვაცხელა, 9. ზღუდერი, 10. ცხინვალი, 11. ღართისკარი

ქვის ხვრელიანმა ცულმა განსაკუთრებით მყარად მოიკიდა ფეხი ევროპის ადრეულ კულტურებში. იგი ძალზე დამახასიათებელი ჩანს ჩრდილო კავკასიისა და სამხრეთ რუსეთისათვის [სა, გვ. 129]. ევროპისაგან განსხვავებით წინა აზიაში ამგვარი ცული მაინცდამაინც არ გავრცელდა [Куфтин 1944, გვ. 116]. იშვიათია ის ამიერკავკასიაშიც, სადაც მას ძირითადად მტკვარ-არაქსის კულტურის დასავლეთ არეალზე ვხვდებით [Археология 1994, გვ. 37]. აქ აღმოჩენილი ცულები აგებულებით, სატარის მოყვანილობით ერთმანეთთან გარკვეულ მსგავსებას ავლენს. ბორჯომის მუზეუმისა [სა, ტაბ. CV] და ოჟორას ეგზემპლარები უახლოვდება ქორეთის სამაროვანზე აღმოჩენილ ქვის ცულს; ასევე ფართო ტანითა და ვიწრო, დაფერდებული ყუით ახლო მსგავსება ჩანს სომხეთში აღმოჩენილ ქვის ცულებთანაც [Ханзадян 1967, ტაბ. VIII, IX; ჯიბლაძე 1992, გვ. 5]. სომხეთის – გენლიჯისა და შენგავითის ცულებთანაც შეიძლება საერთოს

დანახვა, მაგრამ ამ ცულებს უფრო ოვალური ფორმა აქვს [ჯაფარიძე 1961, გვ. 90]. ზოგიერთი ავტორი სომხეთის ქვის ცულებს ტიპოლოგიურად უფრო მცირე აზიურს უკავშირებს, ვიდრე საქართველოს ცალებს [Петросян, 1989, გვ. 21], რაც მთლად დამაჯერებლად არ გამოიყურება. სომხეთის ქვის ხვრელიანი ცულების ტიპოლოგიური სიახლოვე საქართველოს ცალებთან ადრევეა დანახული [ჯაფარიძე 1961, გვ. 90; Ханзадян, 1967 გვ. 106]. იგივეზე მიუთითებს მსგავსება ბორჯომის მუზეუმისა და სომხეთის სოფ. კეტის ცულებს შორის, რაც ჩანს დეტალებშიც: ორივე ცულს აქვს მოღუნული ტანი ზედა ნაწილში ხვრელით, რომელიც წინა მხრიდანაა შეჭრილი [სა, ტაბ. CV; Ханзадян, 1967 ტაბ. VIII]. ამ ნიშნებით ეს ცულები ემსგავსება ყუადაქანებული ტიპის ლითონის იმ ცულებს, რომლებიც ადგილობრივი მეტალურგიის ნაყოფად, მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში ჩამოყალიბებულ ნაწარმადაა მიჩნეული [ჯაფარიძე 1961, გვ. 91; Мартиросян, 1964 გვ. 26; ჯიბლაძე, 1992, გვ. 7].[1] ზოგი მკვლევარი ქვის ამგვარ ცულებს ლითონის ხსენებული ტიპის ცულების პროტოტიპად თვლის [Мартиросян, 1964 გვ. 27].

§ 3. **კერამიკა.** ამ საფეხურის თიხის ჭურჭელში წამყვანი უკვე ბიკონუსური ფორმა ჩანს. მართალია, კვლავ განაგრძობს არსებობას ადრე ცნობილი მომრგვალებულტანიანი თიხის ჭურჭელი, მაგრამ იგი უფრო გადმონაშთის სახით გვხვდება, ბიკონუსური ფორმა კი თანდათან იკავებს გაბატონებულ მდგომარეობას და დამახასიათებელი ხდება II საფეხურის თიხის ნაწარმისათვის. როგორც ჩანს, ეს ფორმა თავის საწყისს წინარე საფეხურზე იღებს, სადაც მის ჩანასახებს სხვადასხვა ტიპის ჭურჭელზე ვხვდებით. სტრატიგრაფიული მონაცემებით ბიკონუსური ჭურჭლის არსებობა მომრგვალელტანიანთან ერთად კარგად დგინდება კიკეთის სამაროვნის მოგვიანო კომპლექსებში [ფხაკაძე 1963, გვ. 108]. ანალოგიური სურათი ამგვარი ჭურჭლების თანაარსებობისა ჩანს სამშვილდის სამაროვანზეც [მირცხულავა 1975]. ზურგწიბოიანი ყური, რომელიც ამ საფეხურის ჭურჭლისათვის ასევე ძალზე დამახასიათებელი ხდება, თავს იჩენს დიდუბე-კიკეთის მოგვიანო ეტაპზე და შემდგომ განვითარებას აღწევს [ფხაკაძე 1963, გვ.

---

[1] ამიტომ მთლად მართებული არ უნდა იყოს მოსაზრება, რომელიც ამ კულტურის წრეში შემავალ ძეგლებზე აღმოჩენილ ყველა ხვრელიან, სოლისებრტანიან ქვის ცულს გარედან – ჩრდილო კავკასიის და სამხრეთ რუსეთის მხრიდან შემოსულად თვლის [ჯიბლაძე, 1992, გვ. 15].

83]. ამგვარი ყური – ნაკლებად ცნობილი დიდუბე კიკეთის ადრეული ძეგლის – ხიზანაანთ გორის E ფენისათვის, მეორე საფეხურზე, D ფენაში მრავლდება [კიკვიძე 1972, გვ. 74]. აღსანიშნავია ამ საფეხურის ჭურჭლის ორნამენტის მიდრეკილებაც ადრეული მასალის შემკობასთან: ორი წყვილი ირიბი რელიეფური ზოლებით ორნამენტირებულია დიდუბე-კიკეთის ჯგუფის კერამიკა სამშვილდიდან, ელარიდან და სხვ. ეს ორნამენტი მოგვიანებით, II-ე საფეხურის შემდგომ თითქმის მთლიანად ქრება [ჩუბინიშვილი, გვ. 77; ორჯონიკიძე 1983, გვ. 94]. ძველიდან წარმოებული ფორმების ახ.ლით შეცვლა შიდა ქართლის ძეგლებზეც კარგად გამოჩნდა. ცხინვალის მახლობლად შესწავლილი ქულბაქების ნამოსახლარზე, სადაც თითქოს ყველაზე ნათლად შეინიშნება ძველი ფორმებიდან ახალში გადაზრდა, აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი ჯერ კიდევ ემსგავსება დიდუბე-კიკეთის ჯგუფის კერამიკას, მაგრამ მასში უკვე შეინიშნება ბიკონუსური ჭურჭელიც, რომელიც დამახასიათებელი ხდება ამ საფეხურის ნაწარმისათვის [ჯაფარიძე 1976, გვ. 103].

ამ საფეხურის შიდაქართლური კერამიკა წარმოდგენილია ქოთნის, ბადიის, ხელადის და სხვა ტიპის ჭურჭლით, რომელსაც აერთიანებს მეტ-ნაკლებად მსგავსი ფორმა – გადაშლილი პირი, ერთმანეთთან შერწყმული ძლიერ გამოყვანილი ყელი და მხარი, მხრების მკვეთრი, თითქმის საფეხურიანი გადასვლა მუცელზე და ბრტყელი ან ოდნავშედრეკილი, ვიწრო ძირი [კიკვიძე 1972, გვ. 72]. ეს ნიშნები ძლიერ დამახასიათებელია შიდა ქართლის ლოკალური ვარიანტის ჭურჭლისათვის და მის გარეთ ნაკლებად ვრცელდება [ჯაფარიძე 1961, გვ. 45; კიკვიძე 1972, გვ. 73].

შიდა ქართლის ლოკალური ვარიანტის ერთ-ერთ წამყვან და დამახასიათებელ ჭურჭლად მიჩნეულია სამყურა ქოთანი [კიკვიძე 1972, გვ. 67]. ქულბაქებზე აღმოჩენილი ამგვარი ჭურჭელი მეტ-ნაკლებად გამოხატული მუცლით, კონუსური ყელითა და ოდნავგადაშლილი პირით ხასიათდება. ყურები მას მუცლის ზედა ნაწილზე აქვს მიძერწილი, რითაც სიახლოვეს ამჟღავნებს წინარე საფეხურის ამგვარივე ჭურჭელთან. ხიზანაანთგორის C დონეზე უკვე ბიკონუსურ ფორმას იღებს. ყურები მას მუცლის ცენტრში ყველაზე გაბერილ ადგილას ასხია. ტანის აგებულებით, ყურების მიძერწვის მანერით ეს ჭურჭელი ქულბაქე-

ბის ცალებთან შედარებით უფრო განვითარებულია ისევე, როგორც ოზნის სამყურა, რომელიც ფორმით ექცევა დიდუბე-ხიზანაათნ გორის E დონესა და C დონის სამყურა ჭურჭელს შორის [კიკვიძე 1972, გვ. 62]. პირველ ორთან მას აერთიანებს მაღალი ცილინდრული ყელი, ხოლო C დონესთან ბიკონუსური ტანი და მაღალი ყურები. C დონეზე იგი ბიკონუსურ ფორმას იღებს, ხოლო მის დასრულებულ სახეს B დონის ურბნისის სამაროვნისა და ქვაცხელას ჭურჭლები წარმოადგენს [კიკვიძე 1972, გვ. 64].

აღსანიშნავია, რომ ოზნის და ქვაცხელას C ფენის ზოგი სამყურა ჭურჭელი მოხატულია წითელი და შავი ფერებით, რომლითაც გადმოცემულია გეომეტრიული მოტივები, ირმის გამოსახულება და სხვა [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 57]. მოხატული კერამიკის არსებობით შიდა ქართლისა და თრიალეთის ეს ძეგლები თავისებურებას ავლენს [სა, გვ. 85]. მტკვარ-არაქსის კულტურისათვის შელებილი ჭურჭელი უცხო არაა. მას ადრეულ საფეხურზევე ხშირად ვხვდებით [ფხაკაძე 1963, გვ. 107]. მაგრამ ჭურჭლის მოხატვა, შეიძლება ითქვას, ამ საფეხურზე იწყება. ოზნისა და ქვაცხელას C ფენის ეს ჭურჭელი წარმოადგენს პირველ მოხატულ კერამიკას აღმოსავლეთ საქართველოს მტკვარ-არაქსის კულტურაში.

სამყურა ჭურჭელთან ერთად ხშირად გვხვდება ხელადაც, რომელიც ფორმით ყოველთვის იმეორებს მას [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 30; კიკვიძე 1972, გვ. 67]. ქულბაქების ხელადა მომრგვალებული მუცლითა და ზემოთ შევიწროებული, კონუსური ყელით განსხვავდება ამავე საფეხურის შედარებით მოგვიანო ძეგლების ბიკონუსურტანიანი ანალოგიური ჭურჭლისაგან, სადაც ეს ფორმა სამყურა ქოთნის მსგავსად თანდათან ყალიბდება [კიკვიძე 1972, გვ. 66] და ქვაცხელას C დონეზე, შიდა ქართლის სხვა ძეგლებისაგან განსხვავებით, უკვე ორნამენტული ცალებითაცაა წარმოდგენილი [ჯავახიშვილი, ღლონტი, ტაბ. IV].

შიდაქართლურ ქოთანს და კათხასაც აქვს ზარისებრი ფორმა და ყელსა და კორპუსის ზედა ნაწილზე ან პირსა და კორპუსის ზედა ნაწილზე მიძერწილი ზურგწიბოიანი ყური. მსგავსი ჭურჭელი მრავლადაა ხიზანაანთგორაზე, ურბნისის სამაროვანზე, ოზნის ჰიდროსადგურის მოედანზე, ძაღინაზე, ნულში, ამირანის გორის ზოგიერთ ადრეულ სამარხში.

შიდა ქართლისათვის დამახასიათებელია ასევე გადაშლილპირიანი და მუ-ცელწიბოიანი ბადიები. ეს ნიშნები უფრო მკვეთრად ქვაცხელას C ფენის ჭურ-ჭელზე ჩანს [ჯაფარიძე 1961, გვ. 63]. ამგვარი ბადია ძირითადად შიდა ქართლშია გავრცელებული, ამ რეგიონის ლოკალური ვარიანტის ერთ-ერთ დამახასიათებელ ჭურჭელს წარმოადგენს და მის სამხრეთით თითქმის არ ვრცელდება [ჯაფარიძე 1961, გვ. 45]. აღსანიშნავია, რომ იგი არც სამცხე-ჯავახეთიდანაა მაინცდამაინც ცნობილი, სადაც შიდაქართლური ვარიანტის კვალი თიხის სხვა სახის ჭურჭ-ლით კარგად შეინიშნება. ამირანის გორის ბიკონუსური ფორმის თიხის ჭურჭელ-ში ზოგადად ორი ჯგუფი გამოიყოფა: ერთი, შიდაქართლურის მსგავს ნაწარმს შეიცავს – აქვს ზარისებრი ფორმა, ხოლო მეორეს – განსხვავებით შიდაქართ-ლურისაგან – აქვს ფართო ცილინდრული ყელი, რომელიც გარდატეხის წიბურით გადადის კორპუსზე.

უკანასკნელი ფორმა კარგადაა წარმოდგენილი ამირანის გორის ადრეულ მასალაში, აბასთუმანში, ახალქალაქის ამირანის გორაზე და სხვ. [ორჯონიკიძე 1983, ტაბ. 18; ჯანდიერი 1969, ტაბ. X_1]. იგი უახლოეს პარალელებს პოულობს ოზნის ქვაყუთებისა და ბეშთაშენის საკულტო კერასთან აღმოჩენილ კერამიკულ ნაწარმთან, რომელიც ზოგი ნიშნით დიდუბე-კიკეთის რიგის ძეგლებს უახლოვდება [Куфтин 1941, გვ. 115], თუმცა მასზე აშკარად განვითარებული იერისაა [ჯაფარიძე 1961, გვ.71]. მსგავსება ჩანს ოზნის თიხატკეპნილი იატაკიდან და ჰიდროსადგურის მოედნიდან მომდინარე თიხის ჭურჭელთან, რომელთაგან ზოგი შემკულია რელიეფური სათვალისებრი სპირალებით. მიუხედავად მსგავსე-ბისა, სამცხე-ჯავახეთისა და თრიალეთის ამ მასალას შორის გარკვეული სხვაო-ბაც ჩანს: ამირანის გორის ჭურჭლისაგან განსხვავებით ოზნის ცალებს შვერი-ლები გაცილებით დაბლა აქვს გამოყვანილი და არც ფოსოები და ირიბი ზოლები გააჩნია [ორჯონიკიძე 1983, გვ. 49]. ორნამენტის ეს სახე წინარე საფეხურის მასალისათვისაც იყო დამახასიათებელი, განსაკუთრებით ქვემო ქართლში, სადაც მას ვხვდებით კიკეთში [ფხაკაძე 1963, გვ. 111], სამშვილდეში [მირცხულავა 1975, ტაბ. 16,4]. ამგვარივე ორნამენტი ცნობილია ზაგლიკიდან [Куфтин 1944, ტაბ.

22₄], ელარის ადრეული მასალიდან [Куфтин 1944, სურ. 56], ჩრდილო-დასავლეთ სომხეთის ადრეული ხანის ძეგლებიდან [Петросян, ტაბ. 30-31]. შიდაქართლური კერამიკისათვის შემკობის ეს სახე თითქმის უცნობია [ჯაფარიძე 1961, გვ. 61]. სამცხე-ჯავახეთსა და თრიალეთის ამ ჯგუფის ნაწარმს შორის არსებული სხვაობის მიუხედავად,[1] მათ შორის გაცილებით მეტი მსგავსებაა, ვიდრე შიდა ქართლის ზარისებრი ფორმის ჭურჭელთან, რომლისთვისაც რელიეფური ორნამენტი იშვიათობას წარმოადგენს და არც ფოსოებით შემკობა გავრცელებულა მაინცდამაინც [ორჯონიკიძე 1983, გვ. 50; ჯაფარიძე 1961, გვ. 61].[2]

სამხრეთ საქართველოს ეს ძეგლები სიახლოვეს იჩენს აღმოსავლეთი ანატოლიის, განსაკუთრებით ქარაზის ქვედა ფენის მასალასთან, სადაც მსგავსი ფორმის ჭურჭლებზე მოცემულია ქვემო ქართლში ჩამოყალიბებული რელიეფური სპირალური ორნამენტის ვარიაციები, რელიეფური გეომეტრიული სახეები, ფოსოები და სხვ. [Кушнарева, Чубинишвили, გვ. 140]. მსგავსი ფორმის ჭურჭელია ურმიისპირეთშიც – გეოი-თეფეს K_1 ფენაში [ჯაფარიძე 1976, გვ. 155].

II საფეხურის ნაწარმში გამოირჩევა აბასთუმნის ყანობილის კერამიკა, რომელშიც მტკვარ-არაქსულის გვერდით გვხვდება იმერეთის გამოქვაბულების მსგავსი კერამიკაც [Пхакадзе и др. 1982, გვ. 20]. ძირითადად ფრაგმენტულად წარმოდგენილი ეს ნაწარმი რუხი და მოვარდისფროა, აქვს მოგლუვებული უსწორმასწორო ზედაპირი, გადაშლილი პირი და გამობერილ კორპუსზე თანდათანობით გადასული გამოყვანილი ყელი. აქვეა ერთი თხელკედლა, სრულტანიანი, წითლადშეღებილი ჭურჭელიც, რომელიც პარალელებს პოულობს დასავლეთ საქართველოს გამოქვაბულებისა და მაიკოპის კულტურის მასალებში [კალანდაძე, გვ. 374].

---

[1] თუ არ ჩავთლით სათვალისებრი სპირალური ორნამენტით შემკულ ჭურჭელს ჯავახეთიდან [Чубинишвили и др. 1954, სურ. 3, 5], სამცხე-ჯავახეთისათვის სპირალური ორნამენტის ეს სახე უცნობია [ორჯონიკიძე 1983, გვ. 101].

[2] ა. საგონა თვლის, რომ ზველისა და აბასთუმნის თიხის ჭურჭელი მიეკუთნება მტკვარ-არაქსის კულტურის არა ადრეულ, არამედ მეორე საფეხურს [Sagona 1984, გვ. 107]. უნდა ითქვას, რომ ზველის ჭურჭლის ასაკი პარალელური მასალის საფუძველზე გვაქვს განსაზღვრული [ორჯონიკიძე 1983, გვ. 92], აბასთუმნის ცალიც ასევე, II-ე საფეხურის დროით [ორჯონიკიძე 1983, გვ. 51, 117], როგორც ამას ავტორიც მიიჩნევს [Sagona 1984, გვ. 107].

როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოს გამოქვაბულების ზედა ჰორიზონტებში ადგილობრივი კერამიკის გვერდით, რომელიც მასალის უდიდეს ნაწილს შეადგენს, გვხვდება მტკვარ-არაქსული და მაიკოპური ტიპის ნაწარმიც [ნებიერიძე 1986, გვ. 90; ფხაკაძე 1993, გვ. 44]. ამ უკანასკნელის გამოჩენას წინააზიურ გავლენებს უკავშირებენ და თვლიან, რომ ეს გავლენები ჩრდილოკავკასიისკენ ამიერკავკასიის გზით გავრცელდა, რასაც აბასთუმნის წითელპრიალა, სფერულტანიანი ჭურჭელიც უნდა მოწმობდეს [ფხაკაძე 1993, გვ. 44, 50]. არ ვეხებით რა მაიკოპის კულტურის წარმოშობის მეტად რთულ საკითხს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დასავლეთ საქართველოში ძვ.წ. III ათასწ. დასაწყისში ან უფრო ადრეც მტკვარ-არაქსის კულტურის მომძლავრებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნება – მოსახლეობა ტოვებს მღვიმეებს (სადაც დასავლეთ საქართველოს და მაიკოპის ტიპის კერამიკაა წარმოდგენილი) და საცხოვრებლად გადადის ღია ადგილებში [ფხაკაძე 1993, გვ. 34]. ეს ის დროა, როცა მტკვარ-არაქსის კულტურაში უკვე დამკვიდრებულია შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი კერამიკა, რომელიც აბასთუმნის ნასახლარისთვისაცაა დამახასიათებელი და განსაზღვრავს კიდეც მის ასაკს II საფეხურის ხანით [Пхакадзе и др. 1982, გვ. 21; ორჯონიკიძე 1983, გვ. 98].

თავის დროზე ეს ნასახლარი შულავერ-შომუ თეფეს ტიპის ძეგლებთან იქნა დაახლოებული და ძვ.წ. V ათასწ. ბოლოთი და IV ათასწ. დათარიღებული [Каландадзе 1973, გვ. 10]. ზოგი სავსებით სამართლიანად ხედავს აქ დასავლეთ საქართველოს კულტურას, მაგრამ ვერ ამჩნევს სხვა კულტურის ნიშნებს და ძეგლს ერთგვაროვნად თვლის, მთლიანად აქცევს რა მას დასავლეთ ამიერკავკასიის მღვიმეების ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კულტურაში [ნებიერიძე 1986, გვ. 157], რაც ასევე გაუმართლებელია მასზე მტკვარ-არაქსული ნაწარმის არსებობის გამო. აბასთუმნის ყანობილის ნასახლარის მაგალითზე ო. ჯაფარიძის აზრით მესხეთის ეს ნაწილი დასავლეთ საქართველოს კულტურის ძლიერ გავლენას განიცდის [ჯაფარიძე 1991, გვ. 156]. უნდა ითქვას, რომ მტკვარ-არაქსულ კულტურასთან კავშირი იმთავითვე იქნა აღნიშნული აბასთუმნის ნასახლარის გეგმარებისა და არქიტექტურის თავისებურებისა და კერამიკის ორნამენტის საფუძველზე [Каландадзе 1973, გვ. 10; კალანდაძე 1976, გვ. 371-

390]. შემდეგში ეს ნასახლარი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურათა საკონტაქტო ძეგლად იქნა განსაზღვრული [Пхакадзе и др. 1982]. დასავლეთ საქართველოს გზით მიგვაჩნია დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი კერამიკისა და მაიკოპური ტიპის ჭურჭელის გამოჩენა სამცხის ამ რაიონში [ორჯონიკიძე 1983, გვ. 98]. შეიძლება ითქვას, რომ ეს პირველი შემთხვევაა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის მასალის შემცველი ნასახლარის გამოვლენისა.[1]

II საფეხურზე უკვე გაბატონებული მდგომარეობა უკავია წინარე საფეხურზე დადასტურებულ მრგვალ, შვერილიან კერას. ეს განსაკუთრებით შიდა ქართლის მიმართ ითქმის, სადაც მას ვხვდებით ხიზანაანთ გორის D-B ფენებში ქვაცხელას C დონეზე. იგი ცნობილია ამ რეგიონის სიღრმეშიც – ცხინვალის მიდამოებში გათხრილ ძეგლებზეც [ჯაფარიძე 1961, გვ. 21]. არის ის თრიალეთშიც – ოზნსა და ბეშთაშენში [Жоржикашвили, Гогадзе, გვ. 31, 33, 44].

რამდენადმე განსხვავებული სურათია ამირანის გორაზე. აქ ქვედაფენაში ამგვარი კერის არსებობა მართალია დადასტურებულია [ჩუბინიშვილი 1963, გვ. 82; ორჯონიკიძე 1983, გვ. 63], მაგრამ ნაკლებად, რის გამოც ამ ძეგლს გამოარჩევენ ხსენებული ნასახლარებიდან და უახლოვებენ ქიულ-თეფეს, მალაქლუს, გეოთეფეს და სხვ. [ჩუბინიშვილი 1963, გვ. 65].

ოზნის ჰიდროსადგურის მოედანზე აღმოჩნდა მრგვალი-შუაგულამოღებული კერაც, მსგავსი ამირანის გორისა და ზველის მოგვიანო ცალებისა [Куфтин 1947, ტაბ. 42].

ამ საფეხურზე კერასთანაა დაკავშირებული ხიზანაანთგორისა და ქვაცხელას C ფენაში აღმოჩენილი მასიურფეხიანი სადგრები [კიკვიძე 1972, გვ. 51; ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 32], რომლის უახლოეს ანალოგებს ვხვდებით ჩრდილო კავკასიაში – შაუ-ლეგეტისა და სერჟენ-იურტის მასალებში. ისინი რქიან სადგარს უნდა წარმოადგენდეს [Мунчаев 1975, სურ. 78]. ჩნდება ახალი –

[1] თუ არ ჩავთვლით ხიზანაანთ გორის E ფენის ნაწარმს [კიკვიძე 1972, გვ. 91], რომლის დასავლეთ საქართველოდან წარმომავლობა სამეცნიერო ლიტერატურაში მაინცდამაინც არაა გაზიარებული [ჯაფარიძე 1976, გვ. 106].

უზანგისებრი ტიპის სადგარიც, რომელიც მხოლოდ ქვაცხელას C_1 ფენაშია აღმოჩენილი [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 32] და შემდგომ აღარ გვხვდება.

აღსანიშნავია კიდევ ერთი – კოჭისებრი სადგარიც. სტრატიფიცირებული ძეგლებიდან მას ვხვდებით ხიზანაანთგორისა და ქვაცხელას C ფენებში, თუმცა აქ აღმოჩენილი სადგარები რამდენადმე თავისებურია და გამოირჩევა სისქოთი და პატარა სიმაღლით [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 27; კიკვიძე, გვ. 51], რითაც განსხვავდება თრიალეთსა და სამცხეში აღმოჩენილი ცალებისაგან [Жоржикашвили, Гогадзе, ტაბ. 25; Гамбашидзе и др. 1980, გვ. 82]. ქვაცხელას C ფენაშია კოჭისებრი სადგარი, რომელსაც სიმაღლეზე მთლიანად გახვრეტილი ტანი აქვს [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. გვ. 32]. ნახვრეტი აქვს დატანილი ბეშთაშენში ციხესთან გათხრილ ნასახლარისა და ახალქალაქის მუზეუში დაცულ (ინვ. № 3913), სოფ. პატარა ხორენიაში ნაპოვნ სადგრებსაც. თუმცა, ამ სადგრებს ნახვრეტი ტანის შუა ნაწილში, სიგანეზე აქვს გაკეთებული. ამგვარი სადგრები, ზოგჯერ შუაზე ნახვრეტით, ცნობილია ჩრდილო კავკასიაში სერჟენ იურტის ნასახლარიდან [Мунчаев 1975, გვ. 342, სურ. 78], დაღესტნიდან [Гаджиев 1991, იხ. სქემა]. ცნობილია იგი ლუგოვოს ნასახლარიდანაც, სადაც ის ოთხწახნაგა, პირამიდული ტიპის სადგართან ერთადაა აღმოჩენილი [Мунчаев 1961, გვ. 124, სურ. 44]. ამ უკანასკნელს ჩვენში ნაკლებად ვხვდებით. იგი უფრო სომხეთის ძეგლებზეა აღმოჩენილი [Хачатрян, სურ. 32; Петросян, ტაბ. 14_7].

მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ნაწარმში გარკვეული ადგილი უკავია დამოუკიდებელ ანტროპომორფულ ფიგურას. იგი მკვეთრად განსხვავდება როგორც კავკასიის წინარე ეპოქის, ისე ჩრდილო მესოპოტამიისა და ირანის ადრებრინჯაოს ხანის ფიგურებისაგან. განსხვავებაა ფიგურების დაყენებაში, აგებულებასა და დამუშავების მანერაში. სამაგიეროდ, შეიმჩნევა სიახლოვე ძვ.წ. III ათასწ. შუმერულ ქანდაკებებთან ქვაცხელას C ფენის ქანდაკებების ტანსაცმლისა და თავსაბურავის ზოგი დეტალის მსგავსებით [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 33; ჯავახიშვილი გ. 1984, გვ. 40]. შუმერულთან, განსაკუთრებით კი ლაგაშის ძვ.წ. III ათასწ. შუა ხანების ქანდაკებას ემსგავსება ციხიაგორის A ფენის ქანდაკებაც მომრგვალებული ტანით, მკერდზე დაკრეფილი ხელებით და ზოგი სხვა დეტალით [Всемирная история, т. I, 1956, გვ. 198]. მაგრამ განსაკუთრებულ სიახ-

ლოვეს ადრებრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიური ფიგურები მცირე აზია – აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ფიგურებთან იჩენს, რასაც კულტურულ-ეკონომიკური და ეთნიკური პროცესებით ხსნიან [ჯავახიშვილი გ. 1984, გვ. 40].



სურ. 45. თიხის ანტროპომორფული ფიგურები.
1-4. ქვაცხელა, 5. საკოჭავი, 6. ხიზანაანთგორა, 7. ციხიაგორა, 8. ისპანი

დამოუკიდებელი ანტროპომორფული ფიგურა აღმოსავლეთ საქართველოში ამ საფეხურზე იჩენს თავს. უმრავლესობა ქვაცხელას C_1 ფენაშია აღმოჩენილი. მასალის სიმცირე აძნელებს ამ ფიგურების ტიპოლოგიურ დანაწევრებას, მაგრამ ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ეს ფიგურები ძირითადად ფეხზე მდგარ ადამიანის გამოსახულებას წარმოადგენს, რომელშიც განირჩევა მამაკაცი. ეს ფიგურები პრიმიტიულია, ტანი განივკვეთში მომრგვალებული ან ელიფსურია, ფეხები იშვიათად აქვს გამოსახული. მკლავები არადიფერენცირებულია და უმთავრესად განზეა გაზიდული. ზოგჯერ ტანიდან ოდნავგამოყოფილ თავზე შეინიშნება თავსაბური. თვალები ფოსოებით აქვს გამოსახული, ცხვირი – რელიეფით. ქვაცხელას ფიგურები ყველა ერთი ტიპისაა და გამოხატავს გრძელი კაბით შემოსილ მამაკაცს. ისინი მარტივადაა ნაძერწი, ნაკლებად დიფერენცი-

რებული და ოდნავ კონუსური მოყვანილობა აქვთ. თავი და ტანი სუსტადაა ერთმანეთისაგან გამოყოფილი. მკლავები მოკლეა და რუდიმენტულ წანაზარდს მოგვაგონებს. ერთი ფიგურის თავსაბურავი თუ ვარცხნილობა წყვილი კვანძით თავდება. მოკლე ჭდეებით სქემატურად გამოსახულია ტანსაცმელი [ჯავახიშვილი გ. 1984, გვ. 36].

ხიზანაანთგორის B ფენის ანტროპომორფული ფიგურა გამოსახავს მჯდომარე მამაკაცს, ჩავარდნილი მკერდითა და გამობერილი მუცლით. მარცხენა ხელი იდაყვშია მოხრილი და წინ გაშვერილი, მარჯვენა აკლია. სხვა ფიგურებისაგან განსხვავებით აქვს ფეხები. სახე ირიბად აქვს წაკვეთილი. ზედ გამოსახულია თვალები და ცხვირი. ფეხებსშუა აქვს ფალოსი. მტკვარ-არაქსის კულტურის ხანის კიდევ ერთი ანტროპომორფული ფიგურა განზე გაზიდული მკლავებითა და ფეხებით აღმოჩნდა ბორჯომის რაიონის სოფ. საკოჭავზეც [ღამბაშიძე, ტატიშვილი 1982, ტაბ. XI_{15}].

თიხის ანტროპომორფული ფიგურა დასავლეთ საქართველოშიც – ისპანის ნასახლარზეცაა აღმოჩენილი. მას აქვს მომრგვალებული ტანი, განზე გაზიდული, სქემატურად გამოსახული მკლავები და წაწვეტებული თავი, რომელზეც პირი და თვალებია დატანილი [Микеладзе и др. 1976]. ამ ნიშნებით ეს ფიგურა ემსგავსება მტკვარ-არაქსულ ცალებს და აშკარად ავლენს ამ კულტურის ფიგურებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. რამდენადმე განსხვავებულია საგვარჯილეს ქანდაკება, რომელსაც მკერდზე ზონარი ჩამოუყვება. იგი ახლო პარალელებს პოულობს მაიკოპის კულტურის პლასტიკაში და უკავშირდება ხმელთაშუაზღვისპირეთის, წინა და მცირე აზიის ქანდაკებების ტიპს [ნებიერიძე 1999, გვ. 11].

ქვაცხელა-ხიზანაანთგორის ანტროპომორფულ ფიგურებს რამდენადმე უახლოვდება სომხეთის ფიგურები შენგავითიდან, მოხრა-ბლურიდან, არიჭიდან, რომლებიც, თავის მხრივ, სიახლოვეს ამჟღავნებენ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის პლასტიკასთან [Хачатрян, გვ. 76; ჯავახიშვილი გ. 1984, გვ. 40]. თუმცა, ზოგი ამ ფიგურებს უფრო ანატოლიურ ცალებს უდარებს [Антонова, Есаян, 1988, გვ. 219-237]. სომხეთის ფიგურებს უახლოვდება დაღესტანში – კატარაგაჯ-თეფეს ცალი [Мунчаев 1961, გვ. 134, სურ. 46]. მრგვალ-ბრტყელი თავი და მოზრდილი რელიეფური *ცხვრ*ის ქვაცხელას C ფენის ზოგ ქანდაკებასთან აახ-

ლოვებს [ჯავახიშვილი გ. 1984, ტაბ. VI$_{Ბ}$]. უნდა ითქვას, რომ საქართველოში აღმოჩენილი ანტროპომორფული ფიგურები სომხეთის ფიგურებისაგან განსხვავებით ძირითადად მამაკაცის გამოსახულებას წარმოადგენს.

* * *

როგორც ცნობილია, ამ პერიოდში იშლება მტკვარ-არაქსის კულტურის ერთიანი ხასიათი და იწყება მისი ფართოდ განფენა კავკასიასა და მის ფარგლებს გარეთ [ჯაფარიძე 1976, გვ. 96]. დიდ ტერიტორიაზე, სხვადასხვა ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოში გავრცელებამ განაპირობა ამ კულტურის ცალკეული ლოკალური ვარიანტების წარმოშობა, რის შედეგადაც იმდენად მკვეთრად გამიჯნული კულტურული ტრადიციები ყალიბდება, განსვავებები ისეთ მასშტაბებში ვლინდება, რომ ზოგჯერ მათ ცალკე კულტურებადაც კი განიხილავენ [კიკვიძე 1972, გვ. 92].

თავისებურად წარიმართა მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების პროცესი აღმოსავლეთ საქართველოშიც, სადაც ამ კულტურის მძლავრი კერა იქმნება. აქ არსებული კულტურის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ო. ჯაფარიძის აზრით საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება ვარიანტი, რომლის ძირითადი ცენტრი შიდა ქართლი უნდა ყოფილიყო [ჯაფარიძე 1991, გვ. 110]. მისთვის დამახასიათებელია ოთხკუთხა ფორმის წნულ-თიხალესილი შენობა ბანური გადახურვით და ზარისებრი მოყვანილობის, უმეტესად უორნამენტო თიხის ჭურჭელი, რომელიც შიდაქართლური წრის გარდა სხვაგან ნაკლებად ჩანს გავრცელებული [ჯაფარიძე 1976, გვ. 102; ჯაფარიძე 1991, გვ. 121]. შიდა ქართლიდანვე ივარაუდება მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელება სამხრეთ საქართველოს მთიანეთში – თრიალეთსა და სამცხე-ჯავახეთში, რაზეც კერამიკის გარდა მეტალის ნივთების მსგავსებაც მიუთითებს [ჯაფარიძე 1976, გვ. 105, 113]. უფრო ადრე, ოზნის მასალაში ჯაფარიძე გამოყოფდა კიკეთის მსგავს კერამიკას აქვე აღმოჩენილი შიდაქართლური ტიპის ნაწარმისაგან და ამ მაღალმთიანი ზოლის ათვისებას უკავშირებდა დიდუბე-კიკეთის კერამიკის მწარმოებელ ტომებს [ჯაფარიძე 1961, გვ. 72].

ტ. ჩუბინიშვილი ცალკე ლოკალურ წრეში აქცევს შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილს, ხოლო უფრო ფართო ლოკალურ წრეში აერთიანებს მესხეთ-ჯავახეთს, ქვემო ქართლს, თრიალეთს, შიდა ქართლის აღმოსავლეთ ნაწილსა და კახეთს. აქაური კერამიკა, მისი აზრით, ინარჩუნებს ადრებრინჯაოს ხანის საწყისი პერიოდისათვის დამახასიათებელ ფორმებს [სინ, 1970, გვ. 167]. ამირანის გორის კერამიკული ნაწარმის განხილვისას იგი აღნიშნავს რა დიდ სიახლოვეს შიდა ქართლის თიხის ჭურჭელთან, ამავე დროს ამჩნევს მსგავსებას ამიერკავკასიის სამხრეთით მდებარე ოლქების -- აღმოსავლეთ ანატოლიის, არაქსის ხეობისა და ვანის ტბის მიდამოების კერამიკულ ფორმებთანაც [ჩუბინიშვილი 1963, გვ. 75].[1]

ზოგი, სამცხე-ჯავახეთის ამ პერიოდის კერამიკულ მასალაში გამოყოფს რა შიდაქართლურ და განსხვავებულ – თრიალეთურ, ქვემოქართლურ და ჩრდილოაღმოსავლეთ ანატოლიის ძეგლების მსგავს თიხის ნაწარმს, ასკვნის, რომ სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე ხდებოდა ამ ოლქების კერამიკული ტრადიციების თანაარსებობა და შერწყმა, რაც საცხოვრებელ ნაგებობებსა და სამარხთა ტიპებშიც აისახა [ორჯონიკიძე 1983, გვ. 96].

ბოლო ხანებში ამიერკავკასიის ამ პერიოდის მტკვარ-არაქსის კულტურის საკითხებს შეეხო ა. საგონაც. მისი აზრით, ამ საფეხურზე ამიერკავკაკსიაში სამი ლოკალური ვარიანტი ყალიბდება: შიდა ქართლის, წალკის და არარატის ველის. აქედან აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელდა პირველი ორი [Sagona 1984, გვ. 99]. ის აღნიშნავს, რომ შიდა ქართლური ვარიანტის გავრცელება ხდება ცენტრალურ-აღმოსავლეთ ანატოლიაში, რაც მსგავსი შენობების აღმოჩენის საფუძველზეა ძირითადად გამოთქმული.[2] წალკის ვარიანტში იგი აქცევს ოზნს, ბეშთაშენს, ქარაზის I ფაზას, კიკეთს (პჩელინასეული). ჭურჭელი ხასიათდება ბიკონუსური ტანით, ცილინდრული ყელით და რელსისებრი პირით. ქარაზის სპირალურ ორნამენტს საქართველოს ძეგლებიდან ყველაზე მეტად ამირანის გორის

---

[1] ამირანის გორის ნასახლარის მასალას იგი ქვაცხელას C ფენის, გეოი-თეფესა და ქარაზის აღრეული ფენების თანადროულად თვლის [ჩუბინიშვილი, გვ. 80], რაც არაა გამართლებული ამ კომპლექსების თიხის ჭურჭელთა ფორმებში მკვეთრი სხვაობის გამო: ამირანის გორის ნასახლარის თიხის ჭურჭელი სამნაწილადტანიანია, ხოლო ჩამოთვლილი ძეგლების ქვედა ფენები კი ადრეულ – ბიკონუსურ ფორმებს შეიცავს [ორჯონიკიძე 1983, გვ. 96, 117].

[2] ავტორი აღნიშნავს წნულ-თიხალესილი შენობების არსებობას სამცხე-ჯავახეთში, რისთვისაც არასწორად იმოწმებს ჩვენს ნაშრომს [Sagona 1984, გვ. 107].

შემკობას უდარებს. ამ ტრადიციის არსებობას ამჩნევს აღმოსავლეთ ანატოლიის, ირანისა და არარტის ველის ზოგიერთ ძეგლებზეც [Sagona 1984, გვ. 100].

ქვემო ქართლსა და იორ-ალაზნის აუზში ამ ხანის ძეგლები ნაკლებადაა გამოვლენილი. ერთი მოსაზრების თანახმად, ამ მხარეების მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა სამი საფეხურის გამოყოფისა და განვითარების ერთგვაროვანი მიმდინარეობის დანახვის საშუალებას იძლევა [სა, გვ. 77]. თუმცა, უფრო გავრცელებულია ის აზრი, რომლის მიხედვითაც იორ-ალაზნის აუზის კერამიკა შიდაქართლურ კულტურულ წრეში შედის [კიკვიძე 1972, გვ. 92]. შიდა ქართლთან კულტურული სიახლოვე გარდა თიხის ჭურჭლისა, ჩანს სხვა მონაცემებითაც [Дедабришвили 1970, გვ. 15]. თუმცა, იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს კულტურა იორ-ალაზნის აუზში სუსტადაა გამოვლენილი და შესწავლილი. კახეთში აღმოჩენილი ძეგლები, მსგავსად ქვემო ქართლის ველისა, მიეკუთვნება უფრო ამ კულტურის საწყის ეტაპს, ან მის დასასრულ ხანას [კიკვიძე, 1976, გვ. 57; ჯაფარიძე 1976, გვ. 114].

როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთ საქართველოში მტკვარ-არაქსის კულტურის შიდაქართლური ვარიანტის არსებობას თითქმის ყველა მკვლევარი აღნიშნავს.

ამ ვარიანტის გავრცელების არეალი არ შემოიფარგლება მხოლოდ შიდა ქართლით, სადაც ამ ხანის ძეგლები ყველაზე სრულყოფილადაა გამოვლენილი და შესწავლილი. მისთვის დამახასიათებელ ელემენტებს, რაც განსაკუთრებით ნათლად ვლინდება არქიტექტურასა და კერამიკულ მასალაში, ამ რეგიონის მიმდებარე მხარეებშიც ვხვდებით. ამ კულტურის სხვა ვარიანტების მოძალების მიუხედავად, იგი მომდევნო საფეხურზეც არ წყვეტს არსებობას, რაც მისი სიძლიერის მაჩვენებელი უნდა იყოს.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ვარიანტთან მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული მთელი რიგი სიახლეებისა თუ კულტურული მიღწევებისა. ამ მხრივ აღსანიშნავია ამ საფეხურზე მეტალურგიული წარმოების დაწინაურება და ლითონის პირველი იარაღის გამოჩენა. ხიზანაანთგორის D ფენაში და ამირანის გორის ადრეულ სამარხებში, სადაც შიდაქართლური კერამიკის არსებობა ეჭვგარეშეა, აღმოჩენილი ყუნწიანი სატევრისპირები ყველაზე ადრეული ჩანს მტკვარ-არაქსის კულტურაში და სათავეს უდებს ამიერკავკასიაში გავრცელებულ

ამგვარივე პრიმიტიული იარაღის დიდ ჯგუფს [გოგაძე, გვ. 31; ჯაფარიძე 1961, გვ. 154]. ამავე კულტურულ წრეს უკავშირდება ლითონის ზოგიერთი ტიპის საკინძი [ჯაფარიძე 1976, გვ. 139] და ძვლისაგან დამზადებული უძველესი ბიპირამიდალური ისრისპირი, რომელიც ძირითადად ამავე ტერიტორიაზე განაგრძობს შემდგომაც არსებობას და ზოგიერთი მოსაზრების თანახმად წარმოადგენს ლითონის ხიშტის პროტოტიპს [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 28; ქავთარაძე 1981, გვ. 26]. ხიზანაანთგორის მაგალითზე [კიკვიძე 1972, გვ. 21] ჩანს, რომ აქვე ჩნდება ამ კულტურაში ქვის უძველესი ხვრელიანი ცული. ამავე საფეხურის შიდაქართლურ კულტურულ წრესთანაა ძირითადად დაკავშირებული მტკვარ-არაქსის კულტურისათვის იშვიათი მოხატული ჭურჭლის გამოჩენა და შემდგომი განვითარება [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 36; ჯაფარიძე გვ. 65]. აქვე, II საფეხურზე ვხვდებით მტკვარ-არაქსის კულტურაში ერთ-ერთ უძველეს თიხის ანტროპომორფულ დამოუკიდებელ ქანდაკებებს, რომელთა არაერთ საინტერესო ეგზემპლარს ვხედავთ ქვაცხელას C ფენაში [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 24, 27].

§ 4. **ნაგებობათა და სამარხთა ტიპები.** შიდა ქართლშია მიკვლეული ამ საფეხურის უადრესი შენობებიც. ხიზანაანთ გორის D ფენაში აღმოჩენილი შენობები სარ-ლასტითაა ნაგები და მრგვალი ფორმისაა. ეს შენობები წინარე საფეხურის არქიტექტურულ ტრადიციებს აგრძელებს. მრგვალი ფორმის შენობას აქვე C ფენაშიცვხვდებით, მაგრამ წამყვანი უკვე ე.წ. სტანდარტული ტიპის ოთხკუთხა, კუთხეებმომრგვალებული ნაგებობა ხდება [სა, გვ. 82-83]. ამგვარივე შენობებია ქვაცხელას C ფენაში, ქულბაქებზე. მსგავსი შენობის არსებობა ივარაუდება თრიალეთშიც – ოზნის ნამოსახლარზე და სხვ. ამ დროიდან მოკიდებული იგი შიდა ქართლური წრისათვის ნაგებობების დამახასიათებელი ტიპი ხდება და აქ მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლომდე განაგრძობს არსებობას [ჯაფარიძე 1976, გვ. 102; კიკვიძე 1972, გვ. 46].

ოთხკუთხა ფორმის შენობები შიდა ქართლს გარდა სამცხე-ჯავახეთშიცაა აღმოჩენილი, მაგრამ ისინი ნაგებია განსხვავებულ სამშენებლო მასალით – ქვით. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი შენობები ფორმით ემსგავსება შიდაქართლურ

შენობებს, იგი უფრო უახლოვდება აღმოსავლეთ ანატოლიის სინქრონულ ნასახლართა ქვის ოთხკუთხა ნაგებობებს [Мунчаев 1976, გვ. 172; ორჯონიკიძე 1983, გვ. 32; Джавахишвили 1973, გვ. 172]. ასეთი შენობები აღმოჩენილია აბასთუმნის ყანობილზეც, ახალციხის ამირანის გორის ქვედა ფენაში, ახალქალაქის ამირანის გორაზე [კალანდაძე 1976, გვ. 373; ჩუბინიშვილი 1963, გვ. 14; ორჯონიკიძე 1983, გვ. 117]. იგი დამახასიათებელი ხდება შემდგომი ხანის ნასახლარებისათვის სამცხე-ჯავახეთში, სადაც მრგვალი ფორმის ნაგებობა, განსხვავებით საქართველოს სხვა რეგიონებისაგან, უცნობი დარჩა ადრებრინჯაოს ხანის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ამ საფეხურზე მიცვალებულის დასაკრძალავად კვლავ გამოიყენება წინა საფეხურზე ცნობილი სამარხის ოთხივე ტიპი: ორმოსამარხი, აკლდამა, ქვაყუთი და ყორღანი.

ორმოსამარხები უმთავრესად შიდა ქართლშია დადასტურებული. მას ვხვდებით ძაღინაზე, ურბნისში, ქვაცხელაზე, ნულში [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 23; ჭილაშვილი 1964, გვ. 9; ჯაფარიძე 1961, გვ. 204, 210]. ამავე საფეხურს უნდა ეკუთვნოდეს ხაშურის ნაცარგორასთან გათხრილი ორმოსამარხებიც [Рамишвили 1991, ტაბ. 39; Рамишвили 1995, ტაბ. 36]. არაა გამორიცხული, რომ ეს სამარხები დროით შეესაბამებოდეს აქვე, ნასახლარზე გათხრილ უძველეს მტკვარარაქსულ ფენებს.

რამდენიმე ყორღანი გაითხარა სოფ. ტყვიავთან. მათი ასაკი ძვ.წ. III ათასწ. შუახანებით განისაზღვრა [მაკალათია 1943]. შემდგომ ამ ყორღანების ასაკი რამდენადმე გაახალგაზრდავდა [Дедабришвили 1979, გვ. 59]. მაგრამ აქ აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი, რომელიც ახლოს დგას ხიზანაანთ გორის D [კიკვიძე 1972, ტაბ. XX] და ქვაცხელა C_1 ფენის ჭურჭელთან [ჯავახიშვილი, ღლონტი, ტაბ. IV] არ უნდა იძლეოდეს ამის საფუძველს, ისევე, როგორც ქვაცხელას C ფენის ხანის სატევრისპირის ზუსტი შესატყვისი იარაღი ტყვიავის № 2 ყორღანიდან [მაკალათია 1943, ტაბ. XII]. აღნიშნულის გამო გამართლებულად მიგვაჩნია ამ ყორღანების დათარიღება ძვ.წ. III ათასწ. პირველი ნახევრით [Кушнарева, Чубинишвили, გვ. 76; Дедабришвили 1979, გვ. 58].

რაც შეეხება აკლდამას, მას უფრო სამხრეთ საქართველოში ვხვდებით, სადაც ამგვარი ტიპის სამარხს ადგილობრივი ადრეული ტრადიციები გააჩნია, განსაკუთრებით ქვემო ქართლში [ფხაკაძე 1963; მირცხულავა 1975]. ამ საფეხურზე აკლდამის ტიპის სამარხი ცნობილია არდასუბნიდან [თუშიშვილი 1972, გვ. 11], ამირანის გორიდან [ჩუბინიშვილი 1963, გვ. 37]. ბოლო ხანებში იგი შიდა ქართლშიც აღმოჩნდა [გაგოშიძე 1998, გვ. 14-15]. არის კახეთშიც, სადაც ის ცნობილია ხირსიდან [ფიცხელაური 1965, გვ. 32; სა, გვ. 176]. როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს ამ მხარეებში ამ ტიპის სამარხის არსებობა ქვემო ქართლის ტრადიციების გაგრძელებას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ამ საფეხურის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში აკლდამის ტიპის სამარხის აგების ტრადიცია წყდება.

ქვაყუთები ძირითადად სამცხე-ჯავახეთსა და თრიალეთშია გავრცელებული. საქართველოს სხვა მხარეებში ამგვარი სამარხი თითქმის არ ჩანს. თრიალეთში მას ვხვდებით ოზნიში [Жоржикашвили, Гогадзе, გვ. 9], სამცხე-ჯავახეთში – ამირანის გორაზე [ჩუბინიშვილი 1963], ახალქალაქსა [ჯანდიერი 1969] და აბასთუმანში [ორჯონიკიძე 1983, გვ. 24]. იგი ასევე გავრცელებულია სომხეთსა და აღმოსავლეთ ანატოლიაში [ორჯონიკიძე 1983, გვ. 33]. შეიძლება დავუშვათ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის დიდუბე-კიკეთის პერიოდში ჩამოყალიბებული ქვის სამარხების აგების ტრადიცია აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადად სამხრეთ საქართველოს მთიანეთში გრძელდება.

მაგრამ ადრეული ტრადიციის არსებობა მხოლოდ აღნიშნულით არ ამოიწურება. დიდუბე-კიკეთის რიგის ძეგლებთან კავშირს ასევე ავლენს კერამიკული ნაწარმი. როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ დროისთვის ყალიბდება კერამიკული წარმოების ორი დიდი წრე. ერთი მოიცავს შიდა ქართლსა და მიმდებარე მხარეებს, მეორე კი სამხრეთ საქართველოს მთიანეთსა და სამხრეთიდან მიმდებარე ზოგიერთ ოლქს [ორჯონიკიძე 1983, გვ. 95-96; Sagona 1984, გვ. 99]. ორივე ჯგუფის კერამიკა წარმოადგენს რა დიდუბე-კიკეთის კერამიკის განვითარებულ ვარიანტს, აგრძელებს ადრეულ ტრადიციებს: შიდაქართლური თიხის ჭურჭელი ძირითადად უორნამენტოა ან გრაფიკული ორნამენტით შემკული ისევე, როგორც აქვე, I საფეხურზე გავრცელებული თიხის ჭურჭელი.

რელიეფური ორნამენტი, განსაკუთრებით სპირალი, მისთვის კვლავ უცხო დარჩა [ჯაფარიძე 1961] ისევე, როგორც წყვილი ირიბი ზოლები, ფოსოები, კოპები და სხვ [ორჯონიკიძე 1983, გვ. 55]. სამაგიეროდ, ამგვარი შემკობა დამახასიათებელია კერამიკის მეორე ჯგუფისათვის, რომელსაც სამხრეთ საქართველოს წინარე საფეხურის მოგვიანო ეტაპის ჭურჭლის მსგავსად მკვეთრად დიფერენცირებულტანიანი ბიკონუსური ფორმა აქვს და მეტ სიახლოვეს პოულობს ამავე რეგიონის ადრეულ ნაწარმთან, ვიდრე შიდა ქართლური ნაწარმი [ჯაფარიძე 1961, გვ. 62; ფხაკაძე, გვ. 91; ორჯონიკიძე 1983, გვ. 50].

მტკვარ-არაქსის კულტურის ერთიანობის დაშლის შემდგომ წარმოქმნილი ლოკალური ვარიანტებიდან შიდა ქართლური სხვაგან ნაკლებად ვრცელდება და ძირითადად საქართველოს ტერიტორიას იკავებს, მათ შორის სამხრეთ საქართველოს მთიანეთსაც [ჯაფარიძე 1976, გვ. 110]. აღსანიშნავია შიდაქართლური ვარიანტის სპორადული გამოჩენა აღმოსავლეთ ანატოლიაშიც [Sagona 1984, გვ. 73].

გაცილებით ფართოდ ვრცელდება სამხრეთით მეორე ვარიანტი („წალკის"). მას ვხვდებით აღმოსავლეთ ანატოლიაში, სადაც ის ამ საფეხურზე ვრცელდება ამიერკავკასიასთან მიმდებარე მხარეში [ჯაფარიძე 1976, გვ. 153]. მის აშკარა კვალს აღნიშნავენ ქარაზის ნასახლარის უძველესი მტკვარ-არაქსული ფენის თიხის ნაწარმში, რომელსაც უდარებენ ამირანის გორის ქვედა ფენის თიხის ჭურჭელს [ჩუბინიშვილი 1963, გვ. 75; ჯაფარიძე 1961, გვ. 147; Кавтарадзе, გვ. 87]. ამირანის გორის ეს კერამიკა კი თავის მხრივ მჭიდროდ უკავშირდება ბეშთაშენის, ოზნის, ჩრდილო-დასავლეთ სომხეთის [Петросян, ტაბ. 30-31] სინქრონულ ბიკონუსური ფორმის ნაწარმს. ამიტომ, მოსაზრება აღმოსავლეთ ანატოლიაში მტკვარ-არაქსის კულტურის თავდაპირველი გამოჩენის შესახებ ამიერკავკასიის მხრიდან [ჯაფარიძე 1976, გვ. 153; Кавтарадзе 1983, გვ. 87], სწორედ ამ რაიონებს უნდა გულისხმობდეს. აღმოსავლეთ ანატოლიაში გავრცელებული ეს კულტურა პირველ რიგში უკავშირდება სამხრეთ საქართველოს მთიანეთსა და სომხეთის მთიანეთის მოსაზღვრე რეგიონს, საიდანაც საფიქრებელია ვრცელდება ის სამხრეთით.[1] ანატოლიაში შეღწევამდე ამ ნაწარმს გარკვეული ტრანს-

---

[1] როგორც ჩანს, ამავე („წალკის") ვარიანტს უნდა დაუკავშირდეს დაბლაგომის რელიეფური ორნამენტითა და ფოსოებით შემკული ადრეული ხანის კერამიკული ნაწარმიც, რომლის შიდრეკილება სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ძეგლების თიხის ჭურჭელთან კარგადაა შენიშ-

ფორმაცია უნდა განეცადა უმთავრესად ორნამენტის თვალსაზრისით, თუმცა ძირითადში კვლავ შეინარჩუნა ის ძირითადი ელემენტები, რაც ამიერკავკასიის ამ პერიოდის თიხის ჭურჭელს ახასიათებს – რელიეფური სპირალური ორნამენტი, ზოლები, ფოსოები და სხვ.



სურ. 46. მტკვარ-არაქსის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში. II საფეხური

რაც შეეხება საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ორი კულტურული წრის ურთიერთობის საკითხს, ჩანს, რომ ისინი ვითარდება პარალელური, მაგრამ ერთმანეთისაგან არა იზოლირებული გზით, ერთი – შიდა ქართლში, მეორე – სამხრეთ საქართველოს მთიანეთში. ორივე ჯგუფი ჩანს აგრძელებს ამავე რეგიონებში ჩამოყალიბებული ორნამენტის ტრადიციებს. ამასთან, თუ სამხრეთ საქარ-

ნული [Куфтин 1941, გვ. 115; ფხაკაძე 1996, გვ. 57-59]. ამდენად, დაბლაგომი, მტკვარ-არაქსის კულტურის დასავლეთით გავრცელების უკიდურესი ზღვარი [ჯაფარიძე 1976, გვ. 109], წარმოგვიდგება როგორც ამ ვარიანტის დასავლეთით გავრცელების უკიდურეს პუნქტადაც.

თველოსთვის დამახასიათებელ თიხის ჭურჭელს შიდაქართლური ვარიანტის გავრცელების ძირითად არეალზე ნაკლებად ვხვდებით, სამხრეთ საქართველოს მთიანეთში შიდა ქართლური ნაწარმი უფრია გავრცელებული. მათ შორის მჭიდრო ურთიერთობის არსებობა აქ კარგად ჩანს არა მხოლოდ ორივე ვარიანტისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ერთად აღმოჩენის ხშირი შემთხვევებით, არამედ კერამიკული ფორმებისა და ორნამენტის შერწყმითაც [ორჯონიკიძე 1983, გვ. 96]. ამდენად, სამხრეთ საქართველოს მთიანეთი – სამცხე-ჯავახეთი და თრიალეთი წარმოგვიდგება როგორც შიდაქართლური და სამხრეთული კერამიკული ტრადიციების ძირითადი საკონტაქტო ზონა [ორჯონიკიძე 1983, გვ. 96], ხოლო ამავე რეგიონის უკიდურესი დასავლეთი ნაწილი – აბასთუმანი კი მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურათა შეხვედრის ამსახველი მხარეა [Пхакадзе и др. 1983].

თავი III

მტკვარ-არაქსის კულტურის III საფეხური

§ 1. **ძეგლები.** III საფეხურზე აღმოსავლეთ საქართველოს მტკვარ-არაქსის კულტურაში მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნება. მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სულ უფრო მზარდი როლის პირობებში მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად იზრდება. მსხვილდება უკვე არსებული და ჩნდება ახალი სამოსახლოები. სეგმენტაციის პროცესის გაძლიერებასთან დაკავშირებით იწყება ახალ-ახალი ტერიტორიების ათვისება. დიდი აღმავლობა შეინიშნება ხელოსნობის, განსაკუთრებით — მეტალურგიის განვითარებაში, რომლის დაწინაურებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძველაღმოსავლურ სამყაროსთან ურთიერთობის გაზრდამ. ამ ურთიერთობამ და ადგილობრივი მეტალურგიის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების არსებობამ ამ დარგის სწრაფი წინსვლა განაპირობა. ჩნდება ლითონის მთელი რიგი ახალი ნივთები, რომლებიც თავის საწყისს წინააზიურ სამყაროში იღებს. ამის პარალელურად ყალიბდება ადგილობრივი ფორმებიც [ჯაფარიძე 1976, გვ. 109].

აღმოსავლეთ საქართველოში ამ დროისათვის აღინიშნება მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთული ნაკადის, განსაკუთრებით — არარატის ველისათვის დამახასიათებელი ვარიანტის მომძლავრება [ჯაფარიძე 1976, გვ. 113-114]. ეს ვარიანტი, მართალია, სამხრეთის მიმართულებით უფრო ვრცელდება, მაგრამ მისი გავლენის ქვეშ ექცევა საქართველოს გარკვეული ნაწილიც, რაც აისახა თიხის ჭურჭელში სამნაწილადი ფორმებისა და ჩაღარვა—ამობურცვით შესრულებული გართულებული სპირალური ორნამენტის გამოჩენით. მიუხედავად ამისა, არსებობას განაგრძობს ადგილობრივად ჩამოყალიბებული ტრადიციებიც, რომლებიც ჯერ კიდევ იმდენად მძლავრია, რომ რეგიონის კულტურა მთელი რიგი ელემენტებით ძირითადად კვლავ ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ სახეს [ჯაფარიძე 1976, გვ. 142; ორჯონიკიძე 1983, გვ. 52].

ამ საფეხურის ძეგლებს მიეკუთვნება: ამირანის გორის ნასახლარი, თეთრიწყაროს B ფენა, ქვაცხელას და ციხიაგორას B დონეები, ოზნისა და ბეშთაშენის

მოგვიანო კომპლექსები, ორწყლების ნამოსახლარი, მეტეხი, მჭადიჯვრის გორის ზოგიერთი კომპლექსი, სათხეს ნამოსახლარი, არადეთის სამარხები, ჟინვალის ორმოების ადრეული ჯგუფი. ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ. III ათასწ. პირველი ნახევრის ბოლო საუკუნეებისა და ამავე ათასწლეულის შუა ხანებს მოიცავს.

ციხიაგორა მდებარეობს კასპის რაიონში, სოფ. კავთისხევთან. იგი მრავალფენიანი ძეგლია, რომლის ქვედა დონეები ადრებრინჯაოს ხანას მიეკუთვნება.

ამ ფენების შენობები სარ-ლასტითაა ნაგები და ორმხრივ შელესილი თიხით. ვარაუდობენ, რომ შენობები ნასახლარზე უბნებად იყო განლაგებული. აქ გათხრილი შენობები წარმოადგენს დიდ, 70 კვ მეტრამდე ფართის ოროთახიან ნაგებობებს, მოგრძო, კუთხებმომრგვალებული, ორმხრივშელესილი კედლებით, ბრტყელი გადახურვით, ოთახის ცენტრში საყრდენი სვეტით და მის წინ, იატაკში ჩალესილი მრგვალი შვერილიანი კერით.



სურ. 47. ციხიაგორა B_2

მოპოვებული მასალის უმეტეს ნაწილს კერამიკა წარმოადგენს, რომელშიც შიდაქართლური ვარიანტისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი ჭარბობს – პირფართო, ორყურა და ცალყურა ქოთნები, ვიწროყელიანი, ცალყურა ქოთნები, მაღალი და დაბალი ბადიები, წელში გამოყვანილი სასმისები და სხვ. აქვე შეინიშნება არარატის ველისათვის დამახასიათებელი სამნაწილადტანიანი, ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭლის არსებობა, რომელიც B2 ფენაში უკვე წამყვანი ტიპი ხდება. ამას გარდა, არის მარტყოფული ეტაპისათვის დასახასიათებელი თიხის ჭურჭელიც [მახარაძე 1984].

ახალციხის ამირანის გორა ქ. ახალციხესთან, მტკვრის მარცხენა შენაკადის — ფოცხოვის ნაპირას მდებარეობს. ამ საფეხურის ძეგლები უმთავრესად ნასახლარზეა აღმოჩენილი, რომელიც მის ქვეშ მოქცეულ სამაროვნის თავზეა გაშენებული. აქ, 10° დახრილობის ფერდზე, დაახლოებით 25 მ სიგრძის, 7-10 მ სიგანისა და 1-1,35 მ სიმაღლის 10 ხელოვნური ტერასა გამოვლინდა. თითოეული მათგანი ერთიმეორის გვერდით განლაგებული სახლების მწკრივს შეიცავს, ასე რომ, მთლიანად ნასახლარზე 180-ზე მეტი შენობის არსებობა ივარაუდება, რომელთა ცენტრში 120 m^2 ფართობის ქვით შემოზღუდული საქონლის სადგომი თუ სხვა დანიშნულების მოედანი იყო მოწყობილი. 2,5 მ სიმაღლისა და 20-54 m^2 ფართის მქონე, რიყისა და კლდის ქვით თიხის ხსნარზე ან მშრალი წყობით ნაგები შენობები თითო ოთხკუთხა ოთახს შეიცავს, ზოგჯერ სწორკუთხა მინაშენით. შენობები საგანგებოდ ჩაჭრილ გრუნტს ემყარება და ფასადით სამხრეთით ან სამხრეთ-აღმოსავლეთითაა მიმართული. ფასადისაკენ ოდნავ დაქანებული, თიხალესილი იატაკის ცენტრში თიხის კერაა გამართული. ზოგ შენობაში არის ღუმელი. ზოგში უკანა კედელთან ტახტისებრი შემაღლებაა, არის ნიშაც. თიხალესილი ბანური გადახურვა 3-4 მეტრიან ხის ძელებს უნდა დაყრდნობოდა. ივარაუდება, რომ შენობის ზედა ნაწილები ალიზითა და ხით იგებოდა. ზოგჯერ შენობის იატაკქვეშ ან კედლის გადაღმა ჩვილთა სამარხებია გამართული.



სურ. 48. ახალციხის ამირანისგორა

ნასახლარის თანადროული უნდა იყოს გორის თხემზე აღმოჩენილი სამსხვერპლოც. აქაც ტერასულად ნაგები ქვის სწორკუთხა რამოდენიმე შენობის ნაშთი გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთ შემთხვევაში ნაგებობის ცენტრში საცხოვრებელი სახლისათვის ჩვეული კერა იქნა აღმოჩენილი, აქ გათხრილი ნაგებობები საკულტო-სარიტუალო დანიშნულებისადაა მიჩნეული, რასაც მოწმობს სქელი ნაცროვანი ფენა, ცხოველთა დამწვარი ძვლები და საგანგებოდ შემკული ჭურჭელი [ჩუბინიშვილი 1963].



სურ. 49. ოკამი

ოკამის წითელი გორა ახალქალაქის რაიონში მდებარეობს. პემზის მოპოვებისას აქ შემთხვევით გამოვლინდა ქვაყუთები, რომლებშიც რამდენიმე შავი და ლეგაპრიალა სამნაწილადი ჭურჭელი აღმოჩნდა. აღსანიშნავია ერთი ბადია, რომელიც ზედხედში ოვალურია [ორჯონიკიძე 1983, გვ. 28].

ოზნი. აქ მდინარისპირა ტერასაზე გამოვლინდა ნახევარწრიულად განლაგებული, ცერად დაყენებული ქვის ფილებისაგან შექმნილი საძირკველი, რომელიც, შესაძლოა, კონუსური ფორმის ხის ნაგებობას ეკუთვნოდა. მის მახლობლად მრგვალი, შვერილიანი კერის ფრაგმენტები აღმოჩნდა. ამ ნაგებობას და კერას ბ. კუფტინი უახლოვებს შენგავითის შენობებსა და კერებს, ხოლო მტკვარ-არაქსის კულტურის მრგვალ შენობებს აკუთვნებს ზემო მესოპოტამიურ-ხმელთაშუაზღვისპირეთის კულტურულ წრეს, გამოყოფს რა მას ირანულ-სამხრეთ მესოპოტამური წრისაგან, სადაც მრგვალი შენობები არ ჩანს.

ნაგებობის შიგნით აღმოჩენილი მასალიდან აღსანიშნავია სადგარი შუაში ნახვრეტით, გვერდებშედრეკილი ჭურჭლის ფრაგმენტები, ცრუყური, ჩაღარულ-ამობურცული სპირალური ორნამენტით შემკული ფრაგმენტი და კაჟისა და ობსიდიანის იარაღები [Куфтин 1948, გვ. 26-30].

სათხეს გორანამოსახლარი ნინოწმინდის რაიონშია, სოფ. სათხეს ტერიტორიაზე. ნასახლარს უკავია ნალისებრი ფორმის გორის თხემი და სამხრეთი

ფერდები. აქ გამოვლენილი შენობები ქვისაა, ოთხკუთხა ფორმის, რომელთაც ბანური გადახურვა უნდა ჰქონოდა. შენობები ტერასულადაა განლაგებული.



სურ. 50. სათხე

არქეოლოგიური მასალის უმრავლესობა კერამიკული ნაწარმია. ესაა შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი და მოვარდისფრო პრიალა სხვადასხვა ზომის დერგის, ქოთნის, კათხის, ჯამის და სხვა ტიპის ჭურჭელი, შემკული უმთავრესად ნაკაწრითა და ამოღარვით გამოყვანილი სახეებით. აქვეა თიხის კოჭისებრი სადგარი, მრგვალი, შუაგულამოღარული კერის ფრაგმენტები, კაჟის ნამგლისპირები, სანაყები, ხელსაფქვავები და სხვ. ნასახლარზე აღმოჩნდა ბრინჯაოს ცალგვერდდაბრტყელებული ოთხწახნაგა ისრისპირიც.

ნასახლარის მახლობლად გაითხარა ერთი ყორღანიც. იგი ორ მეტრამდე სიმაღლისა იყო, გეგმაში ოვალური. დასაკრძალავი კამერა ნაგები იყო ფლეთილი ქვის წყობით, რომლის სიღრმე 1,5 მ აღწევდა. იგი გადახურული იყო დიდი ზომის ქვებით. ყორღანი გაძარცული იყო. მასში აღმოჩნდა ბრინჯაოს, ქვისა და პასტის მძივ-სამკაული [Pearce და სხვ. 1992].

ქვაცხელას B დონეზე გაითხარა 15 შენობა, თითქმის ზუსტი ასლი ქვედა – C დონის შენობებისა. როგორც ჩანს, არ იცვლება ნასახლარის გეგმარებაც ქვაცხელას ნამოსახლარის არსებობის მთელ მანძილზე.



სურ. 51. ქვაცხელა B



სურ. 52. ქვაცხელა B

სახლები განლაგებულია მეტ-ნაკლებად სწორ მწკრივებად ერთმანეთთან ახლოს და დაჯგუფებულია ჰატარა მოედნებისა და გასასვლელების გარშემო. სახლები ოთხკუთხაა, წაგრძელებული, მომრგვალებული კუთხეებით. ნაგებობა, როგორც ჩანს, შედგება ორი ნაწილისაგან — თითქმის კვადრატული ოთახისა და მისგან კედლით გამოყოფილი, ფასადისაკენ გაგრძელებული შესასვლელი დერეფნით. ოთახი საცხოვრებელია, დერეფანს კი სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა. ოთახში შესასვლელი კედლის ცენტრშია მოქცეული. ხშირად ოთახის უკანა კედელთან გამართულია მცირე შემაღლება. ოთახის ცენტრში სტაციონარული მრგვალი, შვერილებიანი კერაა; მის უკან რიყის ქვებით მოგებულ ორმოში იდგა ოთხკუთხა ბოძი, რომელსაც სახურავი ეკავა. სახლებს აგებდნენ წინასწარ მომზადებულ, მოსწორებულ ჰორიზონტალურ მოედანზე, განსაკუთრებული ფუნდამენტის გარეშე. კედლები იგებოდა ან ალიზის აგურით ერთ რიგად, ან დაწნული თიხალესილი კარკასით. იატაკი თიხით იყო მოლესილი, ამასთან არაერთხელ და კარგად მოპრიალებული. ქვემოდან იგი გამაგრებული იყო რიყის ქვის საფუძვლით. კედლებისა და იატაკის გარკვეული ნაწილები და შემაღლებების კიდეები წითლად იყო მოხატული ოქრით. სახურავში გაკეთებული უნდა ყოფილიყო საკვამური, საიდანაც სინათლეც უნდა შემოსულიყო.

ქვაცხელას მახლობლად გამოვლინდა B დონის შესაბამისი სამაროვანი. აქ აღმოჩნდა ქვაყრილიანი ორმოსამარხები. ცუდი დაცულობის გამო ვერ მოხერხდა დაკრძალვის წესისა და სამარხთა დამხრობის ზუსტი განსაზღვრა. სამარხეული

ინვენტარი წარმოდგენილია შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი კერამიკით, ლითონის ნივთებითა და ქვის მძივებით [ჯავახიშვილი, ღლონტი].

ჟინვალის ნამოსახლარზე გათხრილია სხვადასხვა ზომისა და ფორმის არქეოლოგიური მასალის შემცველი ორმო. აქვე დადასტურდა ორმოში დასაფლავების შემთხვევაც.



სურ. 53. ჟინვალი

ორმოებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის უმრავლესობა თიხის ნაწარმითაა წარმოდგენილი. სქელკეციანი, უხეშად ნაკეთები ჭურჭლის გვერდით არის თხელკეციანი, ნატიფი ჭურჭელიც. თიხის ჭურჭლის ნაწილი შემკულია ამოკაწრული, ამოღარული, რელიეფური ორნამენტით, ნაწილი კი – მოხატულია. არაკერამიკული ნაწარმიდან აღსანიშნავია ლითონის, ქვისა და ძვლის იარაღები.

თიხის ჭურჭლიდან აღსანიშნავია ცხოველის რელიეფურგამოსახულებიანი დერგები, რომელთაც საკულტო დანიშნულებისად თვლიან. აქვეა აღმოჩენილი სხვადასხვა ტიპის ღრუქუსლიანი ვაზები, რომელთაც ძეგლის გამთხრელი კირბეტ-კერაკის წრის ანალოგიურ ნაწარმს უახლოვებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მოხატული ჭურჭელი. მოხატვის ძირითადი მოტივია გეომეტრიული სახეები, ცხოველთა სტილიზებული და სვასტიკის მაგვარი გამოსახულებანი. ამ უკანასკნელით მოხატულია ის ჭურჭელი, რომელსაც ავტორი თრიალეთის ადრეული ყორღანების მასალებს უახლოვებს. ერთ-ერთ ორმოში აღმოჩენილი წითელსაღებავიანი ჭურჭლის საფუძველზე ფიქრობენ, რომ მოხატვა ადგილობრივ ხდებოდა. აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი პარალელებს

პოულობს როგორც ამიერ, ისე ჩრდილოკავკასიურ მასალებში. ჟინვალში გათხრილ ამ ძეგლს საკულტო დანიშნულებისად თვლიან. აღნიშნულ ორმოებში ამას გარდა აღმოჩენილია ლითონის სამაჯურები, სატეხი, ხიშტი, რომელთა უახლოეს ანალოგებად საჩხერის მასალაა მიჩნეული.

აქვე აღმოჩენილი ლასტის ანაბეჭდიანი შელესილობის ფრაგმენტები მცირე დიამეტრის მქონე თოლოსების არსებობაზე მიუთითებს.

ჟინვალის ნასახლარი თარიღდება ძვ.წ. III ათასწ. შუა ხანებითა და მომდევნო საუკუნეებით. ამდენად, იგი ექცევა III და IV საფეხურების ფარგლებში [Глонти 1984, გვ. 33-39; ღლონტი 1996, გვ. 15-18].

არადეთის სამარხები მიკვლეულ იქნა ქარელის რაიონში, არადეთის ჩრდილო გორის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. აქ გაითხარა ადრებრინჯაოს ხანის 13 ორმოსამარხი, დაკრძალვის ინდივიდუალური და კოლექტიური წესით.

სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს შავი და ვარდისფერზედაპირიანი ჭურჭელი, ბრინჯაოს, პასტის, ქვის მძივები, ბრინჯაოსა და ვერცხლის ხვიები, ანთიმონის ვოლუტებიანი საკიდი, კაჟის ისრისპირი და სხვ. ეს მასალა ახლო პარალელებს პოულობს ქვაცხელა-ხიზანაანთ გორის C და B ფენების მასალებში, რის საფუძველზეც გამთხრელები სამაროვანს ძვ.წ. III ათასწ. შუა ხანებით ათარიღებენ [გაგოშიძე, ქორიძე, გოგიჩაიშვილი 1986].

ორწყლების ნასახლარი დმანისის რაიონის სოფ. განთიადთან მდებარეობს. ეს ნასახლარი ნაწილობრივ დაზიანებული აღმოჩნდა მოგვიანო ხანაში გამართული ნაგებობების აგებისას, რის გამოც ნაგებობები არ შემონახულა. მოხერხდა მხოლოდ ერთი წრიული შენობის ნაშთის გამოვლენა. იგი დიდი ზომის ქვებითაა ნაგები, რომლის გარე მხარე შემოსაზღვრული იყო მიწაში ვერტიკალურად ჩარჭობილი ტუფის ფილებით. ამ ნაგებობას უდარებენ ოზნისას, ყორანთას და საერთოდ, ქვემო ქართლის ქვის საძირკველზე ნაგებ შენობებს. განსხვავებას ქვემო და შიდა ქართლის შენობათა აგებაში ავტორი ხედავს ლოკალურ თავისებურებებს ამ ორ რეგიონს შორის. პარალელებად დასახელებული სხვადასხვა პერიოდის ძეგლებიდან ყველაზე მოგვიანოს თეთრიწყაროს ნასახლარის B ფენის მასალა წარმოადგენს, რაც საშუალებას იძლევა ძეგლი III საფეხურისად მივიჩნიოთ. ამასვე უნდა ადასტურებდეს ნასახლარის დანარჩენი ფართობიდან მოპოვებული კერამიკული მასალაც შემკული ცრუყურებით, რელიე-

ფური სპირალებით, ჭრილი ტეხილხაზოვანი ორნამენტირებული სარქველები და სხვ., რომელთაც პარალელები ეძებნებათ ძირითადად ამირანის გორის, ოზნის, ბეშთაშენისა და თეთრიწყაროს სინქრონული კომპლექსების მასალებში. შიდა ქართლისაგან განსხვავებული არქიტექტურა, კერამიკა მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთკავკასიური ვარიანტის არსებობის მანიშნებლად მიაჩნია [Цквитинидзе 1990, გვ. 131-134].



სურ. 54. გუდაბერტყა

გუდაბერტყა. ნასახლარი მდებარეობს გორის რაიონში, სოფ. სვენეთსა და ახალშენს შორის, კვერნაქების მთის ფერდობზე. იგი მრავალფენიანი ძეგლია. მისი ქვედა ორი ფენა ადრებრინჯაოს ხანისაა. აქ აღმოჩნდა წნული, თიხალესილი ორი ნაგებობა. ერთს კუთხეები მომრგვალებული აქვს, მის დასავლეთ ნაწილში პოლიქრომული კედლის მხატვრობა დადასტურდა. ზედა ფენაში კი მრგვალი შენობაა. მასალა წარმოდგენილია თიხის კერებით, ქსოვილის ანაბეჭდიანი კერამიკით, თიხის მცირე ზომის ადამიანის ქანდაკებით, ირმის გამოსახულებიანი თიხის საბეჭდავით და სხვ. [ნადიმაშვილი 1973; სა, გვ. 186; ფხაკაძე 1963, გვ. 64].



სურ. 55. მეტეხი

მეტეხის ნასახლარი. იგი მეტეხის რკინიგზის სადგურთან იქნა აღმოჩენილი. საძიებო თხრილით გამოვლინდა ნასახლარის ნაშთი, რომელიც მრგვალი ან ოვალური ფორმის ნაგებობის თიხატკეპნილ იატაკს წარმოადგენდა, ცეცხლის კვალით. ეს ნაგებობა ქვის საძირკველზე არ უნდა მდგარიყო. აქ აღმოჩენილი წნულის ანაბეჭდიანი ბათქაშის ნატეხები იმაზე მიუთითებს, რომ ნაგებობა სარ-ლასტით იყო ნაგები ისევე, როგორც შიდა ქართლის სხვა თანადროული ნაგებობები. იატაკის ცენტრში ჩადგმული იყო მრგვალი უშვერილო კერა, ძირში ნახვრეტით. იატაკსა და კერაში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი.

მეტეხის ნასახლარი ყველაზე მეტად შიდა ქართლის – ქვაცხელა-ხიზანაანთ გორის B ფენასთან პოულობს საერთოს [ფხაკაძე 1967, გვ. 318-326].

სოფ. **მჭადიჯვრის გორა** დუშეთის რაიონში, მდ. ნარეკვავის ხეობაშია. იგი მრავალფენიანი ძეგლია, რომლის ქვედა ფენას ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი წარმოადგენს. ამ ფენაში გამოვლინდა რამდენიმე ორმო და ოთხკუთხა შენობა მომრგვალებული კუთხეებით. ამავე ფენაში დაფიქსირდა მრგვალი, შვერილიანი და ბრტყელი კერები, თიხის ცხვრის მცირე ზომის ქანდაკება, მსგავსი ქვაცხელასა და ხიზანაანთ გორაზე აღმოჩენილი ცალებისა. კერამიკა ახლო დგას შიდა ქართლურ ნაწარმთან, განსაკუთრებით ქვაცხელა – ხიზანაანთ გორას თიხის ჭურჭელთან და მიეკუთვნება მტკვარ-არაქსის კულტურის მოგვიანო ეტაპს, თუმცა ზოგი ჭურჭელი ავტორის აზრით უფრო არქაული იერისაა. რელიეფურ-ორნამენტიან ჭურჭელს გამთხრელი ქვემო ქართლისა და სომხეთის მოგვიანო ხანის კერამიკას უახლოვებს. ამავე ფენაშია აღმოჩენილი ცულის ჩამოსასხმელი თიხის ყალიბი, ირმის რქის წერაქვისებრი იარაღი, თეთრიწყაროს ტიპის კაჟის ფრთიანი ისრისპირი და ძვლის ისრისპირი, მსგავსი ქვაცხელას ბრინჯაოს ცალისა [Цитланадзе, Менабде 1976; Цитланадзе 1977; Цитланадзе и др. 1979].

ნახიდრებისჭალის № 3 ყორღანი ქვემო ქართლში, სოფ. მადნისჭალასთან, მდ. ალგეთის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ქვა-მიწაყრილის მოცილების შემდეგ გამოისახა დიდი ზომის რიყის ქვებით შედგენილი, სხვადასხვა დონეზე მდებარე სამი რკალი. შიდა რკალის სამხრეთით მდებარე სამარხის იატაკი კირქვის ბრტყელი ფილაქვებით იყო მოგებული. სამარხს ჩრდილოეთიდან ზღუდავდა მორკალური კედელი, რომელიც შედგენილი იყო მშრალად დაწყობილი ბრტყელი ქვების ოთხი რიგისაგან. სამხრეთიდან კამერა გახსნილი იყო. მასში ოთხი მიცვალებული იყო დაკრძალული.

სამარხეული ინვენტარი ოთხი, თითქმის ერთნაირი თიხის ჭურჭლითაა წარმოდგენილი. მათ აქვთ გადმოშლილი პირი, მაღალი, ცილინდრული ყელი და მომრგვალებული, ქვემოთ შევიწროებული მუცელი. ორი ჭურჭელი ყურიანია. ყური მიძერწილია ყელსა და მხარზე.

ძეგლის გამთხრელი აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის პარალელებს ადრემტკვარ-არაქსული ძეგლების მასალებში ხედავს და ყორღანს ძვ.წ. III ათასწ. დასაწყისით ათარიღებს. მაგრამ ამ ყორღანის თიხის ჭურჭელი ქვემოთ

ჩამოგრძელებული მუცლითა და ძალზე ვიწრო ძირით მის უფრო მოგვიანო - III საფეხურის შესაბამი ასაკზე უნდა ლაპარაკობდეს [თუშიშვილი 1972, გვ. 10-11; მინდიაშვილი 1993, გვ. 8].



სურ. 56. ფარეხა

ფარეხას გორა ადიგენის რაიონში მდებარეობს. აქ გაითხარა რამოდენიმე ორმო, რომელთაც საკულტო დანიშნულებისად თვლიან. ამ ორმოებში აღმოჩნდა მტკვარარაქსული კერამიკა: ქოთნები, ჯამები, სარქველები, ნალისებრი ფორმის იტიფალური ზესადგარი და სხვ. ზოგიერთი ჭურჭელი შემკულია ტანს შემოყოლებული დაშტრიხული ტეხილხაზოვანი ლენტებით, სამკუთხედებით, დაშტრიხული ვერტიკალური პარალელური ზოლებით და სხვ.

ძეგლის გამთხრელები აქ აღმოჩენილი მასალის საფუძველზე აღნიშნავენ სამხრეთის ქვეყნებთან (სომხეთი, ანატოლია, ჩრდილო მესოპოტამია) კულტურულ-ეკონომიკური კავშირის არსებობას და ფარეხას გორას ძვ.წ. IV-III ათასწ. მიჯნითა და ძვ.წ. III ათასწ. საწყისი ხანებით ათარიღებენ. მართალია, ავტორებს სწორად აქვთ შენიშნული ამ მასალის მიდრეკილება სამხრეთით მდებარე რეგიონების ძეგლებთან, მაგრამ ფარეხის გორის დაბალი თარიღი გაუმართლებლად მიგვაჩნია აქ აღმოჩენილი ნაკაწრით შემკული სამნაწილადტანიანი ჭურჭლისა და იტიფალური ნალისებრი კერის არსებობის გამო. ეს ძეგლი ჩვენი აზრით III საფეხურის ხანისა უნდა იყოს [Гамбашидзе, Квижинадзе 1981, გვ. 57-64].

ზველში ამ საფეხურის შესატყვისი ძეგლები რამოდენიმე პუნქტშია მიკვლეული. აქ აღმოჩნდა ერთი სამარხი, რომელშიც ნაპოვნი იყო ლითონის რა-

მომდენიმე ნივთი, სამი მსხლისებრი საკიდი, ბიკონუსური მძივი და სხვ. სამარხი შემოწყობილი იყო ქვებით და კერამიკა თითქოს შიგ არ აღმოჩენილა. თიხის ჭურჭელი ცალკე იყო ნაპოვნი სამარხის მახლობლად. ესაა დიდი ზომის ჭურჭლის ნატეხები შავპრიალა, ვარდისფერი სარჩულით. აქვე აღმოჩნდა აგრეთვე ნალისებრი სადგრის ნატეხები. აქ ნაპოვნ კერამიკას უახლოვებენ შიდაქართლურს, განსაკუთრებით კი საჩხერულ კერამიკას. დიდი მსგავსება ჩანს აგრეთვე ლითონის ნივთებშიც, რომელთა უახლოეს პარალელებს ქვაცხელასა და საჩხერის, კერძოდ პასიეთის ყორღანებში ხედავენ.



სურ. 57. ზველი. სამარხი ყანები

ამავე სოფლის ტერიტორიაზე, ადგილ სამარხი ყანებში სასილოსე ორმოების ამოღებისას დაზიანებულ ორმოსამარხებსა და ნასახლარზე საინტერესო კერამიკული ნაწარმი აღმოჩნდა. აღსანიშნავია სქელკეციანი რუხი ან მოწითალო პრიალა სამყურიანი ქოთნები მაღალი გამოყვანილი ყელით და სფერული ან კვერცხისებრი კორპუსით. ერთ მათგანს მხარზე შემოუყვება ამოკაწვრით გამოყვანილი, წვერით შეტყუპებული სამკუთხედების მწკრივი, რომლითაც გამოსახულია სქემატიზებული თხები, ძალზე გავრცელებული მოტივი ირანისა და მესოპოტამიის ადრეული ხანის მოხატულ კერამიკაზე. აქვე აღმოჩნდა ნალისებრი სადგრის ფრაგმენტები, მრგვალი შვერილიანი კერის ქიმი, მრგვალი, შუაგულამოღებული კერის ნაწილები და სხვ. [ჯაფარიძე 1976, გვ. 110; Гамбашидзе и др., 1980; ორჯონიკიძე, 1983, გვ. 21-22].

§ 2. **ლითონის, ქვისა და ძვლის ნივთები.** აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ცულების უმრავლესობა შემთხვევითი მონაპოვარია და ძირითადად კომპლექსგარეშეა წარმოდგენილი, რაც აძნელებს მათი ზუსტი ქრონოლოგიური ადგილის განსაზღვრას. ეს ცულები ტიპოლოგიურად სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: I ტიპს მიეკუთვნება ყუაბვრელიანი ცული, II - ბრტყელი ცული, ხოლო III - კომბინირებული იარაღი – ცულ-წერაქვი. თავის მხრივ ეს ტიპებიც ცალკეულ ქვეტიპებად იყოფა. I ტიპის ცული შეიცავს 1. სწორტანიან, 2. ყუა-

დაქანებულ და 3. ყუამილიან ქვეტიპებს. ორი უკანასკნელი ქვეტიპი ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი: ფართო და ვიწროტანიანით.



სურ. 58. 1. ხაშური, 2. გუფთა, 3. ქვასათალი, 4. მეტეხი, 5. ძაღინა, 6. იალბუზი, 7. ქულბაქები, 8. მეჯვრისხევი, 9. არეში, 10. ბადაანი, 11. ზაჰესი, 12. ყიზილ-აჯლო, 13. ბრ.დაძორი

ამ საფეხურზე გავრცელებულია ძირითადად I ტიპის ყუადაქანებული ცული ფართო ტანით. იგი ადგილობრივი მეტალურგიის ნაყოფადაა მიჩნეული [ჯაფარიძე 1961, გვ. 93]. მას პირი ფართო, თითქმის თანაბარი სიფართისა აქვს, მორკალულია და წინა მხრიდან სატარე ხვრელთან მკვეთრადაა შეჭრილი. ამგვარი ცული ცნობილია ქულბაქებიდან [Любин 1955, გვ. 15] და სოფ. იალბუზიდან [Куфтин 1949, გვ. 85], მეჯვრისხევიდან [Куфтин 1941, გვ. 16], მარნეულის რ-ნის სოფ. ყიზილ-აჯლოდან და ბრ.დაძორიდან [Гогадзе 1991, ტაბ. 29]. ბოლო ხანებში ამგვარი ცული კახეთში – არეშშიც აღმოჩნდა. იგი ყველაზე მეტად უახლოვდება მეჯვრისხევისა და კიურ-დერეს (აფხაზეთი) ცულებს [ჭილაშვილი 1991, გვ. 136]. ამ ქვეტიპის ცულს უახლოვებენ ჩრდილო კავკასიურ, კერძოდ – ნოვოსვობოდნაიას ეტაპის ცულებს [Куфтин 1949, გვ. 36]. მაგრამ ნოვოსვობოდნაიას წრის ცულები მაინც რამდენადმე თავისებურია [ჯაფარიძე 1976, გვ.

239]. გაცილებით მეტ სიახლოვეს აღმოსავლეთ საქართველოს ამ ცულებთან იჩენს ლენინაკანის ცული, ხოლო ამგვარი ცულის ჩამოსასხმელი ყალიბები ნაპოვნია შენგავითზე, გარნისა და ქიულ-თეფე II [Мартиросян გვ. 266; Кушнарева, Чубинишвили, გვ. 122]. ამ ქვეტიპის ცულის პროტოტიპად ზოგი მკვლევარი მსგავსი ფორმის ქვის ცულებს მიიჩნევს. შესაძლოა, ერთ-ერთ ამგვარ ქვის ცულს ბორჯომის მუზეუმის ცალი წარმოადგენდეს [სა, ტაბ. CV]. ა. მარტიროსიანი ლენინაკანის ცულის პროტოტიპად სოფ. კეტის ქვის ცულს თვლიდა, რადგან მეტალის ცულების ანალოგებს სომხეთში ვერ ხედავდა, თუმცა, აქვე, პარალელებად იალბუზისა და ქულბაქების ცულებია დასახელებული [Мартиросян 1964, გვ. 27]. გამორიცხული არაა, სწორედ ეს ცულები დასდებოდა საფუძვლად ლენინაკანის ცულს.

განცალკევებით დგას ზაჰესის ფართოპირიანი და სწორტანიანი ცული, რომელიც ღერომოკაულ შუბისპირთან ერთად აღმოჩნდა [Куфтин 1941, გვ.10]. ფორმით იგი ემსგავსება ადრეულ მესოპოტამიურ ცულის მოდელებს, მაგრამ არ გამორიცხავენ შუმერს გარეთ ამგვარი ცულების წარმოებას მოგვიანო პერიოდშიც [ჯაფარიძე 1961, გვ. 92; გოგაძე 1972, გვ. 31, 35]. მან მტკვარ-არაქსის კულტურაში სათანადო გავრცელება ვერ ჰპოვა [ჯაფარიძე 1961, გვ. 91]. სამაგიეროდ, ფართოდ გავრცელდა ის ჩრდილო კავკასიაში – მაიკოპის კულტურის წრეში, განსაკუთრებით კი – ნოვოსვობოდლნაიას ტიპის ძეგლებზე [Куфтин 1941, გვ. 11]. ერთი ამგვარი ცული აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურის მოგვიანო პერიოდის ძეგლზე – ზაგლი II, რომელსაც გამთხრელი ნოვოსვობოდნაიას ტიპს აკუთვნებს [Ростунов 1988, გვ. 30]. არსებული მოსაზრების თანახმად, არქაული ცულები ჩრდილო კავკასიაში საქართველოდან ვრცელდება [ჯაფარიძე 1976, გვ. 126]. ამგვარი ცულების გავრცელების ერთ-ერთი მთავარი გზა შესაძლოა სვანეთზე გადიოდა [ჩართოლანი 1996, გვ. 46].

აღმოსავლეთ საქართველოში მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში გავრცელებული ყველა შუბისპირიც შემთხვევითაა აღმოჩენილი. ყველა ღეროიან ტიპს განეკუთვნება. ყუნწის აგებულების მიხედვით გამოყოფენ სწორ და მოკაულ-ღეროიან ქვეტიპს [ჯაფარიძე 1961, გვ. 164]. პირველი ქვეტიპი უფრო ფართოდაა გავრცელებული. მას ვხვდებით როგორც ამიერ, ისე იმიერკავკასიაში, ხოლო



სურ. 59. ლითონის საძგერებელი იარაღი

მეორე ქვეტიპი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი. ორივე ქვეტიპი ახლო ანალოგიებს პოულობს მახლო ბელი აღმოსავლეთის შუბისპირებში, რომლებიც თავის საწყისს ერთი საერთო ძირიდან – ძველი შუმერული ფორმებიდან იღებს [Куфтин 1941, გვ. 12]. ურის სამეფო სამარხებიდან მომდინარეობს წინააზიის უძველესი ღეროიანი შუბისპირები [Куфтин 1949, გვ. 73]. ამიერკავკასიაში, კერძოდ კი აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადად გავრცელდა შუბისპირის ის ფორმა, რომელიც ახლო დგას ძველ შუმერულთან [ჯაფარიძე 1961, გვ. 164; Чубинишвили 1971, გვ. 77]. აღსანიშნავია, რომ ურის სამაროვნის თითქმის ყველა შუბისპირი სწორღეროიანია. მოკაული ღერო მას უფრო მოგვიანებით უჩნდება და თანაარსებობს სწორღეროიანთან ერთად [ჯაფარიძე 1961, გვ. 164]. საქართველოში აღმოჩენილ შუბისპირებიდან ამ საფეხურს მიეკუთვნება სწორღეროიანი ქვეტიპი, რომლის უადრეს ეგზემპლარებად მიჩნეულია ახალციხისა და ოსპრისის (ცხინვალი) შუბისპირები [ჯაფარიძე 1961, გვ.

168]. მასვე უნდა მიეკუთვნოს სწორღეროიანი შუბისპირიც ცხინვალის მუზეუმიდან [Техов 1971, გვ. 66]. ამგვარ განსაზღვრას ეთანხმება ამირანის გორაზე აღმოჩენილი ყალიბის ფრაგმენტი [Кушнарева, Чубинишвили]. ახალციხისა და ოსპრისის ცალებს სწორღეროიანობის გარდა აახლოვებს მასიური მრგვალი ღერო და დაწახნაგებული ყუნწი, თუმცა ოსპრისის შუბისპირს შედარებით მომცრო და უქედო პირი და უფრო გრძელი ღერო აქვს. მეტ მსგავსებას ახალციხურ იარაღთან ცხინვალის მუზეუმის შუბისპირი იჩენს, მაგრამ განსხვავდება ღეროს ბოლოს დატანილი ნახვრეტის არსებობით. ყუნწზე ნახვრეტი აქვს საჩხერის მასიურ შუბისპირსაც მსგავსად კიროვაკანის ცალისა, რომელსაც ამ ნიშნით უახლოვებენ სუზისა და ლაგაშის შუბისპირებს [ჩართოლანი 1996, გვ. 59]. ამგვარივე შუბისპირები ცნობილია სვანეთიდანაც. ერთი მათგანი ოთხწახნაგა ღეროთი და წვეტიანი ყუნწით ახლოა აღმოსავლეთ საქართველოს შუბისპირებთან და მხოლოდ დეტალებით განსხვავდება მათგან. მეორე კი — მოკლეღეროიანი და პირგრძელი — ემსგავსება შუმერულს, განსაკუთრებით ურის მეფეთა სამარხებში აღმოჩენილ ცალებს [ჩართოლანი 1996, გვ. 62; გოგაძე 1972, გვ. 34]. აღმოსავლეთ საქართველოს შუბისპირებს უახლოვდება მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცული მოკაულღეროიანი შუბისპირიც. ტანის აგებულებით იგი ახლოს დგას ჩრდილო კავკასიის — ნოვოსვობოდნოეს და პსებაისკოეს ყორღანების ცულებთან. ამ მსგავსების საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება ყუბანისპირეთში ამგვარი შუბისპირის გავრცელების ამიერკავკასიის გზის შესახებ [Куфтин 1941, გვ. 12]. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო მეტად ასაბუთებს ახალციხური შუბისპირი, რომელიც ძალზე ახლო დგას ჩრდილო კავკასიურ ცალებთან. ამასთან, მიეკუთვნება იმავე სწორღეროიან ქვეტიპს, რომელსაც ნოვოსვობოდნოეს წრის იარაღები [ჯაფარიძე 1976, გვ. 239]. დაღესტანში, ჩირკეისკოეს ნამოსახლარზეცაა ნაპოვნი მსგავსი შუბისპირი, თუმცა უფრო მოკლე ღეროთი [ჯაფარიძე 1976, გვ. 134, სურ. 61].

აღმოსავლეთ საქართველოს შუბისპირებს ასევე შეიძლება შევუდაროთ აზერბაიჯანში, სოფ. ტელმანის ყორღანის ორი შუბისპირიც, აღმოჩენილი მტკვარ-არაქსულ კერამიკასთან ერთად. აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიაში ეს პირველი შემთხვევაა კომპლექსში ამგვარი იარაღის აღმოჩენისა [Махмудов и

др. 1968, გვ. 21]. ორივე შუბისპირი სწორღეროიანია, მაგრამ ჩვენს ცალებთან, განსაკუთრებით ოსპრის ულთან, უფრო ახლოს დგას ამ ყორღან ის გრძელ-ღეროიანი და მოკლეპირიანი იარაღი [Махмудов и др. 1968, გვ. 21, სურ. 5]. მასვე ემსგავსება აღმოსავლეთ ანატოლიის ზოგიერთი შუბისპირიც [Bilgi 1993].

ახლო ანალოგები გააჩნია აღმოსავლეთ საქართველოს ამ იარაღს ანატოლიის იმ შუბისპირებშიც, რომლებიც დ. სტრონახის IV-V ტიპშია გაერთიანებული. შუბისპირებს ყარა-ჰასანიდან და ტილ-ბარსიბიდან აქვს სწორი, ქედიანი პირი, მრგვალი ღერო და მრგვალი ან დაწახნაგებული, ზოგჯერ მოკლე ყუნწი [Stronach 1957, გვ. 114, სურ. 8]. ახლო დგას ჩვენ ცალებთან ჰოროზ-თეფესა და დუნდარ-თეფეს ცალებიც, თუმცა ძალზე მოკლე ღერო ამ უკანასკნელს უფრო სოფ. ტელმანისა და ქვემო სვანეთის შუბისპირებთან აახლოვებს [Özgüç, Akok 1957, ტაბ. 25]. ღეროს ფორმის მიხედვით სიახლოვე ჩანს ჯუდეიდეს იარაღთანაც [ჯაფარიძე 1961 გვ. 165]. მსგავსი შუბისპირების მთელი სერია აღმოჩნდა ძვ.წ. III ათასწ. I ნახევრით დათარიღებულ (კალიბრების გარეშე) არსლან-თეფეს VI-A ფენაში. აქ აღმოჩენილი იარაღებისათვის დამახასიათებელია სწორი ღერო, რომელიც წაგრძელებულ პირზე ქედად გრძელდება და დაწახნაგებული ყუნწით მთავრდება [Palmieri 1981, ტაბ. 4].

მესოპოტამიაში ამგვარი შუბისპირი მზადდებოდა როგორც ბრინჯაოს, ისე ოქროსა და ვერცხლისაგან [Махмудов и др. 1968, გვ. 22]. განსაკუთრებით ახლოა ჩვენს ცალებთან ურის სამეფო სამაროვნის ოთხწახნაგაყუნწიანი გრძელპირა იარაღები [Woolley 1934, ტაბ. 189] და მესოპოტამიურის საფუძველზე განვითარებული სირიული ეგზემპლარები, რომელთა მსგავსება ახალციხისა და ცხინვალის მუზეუმის იარაღებთან ადრევეა შენიშნული [ჯაფარიძე 1961, გვ. 164; Техов, გვ. 68]. იგივე იარაღი ახლო დგას ამუკის H ფაზის შუბისპირთანაც [Braidwood, Braidwood, ტაბ. 293].

ამრიგად, მოტანილი პარალელებით ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სწორღეროიანი შუბისპირები ექცევა იმ არეალში, რომელიც მოიცავს სირიას, ანატოლიას, ზემო ევფრატის ტერიტორიას, კავკასიასა და პროტოდინასტიური პერიოდის მესოპოტამიას [Иессен, გვ. 191; Palmieri, გვ. 109] და ამ რეგიონების იარაღების განვითარების მსგავს გზას გადის. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩრდილო

კავკასიური იარაღი, რომელიც ახალციხურ და ცხინვალის იარაღებს ემსგავსება, ყველაზე მეტად მცირე აზია – ჩრდილო სირიულ ეგზემპლარებს უახლოვდება [Иессен, გვ. 191]. ზოგი, ამ მსგავსების საფუძველზე, არ გამორიცხავს საქართველოში ამგვარი იარაღის მცირე აზიის გზით მოხვედრის შესაძლებლობას [Техов 1971, გვ. 68].

მოკაულელერეოიანი შუბისპირი დროით რამდენადმე ჩამორჩება სწორღეროიანს [ჯაფარიძე გვ. 164].[1] ერთი ამგვარი შუბისპირი შემთხვევით აღმოჩნდა მდ. ილტოს ხეობაში [Дедабришвили 1979]. ცნობილია ის ზაჰესიდან, სადაც იგი სწორტანიან ცულთან ერთად იქნა ნაპოვნი [Куфтин 1941, გვ. 11]. მას აქვს მასიური, ბოლოში მოკაული ღერო და გრძელი, სამკუთხა მოყვანილობის პირი და ემსგავსება უფრო გრძელი ღეროს მქონე ამგვარივე შუბისპირს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან [Куфтин 1941, გვ. 11]. ამ შუბისპირებს უახლოვდება ირანის – თეფე ჰისარის, ასტრაბადისა და თურანგ-თეფეს ცალები; ასევე, კვიპრო სისა და სამხრეთ სირიის შუბისპირები [Куфтин 1941]. ბ. კუფტინი ზაჰესურ შუბისპირს განასხვავებდა შუმერულისაგან და მას უფრო ირანულ და კვიპროსულ ცალებს უახლოებდა [Куфтин 1941, გვ. 11]. ზაჰესურ ცალთან ახლო დგას ბაგინეთის რამდენადმე დახვეწილი ფორმის შუბისპირიც [ჯაფარიძე 1961, გვ. 162, სურ. 34]. ორივე იარაღი ასევე ძალზე უახლოვდება დასავლეთ ანატოლიის პინარბაში-გიოლის შუბისპირებს [Stronach 1957, გვ. 106, სურ. 9; გვ. 105, სურ. 4]. მათზე ადრეული უნდა იყოს საქართველოს სახ. მუზეუმის შუბისპირი სამხრეთსირიულ ეგზემპლართან სიახლოვის გამო [ჯაფარიძე 1961, გვ. 168]. სამხრეთ სირიულ ცალებს უფრო მეტად უახლოვდება ილტოს შუბისპირი, რის გამოც იგი უფრო ადრეულად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე ზემოთჩამოთვლილი იარაღები. რაც შეეხება მოსკოვის ისტორიული მუზეუმის შუბისპირს, რომელსაც ორივე ტიპისათვის დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია, ღერომოკაულ შუბისპირებში ყველაზე ადრეული ჩანს [ჯაფარიძე 1961, გვ. 168].

---

[1] ზოგიერთი ავტორის აზრით, ორივე ქვეტიპის შუბისპირი საქართველოში ერთდროულად ვრცელდება [ჩართოლანი 1996, გვ. 62].

ხიშტიც, შუბისპირის მსგავსად, წინააზიური წარმომავლობისაა, ოღონდ იგი მასთან შედარებით უფრო ნაკლები რაოდენობითაა აღმოჩენილი [Кушнарева, Чубинишвили, გვ. 125; ჯაფარიძე 1976, გვ. 136]. მას საკმაოდ ადრეული ხანებიდანვე ვხვდებით მესოპოტამიაში, სირიაში, ირანსა და ანატოლიაში. კავკასიაში ამგვარი იარაღი ცნობილია ქიულ-თეფე II-დან, რომელიც ყველაზე ადრეულადაა მიჩნეული. უფრო მოგვიანოა ხაჩბულახის ყორღანისა და ზემო გუნიბის ნამოსახლარის ხიშტები [Кушнарева, Чубинишвили, გვ. 125; ჯაფარიძე 1976, გვ. 136]. სპილენძის ხიშტი ცნობილია ბამუტის ერთ-ერთი სამარხიდან, თუმცა ამიერკავკასიური ცალებისაგან განსხვავებით მას ყუნწი გამოყოფილი არა აქვს [Мунчаев 1975, გვ. 396].

საქართველოში ხიშტი სულ სამი ცალია აღმოჩენილი, სამივე ოთხწახნაგაა, პირიდან ყუნწზე გადასვლის ადგილას წახნაგოვანი შესქელებით. იგი აღმოჩენილია საჩხერის სამაროვანზე, ქვაცხელას ტვლეპია-წყაროს სამაროვანზე და ჟინვალის ნამოსახლარზე [Куфтин 1949, გვ. 74; ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 43; Глонти 1984, გვ. 37]. მათში გამოიყოფა სწორ და მოკაულღეროიანი ტიპები. სწორღეროიანია ჟინვალის ხიშტი, რომელიც საჩხერულისაგან განსხვავდება ყუნწზე ნახვრეტით [სა, გვ. 93]. ქვაცხელას ეგზემპლარს კი ყუნწი მოღუნული აქვს. პირი ყუნწთან შედარებით თითქმის ორჯერ დიდი აქვს, რაც სხვებთან შედარებით მისი მეტი არქაულობის მაჩვენებლადაა მიჩნეული [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 42]. საჩხერის ხიშტი თავის დროზე აქადური დინასტიის მეფის მანიშტუსუსა და ელამის მმართველის პუზურ შუშინაკის წარწერებიან ხიშტს შეადარეს და ამ მსგავსების საფუძველზე ძვ.წ. III ათასწ. მეორე ნახევრის საწყისი საკუნეებით დაათარიღეს [Куфтин 1949, გვ. 72-74]. მაგრამ იმის გამო, რომ საჩხერულ ამ იარაღს უფრო ადრეული ხანის პარალელები მოეძებნა შუმერის უძველეს ფორმებთან, მისი თარიღი გადაისინჯა და ძვ.წ. III ათასწ. I ნახევრით განისაზღვრა [გოგაძე 1972, გვ. 35; ქავთარაძე 1981, გვ. 96]. შესაბამისად, დროის სიღრმეში უნდა გადაიწიოს საჩხერულის მსგავსმა ხიშტმაც ჟინვალიდან და კიდევ უფრო ადრეული იერის იარაღმა ქვაცხელადან. ამას მხარს უნდა

უჭერდეს ქიულ-თეფეს ხიშტიც, რომელიც ამ ათასწლეულის დასაწყისი ხანით თარიღდება [Кушнарева, Чубинишвили, გვ. 125].[1]

ამავე საფეხურზე კვლავ გვხვდება არადიფერენცირებულტანიანი ოთხწახნაგა ისრისპირი. ახალციხის ამირანის გორაზე ამგვარ ისრისპირთან ერთად დიფერენცირებულტანიანი ტიპის ისრისპირიც აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი ამ საფეხურზე ყალიბდება. ანალოგიური ისრისპირებია ნაპოვნი ბარალეთის ამაღლების გორაზე და სოფ. სათხეს ნასახლარზე, მაგრამ სოფ. სათხეს ცალი რამდენადმე განსხვავებულია იმის გამო, რომ იგი ცალი მხრიდანაა დაბრტყელებული [ქიქოძე და სხვ. 1998].



. 60. ლითონის ცულწერაქვები (1-4) და ნამგლისპირები (5 – ამირანის გორა, 6 – ხიზანაანთგორა

ლითონის ნამგლისპირი ამ კულტურაში ნაკლებადაა გავრცელებული, რაც კაჟის ნამგლის ძლიერი კონკურენციის შედეგი უნდა ყოფილიყო [კიკვიძე 1972, გვ. 77]. აღმოსავლეთ საქართველოში იგი ცნობილია ხიზანაანთ გორიდან და ახალციხის ამირანის გორიდან. სხვაგან, ამ კულტურის არეალზე მას ვხვდებით ქიულთეფე II, გარნისზე, ქარაზსა და პულურზე [ჯაფარიძე 1976, გვ. 138]. ამ ნამგლისპირებიდან მხოლოდ ამირანის გორის ცალს აქვს ნახვრეტი ყუასთან. ეს ნამგალი რკალურადაა მოხრილი, აქვს ფართო სატარე და აწეული წვერი. პირის კიდე ცალი მხრიდან შეთხელებული და მჭრელია. მას შემორჩენილი სატარითა და მოხრილი ტანით უახლოვდება გარნისის ნამგალი [ჩუბინიშვილი, გვ. 55]. ახლო დგას ქარაზის ცალიც [Кушнарева, Чубинишвили]. უფრო არქაული იერი აქვს ქიულთეფესა და პულურის ცალებს ფართო და ოდნავ მოღუნული მოკლე ტანის გამო. ტექნიკური თვალსაზრისით ყველაზე

[1] არ გამორიცხავენ ხიშტის ადგილობრივ წარმომავლობასაც. ამ იარაღის პროტოტიპებად მიჩნეულია ლითონის ოთხწახნაგა და ძვლის ბიპირამიდული ისრისპირები [ჯავახიშვილი, ლლონტი, გვ. 28; ქავთარაძე, გვ. 96]. თუმცა, ამ აზრს ყველა არ იზიარებს [ჯაფარიძე 1998,

გვიანდელად ხიზანაანთგორის ნამგალია მიჩნეული, რომელიც ნახევარფაბრიკატს წარმოადგენს [კიკვიძე 1972, გვ. 77]. თუმცა, C დონეზე აღმოჩენა უფრო მის ადრეულ ასაკზე უნდა მიუთითებდეს. რაც შეეხება ამირანის გორისა და ქარაზის ნამგლებს ზეაწეული გაწვრილებული წვერითა და ყუნწით, ისინი ამ ნიშნებით უფრო განვითარებულ იარაღებს უახლოვდება [Черных 1966, გვ. 104, სურ. 29] და მტკვარ-არაქსის კულტურაში ყველაზე მოგვიანო ხანისა ჩანს.

აღმოსავლეთ საქართველოს ამ საფეხურის კომპლექსებში სატევრისპირი ნაკლებად გვხვდება, რის გამოც ჭირს შემთხვევით აღმოჩენილი ცალკეული იარაღისათვის ზუსტი ქრონოლოგიური ადგილის განსაზღვრა. შეიძლება დავუშვათ, რომ ახლაც, წინარე საფეხურის მსგავსად გავრცელებული იყო I ტიპის სატევრისპირი, უფრო მისი გრძელპირა და ვიწროყუნწიანი ვარიანტი, მსგავსი ლიკანისა და ცხინვალის ცალებისა, რომლებიც შუაბრინჯაოს ხანის სატევრისპირების პროტოტიპებადაა მიჩნეული [ჯაფარიძე 1961, გვ. 154].

რამდენადმე გამოირჩევა ციხიაგორის B დონის ფართო და გრძელპირა სატევრისპირი ვიწრო და მოკლე ყუნწით. ზოგადად ის შეიძლება დავუახლოვოთ ფართო და მოკლეყუნწიან სატევრისპირს ელარიდან [Ханзадян 1979, გვ. 56, სურ. 7] და ასეთსავე იარაღს იაზილიკაიადან [Stronach 1979, გვ. 91, სურ. 1-21], მაგრამ მისი ზუსტი პარალელი ჩვენთვის უცნობია.[1]

ორვოლუტიანი საკინძი უმნიშვნელო რაოდენობითაა აღმოჩენილი და უმთავრესად II ტიპს მიეკუთვნება. ერთი ამგვარი საკინძი ჟინვალშია ნაპოვნი [სა, გვ. 94]. იგი ამირანის გორის XXI შენობიდანაცაა ცნობილი. მას აქვს დაბრტყელებული, ნახევარმთვარისებრი მოყვანილობის თავი და მრგვალგანივკვეთიანი გრძელი ღერო, ზედა ნაწილზე ხვრელით. იგი II ტიპის ორვოლუტიანი საკინძის განვითარებულ და სქემატიზირებულ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს. მას მტკვარ-არაქსის კულტურაში ზუსტი ანალოგი არ ეძებნება, მაგრამ შემკობის თვალსაზრისით მრავალ პარალელს პოულობს როგორც ამირანის გორის შესაბამისი

გვ. 81]. ქიულ-თეფეს ხიშტს უახლოვდება აღმოსავლეთ ანატოლიის ზოგიერთი იარაღი [Bilgi, 1993].

[1] მას შეიძლება დავუახლოვოთ აღმოსავლეთ ანატოლიის ერთ-ერთ მუზეუმში დაცული სატევრისპირიც [Bilgi 1993, ტაბ. 2].

ხანის კერამიკულ მასალაში, ისე ამ კულტურის სამხრეთი არეალის არაერთი ძეგლის თიხის ჭურჭლის ორნამენტში [Кушнарева, Чубинишвили, გვ. 127].

აქვე უნდა დავასახელოთ ქვაცხელას B ფენისა და სათხეს ყორღანების საკიდებიც, რომლებიც ყველაზე მეტად ძაღინას საკინძს უახლოვდება და მისგან ჩანს განვითარებული [სა, ტაბ. C; Pearce და სხვ., ტაბ. 13].

კიდევ ერთი – T-მაგვარი საკინძია ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს ამ საფეხურის ძეგლებზე. მისი ერთადერთი ეგზემპლარია აღმოჩენილი ქვაცხელას B დონეზე. უმეტესობა კი საჩხერის სამაროვნიდან მომდინარეობს. ამგვარი საკინძი შიდაქართლური წრისთვისაა დამახასიათებელი [ჯაფარიძე 1976, გვ. 140].

III საფეხურზე არსებობას განაგრძობს **სწორყუნწიანი ისრისპირი.** იგი ცნობილია ტყვლეპიაწყაროს სამაროვნიდან, ქვაცხელას B ფენიდან, ციხიაგორას B ფენიდან, ამირანის გორის ნასახლარიდან, ქვემო ქართლიდან – ორწყლების ნამოსახლარიდან, ასევე ოზნისა და ბეშთაშენის მოგვიანო კომპლექსებიდან [ორჯონიკიძე 1983, გვ. 78; Жоржикашвили, Гогадзе, ტაბ. 26, 33; Цквитинидзе, ტაბ. XL; მახარაძე 1994, ტაბ. XXXIII]. სწორყუნწიანის გვერდით თავს იჩენს სიმეტრულად ფუძეამოღარული ისრისპირიც. შიდა ქართლის სტრატიგრაფიულ ძეგლებზე ამგვარი ისრისპირი პირველად ქვაცხელას B ფენის ხანაში ჩნდება [სა, ტაბ. CI]. მას ვხვდებით აქვე ტყვლეპიასწყაროს სამაროვანზე, ამირანის გორაზე, საჩხერეში, მინგეჩაურში და სხვ. [ჯაფარიძე 1969, გვ. 165].

გვხვდება ასევე ისრისპირი ასიმეტრულად ამოღარული ფუძით. იგი ცნობილია ზღუდერიდან, ცხინვალის ნაცარგორიდან, გუდაბერტყადან [ჯაფარიძე 1961 გვ. 88]. რამოდენიმე ამგვარი ისრისპირია თეთრწყაროს ნასახლარზე, ქიულთეფეზე, ჩრდილო კავკასიაში – ლუგოვოესა და ნოვოსვობოდნაიას ყორღანებში [Мунчаев 1975, გვ. 350]. ბ. კუფტინმა შიდა ქართლში აღმოჩენილი ამ ისრისპირების საფუძველზე აქ ჩრდილოკავკასიური ტრადიციების არსებობა ივარაუდა [Куфтин 1947, გვ. 78]. მაგრამ ამიერკავკასიური ცალები მაინც რამდენადმე განსხვავებულია ჩრდილოკავკასიურისაგან და უფრო სიმეტრიულად ამოღარული ფუძე აქვთ [ჯაფარიძე 1961, გვ. 88].

ამავე საფეხურზე ვხვდებით ძვლის ბიპირამიდულ ისრისპირსაც. ქვაცხელას ქვედა ფენაში დადასტურებული ეს იარაღი უფრო მატულობს მის ზედა – B ფენაში [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 35]. ძვლის ამგვარივე ისრისპირია აღმოჩენილი მცხეთაში გათხრილ ერთ ორმოსამარხშიც [მცხეთა VII, გვ. 149]. ციხიაგორის B ფენაში ორი ისრისპირია ცნობილი. ადრეული – B_2 ფენის ცალი მრგვლად გათლილია, ყუნწი გრძელი, თითქმის პირისხელა აქვს, რითაც უახლოვდება შენგავითის გრძელყუნწიან ისრისპირს [Куфтин 1944, გვ. 114, სურ. 68]. B_1 ფენის ცალი კი გამოირჩევა წახნაგოვანი პირითა და ყუნწით [მახარაძე 1994, გვ. 30, 34], რითაც ბრინჯაოს ოთხწახნაგა ისრისპირს ემსგავსება. მასვე მოგვაგონებს მჭადიჯვრის ძვლის ისრისპირიც [Цитланадзе 1979, გვ. 88-91].

ძვლის ბიპირამიდული ისრისპირი აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოშიც, ქვაცხელას B დონის სინქრონულ ჩიხორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარზე. მანამდე იგი უცნობი იყო დასავლეთ საბართველოს წინამორბედი კულტურისათვის [ნებიერიძე 1986, გვ. 146-147; Небиеридзе 1986, ტაბ. XI_9]. როგორც ჩანს, იგი აქ აღმოსავლეთ საქართველოდან – შიდა ქართლიდან მოხვდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ძვლის ბიპირამიდული ისრისპირის აღმოჩენაც ანაკლია II, რომლისთვისაც პარალელი შორიდან და მოგვიანო ხანის ძეგლიდანაა მოტანილი [Микеладзе 1990, გვ. 23]. მის უახლოეს პარალელებს კი აქვე, აღმოსავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის მასალებში ვხვდებით. საქართველოში აღმოჩენილ ცალებს შეიძლება შევუდაროთ ჩრდილო-დასავლეთ სომხეთში – კეტის ციკლოპური ციხე-სიმაგრის ძვლის ისრისპირებიც [Петросян, ტაბ. 18].

ამ საფეხურზე თავს იჩენს ქვის სოლისებრი ფორმის უხვრელო ცულებიც, თუმცა იგი იშვიათობას წარმოადგენს [Мунчаев 1961, გვ. 56]. მოყავისფრო ბაზალტის ერთი ამგვარი ცული აღმოჩნდა ქვაცხელას B ფენაში, ასევე – ღართისკარსა და თერეგვანში [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 34; ჯაფარიძე 1955, ტაბ. 8]. ცნობილია ის სამხრეთ საქართველოდანაც [Чубинишвили и др. 1957, სურ. 3]. ამ ტიპის ცული უფრო ადრესამიწათმოქმედო კულტურისთვისაა დამახასიათებელი [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 34; კიღურაძე 1976, ტაბ. 29]. განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი ის დასავლეთ საქართველოს ენეოლით-ად-

რებრინჯაოს ხანის ძეგლებზე [ნებიერიძე 1986, ტაბ. VII, XX]. აბასთუმნის ყანობილზე აღმოჩენილ ქვის სოლისებრ ცულს ქვის სხვა იარაღთან ერთად დასავლეთ საქართველოს კულტურულ წრეს უკავშირებენ [Пхакадзе 1982, გვ. 21]. ამგვარი ცული ხშირია მაიკოპის კულტურაშიც, რაც ასევე დასავლეთ ამიერკავკასიასთან კულტურული სიახლოვითაა ახსნილი [ჯაფარიძე 1976, გვ. 203]. არ გამორიცხავენ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურაში ამგვარი ცული დასავლეთ საქართველოდან შემოვიდა და ლითონის ბრტყელი ცულის პროტოტიპად იქცა [Кушнарева, Чубинишвили, გვ. 123].

§ 3. **კერამიკა.** ამ საფეხურზე აღმოსავლეთ საქართველოს კერამიკულ ნაწარმში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება. წინარე საფეხურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის გვერდით, რომლისთვისაც წამყვანი იყო ბიკონუსური ფორმა, თავს იჩენს სამნაწილადტანიანი ჭურჭელი. ჩნდება ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტიც, შემკობის დამახასიათებელი ხერხი მტკვარ-არაქსის კულტურის მოგვიანო ხანის ძეგლებისათვის [ფხაკაძე 1963, გვ. 93].[1] ახალი საფეხურის ნაწარმის ეს თავისებურება კარგად აისახა შიდა ქართლის კერამიკულ მასალაში. ქვაცხელას B დონისათვის დამახასიათებელი გახდა ჭურჭლის ნაწილების მეტი დიფერენციაცია და ჩამოყალიბებული სახის გრაფიკული ორნამენტი, რომელიც ქვედა – C დონისაგან განსხვავებით უწყვეტ, რიტმულ ორნამენტირებულ სარტყლებს ქმნის; შეინიშნება მოხატული კერამიკის შედარებითი სიმრავლეᲲ [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 59]. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ სამნაწილადტანიანი ჭურჭლისა და ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტის გაჩენა. ქვაცხედას B დონეზე სამნაწილადტანიანი ფორმა ჯერ კიდევ არამკვეთრი მოყვანილობით ხასიათდება და ძირითადად მომცრო ზომის ჭურჭლითაა წარმოდგენილი [მახარაძე 1994, გვ. 52]. ამგვარი ჭურჭელი შიდა ქართლის ამავე საფეხურის შედარებით მოგვიანო ხანის ძეგლებზე უფრო მკვეთრად გამოხატულ სამნაწილად მოხაზულობას იღებს და ხშირად შემკულია

---

[1] ამგვარი ორნამენტი თითქოს უკვე ქვაცხელა C_1 ფენაში იჩენს თავს [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 40]; იშვიათად მას ოზნის ჰიდროსადგურის მოედნის მასალებშიც ვხვდებით [Жоржикашвили, Гогадзе, ტაბ. 22].

ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტით [მახარაძე 1994, გვ. 52]. ორნამენტის ამ სახეს ქვაცხელა B_1 ფენის მუცელგამობერილ და ძირვიწრო დერგებზეც ვხვდებით. ზოგჯერ ამგვარი ორნამენტი ტეხილხაზოვანი და სპირალური სახეების კომბინაციითაა გადმოცემული [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 39-40, ტაბ. IV]. სპირალური ორნამენტის ეს მოტივი გამოირჩევა ამ ფენის დანარჩენი მასალის შემკობისაგან და უკავშირდება მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთული ვარიანტის ჭურჭლის ორნამენტს [ჯაფარიძე 1976, გვ. 113]. განსაკუთრებით დამახასიათებელია იგი არარატის ველის ძეგლების კერამიკისათვის, სადაც ამგვარმა ორნამენტმა ფართო გავრცელება ჰპოვა [ჯაფარიძე 1961, გვ. 59]. ანალოგიური ორნამენტი, რომელიც ბეშთაშენის ციხის მოედანზეცაა აღმოჩენილი, იმთავითვე სომხეთის ძეგლების — შენგავითის, შრეშ-ბლურის და სხვ. კერამიკის ორნამენტთან იქნა დაახლოებული [Куфтин 1941, გვ. 116]. მაგრამ, როგორც ჩანს, სომხეთის მთიანეთისათვის დამახასიათებელი კერამიკა არ წარმოადგენს უმთავრეს ნაწილს აქ აღმოჩენილ თიხის ჭურჭელში. ბეშთაშენის მოპოვებულ კერამიკულ მასალაში, მსგავსად ქვაცხელას B ფენისა, ჭარბობს შიდა ქართლისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი წიბოიანი მუცლითა და ფართოდ გადაშლილი პირით. განსაკუთრებით აახლოებთ მათ ბადიის ტიპის ჭურჭელი [ჯაფარიძე 1961, გვ. 71], რომელიც ასევე კარგადაა წარმოდგენილი ციხიაგორას B დონის კერამიკულ კომპლექსში [მახარაძე 1994, გვ. 49]. ბეშთაშენისა და ოზნის კერამკის შიდა ქართლურთან მსგავსების გამო ამ უკანასკნელს უკავშირებენ თრიალე-



სურ. 61. ბეშთაშენი

თის მაღალმთიანი ზოლის ათვისების დაწყებას [ჯაფარიძე 1976, გვ.; 105], მითუმეტეს, რომ ოზნში ქვაცხელას ტიპის შენობის არსებობაც ივარაუდება [ჯაფარიძე 1976, გვ. 105].[1]

წინარე საფეხურის კერამიკული კომპლექსის ტრადიციების შემორჩენა კარგად ჩანს სტრატიფიცირებული ძეგლების თიხის ჭურჭლის შედარებით. ქვაცხელას B დონის კერამიკა გარკვეულ საერთოს პოულობს ამავე ნასახლარის ქვედა – C დონის თიხის ჭურჭელში, როგორც ფორმით, ისე შემკობის თვალსაზრისით [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 55]. ადგილობრივი ტრადიციების შემონახვა-განვითარებად უნდა ჩაითვალოს მოხატული კერამიკს მომრავლებაც ქვაცხელას B დონეზე. მოხატული კერამიკა, რომელიც ძირითადად შიდა ქართლის ძეგლებზეა გავრცელებული [ჯაფარიძე 1961, გვ. 65], უკვე ქვაცხელას C დონეზე იჩენს თავს და მნიშვნელოვნად მატულობს მომდევნო დონის მასალაში. იგი ძირითადად სამყურა ჭურჭელზეა მოცემული [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 35, 55]. აქ აღმოჩენილ ამგვარ ჭურჭელს ყელი წითელი საღებავით აქვს შელესილი. მასზე მუქი შავი ფერით შესრულებულია სახოვანი მოხატულობა, რომელშიც განირჩევა ზოომორფული მოტივი, კუთხეები, წერტილები და სხვ. [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 36]. ანალოგიურ ჭურჭელს ოზნიდან, რომელსაც ქვაცხელას B დონის მოხატული ჭურჭლის პროტოტიპად მიიჩნევენ [Кушнарева, Чубинишвили, გვ. 159], ასევე გააჩნია მოხატულობის კვალი. მოხატული ჭურჭელი ცნობილია აგრეთვე მოგვიანო ხანის ბეშთაშენის III კომპლექსიდან [Куфтин 1941, ტაბ. CXXI]. სხვადასხვა ტიპის არაერთი მოხატული ჭურჭელი აღმოჩნდა არაგვის ხეობაშიც [Глонти М. 1984, გვ. 36]. როგორც ჩანს, მოხატული ჭურჭელი აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადად გავრცელებულია იმ ზოლზე, რომელიც მოიცავს თრიალეთს – შიდაქართლსა და არაგვის ხეობას. აქ ამგვარი კერამიკის გამოჩენას წინააზიურ გავლენებს უკავშირებენ [ჯაფარიძე 1961, გვ. 65; ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 57]. თუმცა რამდენადმე ახლო პარალელი მას მაინც არ უჩანს [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 57]. იგი ამ კულტურის

[1] რელიეფური სათვალისებრი სპირალი, ზოგიერთი ჭურჭლის ფორმა ახლოს დგას ქვემო ქართლის ადრეულ ნაწარმთან, რის საფუძველზე ამ ძეგლის მასალის ნაწილს დიდუბე-კიკეთის

გავრცელების არც სხვა ოლქებშია მაინცდამაინც ცნობილი. ამიტომ, შეიძლება დავუშვათ, რომ მოხატული კერამიკა ძირითადად ადგილობრივი – შიდა ქართლურ წრეში ჩამოყალიბდა. მითუმეტეს, რომ მოხატვა ადგილობრივ ჭურჭელზეა დატანილი [ჯაფარიძე 1969, გვ. 126]. თუმცა, წინააზიურ სამყაროსთან კავშირი თიხის სხვა ნაწარმითაც შეინიშნება [ჯაფარიძე 1961, გვ. 66]. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ირანულ-მესოპოტამიურ კულტურულ წრეში ჩამოყალიბებული ორნამენტული მოტივი, გამოსახული ზველის სამარხი ყანების ერთ სამყურა ჭურჭელზე [Гамбашидзе и др. 1980, გვ. 83]. ესაა ჭურჭლის მხარზე შემოყოლებული რვა წყვილი წვერით შეტყუპებული ტოლფერდა სამკუთხედი, რომელთაც შუაში ჯვრები აქვთ ჩახაზული, ხოლო ფუძის კუთხეები მოკლე, მორკალული ხაზებით ბოლოვდება. ეს ორნამენტი თხების სქემატურ გამოსახულებას წარმოადგენს, ფართოდ გავრცელებულ მოტივს წინა აზიის ადრეული ხანის მოხატულ კერამიკაზე. ზოგჯერ იქ შედარებით რეალისტურაად დახატული თხებითაა ჯვარი გამოყვანილი [Массон 1963, გვ. 7]. ზველის მაგალითზე წინააზიური მოტივი ადგილობრივ კერამიკაზე ტრადიციული ხერხით – ნაკაწრითაა შესრულებული. ამგვარივე შემკობა ცნობილია ანატოლიიდანაც – არსლანთეფეზე აღმოჩენილ მტკვარ-არაქსულ ჭურჭელზე [Sagona 1984, ნახ. 123-256]. რაც შეეხება წვერებით შეტყუპებულ სამკუთხედებს, „Z"-სებრ სახეებს, დაშტრიხულ სამკუთხედებს, ისინი ამ საფეხურზე იჩენს თავს და შემდგომაც - IV საფეხურზეც განაგრძობს არსებობას [ორჯონიკიძე 1983, გვ. 99]. ამგვარი ორნამენტი ცნობილია ამირანის გორაზე [ჩუბინიშვილი 1963, სურ. 7, 8], ციხიაგორაზე [მახარაძე 1994, ტაბ. XXII, XXVI], ჟინვალში [სა, ტაბ. CIII], ფარეხაში [სა, ტაბ. CIV] აღმოჩენილ თიხის ჭურჭელზე.[1]

არარატის ველის ძეგლებისათვის დამახასიათებელი კერამიკის გამოჩენას არ მოჰყოლია შიდა ქართლისა და თრიალეთის ადგილობრივი კულტურის გაქ-

---

ჯგუფის ძეგლებს უახლოვებენ და ამ მაღალმთიანი ზოლის ათვისებას ამ ჯგუფის ტომებსაც მიაწერენ [ჯაფარიძე 1961, გვ. 72].

[1] მსგავსი ორნამენტი აქვს ქვაცხელას C_1 ფენის ერთ ხელადას [ჯავახიშვილი, ღლონტი, ტაბ. XXXI_5], რომელიც ფორმით, ყურის მიძერწვის მანერით გამოირჩევთა ამ ფენის სხვა, ბიკონუსურტანიანი ხელადებისაგან (მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის ორნამენტის შესახებ დაწვრილებით იხ. შანშაშვილი 1999). ამავე ფენაში ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტის გამო-

რობა და აქ კვლავაც გრძელდება წინარე საფეხურის ტრადიციები [ჯაფარიძე 1976, გვ. 142; მახარაძე 1994, გვ. 52].

არარატული ტიპის კერამიკა მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ფართოდ ვრცელდება სხვადასხვა მიმართულებით. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ის აღმოსავლეთ ანატოლიაში [ჯაფარიძე 1976, გვ. 153]. მის საკმაოდ ძლიერ კვალს საქართველოს, განსაკუთრებით კი მტკვრის ხეობის ძეგლებზე ვხვდებით [ჯაფარიძე 1976, გვ. 141; მახარაძე 1994, გვ. 65]. შედარებით ნაკლებად ვრცელდება ეს ვარიანტი შიდა ქართლის სილრმეში – სამაჩაბლოსა და დასავლეთ საქართველოს მიმართულებით [ორჯონიკიძე 1998, გვ. 20]. ვერც სამცხე-ჯავახეთში მოიკიდა მან ფეხი მაინცდამაინც [ჯაფარიძე 1976, გვ. 142]. მართალია, სამნაწილადი ჭურჭელი აქაც იჩენს თავს და თიხის ჭურჭლის საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის [Кушнарева, Чубинишвили, გვ. 151]. მისთვისაც დამახასიათებელია ჩაღარულამობურცული ორნამენტი, მაგრამ ამგვარი ხერხით უფრო სამკუთხედები, ტეხილხაზოვანი და სხვა სახეებია გამოყვანილი, ვიდრე არარატის ველისათვის დამახასიათებელი გართულებული სპირალები. იშვიათად, ამგვარ სპირალს აქაც ვხვდებით. ბარალეთის ამაღლების გორის ერთი ფრაგმენტი სწორედ ასეთი ორნამენტითაა შემკული და მჭიდროდ უკავშირდება სომხეთის კერამიკას [ქიქოძე და სხვ., გვ. 44]. მაგრამ ასეთი კერამიკის აღმოჩენის შემთხვევები სამცხე-ჯავახეთის ძეგლებზე იშვიათია და ცხადყოფს, რომ აქ არარატის ველის ვარიანტის გავლენები ძლიერი არ უნდა ყოფილიყო [ჯაფარიძე 1976, გვ. 142], აქ აღმოჩენილი სამნაწილადი ჭურჭელიც, განსხვავებით არარატის ველის კერამიკული კომპლექსებისაგან არამკვეთრად დიფერენცირებული ფორმებით გამოირჩევა, რითაც უახლოვდება ქვაცხელას B დონის თიხის ჭურჭელს. შიდა ქართლის ძეგლებთან პოულობს კავშირს ამირანის გორის ნასახლარის თიხის მომცრო ზომის ზოგი ჭურჭელი შემკული კორპუსზე შემოყოლებული ნაკაწრი ტეხილხაზოვანი ორნამენტით. მსგავსი ნაწარმი კარგადაა ცნობილი ქვაცხელას B დონესა და ციხიაგორას B_2 ფენაში [ჯავახიშვილი, ღლონტი, ტაბ. IV; მახარაძე 1994, ტაბ. XLI, XXIV]. შიდა ქართლის ძეგლების

ჩენა არ გამორიცხავს სამხრეთული გავლენების დაწყებას შიდა ქართლში უკვე ამ დროიდან, ოღონდ მას ინტენსიური ხასიათი არ უნდა ჰქონოდა.

თიხის ჭურჭელს უახლოვდება ამირანის გორის ხელადები და სამყურა ქოთნები, ცალგვერდგახსნილი და გვერშედრეკილი ტაფები და სხვ. ზოგჯერ მსგავსება ჭურჭლის ცალკეულ დეტალებშიც ვლინდება: ამირანის გორის ზოგიერთ ჭურჭელს ყურის მიძერწვის ადგილას კორპუსი ჩაზნექილი აქვს, რაც შიდა ქართლური ვარიანტისათვის ძალზე დამახასიათებელ ელემენტს წარმოადგენს [კიკვიძე 1972, გვ. 74]. შიდაქართლურ ნაწარმთან განსაკუთრებით ახლო დგას ამირანის გორის სამყურა ჭურჭელი და ხელადა. ორივე ჭურჭელი მსხლისებრი ან სუსტად გამოხატული სამნაწილადი ტანით ემსგავსება სხვადასხვა პერიოდის შიდაქართლურ ნაწარმს [კიკვიძე 1972, სურ. 17; ჯაფარიძე 1961, სურ. 24; ჯავახიშვილი, ღლონტი, ტაბ. 31]. შიდა ქართლისა და თრიალეთის მსგავსად აქაც ჩანს წინარე საფეხურზე ხსენებული ჭურჭლის ბიკონუსური ფორმა, ზურგწიბოიანი ყური, რაც ადგილობრივი ტრადიციების შემორჩენის მაჩვენებელია [ორჯონიკიძე 1983, გვ. 100].

შიდა ქართლის თიხის ნაწარმთან სიახლოვის მიუხედავად სამცხე-ჯავახეთის კერამიკული კომპლექსი მაინც ერთგვარად განირჩევა მისგან რელიეფური სპირალური ორნამენტის, კოპების და სხვა ელემენტების არსებობით [ორჯონიკიძე 1983, გვ. 101]. როგორც ცნობილია, რელიეფური ორნამენტი ნაკლებადაა დამახასიათებელი შიდა ქართლისათვის [ჯაფარიძე 1961, გვ. 61], ხოლო რელიეფური სათვალისებრი ორნამენტი მიჩნეულია ქვემო და შიდა ქართლის ლოკალურ ვარიანტებს შორის არსებულ ერთ-ერთ ძირითადად განმასხვავებელ ნიშნად [ფხაკაძე 1963, გვ. 96]. მას უმთავრესად ქვემო ქართლსა და თრიალეთში ვხვდებით [ჯაფარიძე 1961, გვ. 58-59; ფხაკაძე 1963, გვ. 91; გობეჯიშვილი 1978, გვ. 65]. რელიეფური სპირალური ორნამენტი ძალზე დამახასიათებელია სამცხე-ჯავახეთის ამ საფეხურის კერამიკისათვის, მაგრამ იგი განსხვავებული სახისაა – არ გვხვდება რელიეფური სათვალისებრი სპირალი და უფრო ღეროთი შეერთებული ნახევართვარისებრი გამოსახულებით დაბოლოებულ კომპოზიციას წარმოადგენს, ხშირად ზოომორფულ სახეებთან ერთად გადმოცემულს. ამასთან, ამირანის გორაზე სპირალური ორნამენტი ზოგჯერ დაკუთხულიცაა. ორმაგი სპირალებით შემკული კერამიკა კარგადაა ცნობილი მტკვარ-არაქსის კულტურის სხვადასხვა ძეგლებზე და უმთავრესად მოზრდილ ჭურჭელზეა მოცემული. მოზრდილია

ამირანის გორის ის ჭურჭელიც, რომელზეც მსგავსი ორნამენტია გამოსახული. ძირითადად ესაა მუცელგამობერილი მსხლისებრი ფორმის, ან სუსტად გამოსახულ სამნაწილადტანიანი დერგები, რომელიც ფორმით შეიძლება შევუდაროთ ქვაცხელა B და სომხეთის ზოგ დერგს [ორჯონიკიძე 1983, გვ. 37]. ასევე უახლოვდება ის ანატოლიის მტკვარ-არაქსულ ნაწარმსაც. ალიშარ ჰუიუკის დერგებს კვერცხისებრი ტანითა და მხრისკენ გაფართოებული ყელით ახლო პარალელები ეძებნება ამირანის გორის ცალებში [Osten, ტაბ. 71, 73, 74]. რელიეფური ორნამენტი, ზოგჯერ ნახევარმთვარის გამოსახულებით ასევე კარგადაა ცნობილი ქებანის რეგიონის ძეგლებზეც [Kelly, Buccelati, გვ. 48]. ახლო მსგავსება ჩანს ქარაზის ქვედა ფენის სპირალებთანაც [Кушнарева, Чубинишвили, გვ. 140], მაგრამ ამირანის გორის ნასახლარის ფენისა და ქარაზის ქვედა ფენების სინქრონულობა არ უნდა იყოს გამართლებული ამ უკანასკნელზე უფრო ადრეული იერის - ბიკონუსური ფორმის ჭურჭლის არსებობის გამო [ორჯონიკიძე 1983, გვ. 96, 117].[1] გაცილებით მეტ სიახლოვეს ამირანის გორის ნასახლართან როგორც არქეოლოგიური მასალის ხასიათის, ისე ქრონოლოგიის თვალსაზრისით იჩენს პულურისა (საქიოლი) და გიუზლოვას ქვედა ფენების მასალები, რომლებიც ქარაზის ქვედა ფენების მასალასთან შედარებით მოგვიანო ხანას მიეკუთვნება, რაც მტკიცდება ამ ძეგლებზე მიღებული რადიონახშირბადის თარიღებითაც [Кавтарадзе 1983, გვ. 90].

ამირანის გორის ნასახლარის კერამიკული კომპლექსი ფორმითა და შემკობის თვალსაზრისით ახლო დგას თრიალეთის ადრეული ყორღანების თიხის ჭურჭელთან [Кушнарева, Чубинишвили; ორჯონიკიძე 1983, გვ. 99]. ზოგის აზრით, ეს სიახლოვე საშუალებას იძლევა ამირანის გორის ნასახლარი ამ ყორღანების თანადროულად მივიჩნიოთ და ქვაცხელას B ფენის ნასახლართან ერთად ადრეული ყორღანების სინქრონულად ჩავთვალოთ [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ.

---

[1] ვ. როსტუნოვი ამირანის გორისა და ქარაზის ეტაპების მთლიან დამთხვევას ხედავს, ხოლო ძვ.წ. III ათასწ. შუა ხანებითა და მე-2 ნახევრის დასაწყისი ხანებით განსაზღვრულ ამირანის გორის II ეტაპის (ძირითადი ნამოსახლარი) მასალაში ამჩნევს წინააზიური იმპორტის მომძლავრებას, ფორმითა და ორნამენტით ქარაზის ანალოგიური ჭურჭლების გაჩენას, რასაც მოსახლეობის ინვაზიით ხსნის [Ростунов 1985, გვ. 3-42]. უნდა ითქვას, რომ მის მიერ მოტანილ ზოგ მასალას აღრეული პარალელი გააჩნია შიდა ქართლში. რაც შეეხება ქარაზს, აქ ამირანის გორის მსგავსი ორნამენტი ადრეულ ფორმაზე - ბიკონუსურ ჭურჭელზეა მოცემული. ამირანის

59; მინდიაშვილი 1993].[1] გაუმართლებლად მიგვაჩნია ქვაცხელას B ფენის სინქრონიზაცია თრიალეთის ადრეულ ყორღანებთან და ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ქვაცხელა B გაცილებით ადრეული ხანისადაა მიჩნეული [გოგაძე 1972, ქრონ, სქემა]. თრიალეთის ადრეულ ყორღანებში წარმოდგენილია მსხლისებრი ფორმის, დაშტრიხული, წვერით ზემოთ მიმართული სამკუთხედების სარტყლებით შემკული ხელადები, უცნობი ქვაცხელას B ფენისათვის ისევე, როგორც წერტილოვანი ორნამენტი. ამასთან, ქვაცხელა B ჯერ კიდევ ბევრ საერთოს ინარჩუნებს წინარე – C ფენის ნასახლართან როგორც არქიტექტურისა და სამშენებლო საქმის, ისე კერამიკული ნაწარმის ფორმისა და ორნამენტის თვალსაზრისით [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 59]. კერამიკის აღნიშნული თავისებურებებით ამირანის გორის ნასახლარს ქრონოლოგიურად შუალედური ადგილი უკავია ქვაცხელა B დონესა და თრიალეთის ადრეულ ყორღანებს შორის.

საინტერესო კერამიკული კომპლექსები გამოვლინდა ჯავახეთის პლატოზე ბოლო წლებში წარმოებული კვლევა-ძიებით. ეს პლატო მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში რომ ინტენსიურადაა ათვისებული, დავას არ იწვევს [Чубинишвили 1971, გვ. 56; ორჯონიკიძე 1989, გვ. 172]. ეს ბუნებრივია ამ კულტურის არეალში მოქცეული ჯავახეთისათვის, რომელიც მიწათმოქმედებისა და განსაკუთრებით მესაქონლეობის განვითარებისათვის საჭირო მძლავრი ბაზის არსებობით, ჩანს, სავსებით აკმაყოფილებდა იმდროინდელი საზოგადოების სამეურნეო - ყოფით მოთხოვნილებებს. ეს პლატო მოზობელი თრიალეთის ზეგნის მსგავსი ბუნებრივი პირობებით ხასიათდება და საშუალებას იძლევა ერთნაირ პირობებში წარმოვიდგინოთ ამ კულტურის განვითარება [Чубинишвили 1971, გვ. 54]. თვლიან, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ამ უმთავრესი საზაფხულო საძოვრებით უნდა ესარგებლათ მიმდებარე დაბლობებში მცხოვრებ ტომებს [Чубинишвили 1971, გვ. 59]. უკვე ამ დროიდან ივარაუდება მათი გამოყენება ქვემო და შიდა ქართლისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, რასაც ადრებრინჯაოს ხანის კულტურათა შერწყმა უნდა მოყოლოდა შედეგად [კიკვიძე 1976, გვ. 64-

---

გორაზე კი იგი უფრო მოგვიანო ხანის სამნაწილად ან მსხლისებრი ფორმის ჭურჭელზე დატანილი [ორჯონიკიძე 1983, გვ. 96].

[1] ტ. ჩუბინიშვილი არ გამორიცხავს ამირანის გორის ნასახლარის ძვ.წ. III ათასწ. მე-2 ნახევარში გადასვლის შესაძლებლობას [სინ. 1970, გვ. 182].

65]. სწორედ ეს მიზეზია მიჩნეული უმთავრეს ხელისშემშლელ გარემოებად ჯავახეთის ამ პერიოდის ძეგლების კულტურული მიმართების ზუსტი განსაზღვრის საქმეში [კიკვიძე 1976, გვ. 64].



სურ. 62. ბარალეთის ამაღლების გორა

ამ თვალსაზრისით საყურადღებო მონაცემებს გვაწვდის ბარალეთის ამაღლებისა და სათხეს ნამოსახლარების ადრებრინჯაოს ხანის კერამიკული ნაწარმი, რომელიც ტიპიურ მტკვარ-არაქსულ ნაწარმს შეიცავს. მასში ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის ჯამი, რომელიც როგორც პირმოყრილი, ისე პირგადაშლილი ტიპისაა, რომელთა ანალოგებს მრავლად ვხვდებით გვიან-მტკვარ-არაქსულ ძეგლებზე [ქიქოძე და სხვ. 1998, გვ. 43]. ამავე პერიოდის ძეგლებთან იჩენს სიახლოვეს კერამიკის შემკობაც – ჭურჭლის ყელზე შემოყოლებული ტეხილხაზოვანი ჭრილი ორნამენტი, მსგავსი ქვაცხელა B, ამირანის გორის, არიჭის და სხვა ნასახლართა კერამიკის შემკობისა. ფართოდ ვრცელდება ამ ხანის კერამიკაზე ჭურჭლის მორთვა ერთეული კოპებით, როგორც ეს სათხესა და ბარალეთის ზოგ ნაწარმზეა წარმოდგენილი. კოპი აქვს გამოყვანილი ბარალეთის ერთ ცალგვერდგახსნილ ტაფასაც ეს ჭურჭელი ზუსტ ანალოგებს პოულობს ხიზანაანთგორის C_1 ფენასა და ამირანის გორის ნასახლარზე. კოპებითაა მორთული სათხეს გვერდშედრეკილი ჭურჭელიც, მსგავსი თრიალეთის – ოზნისა და ბეშთაშენის ცალებისა [კიკვიძე 1972, გვ. 74]. ამგვარი ჭურჭელი კარგადაა ცნობილი სომხეთში [კიკვიძე 1972, გვ. 75]. ანალოგიური, ოღონდ ყურიანი ჭურჭელი დამახასიათებელია შიდა ქართლისათვის. მას მრავლად ვხვდებით ხიზანაანთ გორაზე, ქვაცხელაზე, ცხინვალში [კიკვიძე 1972, გვ. 74]. ზოგჯერ ამგვარ ჭურჭელს ყური

სამტოტა აქვს, მსგავსად სათხეს ცალისა. უნდა ითქვას, რომ ასეთი ყური ძირითადად შიდა ქართლისათვისაა დამახასიათებელი. იგი თავს იჩენს ქვაცხელას სულ ზედა – B_1 ფენაში და არსებობას განაგრძობს ციხიაგორას B დონეზე [ქიქოძე და სხვ. 1998, გვ. 43], რის შემდეგაც, აქ შიდაქართლური კულტურის განვითარების შეწყვეტასთან ერთად [მახარაძე 1994, გვ. 50], ისიც ქრება [ქიქოძე და სხვ. 1998, გვ. 43].

შიდაქართლურისაგან განსხვავებული – სამხრეთული ვარიანტისათვის დამახასიათებელი ჩაღარულ-ამობურცული რთული სპირალური ორნამენტია მოცემული ამაღლების ერთ მოზრდილ ჭურჭლის ნატეხზე. აბსოლუტურად ანალოგიურ შემკობას ვხედავთ სომხეთის ძეგლებზე – შრეშ-ბლურზე, მოხრაბლურზე და სხვ. საქართველოს ტერიტორიაზე ამგვარ შემკობას ყველაზე მრავლად ქვემო ქართლის ველის გვიანმტკვარ-არაქსულ ძეგლებზე ვხვდებით, რაც ამ კულტურის სამხრეთული ვარიანტის არსებობის მანიშნებლადაა მიჩნეული [ჯაფარიძე 1976, გვ. 114]. ამ ვარიანტის გავლენა, როგორც აღვნიშნეთ, შიდა ქართლშიც შეიმჩნევა. სტრატიგრაფიული ძეგლებით ისე ჩანს, რომ იგი აქ თავდაპირველად ქვაცხელას B_1 ფენაში იჩენს თავს, რამოდენიმე მოზრდილ ჭურჭელზე დატანილ რთული სპირალური ორნამენტის სახით [ჯაფარიძე 1976, გვ. 113]. ციხიაგორის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ მან აქ უკვე საკმაოდ მტკიცედ მოიკიდა ფეხი. ამგვარი ორნამენტი ჩანს როგორც B, ისე ზედა A დონის ხანაშიც, ე.ი. მაშინაც, როცა აქ შიდაქართლური ვარიანტის განვითარება უკვე შეწყვეტილია [მახარაძე 1994, გვ. 66].

მტკვარ-არაქსის კულტურაში იშვიათია ორმაგი, შეტყუპებული ყური [ქიქოძე და სხვ. 1998, გვ. 43]. ერთი ამგვარი მენისკური ტიპის ყური აღმოჩნდა სათხეში. ორმაგყურიანი ჭურჭელი უფრო ბედენური კულტურისათვისაა დამახასიათებელი, განსაკუთრებით – შიდა ქართლში [ქიქოძე და სხვ. 1998, გვ. 43]. ბერიკლდეებსა და ხაშურის ნაცარგორაზე ამგვარყურიანი არაერთი ქოთანია აღმოჩენილი, თუმცა ყურის ფორმა განსხვავებულია [ქიქოძე და სხვ. 1998, გვ. 43].

აღსანიშნავია სათხეს ნასახლარის D შენობის კომპლექსი, რომელიც შედგება დიდი ზომის კვერცხისებრი ფორმის დერგის, ტოლჩის, ხელადის, კოჭისებრი სადგარის და სხვა ინვენტარისაგან. კოჭისებრი სადგარი პარალელებს

პოულობს ამირანის გორის, ზველის, ოზნის და სხვა ძეგლების მასალებში. ტოლჩა ზედხედში ოვალურია და ძალზე წააგავს ამირანის გორისა და ოკამის ცალებს [ქიქოძე და სხვ. 1998, გვ. 43]. რაც შეეხება ხელადას, აქ აღმოჩენილი ორივე ჭურჭელი მსხლისებრი ფორმისაა. იგი ახლოს დგას ამირანის გორის გვიანდელი სამარხებისა და თრიალეთის ადრეული ჯგუფის ყორღანთა ჭურჭელთან, რომლებიც სათხეს ცალებისაგან განსხვავებით ორნამენტირებულია [ქიქოძე და სხვ. 1998, გვ. 43]. ახლოა ციხიაგორას B_2 ფენის ჭურჭელთანაც, მაგრამ ყველაზე მეტად უახლოვდება მარტყოფის ყორღანთა ანალოგიური ფორმის მოზრდილ ჭურჭელს და მიუთითებს მტკვარ-არაქსის კულტურის როლზე ადრეყორღანული კულტურის კერამიკის ფორმირების საქმეში [ქიქოძე და სხვ. 1998, გვ. 43].

ამ საფეხურზე სხვადასხვა ტიპის კერაა გავრცელებული. შიდა ქართლში წამყვანი კვლავ მრგვალი, შვერილებიანი კერა ჩანს. ქვაცხელასა და ციხიაგორას B დონეზე ამგვარი კერის არაერთი ცალია დადასტურებული [ჯავახიშვილი, ღლონტი, ტაბ. IV; მახარაძე 1994, ტაბ. 38]. მას აგრეთვე ვხვდებით მჭადიჯვრის გორაზე, გუდაბერტყაზე, ზველში – სამარხი ყანებზე [სა, გვ. 92, 189]. დასავლეთ საქართველოში იგი ცნობილია არგვეთის მტკვარ-არაქსულ ნასახლარიდან [ფხაკაძე 1993, გვ. 67]. აღსანიშნავია, რომ ამგვარი კერა არ ჩანს ამირანის გორაზე.[1] აქ ამ პერიოდში გავრცელებულია მრგვალი, უშვერილო, ცილინდრულტანიანი კერა, მსგავსი მეტეხისა და თეთრიწყაროს ნასოფლართა ცალებისა [ფხაკაძე 1967,

---

[1] მრგვალი, შვერილიანი კერის არსებობას აღნიშნავენ ამირანის გორის XX შენობაში [Кушнарева, Чубинишвили, გვ. 64], თუმცა ზოგჯერ ამავე შენობაში ცილინდრული კერაა დასახელებული [Чубинишвили 1971, გვ. 66]. ამგვარი კერის შვერილები ცნობილია ამირანის გორის ნასახლარის ქვედა ფენიდანაც [ორჯონიკიძე 1983, გვ. 63]. მოსაზრება, რომ მტკვარ-არაქსის კულტურაში გავრცელებული სამ და ოთხშვერილიანი მრგვალი კერები ამ კულტურის მოგვიანო ეტაპს განეკუთვნება [ფხაკაძე 1998, გვ. 6], არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული. მაგრამ არც უნივერსალურია, რადგან სამშვერილიანი კერა დასტურდება ისეთ ადრეულ ძეგლებზე, როგორიცაა დიდუბე [ქორიძე 1955, ტაბ. X_1] და ხიზანაანთ გორა E [კიკვიძე 1972, ტაბ. 38]. შვერილებიანი კერა ცნობილია თეთრიწყაროს ნასახლარის ქვედა – A ფენაშიც [გობეჯიშვილი 1978, გვ. 64], ხოლო ხიზანაანთ გორის D ფენაში წამყვანი ადგილი უკვე ოთხშვერილიან კერას უკავია [კიკვიძე 1972, გვ. 29-36]. ამასთან, ცალშვერილიან კერას ვხვდებით ისეთ მოგვიანო ხანის ძეგლზე, როგორიცაა არგვეთის ნასახლარი [ფხაკაძე 1993, გვ. 67].

აღმოსავლეთ საქართველოში არ ჩანს სამფეხა სადგარი. იგი მხოლოდ არარატის ველის ძეგლებს ახასიათებს [Кушнарева, Чубинишвили, გვ. 175]. რაც შეეხება ოზნის სამფეხას, იგი განსხვავებული ფორმისაა, ხოლო გრემის ადრეულ კერამიკასთან ერთად აღმოჩენილი საღგრის ნატეხი, რომელსაც შ. დედაბრიშვილი შენგავითის ცალებს უდარებს [Дедабришвили 1969, გვ. 68], ძლიერფრაგმენტულობის გამო არაფრის მთქმელია.

გვ. 320; გობეჯიშვილი 1978, სურ. 15]. სხვაგან ამ ტიპის კერა ძირითადად ქიულ-თეფეზეა აღმოჩენილი [ჯაფარიძე 1961, გვ. 77].

კიდევ ერთი ტიპის – მრგვალ-ბრტყელი, შუაგულამოღებული კერა იყო ამ დროს ხმარებაში. მისი უადრესი ცალი ბერიკლდეების ადრემტკვარ-არაქსული ფენიდანაა ცნობილი [Глонти, Джавахишвили 1987, გვ. 82]. აღნიშნულ ხანაში კი მას ვხვდებით ახალციხის ამირანის გორაზე, ზველის სამარხი ყანებზე [ჩუბინიშვილი 1963, გვ. 64; ორჯონიკიძე 1983, გვ. 22], სათხესა და ბარალეთის ამაღლებაზე [ქიქოძე და სხვ. 1998, ტაბ. II, III]. ალიზის მრგვალი, უშვერილო კერაა არგვეთშიც [ფხაკაძე 1993, გვ. 67]. თიხის ამგვარი კერები და ზესადგრებია სომხეთსა და აღმოსავლეთ ანატოლიაში – შენგავითზე, არიჭში, ყარა-თეფეზე, ქარაზზე და სხვ. [ორჯონიკიძე 1983 გვ. 68]. როგორც ჩანს, საქართველოში კერის ეს ტიპი უფრო სამცხე-ჯავახეთ-თრიალეთშია გავრცელებული. მისი ამ პერიოდში არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ ამგვარი კერა უკვე აღარ უნდა ჩაითვალოს მტკვარ-არაქსის კულტურისათვის უცხოდ და მხოლოდ წინააზიისათვის დამახასიათებლად [ჩუბინიშვილი 1963 გვ. 64, Мунчаев 1975, გვ. 156].

ამავე საფეხურზე არსებობას აგრძელებს რქისებრი სადგარი. იგი წარმოდგენილია მჭადიჯვრის ნასახლარის [Цитланадзе 1976, გვ. 50], ამირანის გორის ხარის სქემატური ფიგურით [ჩუბინიშვილი 1963, გვ. 69] და შედარებით რეალისტურად შესრულებული ასეთივე ფიგურით ციხიაგორის B ფენიდან [მახარაძე 1994, ტაბ. LXXI]. ორივე სადგარი ახლო ანალოგებს პოულობს სომხეთში. ერთი – არიჭის ნასახლარზე, მეორე - ჯრაოვიტში [Есаян 1980, ტაბ. 3, 4]. სომხეთის ძეგლებზე რქისებრი სადგრის სხვა ვარიანტებიცაა დადასტურებული [Есаян 1980, ტაბ. 12-16].

კვლავ ვხვდებით კოჭისებრ სადგარსაც. ერთი ამგვარი სადგარი ზედა ნაწილზე მიძერწილი ყურით აღმოჩენილია ამირანის გორაზე [ორჯონიკიძე 1983, ტაბ. 17]. ცნობილია ის მჭადიჯვრის გორის ადრებრინჯაოს ხანის ფენიდანაც [Цитланадзе и др. 1976, გვ. 50] და ჟინვალიდან [სა, გვ. 92]. არის ქვემო ქართლშიც – ორწყლების ნასახლარზეც [Цквитинидзе 1990, გვ. 133]. დასავლეთ საქართველოში მას ვხვდებით არგვეთში მინიატურული სადგრის სახით [ფხაკაძე

1993, გვ. 67]. აქვეა ტორსისებრი სადგარიც, მსგავსი ოზნის მოგვიანო ხანის კომპლექსის ცალისა [Куфтин 1948, ტაბ. 31].



სურ. 63. ნალისებრი ანტროპომორფული ზესადგრები
1-10. ამირანისგორა, 11. ბარალეთი, 12. ლელოვანი, 13. ფარეხა

ჯერ კიდევ I საფეხურზე დადასტურებული ნალისებრი ტიპის სადგარი მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელებასთან ერთად ადრევე ვრცელდება სხვაგანაც [ჯაფარიძე 1961, გვ. 105]. განსაკუთრებით მოიკიდა მან ფეხი მესხეთ-ჯავახეთში ამ კულტურის მოგვიანო საფეხურზე მაშინ, როცა უცნობი დარჩა იგი ქვემო და შიდა ქართლისათვის, სადაც სამხრეთული, განსაკუთრებით არარატის ველზე გავრცელებული კულტურული ნაკადის გავლენები საგრძნობი იყო. ნალისებრი სადგარი სწორედ სამხრეთი ოლქებისთვისაა დამახასიათებელი. როგორც ჩანს, მესხეთ-ჯავახეთში ეს გავლენები რამდენადმე განსხვავებული ხასიათისა იყო.

აქ აღმოჩენილ ამგვარ ზესადგარს აქვს მრგვალი, ელიფსური, ოთხკუთხა განივკვეთის ანტროპომორფული შვერილი, რომელიც სადგარის ცენტრში, კიდესთან იწყება. მის წინ, დაბალი ღარით გამოყოფილ შიდა მხარეზე პატარა ფალოსი აქვს გამოყვანილი. თვალები და პირი გამოსახულია გამოწვამდე გაკეთებული მრგვალი ფოსოებით. უმეტესობას რელიეფური ცხვირი ამკობს. ზოგჯერ თვალები და პირი საერთოდ არაა გამოსახული. ხშირად სადგარს შვერილის უკან ყური აქვს მიძერწილი. ზოგს ანტროპომორფულის ნაცვლად სხვადასხვა ტიპის შვერილი აქვს გამოსახული შიდა მხარეს ფალოსით, რაც ამ სადგრებსაც ანტროპომორფული ზესადგრების რიგში აყენებს. ნალისებრ სადგარს ჰქონდა როგორც პრაქტიკული, ისე საკულტო-სარიტუალო დანიშნულება. მასზე გამოსახულია მჯდომარე მამაკაცი არაპროპორციულად შემცირებული ტანით, რკალურად მოხრილი ფეხებით და გამოყოფილი ცერა თითით. იგი იტიფა-

ლური მამაკაცის კერპს წარმოადგენს და კერის კულტს უკავშირდება [ჩუბინიშვილი 1963, გვ. 66-68].

უკანასკნელ ხანებამდე ანტროპომორფულშვერილიანი ნალისებრი ზესადგარი მხოლოდ სამცხეში იყო დადასტურებული, სადღეისოდ იგი ჯავახეთის პლატოდანაც გახდა ცნობილი [ორჯონიკიძე 1998].

ამგვარი ზესადგრების უმეტესობა ახალციხის ამირანის გორაზეა აღმოჩენილი, სტრატიგრაფიულად მეორე ფენაში, რაც გვიანმტკვარ-არაქსულ ხანას შეესაბამება. ამ სადგრების შვერილებზე მარტივი და პრიმიტიული გულუბრყვილობით გადმოცემულია ადამიანის სახის სქემატური გამოსახულება. მათ ახასიათებს ძერწვის ერთიანი სტილი და ნაკვთების გამოსახვის ერთი და იგივე მანერა [ჩუბინი;შვილი 1963, გვ. 65]. X შენობაში აღმოჩენილ სადგარს თავზე აქვს რქისებრი მორჩები მომრგვალებული წვერებით; XIII შენობაში შუაში შეზნექილი მრგვალი შვერილია, რომელსაც ფოსოებით გაკეთებული აქვს პირი და თვალები, რელიეფით – მოზრდილი ცხვირი. მას თავი ჩაზნექილი აქვს. აქვე აღმოჩენილ მეორე სადგარს, რომელსაც ფალოსი აქვს გამოსახული, ანტროპომორფულის ნაცვლად ხვრელიანი შვერილი და ოთხკუთხა თავი გააჩნია. ანალოგიური, ოღონდ უხვრელო შვერილი ამირანის გორის II უბნის კულტურულ ფენაშიცაა ნაპოვნი. XIV და XXI შენობათა ზოგ სადგარს არა აქვს თვალები და პირი და მხოლოდ რელიეფური ცხვირი ამკობს. უფრო მრავალრიცხოვანია სადგრები მომრგვალებულთავიანი შვერილით, რომელზეც ზემოდაღწერილი ხერხებით არის გამოსახული პირი, თვალები და ცხვირი. ამგვარი სადგრებია XIV და XXV შენობაშიც. არაა გამორიცხული, რომ ფოსოებში, ზოგიერთი წინააზიური სკულპტურის მსგავსად, ორგანული ნივთიერების ფერადი შევსება იყო [Чубинишвили 1971, გვ. 66].[1]

ამირანის გორის გარდა ანტროპომორფულშვერილიანი სადგრები ცნობილია აგრეთვე ადიგენის რაიონში ფარეხას გორაზე გათხრილი საკულტო ორმოდან [Гамбашидзе, Квижинадзе 1981, გვ. 63, ტაბ. 36]. მას აქვს მოკლე და მასიური ფეხები ზეაწეული წვერებით, ცენტრალური შემაღლება, უკან ყურით. ამავე რაი-

[1] ზოგი ამირანის გორის ამ ზესადგარებს მახლობელი აღმოსავლეთის აღმოჩენების ფონზე განიხილავს და მათ ერთ-ერთ უადრეს ტიპად თვლის, რაც არ უნდა იყოს მართებული [ორჯონიკიძე 1983, გვ. 100].

ონში კიდევ ორ ადგილას აღმოჩნდა ნალისებრი სადგარი. ერთი სოფ. ბენარასთან, მეორე – სოფ. ლელოვანთან [ორჯონიკიძე 1983, ტაბ. III2; Гамбашидзе и др. 1991, გვ. 33]. ამგვარი სადგარი ცნობილია ასპინძის რაიონშიც, სოფ. ზველის სამარხი ყანებზე, სადაც იგი შიდაქართლური ტიპის მტკვარ-არაქსულ ჭურჭელთან ერთად იყო ნაპოვნი [ჯაფარიძე 1976, გვ. 110; ორჯონიკიძე 1983, გვ. 22]. თიხის ნალისებრი ზესადგ ‹რის ფრაგმენტი შემთხვევით უნდა იყოს მოხვედრილი აქვე გათხრილ ერთ მოგვიანო ხანის ყორღანში, რომელიც ადრევე ყოფილა დაზიანებული [Гамбашидзе О., Гамбашидзе И. 1995, გვ. 51].

ნალისებრი ზესადგარი ჯავახეთის პლატოზე სოფ. ბარალეთის ამაღლებაზეც აღმოჩნდა [ქიქოძე და სხვ. 1998].

ძირითადად ჩამოთვლილით ამოიწურება აღმოსავლეთ საქართველოში ამ საფეხურის ძეგლებზე ნალისებრი ზესადგარის აღმოჩენის შემთხვევები. ნაკლებადაა იგი წარმოდგენილი აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის ძეგლებზე [ორჯონიკიძე 1983, გვ. 66]. სამაგიეროდ მრავლადაა ის ამ კულტურის გავრცელების სამხრეთ ოლქებში. ამასთან, იქ გვხვდება უფრო მრავალფეროვანი და უხვად ორნამენტირებული როგორც ანტროპომორფული, ისე ზოომორფულშვერილიანი ცალებიც. ეს უკანასკნელი უცნობია საქართველოსათვის.

ნალისებრი ზესადგარი კარგადაა ცნობილი სომხეთიდან, აღმოსავლეთ ანატოლიიდან. კიდევ უფრო მდიდრულადაა შემკული კირბეტ-კერაკის კულტურის სადგრები, რომელთაც ხშირად ანტროპომორფული გამოსახულება ფეხის ტერფებზე აქვს დატანილი, რაც ასევე უცნობია ჩვენი ცალებისათვის.

სომხეთის ტერიტორიაზე ნალისებრი სადგარი ცნობილია არევიკიდან [Ханзадян 1967, გვ. 165], კარნუტის ნასახლარიდან, ოღონდ მასზე ცხვარია გამოსახული, მსგავსად არიჭის, ამასიისა და შენგვითის ცალებისა [Бадалян 1984; Хачатрян 1975, გვ. 72]. ანტროპომორფულგამოსახულებიანი ზესადგარია ტიგნისში, ასევე – არიჭშიც [Хачатрян 1975, გვ. 72]. არის ის მოხრა-ბლურსა [Ханзадян, 1967, ტაბ. 17] და არმავირ-ბლურზე [Куфтин 1944, გვ. 39].

კიდევ უფრო მრავლადაა ნალისებრი სადგარი აღმოსავლეთ ანატოლიაში. ყარსთან ახლოს - ყარა-კურტში აღმოჩენილ სადგარს აქვს ყური და რუდიმენტული წანაშვერი [Lamb 1954, გვ. 26]. არის ის იგდირშიც [Куфтин 1944, გვ.

39]. ერზრუმთან გათხრილ პულურის ნამოსახლარის ზედა ფენებში, სადაც მხოლოდ მტკვარ-არაქსული კერამიკაა წარმოდგენილი, ნაპოვნია ზესადგრები ადამიანის სახის გამოსახულებით [ჯაფარიძე 1976, გვ. 151]. არის ის ბეიჯესულტანის ადრებრინჯაოს ხანის II პერიოდის მასალებშიც [Lloyd, Melaart, ტაბ. XXIV_2], ასევე – თეფესიკსა და ჰან იბრახიმ შახზე [Esin 1972, ტაბ. 110; Ertem, 1970, ტაბ. 41]. ნალისებრი სადგარია კორუკუ-თეფეზეც [Sagona 1984, გვ. 75]. შვერილიანი ნალისებრი სადგარია აღმოჩენილი სოს-ჰუიუკზე, გვიანმტკვარ-არაქსულ ფენაში. იგი განსაკუთრებით ახლოს დგას კორუკუ-თეფეს ცალთან [Sagona 1996, ტაბ. 8]. ახალციხის ამირანის გორის ცალებს უახლოვდება ზესადგარი ალიშარის ხალკოლითური ფენიდანაც. მას თვალები ფოსოებით აქვს გამოსახული, ხოლო ცხვირი, მესხეთის ცალების მსგავსად – რელიეფით [Osten, ტაბ. 100]. გარკვეული მსგავსება ჩანს ასევე ბუიუკთეფე ჰუიუკის ანტროპომორფულ ზესადგარებთანაც, რომელთაც ახლო ანალოგიები მოეძებნება მახლობლად – პულურსა და გიუზელოვაზე [Sagona და სხვ., 1993]. ამ ზესადგარის მხოლოდ ცენტრალური ნაწილია შერჩენილი. მასზე მოცემული გამოსახულება უფრო მეტად უახლოვდება კერის გამოსახულებას ციხიაგორას A ფენიდან [მახარაძე 1994, ტაბ. LVIII].

არაერთი ანალოგი მოეპოვება საქართველოს ნალისებრ ზესადგარებს სირია-პალესტინაშიც. აქ, კირბეტ-კერაკის კულტურის ნასახლარებზე ვხვდებით ისეთსავე ზესადგარებს, როგორიც ამირანის გორის კომპლექსებშია აღმოჩენილი [ჩუბინიშვილი გვ. 68]. განსაკუთრებით ახლოა ამირანის გორის XIV და XXV შენობების ცალებთან [Hood 1951, ტაბ. XI]. თუმცა, ხშირად ამ სადგრებს ჩვენი ცალებისაგან განსხვავებით, ანტროპომორფული გამოსახულება ფეხის ტერფებზეც აქვს გამოსახული [Braidwood, Braidwood 1960, ტაბ. 290]. ამგვარივეა ბეთიერაჰის ზესადგარებიც [Amiran 1970, გვ. 70]. ამუკში, კირბეტ-კერაკში აღმოჩენილ ნალისებრ ზესადგრებს ხშირად უახლოვებენ ანატოლიურ და ამირანის გორის ცალებს [ჯაფარიძე 1976, გვ. 159]. H ფაზის ზესადგარი ფოსოებით გამოყვანილი თვალებითა და პირით, რელიეფური ცხვირით ძალზე ახლოა ამირანის გორის სადგრებთან [Braidwiood, Braidwood 1970, ტაბ. 290]. ნალისებრი სადგარია მომდევნო i ფაზაზეც [Braidwood, Braidwood 1970, გვ. 400].

სირია-პალესტინაში მტკვარ-არაქსული ნაწარმის გაჩენის შესახებ არაერთი აზრია გამოთქმული. მკვლევართა უმეტესობა თვლის, რომ კირბეტ-კერაკის კულტურის სახელით ცნობილი ეს კულტურა აქ აღმოსავლეთ ანატოლიიდან, ძირითადად ელიაზიგის მხარიდან უნდა გავრცელებულიყო ძვ.წ. III ათასწ. პირველი ნახევრის ბოლოს და მომდევნო საუკუნეების განმავლობაშიც უნდა ეარსება [ჯაფარიძე 1976, გვ. 159-161]. კირბეტ-კერაკის კულტურის კერამიკას ელიაზიგის ოლქში გავრცელებულ თიხის ჭურჭელს უახლოვებენ. მას კი თავის მხრივ ბევრი აქვს სერთო არარატის ველისათვის დამახასიათებელ ჭურჭელთან [ჯაფარიძე 1976, გვ. 160].

როგორც ცნობილია, მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელება დაკავშირებულია მის თავდაპირველ კერასთან – ამიერკავკასიასთან, რაც კარგად აისახა ადრეულ ხანაში მისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლისა და კერა-სადგარის აღმოჩენით ჩრდილო კავკასიასა თუ სამხრეთის მიმართულებით. ამასთან, მის გავრცელებას იმდენად მასშტაბური ხასიათი ჰქონდა, რომ მკვლევართა უმრავლესობა ამ მოვლენას ამიერკავკასიიდან მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი მოსახლეობის სხვადასხვა მხარეს ფართო განფენას უკავშირებს [ჯაფარიძე 1976, გვ. 153; Мунчаев 1975, გვ. 365; ქავთარაძე 1981, გვ. 82-83; ფხაკაძე 1998, გვ. 6]. ეს კულტურა თავდაპირველად მტკიცედ იკიდებს ფეხს აღმოსავლეთ ანატოლიის ამიერკავკასიასთან მიმდებარე მხარეში, შემდგომ კი უფრო სამხრეთითაც ვრცელდება, საიდანაც ივარაუდება მისი გამოჩენა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში [ჯაფარიძე 1976, გვ. 160; ქავთარაძე 1981, გვ. 82]. გამორიცხული არაა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის მიმართულების გარდა აღმოსავლეთ ანატოლიიდან გარკვეული კულტურული გავლენები მოგვიანებით უკან, საქართველოს მხარესაც წამოსულიყო. სამხრეთული, მათ შორის აღმოსავლეთ ანატოლიური წარმომავლობის მტკვარ-არაქსის კულტურის ნიშნების გამოვლინება არაერთგზისაა შენიშნული როგორც სამშენებლო საქმისა და არქიტექტურის თვალსაზრისით, ისე კერამიკული ნაწარმითაც [ჯაფარიძე 1976, გვ. 328; მახარაძე 1994, გვ. 55; Ростунов 1985]. აღსანიშნავია, რომ კირბეტ-კერაკის ანტროპომორფული ნალისებრი ზესადგარი ახლო დგას აღმოსავლეთ ანატოლიურ და საქართველოს ცალებთან. მართალია, ამგვარი სადგარი აღმოსავლეთ საქართველო-

ში ადრეულ ხანაშივე - I საფეხურის დროსაა ცნობილი (ხიზანაანთ გორა E, ბერიკლდეები), მაგრამ ანტროპომორფულშვერილიანი ჩვენში შედარებით გვიან ჩნდება [ორჯონიკიძე 1983, გვ. 100]. მისი მასიური გამოჩენა აქ უფრო უკუ-პროცესებთან უნდა იყოს დაკავშირებული, რაც აღმოსავლეთ ანატოლიიდან, კერძოდ ელიაზიგის ოლქიდან და მისი მიმდებარე მხარეებიდანაა სავარაუდო, ვიდრე საქართველოს შიდა რაიონების, ჩრდილო კავკასიისა და აზერბაიჯანის მხრიდან, სადაც ამგვარი სადგარი თითქმის უცნობია [ორჯონიკიძე 1983, გვ. 66]. საინტერესოა, რომ კირბეტ-კერაკის კულტურაში ისევე, როგორც ელიაზიგ-მალათიის მხარეში, არ გვხვდება შიდა ქართლისა და არარატის ველისათვის დამახასიათებელი მრგვალი, შვერილიანი კერა [ჯაფარიძე 1976, გვ. 160]. ამგვარი კერა ასევე იშვიათია ამირანის გორისა და სამცხე-ჯავახეთის ნამოსახლართა ანტროპომორფული ზესადგარების შემცველი კომპლექსებისათვის. ამირანის გორის ამგვარ სადგრებს აღმოსავლეთ ანატოლია — სირია-პალესტინის ცალებთან აახლოვებს ასევე ადამიანის სახის შედარებით რეალისტური გამოსახვა. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ტიპის სადგარი საკმაოდ დიდ ტერიტორიაზეა გავრცელებული და სამცხე-ჯავახეთი ამ არეალის ჩრდილო ზოლს წარმოადგენს, ხოლო ახალციხის ამირანის გორა ამგვარი სადგარის გავრცელების უკიდურესად ჩრდილოეთით მდებარე პუნქტია [ორჯონიკიძე 1983, გვ. 65]. თავის დროზე ბ. კუფტინი ნალისებრი სადგრის გამოჩენის გზას ანატოლია — ეგეოსში ხედავდა [Куфтин 1944, გვ. 127]. ანატოლიურ და სირო-პალესტინურ თიხის ანტროპომორთულ ფიგურებთან პოულობს ასევე ახლო კავშირს აღმოსავლეთ საქართველოს თიხის ანტროპომორფული ფიგურებიც [ჯავახიშვილი გ. 1984, გვ. 40].

აღსანიშნავია, რომ ელიაზიგ-მალათიაში გავრცელებული კერამიკული ნაწარმი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, რითაც განსხვავდება არარატის ველის ძეგლებისაგან [ჯაფარიძე 1976, გვ. 153]. არარატული ელემენტები ასევე არამკვეთრადაა წარმოდგენილი ამირანის გორის ჭურჭელზეც, რითაც მეტი საერთო ჩანს აღმოსავლეთ ანატოლიასთან. ჩვენში არც სომხეთისათვის დამახასიათებელი ზოომორფულშვერილიანი ნალისებრი სადგარია ცნობილი.

ამიერკავკასიიდან გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურა აღმოსავლეთ ანატოლიაში ძალზე მძლავრ კერას ქმნის. მისთვის დამახასიათებელ კერა-

მიკასთან ერთად აქ თავს იჩენს ნალისებრი ფორმის ანტროპომორფული ზესადგარიც, რომლის უადრესი ეგზემპლარები აღმოჩენილია პულურზე (საქიოლი), კორუკუ თეფეზე, თეფე სიკზე და სხვ. [Sagona 1984; 1996]. ეს ძეგლები ამირანის გორის მაგვარი ტიპის ზესადგარების შემცველ კომპლექსებზე რამდენადმე ადრეული ხანისაა [Sagona 1984, ქრონ. ცხრილა], ან დაახლოებით თანადროული ჩანს, რასაც თიხის ჭურჭელსა და ნალისებრ სადგარში დანახული იგივეობის გარდა, რადიონახშირბადის მეთოდით მიღებული თარიღებიც უჭერს მხარს [Кавтарадзе 1983, გვ. 90]. ამრიგად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრემტკვარ-არაქსულ ხანაში წარმოქმნილი თიხის ნალისებრი*სადგარი* შემდგომ განვითარებას განიცდის ამ კულტურს სამხრეთ ოლქებში, საიდანაც, სავარაუდოა, ვრცელდება მის მოსაზღვრე სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე.

§ 4. **ნაგებობათა და სამარხთა ტიპები.** აღსანიშნავია სამცხე-ჯავახეთის ქვის საფუძველზე ნაგები ოთხკუთხა შენობების მიდრეკილებაც აღმოსავლეთ ანატოლიის არქიტექტურასთან [Мунчаев 1975, გვ. 172; ჯაფარიძე 1976, გვ. 147]. სამცხე-ჯავახეთში არ გვხვდება არარატის ველისათვის დამახასიათებელი მრგვალი შენობები, აქ არც შიდაქართლური წნულ-თიხალესილი შენობები ჩანს.[1] მართალია, რიგი განსხვავებების გათვალისწინებით ამირანის გორის ნაგებობები შიდაქართლურ ტიპთანაა დაახლოებული [Джавахишвили 1973, გვ. 231], მაგრამ, როგორც ჩანს, ფორმითა და სამშენებლო მასალითაც ეს ნაგებობები უფრო მეტად მაინც აღმოსავლეთ ანატოლიის მტკვარ-არაქსულ ნასახლართა ქვის ოთხკუთხა შენობებს ემსგავსება [Мунчаев 1975, გვ. 172]. მასთან მჭიდრო კავშირს იჩენს ჩრდილო-დასავლეთ სომხეთის ნასახლართა ნაგებობებიც, რომელთვისაც, სამცხე-ჯავახეთის მსგავსად, მრგვალი ნაგებობა უცნობია [Хачатрян 1975, გვ. 39]. ამდენად, სამცხე-ჯავახეთის, ჩრდილო-დასავლეთი სომხეთისა და აღმოსავლეთ ანატოლიის რიგი ძეგლების შენობები ერთიან არქიტექტურულ სტილს ქმნის, რომლისთვისაც დამახასიათებელია ქვით ნაგები ოთხკუთხა არქიტექტურა.

---

[1] ქვის მრგვალი შენობების არსებობას აღნიშნავენ ჯავახეთში [Чубинишвили 1971, გვ. 75, 83], მაგრამ არსებული მონაცემებით ამის მტკიცება გაჭირდება.

აღმოსავლეთ ანატოლიაში ამას გარდა, გავრცელებულია წნულ-თიხალესილი შიდაქართლური ტიპის ნაგებობები, ალიზით ნაგები მრგვალი ფორმის შენობები და სხვ. როგორც ჩანს, აქ ადგილი აქვს სხვადასხვა არქიტექტურული ტრადიციის შეხვედრას [Sagona 1984, გვ. 70-74, 101-102].

ამ საფეხურზე აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილზე შეინიშნება არარატის ველისათვის დამახასიათებელი სამნაწილადტანიანი, ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭლის ფართო გავრცელება, რაც არქეოლოგთა უმრავლესობის აზრით დაკავშირებულია მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთული ვარიანტის გააქტიურებასთან.[1] ამ ვარიანტის გავლენის ქვეშ ექცევა ქვემო ქართლის ვაკე, შიდა ქართლის მტკვრის ხეობის ნაწილი. მისთვის დამახასიათებელი კერამიკა თავს იჩენს თრიალეთსა და სამცხე-ჯავახეთშიც, მაგრამ უფრო ნაკლებად. მის გამოჩენას აღმოსავლეთ საქართველოს ყველა მხარეში არ გამოუწვევია მკვეთრი ცვლილებები არქიტექტურაში, სამშენებლო საქმესა და ნივთიერი მასალის ძირითად კომპონენტებში, რაც ადგილობრივი ტრადიცების სიძლიერითაა ახსნილი [ჯაფარიძე 1976, გვ. 142; მახარაძე 1994, გვ. 52]. ქვაცხელას მაგალითზე ჩანს, რომ ამ დროს სოფელი არ იცვლის სახეს, გეგმარებაც თითქმის იგივე რჩება. არ იცვლება შენობის ტიპიც – კვლავ განაგრძობს არსებობას წინარე საფეხურზე ცნობილი სარ-ლასტით ნაგები სწორკუთხა შენობა [სა, გვ. 90].

რამდენადმე განსხვავებული სურათი ჩანს ქვემო ქართლსა და თრიალეთში, სადაც ნაგებობები ქვის საფუძველზეა გამართული. ვარაუდობენ, რომ საქმე გვაქვს ერთი და იმავე კულტურის ორი ლოკალური ვარიანტის – ქვემო და შიდა ქართლის სამშენებლო ტექნიკის თავისებურებებთან [ფხაკაძე 1963, გვ. 64].[2] ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ეს ორი ოლქი ერთმანეთისაგან განსხვავდება ნაგებობათა ფორმებითაც. ამ საფეხურის შიდა ქართლში წამყვანი ადგილი უკავია ოთხკუთხა ნაგებობას, რითაც მსგავსებას ავლენს სამცხე-ჯავახეთის შენობებთან მაშინ, როდესაც თრიალეთსა და ქვემო ქართლში

---

[1] ზოგი წინააზიური წარმომავლობის ნივთების გამოჩენას აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უკავშირებს სარგონიდების გააქტიურებას ჩრდილოეთის მიმართულებით [Ростунов 1985, გვ. 3-42].

[2] ამ თვალსაზრისით სამცხე-ჯავახეთის ნაგებობები თრიალეთ-ქვემო ქართლის ნაგებობების მსგავსია [ორჯონიკიძე 1983, გვ. 95].

თითქოს უფრო მრგვალი ფორმა ჩანს გავრცელებული. გვიანმტკვარ-არაქსული ხანის მასალის შემცველი ერთი ამგვარი შენობა გაითხარა ოზნიში [Жоржикашвили, Гогадзе, ტაბ. 18].[1] მრგვალი შენობები ცნობილია ორწყლების ნასახლარზეც [Цквитинидзе, გვ. 132], არის ის თეთრიწყაროს B ფენაში [გობეჯიშვილი 1978, გვ. 23]. ოზნის შენობას უახლოვებენ ყორანთას მრგვალ შენობას [ფხაკაძე 1963, გვ. 63]. თავის დროზე ოზნის ეს შენობა ბ. კუფტინმა შენგავითის შენობებს დაუახლოვა [Куфтин 1948, გვ. 26-48], მაგრამ ქვემო ქართლის ეს შენობები განსხვავდება არარატის ველის შენობებისაგან, სადაც მრგვალი ფორმის შენობებს ზედ მიდგმული აქვს სწორკუთხა ნაგებობა [ჯაფარიძე 1961, გვ. 26]. როგორც ჩანს, ქვემო ქართლური ტრადიციები ქვის საფუძველზე წრიული ნაგებობის გამართვისა შიდა ქართლშიც იკიდებს ფეხს. ერთი ამგვარი შენობა აღმოჩნდა მცხეთასთან, მუხათგვერდზე [მცხეთა IX, გვ. 67]. ქვის საფუძველზე ნაგები წრიული ნაგებობა გამოვლინდა არგვეთის ნასახლარზეც. ძეგლის გამთხრელი აქ აღმოჩენილ ქვის საძირკველზე ნაგებ შენობებს უფრო სამხრეთ საქართველოს გავლენებით ხსნის [ფხაკაძე 1993, გვ. 67].[2] მრგვალი ან ოვალური ნაგებობის არსებობას ვარაუდობენ მეტეხშიც [ფხაკაძე 1967, გვ. 318-326]. მრგვალი ნაგებობის არსებობა თითქოს გუდაბერტყაზეც დასტურდება [ფხაკაძე 1963, გვ. 65].

ამ საფეხურზე მიცვალებულის დასაკრძალავად აღარ გამოიყენება ქვის, ნალისებრი ფორმის აკლდამა, მაგრამ ფუნქციონირებას კვლავ განაგრძობს ქვაყუთი, ორმოსამარხი და ყორღანი. ეს უკანასკნელი ძირითადად ქვემო ქართლსა (ნახიდრებისჭალა) და ჯავახეთშია (სათხე) მიკვლეული. აღსანიშნავია, რომ სამარხის ეს ტიპი პირველად იჩენს თავს სამცხე-ჯავახეთში. ქვაყუთებს კვლავაც ვხვდებით აქ (ოკამი, ამირანის გორა) ისევე, როგორც ორმოსამარხებს შიდა ქართლში (ქვაცხელა B, ჟინვალი, არადეთი). ორმოსამარხის არსებობა სამცხეშიც (ზველი) დასტურდება.

---

[1] ოზნიში ივარაუდება ქვაცხელას ტიპის შენობების არსებობაც [ჯავახიშვილიბ ღლონტი, გვ. 56].

[2] არგვეთის ნასახლარს ქვაცხელასაკ უდარებენ [Джавахишвили 1973, გვ. 193]. აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილ მსგავს შენობებს ზოგი საკულტო დანიშნულებისად მიიჩნევს [სა, გვ. 72].

რა მდგომარეობაა ამ საფეხურის იორ-ალაზნის აუზში, შესწავლილი ძეგლების სიმწირის გამო, მთლად ნათელი არ არის. არსებული მასალით ეს მხარე შიდა ქართლურ კულტურულ წრეში შეყავთ [Дедабришвили 1970, გვ. 15], თუმცა ამ მოსაზრების მხარდასაჭერად მოტანილი არგუმენტების (ორივეგან ქვაყუთებისა და ანტროპომორფული ზესადგრების არარსებობა) მიუხედავად იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს მხარე არ შეიძლება ერთ რომელიმე ლოკალურ წრეს მიეკუთვნოს და მსგავსად თრიალეთისა და ჯავახეთისა, მას სხვადასხვა კულტურული ელემენტების გავრცელების გზაჯვარედინად თვლიან [Дедабришвили 1970; კიკვიძე 1976, გვ. 64], რამდენად სწორია ეს მოსაზრება, ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია [ჯაფარიძე 1976, გვ. 114].



სურ. 64. მტკვარ-არაქსის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში. III საფეხური

თავი IV

მტკვარ-არაქსის კულტურის IV საფეხური

§ 1. **ძეგლები.** IV საფეხური შეესაბამება იმ ხანას, როცა ამიერკავკასიაში, კერძოდ – აღმოსავლეთ საქართველოში ტრადიციული, მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალზე ახალი, ადრეული ყორღანების კულტურის გამოჩენა და დამკვიდრება ხდება [ჯაფარიძე 1991, გვ. 135]. ამ დროს ვრცელდება დაკრძალვის ახალი წესი – უზარმაზარი ყორღანული სამარხები გამართული ერთი ინდივიდისათვის, მიცვალებულისათვის ეტლის ჩატანება, იგრძნობა დიდი ძვრები სოციალურ ურთიერთობებში და სხვ. [ჯაფარიძე 1991, გვ. 136]. ცვლილებები იმდენად თვალსაჩინოა, რომ ზოგი მკვლევარი ამ დროიდან ვარაუდობს აღმოსავლეთ საქართველოში ახალი – შუაბრინჯაოს ხანის ეტაპის დაწყებას [Джапаридзе 1982, გვ. 37; Пицхелаури 1987, გვ. 21].

ახალი კულტურა სწრაფად იკავებს ამ რეგიონის მთელ რიგ ოლქებს, სადაც მანამდე მტკვარ-არაქსის კულტურა იყო გავრცელებული. განსაკუთრებით მყარად იკიდებს ის ფეხს იორ-ალაზნის ორმდინარეთში, შიდა და ქვემო ქართლის ვაკეზე, თრიალეთისა და ბედენის პლატოებზე. მისი გავრცელების დასავლეთი საზღვარი ლიხამდე აღწევს [ჯაფარიძე 1991, გვ. 137]. იგი ვრცელდება აგრეთვე აზერბაიჯანსა და შედარებით სუსტად, სომხეთის ტერიტორიაზე [ჯაფარიძე 1996, გვ. 106-126]. ახალი კულტურის გამოჩენას მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა. საბოლოო ჯამში მას უკავშირებენ მძლავრი მტკვარ-არაქსის კულტურის თანდათანობით დაკნინებას და ჩაქრობას [ჯაფარიძე 1991, გვ. 285].

ადრეული ყორღანების ამიერკავკასიაში გამოჩენის გზის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი ამ კულტურის გამოჩენას სამხრეთ-დასავლეთი სომხეთის მთიანეთის მხრიდან, ან აღმოსავლეთი ანატოლიის გარკვეული ნაწილიდან ვარაუდობს [Ростунов, Нечаева 1983, გვ. 86-88; ჯალაბაძე 1998, გვ. 50]. არის სხვა მოსაზრებებიც [Кушнарева, Чубинишвили; მინდიაშვილი 1993]. მაგრამ, ყველაზე მეტად სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი ყორღა-

ნების ჩრდილოური წარმომავლობის შესახებ. მის გამოჩენას უმთავრესად აღმოსავლეთ ევროპის სტეპური ზოლიდან წამოსულ იმპულსებს უკავშირებენ [C. Buchey, 1958, გვ. 175; გოგაძე 1972, გვ. 91; ჯაფარიძე 1998, გვ. 96].

ადრეულ ყორღანებში კულტურულად და ქრონოლოგიურად განსხვავებულ ორ ჯგუფს გამოყოფენ: მარტყოფულს და ბედენურს, რომელთა შორის საერთო დაკრძალვის ყორღანული წესია, თორემ კულტურის ხასიათში საკმაო სხვაობა ჩანს [ჯაფარიძე 1998, გვ. 120]. მარტყოფული ჯგუფის ყორღანები გამოირჩევა სიდიდით, მოზრდილი დასაკრძალავი ნაგებობით, რომელიც ძირითადად ხის მორებითაა აგებული. სამარხეული ინვენტარი ავლენს დიდ მსგავსებას წინარე – მტკვარ-არაქსის კულტურის ნაწარმთან, რაც მათ გენეტიკურ კავშირზე მიუთითებს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს კერამიკულ ნაწარმში, რომელიც აშკარად შეიცავს მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ჭურჭლის ნიშნებს. აქ აღმოჩენილი კერამიკა ძირითადად შავპრიალაა, ჭარბობს მოზრდილი მსხლისებრი ფორმის ჭურჭელი, რომელიც ხშირად ძირშედრეკილ ცალყურა კათხასთან ერთად გვხვდება. ამ ჭურჭელში კარგად ჩანს მტკვარ-არაქსული კულტურიდან გადმოცემული ნიშნები. ბევრია საერთო ორნამენტის ხასიათშიც: გრავირებული, ტეხილხაზოვანი სახეები, გეომეტრიული ფიგურები და სხვ. [ჯაფარიძე 1991, გვ. 284].

წინარე კულტურასთან ბევრი საერთო ჩანს ლითონის ნივთებითაც. მარტყოფის ერთერთ ყორღანში აღმოჩენილი ყუამილიან-ყუადაქანებული ტიპის ცულები ფორმით მოგვაგონებს საჩხერულ ეგზემპლარებს. მტკვარ-არაქსის კულტურასთან პოულობს საერთოს ბრტყელი ცულიც [ჯაფარიძე 1998, გვ. 76].

მსგავსების მიუხედავად მარტყოფის ჯგუფის ლითონის ზოგი ნივთი განსხვავდება მტკვარ-არაქსულისაგან, მარტყოფული ყუნწიანი სატევრისპირი ფოთლისებრი მოყვანილობისაა და განირჩევა მტკვარ-არაქსული ვიწროპირიან, ასიმეტრიულმხრებიანი სატევრისაგან. მას უფრო ჩრდილო კავკასიურ იარაღებს უახლოვებენ. ჩრდილოური წარმომავლობისა ჩანს აქ აღმოჩენილი სამკაულის ნაწილიც – ცხოველთა ეშვებისაგან დამზადებული საკიდები ძალზე დამახასიათებელია ჩრდილო ოლქებისათვის. საერთოდ, ამ ჯგუფის სამარხეულ ინვენტარში აშკარად იგრძნობა ჩრდილოური გავლენების კვალი [ჯაფარიძე 1991, გვ. 285]. ამ

დროისათვის იწყებს გამოჩენას ძვირფასი ლითონის ნივთები [ჯაფარიძე 1998, გვ. 84].

მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად, რაც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან განსხვავებული – დაკრძალვის ყორღანული წესის გავრცელებაში გამოიხატა, კულტურაში მან მაინც ნაკლები ასახვა ჰპოვა. ყორღანებში გამოვლენილი კულტურა ადგილობრივ ტრადიციებზეა დაფუძნებული. ჩანს, რომ ახალმოსულები ძირითადად ადგილობრივ კულტურას ითვისებენ [ჯაფარიძე 1996]. ყორღანების კონცენტრაცია თრიალეთსა და კახეთში, მესაქონლეობისათვის ხელსაყრელ რეგიონებში, იმაზე მიუთითებს, რომ სწორედ აქ უნდა მომხდარიყო მესაქონლე ტომებისა და ადგილობრივი, მტკვარ-არაქსული ტომების შერწყმა [მახარაძე 1994, გვ. 68].

მარტყოფული ტიპის თიხის ჭურჭელი მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალური ხანის ზოგ ნამოსახლარზეცაა აღმოჩენილი, რაც მათს თანადროულობაზე მიუთითებს [ჯაფარიძე 1991, გვ. 285].

მარტყოფულისაგან განსხვავებით, ბედენური ყორღანების წარმომავლობის საკითხი კიდევ უფრო ბუნდოვანია. მართალია მიცვალებულებს აქაც ყორღანული ტიპის სამარხებში კრძალავდნენ, მაგრამ სამარხეულ ინვენტარში, განსაკუთრებით კერამიკულ მასალაში საგრძნობი სხვაობაა. სწორედ კერამიკაა ძირითადი, რომელიც ბედენის ტიპის ძეგლებს აერთიანებს. იგი ჭურჭლის ფორმების მრავალგვარობით ხასიათდება და გამოირჩევა ზედაპირის დამუშავების იმდენად მაღალი დონით, რომ მისი სიკრიალე ზოგჯერ მეტალის ბზინვარებამდეა მიყვანილი. კერამიკის ფორმები დიდი ოსტატობითაა გამოყვანილი. განსაკუთრებით დამახასიათებელია ორი ტიპის ჭურჭელი – ერთი ცილინდრულყელიანი, ბირთვისებრი მუცლით და მეორე, ბიკონუსური ტანით, ასევე ცალყურა. შემკობას წარმოადგენს ფაქიზად ნაკაწრი გეომეტრიული სახის ორნამენტი, კოპების მწკრივი და სხვ. [ჯაფარიძე 1991, გვ. 149].

რიგი განსხვავება შეინიშნება ყორღანის აგების წესსა და დაკრძალვის რიტუალში. ბედენური ყორღანების უმეტესობა ორმოიანია, რომელშიც ზოგჯერ დასაკრძალავი ხის ოთხთვალა ეტლია ჩადგმული. ამით თითქოს შერწყმულია ტრადიციები – ეტლთან ერთად მიცვალებულის დაკრძალვის ძველაღმოსავლური

წესი და ჩრდილოეთიდან მომდინარე იდეა ყორღანების აღმართვისა [ჯაფარიძე 1998, გვ. 105]. მნიშვნელოვნად წინაურდება მეტალურგია. ადრე ცნობილ ლითონის იარაღთან ერთად ჩნდება ახალი ფორმები და ტიპები. პირველად იჩენს თავს ვერცხლის იარაღი – სატევრისპირები. დარიშხანიანი სპილენძის გვერდით პირველად ჩნდება კალიანი ბრინჯაოს ნივთები, ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობანი და სხვ. [ჯაფარიძე 1991, გვ. 287].

ბოლო ხანებში ყორღანებს გარდა აღმოჩნდა ამ კულტურის ნამოსახლარებიც. ზოგიერთ ნასახლარზე მტკვარ-არაქსულ კერამიკასთან ერთად ბედენური ყორღანებისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის არსებობაც დადასტურდა [ორჯონიკიძე 1992; მახარაძე 1994].

დღემდე არაა ერთიანი აზრი მარტყოფული და ბედენური ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულებისა და მათი მტკვარ-არაქსის კულტურასთან მიმართების შესახებ. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ მარტყოფული ჯგუფის ძეგლები ბედენურზე ადრეულია [Куфтин 1941, გვ. 104; გოგაძე 1972, გვ. 24; ჯაფარიძე 1989, გვ. 28; Джавахишвили 1973, გვ. 267, Пицхелаури 1987, გვ. 21; მახარაძე 1994, გვ. 68]. ნაწილს მიაჩნია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალური ეტაპის სინქრონულია მარტყოფულთან ერთად ბედენის ჯგუფის ძეგლები ან სინქრონულობა ამ ჯგუფების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს შეეხება [გობეჯიშვილი 1980, გვ. 133; Кушнарева, Чубинишвили, გვ. 62; ჯაფარიძე 1998, გვ. 96; ქავთარაძე 1981, გვ. 92; შატბერაშვილი; ორჯონიკიძე 1983, გვ. 105; მინდიაშვილი 1983, გვ. 37; მახარაძე 1994, გვ. 76]. ზოგი მკვლევარი ადრეული ყორღანების ამ ჯგუფებს შორის განსხვავებულ თანმიმდევრობასაც არ გამორიცხავს, თვლის რა ბედენურ ძეგლებს მარტყოფულზე ადრეულად [Burney 1958, გვ. 176; Лордкипанидзе 1989, გვ. 118]. ზოგს მარტყოფის ჯგუფის გაჩენა ბედენურის მტკვარ-არაქსულ კულტურაზე მძლავრი ზემოქმედების შედეგად მიაჩნია [თურმანიძე 1998, გვ. 26-50].

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად უდაოა, რომ ყორღანების ორივე ჯგუფი შეიცავს წინამორბედი კულტურის დამახასიათებელ ელემენტებს [გობეჯიშვილი 1980; გოგაძე 1972], ორივე ძვ.წ. III ათასწ. მეორე ნახევარში, მტკვარ-არაქსის

კულტურის გვიანდელ სტადიაზე იჩენს თავს და მასთან გარკვეული ხნის განმავლობაში თანაარსებობს [ჯაფარიძე 1998].

ამ საფეხურის მტკვარ-არაქსულ ძეგლებს მიეკუთვნება: ხაშურის ნაცარგორა, ილტო, ბადაანი, ორხევი, ახალციხის ამირანის გორის ორმოსამარხები, ზველი, დიგაშენი I, ღრმახევისთავის ნაწილი, ჟინვალის ნაწილი, ციხიაგორა A, დანგრეული გორა, ღაითმაზი და სხვ.[1]



სურ. 65. ხაშურის ნაცარგორა

ხაშურის ნაცარგორა მდებარეობს ხაშურის რ-ნის სოფ. ნაცარგორას ტერიტორიაზე, მდ. ფლეულას მარცხენა ნაპირას. აქ, გორის თხემის ჩრდილო-დასავლეთ სექტორში გამოვლინდა ადრებრინჯაოს ხანის რამოდენიმე ჰორიზონტის შემცველი ფენა. სტრატიგრაფიულად განლაგებული თიხატკეპნილი იატაკებისა და ბათქაშების ფრაგმენტებით ივარაუდება შიდა ქართლური ტიპის წნულ-თიხალესილი შენობების არსებობა, იატაკში ჩადგმული მრგვალი, შვერილიანი კერით. აღსანიშნავია, რომ ნასახლარის ქვედა ჰორიზონტები მხოლოდ მტკვარ-არაქსულ ნაწარმს შეიცავდა, ზედა ჰორიზონტებში კი იგი ბედენური კულტურის ნაწარმთან ერთადაა წარმოდგენილი. ამ კულტურათა ნაწარმის თანაარსებობა ნასახლარის ძირში გავლებულ თხრილსა და მის ჩრდილო-დასავლეთით 1,5 კმ-ის მანძილზე აღმოჩენილ სანაცრე ორმოშიც დადასტურდა [Рамишвили 1995, გვ. 74; ორჯონიკიძე 1992].

ილტოს ნასახლარი ახმეტის რაიონში მდებარეობს, მდ. ილტოს მარცხენა ნაპირას. ნაგებობათა ნაშთები დამოწმდა პირველ და მეორე ტერასაზე, მესამე ტერასა კი უკვე დანგრეული იყო. შემორჩენილი ქვის წყობით ჩანს, რომ ნაგებობები ოთხკუთხა იყო. მისი ზედა ნაწილები წნულ-თიხალესილი უნდა ყოფილიყო,

[1] დანგრეული გორა და ღაითმაზი თითქოს უფრო ადრეულ - III საფეხურის მასალასაც შეიცავს.

რაზეც მიუთითებს წნულის ანაბეჭდიანი ბათქაშის ნატეხები. გადახურვა მას ბანური უნდა ჰქონოდა. აქ აღმოჩენილია როგორც მტკვარ-არაქსის კულტურის, ისე ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი.



სურ. 66. ილტო

აქვე აღმოჩნდა ორმოსამარხები, რომლებშიც მიცვალებული გვერდზე მოკრუნჩხულადაა დაკრძალული. სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს ამოღარული და ჭრილი ორნამენტით შემკული ღრუქუსლიანი ვაზები, ცალყურა სასმისები, ჯამები და სხვ. ილტოს ნასახლარის კერამიკის საფუძველზე მტკვარ-არაქსის ფინალური ეტაპი მიჩნეულია შუაბრინჯაოს ხანის კულტურაზე გარდამავალ ეტაპად [Дедабришвили 1969, გვ. 39-66; სა, გვ. 173].

ბადაანის ნასახლარი მდებარეობს თიანეთის რაიონში, სოფ. ბადაანის განაპირას, მაღალი მთის სამხრეთ ფერდზე. აქ გამოვლენილი შენობათა ნაშთები მოგრძო ოთხკუთხა ფორმისაა, ხის კარკასზეა ნაგები და თიხით შელესილი. თითოეულ შენობაში ორ-ორი კერა აღმოჩნდა. ძეგლის გამთხრელები ამ ნაგებობებს განასხვავებენ ქვაცხელას ნაგებობებისაგან და უახლოვებენ მჭადიჯვარისას, რომელსაც არა აქვს დერეფნისებრი მინაშენი. შენობები ძლიერი ხანძრით ჩანს განადგურებული. ნასახლარზე აღმოჩნდა რამოდენიმე ორმოც, რომლებშიც კერამიკა, კაჟისა და ობსიდიანის ისრისპირები, ნამგლის ჩასართები, ბრინჯაოს ორი ცული და სატეხი იდო. აღსანიშნავია აქ აღმოჩენილი მინიატურული ურმის

თიხის მოდელი, რომელიც თანამედროვე ქართული ეთნოგრაფიული ურმის ზუსტ ასლს წარმოადგენს. მისი ახლო ანალოგი ცნობილია სომხეთიდან, არიჭის ნასახლარიდან, რომელსაც მჭიდრო პარალელები ეძებნება წინა აზიაში – იორგან თეფეზე [Хачатрян 1975, გვ. 74].



სურ. 67. ბადაანი

აქვე გავლებულმა საკონტროლო შურფმა გამოავლინა ორი ტიპის შენობა: სარ-ლასტიანი შენობის ქვეშ დაფიქსირდა მიწურების კონტურები. სტრატიგრაფიული სურათის მიუხედავად ჩანს, რომ ეს შენობები ქრონოლოგიურად ერთმანეთისაგან დიდად არ უნდა ყოფილიყო დაშორებული, რადგან კერამიკა ორივეგან ერთგვაროვანია. ბადაანის ნასახლარზე ტიპიურ მტკვარ-არაქსულ ნაწარმთან ერთად აღმოჩნდა ორიალეთის ადრებრინჯაოს ხანის ყორღანების კერამიკაც [Мирцхулава и др. 1982, გვ. 22; სა, გვ. 177-178].

ორხევის ნასახლარი მდებარეობს თიანეთის რაიონში, სოფ. ორხევთან, ივრისპირა ტერასაზე, სადაც გამოვლენილი № 1 ნაგებობა კუთხეებმომრგვალებულია. კედელთან, შიდა მხარეს, გამართულია პლატფორმა, რომელზეც რამოდენიმე ჭურჭელი აღმოჩნდა. თიხატკეპნილ იატაკში ჩადგმული იყო მოზრდილი,

სამშვერილიანი კერა. იატაკი მოფენილი იყო თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებითა და ხის ანაბეჭდიანი ბათქაშის ნატეხებით. № 2 ნაგებობა თითქმის კვადრატული ფორმისაა, მომრგვალებული კუთხეებით. იატაკის ცენტრში სამშვერილიანი კერა იყო ჩადგმული. აქვე იყო ცენტრალური ბოძის ორმო. ეს შენობაც სარ-ლასტის უნდა ყოფილიყო. შენობის შიგნით, ჩრდილო-დასავლეთი კედლის გასწვრივ მოწყობილი იყო პლატფორმა, რომელზეც თიხის ჭურჭელი ეწყო. პლატფორმის გვერდის ფრაგმენტზე გამოსახულია სპირალური ორნამენტი სვასტიკებით. ძეგლის გამთხრელების აზრით ამ შენობათა კერამიკა დროით აშკარად უსწრებს ბადაანის ნასახლარის ნაწარმს.

აქვე გაითხარა ოთხი ორმოსამარხი. სამარხებს მოზრდილი ქვაყრილი გააჩნდათ. აღმოჩენილი კერამიკა შავპრიალაა, ვარდისფერსარჩულიანი, რომელიც ფორმით ძალიან ემსგავსება თრიალეთის ადრეული ყორღანების კერამიკას [Мирцхулава и др. 1997, გვ. 24-26; სა, გვ. 180].



სურ. 68.
ზველი-რაბათი

ზველის რაბათის ნასახლარი მდებარეობს ასპინძის რაიონში, მტკვრის მარცხენა მაღალ ნაპირას, კოცხზე. სადაზვერვო გათხრებით აქ სამ მეტრზე მეტი სიმძლავრის ადრებრინჯაოს ხანის ფენა გამოვლინდა. იგი უხვად შეიცავდა კერამიკის ფრაგმენტებს, ობსიდიანის ანატკეცებსა და ცხოველთა ძვლებს. აქ აღმოჩენილ ალიზის შენობაში, რომლის ტიპის გარკვევა გათხრების მასშტაბების გამო ვერ მოხერხდა, აღმოჩნდა კერამიკა, თიხის ზოომორფული კერის ფრაგმენტი და დიდი ზომის სანაყი. აქ აღმოჩენილი კერამიკის ერთი ნაწილი მტკვარ-არაქსული ნაწარმია, მეორე – ბედენური იერის თიხის ჭურჭლითაა წარმოდგენილი. ორივე ტიპის ნაწარმი ერთად გვხვდება [Чубинишвили и др. 1976, გვ. 19-20; ორჯონიკიძე 1983, გვ. 22].

ახალციხის ამირანის გორის ორმოსამარხები ნასახლარის III უბანზე გამოვლინდა. აქ, ქვის სწორკუთხა ნაგებობის ზემოთ, სტრატიგრაფიულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ხუთი ორმოსამარხი. ხუთივე ერთგვაროვანია: გრუნტში ამოჭრილია თითქმის კვადრატული ორმო, რომლის კედლები და მიცვალებულის ზემოთ დარჩენილი სივრცე შევსებულია რიყის ქვით. სამარხის თავზე დაყრილი ქვები მთლიანად ჩაქცეულია ორმოში. ორი სამარხი კოლექტიურია, დანარჩენი –

ინდივიდუალური. სამარხებში აღმოჩენილი კერამიკა შემკულია ჭრილი ორნამენტით, რომელიც თეთრი მასითაა შევსილი. ლითონის ნივთები წარმოდგენილია ბრინჯაოს გრეხილღეროიანი, თავმოკაუჭებული საკინძით, მახათითა და წვრილი რგოლით. რაც შეეხება ორმოსამარხების ქვეშ მოქცეულ ნაგებობებს, აქედან ცნობილი მცირერიცხოვანი კერამიკული ნაწარმი, ნალისებრი ზესადგრის ფრაგმენტი, მათ ქრონოლოგიურად ნასახლარის ძირითად ნაწილთან უნდა ათანაბრებდეს [Чубинишвили 1971, გვ. 86].



სურ. 69. ახალციხის ამირანისგორა



სურ. 70. დიგაშენი I

ნამოსახლარი დიგაშენი I მდებარეობს ნინოწმინდის რაიონში, სოფ. ჯიგრაშენის ტერიტორიაზე, მდ. ფარავნის მარჯვენა ნაპირას, ბუნებრივი წარმოშობის გორაზე. მას უკავია გორის თხემი და ჩრდილო და დასავლეთი ფერდები. აქ გამოვლენილი ადრებრინჯაოს ხანის ნაგებობები სწორკუთხაა, ფლეთილი ბაზალტით ნაგები, თიხატკეპნილი ან ბრტყელი ქვებით მოგებული იატაკით. გადახურვა ბანური უნდა ყოფილიყო. ნასახლარი ტერასულადაა გაშენებული.

აქ აღმოჩენილი კერამიკა უმთავრესად მტკვარ-არაქსული სხვადასხვა ზომის თიხის ჭურჭლითაა წარმოდგენილი. შემკობა რელიეფური და ნაკაწრია. აქვეა თიხის ორნამენტირებული ოთხკუთხა სანათური,

ღარებით შემკული თიხის ფიალა და ნალისებრი ფორმის კერის სადგრის ნატეხები. ლითონი ბრინჯაოს ერთი მომცრო რგოლითაა წარმოდგენილი [Орджоникидзе 1987].



სურ. 71. ციხიაგორა A

ციხიაგორაზე ამ საფეხურს მიეკუთვნება ნასახლარის B_1 და მის ზემოთ არსებული A დონეები. B_1 დონეზე გამოვლინდა სწორკუთხა შენობა, რომლის შემორჩენილი ერთი კედელი ნაგები იყო რიყის ქვის წყობით, ხოლო მეორე – ალიზის აგურით. იატაკის შუაგულში გამართული იყო მრგვალი, შვერილებიანი კერა. ალიზის კედელზე მიდგმული იყო სამეურნეო დანიშნულების ოთხკუთხა ნაგებობა. მახლობლად დადასტურდა თიხატკეპნილი მოედანი, რომელზეც მოზრდილი ჭურჭლის ფრაგმენტების გროვა ეწყო. ძეგლის გამთხრელი ალიზითა და რიყის ქვის გამოყენებით შენობის აგებას, მშენებლობის ტრადიციაში მკვეთრ ცვლილებებს ხედავს, რასაც მოსახლეობის შეცვლით ხსნის. B_1 ფენის შემდეგ ნასახლარი დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში მიტოვებული ჩანს, რის შემდგეგ იქმნება A დონის ორი ნასახლარი ფენა. A_2 ფენაში მხოლოდ იატაკის ფრაგმენტებია დაფიქსირებული, ხოლო A_1 ფენაში – სტაციონარული კერის ირგვლივ, თიხის ნაგებობის ნაშთია გამოვლენილი. ამ ფენით სრულდება ციხიაგორაზე ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარის არსებობა.

მთლიანობაში A დონის მასალა საგრძნობლად განსხვავდება B დონის მასალისაგან. აქ, გარდა მტკვარ-არაქსული ნაწარმისა, ბედენური კერამიკაც აღმოჩნდა. A დონეში აისახა მტკვარ-არაქსისა და ბედენის კულტურების თანაარსებობის პერიოდი [მახარაძე 1994].

ღაითმაზი, დანგრეული გორა. ქვემო შულავრის მიდამოებში, მდ. ხრამის ძველი კალაპოტის მარჯვენა მაღალ ნაპირზე, ხევებით გამოყოფილ ორ დიდ ფართობზე – ღაითმაზი I და ღაითმაზი II გაკეთდა სადაზვერვო თხრილები. ღაითმაზ I-ზე კერამიკულ მასალასთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს ვოლუტებიანი საკინძები. აქვე აღმოჩნდა ორი დაზიანებული სამარხი, სადაც არაქსის აუზისათვის დამახასიათებელი სადგარი გამოვლინდა. ღაითმაზ II-ზე გავლებულ თხრილებშიც ამოვიდა შავპრიალა, ვარდისფერ და ნაცრისფერსარჩულიანი კერამიკა, შემკული რელიეფური და ჭრილი ორნამენტით. ღაითმაზ II ნასახლარის შთაბეჭდილებას ტოვებს, ღაითმაზ I და დანგრეული გორის ზედა ფენა კი – სამაროვნისა.



სურ. 72. ღაითმაზი

ღაითმაზის მახლობლად მდებარე დანგრეული გორის და საერთოდ, ხრამის მარჯვენა სანაპირო ზოლში გამოვლენილი მასალები ერთგვაროვანია, მიეკუთვნება გვიანშტკვარ-არაქსულ პერიოდს და სამხრეთული იერით გამოირჩევა [ღლონტი 1975, გვ. 129-136].



სურ. 73. დანგრეული გორა

§ 2. ლითონის, ქვისა და ძვლის ნივთები.

ლითონის ნივთები. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნება ლითონის იარაღთა ფორმებსა და ასორტიმენტში – აღარ ჩანს წინააზიური წარმომავლობის ხიშტი და შუბისპირი, ცულის ზოგი ფორმა და სხვ., ჩნდება ახალი ფორმები – ღარიანი სატეხი, პირამიდალური ისრისპირი, ფოთლისებრი სატევრისპირი და სხვ. [ჯაფარიძე, 1998, გვ. 121], კვლავაც გრძელდება მტკვარ-არაქსულ კულტურულ სამყაროში ჩამოყალიბებული მეტალურგიული ტრადიციები. აღსანიშნავია, რომ წინარეს მსგავსად ახლაც დარიშხანიანი სპილენძია გავრცელებული, რაც უფრო მეტად მარტყოფული ეტაპის ძეგლებზე აღმოჩენილ ნივთებში ჩანს [ჯაფარიძე 1998, გვ. 123].

მტკვარ-არაქსული ელფერისაა ქულბაქების ცულის ბაზაზე ჩამოყალიბებული ვიწროტანიანი ყუადაქანებული ტიპის ცული [ჯაფარიძე 1976, გვ. 127]. იგი კარგადაა ცნობილი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით საჩხერის სამაროვანზე, სადაც ამგვარი ცულის არაერთ ეგზემპლარს ვხვდებით [ჯაფარიძე 1976, გვ. 127]. სომხეთშიც არის მისი აღმოჩენის შემთხვევები [Мартиросян 1964, გვ. 39]. აღმოსავლეთ საქართველოში კი ამგვარი ცული იშვიათია და წარმოდგენილია თიანეთის რაიონში, ბადაანის ნასახლარზე აღმოჩენილი ცა-

ლით. ფორმით იგი მსგავსია საჩხერის ანალოგიური ტიპის ცულებისა [Мирцхулава 1991, გვ. 47]. ყუა მას შემკული აქვს წიწვისებრი ორნამენტით, მსგავსად მარტყოფის № 4 ყორღანის [სა, ტაბ. CXLIV] და ნოვოსვობოდნაიას ზოგიერთი ცულისა [Мунчаев 1975, გვ. 53].

შეიძლება ითქვას, რომ ამ დროიდან ფაქტიურად ხმარებიდან გამოდის ყუადაქანებული ცული [Кушнарева, Чубинишвили, გვ. 122; სა, გვ. 139]. სამაგიეროდ გავრცელებას იწყებს ყუამილიანი ცული, რომელიც ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი: პირველს აქვს მილისებრი სატარე ნაწილი და ვიწრო, ძირითად მოხრილი ტანი, მეორე – შედარებით მასიური სატარეთი და ფართო ტანით გამოირჩევა. პირველი ვარიანტის ცული გენეტიკურად უკავშირდება ძველშუმერულ ფორმებს, მაგრამ გარკვეული თავისებურებებითაც ხასიათდება, რაც მისი შემდგომში ადგილობრივი განვითარების შედეგია [Куфтин 1949, გვ. 71]. ამიერკავკასიაში ამგვარი ცული ცნობილია სომხეთიდან – ლენინაკანი, სევანისპირა ჯოჯ-კოლონის ყორღანი [Мартиросян 1964, გვ. 41], არიჭში მისი თიხის მოდელია აღმოჩენილი [Хачатрян 1975, გვ. 74]. მაგრამ უფრო ფართოდ ვრცელდება ეს ცული დასავლთ საქართველოში, განსაკუთრებით ყვირილის ზემო წელის აუზში [ჯაფარიძე 1976, გვ. 128] და სვანეთში [ჩართოლანი 1991, გვ. 51]. აღმოსავლეთ საქართველოშიც კარგადაა იგი წარმოდგენილი. უფრო ხშირად მას ვხვდებით შიდა ქართლში, მისი ჩრდილო ზოლში – ძაღინაში [Техов 1971, გვ. 73], ქვასათალში [ჯაფარიძე 1961, გვ. 148], სოფ. გუფთაში [Куфтин 1949, ტაბ. XX], მასკატ-კომში [Кушнарева, Чубинишвили, გვ. 123, სურ. 41], ყორნისის რ-ნის სოფ. მეტეხში [ქსე, ტ. 2, გვ. 592], ორი ამგვარი ცულია დაცული ხაშურის მუზეუმშიც [სა, გვ. 93]. ამავე ტიპის ცულებს შეიძლება დავუკავშიროთ მარტყოფის № 4 ყორღანის ცულებიც [ჯაფარიძე 1998, გვ. 76]. ერთი ამგვარი ცული, გრძელ სატარეზე დატანილი რამოდენიმე ირიბი პარალელური ღარით აღმოჩნდა ბადაანის მტკვარ-არაქსულ ნასახლარზე. იგი ახლო დგას საჩხერულ ცალებთან [სა, გვ. 78]. ასეთივე სიახლოვე ჩანს ქორეთის № 1 სამარხის ცულთანაც [ჯაფარიძე 1961, გვ.138]. იმის გამო, რომ ამგვარი ცული არაა დამახასიათებელი მცირე აზია-ბალკანეთისათვის, მისი გავრცელების ძირითად გზად კავკასიაა მიჩნეული,

აქედან ვარაუდობენ მის გავრცელებას ჩრდილო კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაშიც [Куфтин 1949, გვ. 71; ჯაფარიძე 1961, გვ. 150].

ყუამილიანი ცულის მეორე ვარიანტი კავკასიაში არაა მაინცდამაინც ფართოდ გავრცელებული. რამოდენიმე ამგვარი ცული ცნობილია ჩრდილო კავკასიიდან – გატინ-კალეს ერთ-ერთი სამარხიდან და გროზნოსა და დაღესტნის დანგრეული ყორღანებიდან [Марковин 1962, გვ. 50]. ცარცის გორაზე ასეთი ცული ფოთლისებრი ტიპის სატევრისპირთან ერთადაა აღმოჩენილი [Куфтин 1949, გვ. 71-72]. მისი დასამზადებელი ხის შაბლონი აღმოჩენილია შავიზღვისპირეთში – ისპანის ნასახლარზე [Микеладзе и др. 1976, ტაბ. 29]. მაგრამ განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი ეს ცული აღმოსავლეთ საქართველოში როგორც შეთხვევითი აღმოჩენებით, ისე კომპლექსებში. მას ვხვდებით ყორნისის რაიონის სოფ. მეტეხში [ქსე, ტ. 2, გვ. 592], კარალეთში [Куфтин 1949, ტაბ. XX], კახეთში – მილარში [Пицхелаури 1981, გვ. 64, ტაბ. 37]. ერთი ამგვარი ცული აღმოჩნდა ქვემო ქართლის № 9 ყორღანშიც, სადაც მასთან ერთად იყო ბედენური და მტკვარ-არაქსული კერამიკა [ჯაფარიძე 1975, გვყ 156]. მაგრამ განსაკუთრებით დამახასიათებელია ის ბედენური კომპლექსებისათვის, რის გამოც იგი ამ კულტურის კუთვნილებადაა მიჩნეული [სა, გვ. 139].

ამავე საფეხურზე ხვრელიანი ცულის გარდა გვხვდება უხვრელო, ბრტყელი ცულიც, თუმცა უფრო იშვიათად. ამგვარი ცული, ფართოდ გავრცელებული ევროპისა და წინა აზიის ადრეულ კულტურებში, მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე ნაკლებადაა წარმოდგენილი. შედარებით უფრო მეტად მას ადრეყორღანულ ხანაში, განსაკუთრებით ბედენის ეტაპზე ვხვდებით [ჯაფარიძე 1998, გვ. 77]. აღმოსავლეთ საქართველოში ამგვარი ცულის ჩამოსასხმელი ყალიბი უკვე II საფეხურზე, ქვაცხელა C_1 ფენაში გვხვდება. ყალიბებს ზველის სამარხიყანებსა და საკოჭავ ზეც ვხვდებით [სა, გვ. 101]. ცალკეული აღმოჩენებით იგი ცნობილია დიღმიდან, ახალციხის მუზეუმიდან [სა, გვ. 86].

მტკვარ-არაქსის კულტურაში გავრცელებული ეს იარაღი ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი: ვიწრო, გრძელტანიანი და მოკლე, შედარებით ფართო ტანით [ჯაფარიძე 1976, გვ. 132]. აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ცულები და მათი ჩამოსასხმელი ფორმები ამ უკანასკნელს მიეკუთვნება. ეს ვარიანტი უფრო

ადრეულადაა მიჩნეული [Кушнарева, Чубинишвили, გვ. 123].[1] აღსანიშნავია, რომ ვიწრო და გრძელტანიანი ცული უფრო დასავლეთ საქართველოს ახასიათებს მაშინ, როცა მოკლე და ფართოტანიანი აღმოსავლეთ საქართველოში უფრო გარცელებული [ჩართოლანი 1996, გვ. 56] და გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს ჩრდილო კავკასიის – ნოვოსვობოდნაიას ჯგუფის ცულებთან [ჯაფარიძე 1976, გვ. 240]. ამგვარივე ფორმისაა ურის, სესკლოს, ვარნის, მერსინის, ერევნის ცულებიც [ქავთარაძე 1981, ტაბ. V]. აღმოსავლეთ საქართველოს ცულებს კი უფრო უახლოვდება მერსინ XVI, კნოსოს, თეფე გავრას [ქავთარაძე 1981, ტაბ. V], სოფ. ტელმანის ყორღანის ცულები [Махмудов и др. 1968, გვ. 21, სურ. 5].

სადღეისოდ არაა მთლად ნათელი ბრტყელი ცულის წარმოშობის საკითხი: წინა აზიიდანაა იგი შემოსული, თუ მას ადგილობრივი პროტოტიპები ეძებნება. უკანასკნელ ვარაუდს მხარს უჭერს ქვის ბრტყელი ცულების მსგავსება ლითონის ცულებთან [Кушнарева, Чубинишвили, გვ. 123] და ამგვარი იარაღის სიმწირე აღმოსავლეთ საქართველოსა და წინა აზიას შორის მოქცეულ სივრცეში.

ღარიანი სატეხი ამ საფეხურზე იჩენს თავს. ამიერკავკასიაში ცნობილი ყველა ეს იარაღი საქართველოშია აღმოჩენილი [ჯაფარიძე 1976, გვ. 136]. დასავლეთ საქართველოში ამგვარი იარაღი მხოლოდ ორია აღმოჩენილი – ზეკარსა და საჩხერეში. დანარჩენი – უმთავრესად ქვემო ქართლში. იგი ცნობილია აგრეთვე ჟინვალისა და ბადაანის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარებიდან.

ღარიანი სატეხი წარმოადგენს ლითონის მასიურ ღეროს, რომელსაც სამუშაო პირი ამოღარული აქვს. გვხვდება როგორც მრგვალი, ისე ოთხკუთხა და მრავალწახნაგა ღეროს მქონე სატეხი, უმეტესად ოთხწახნაგა თავით. ამ სატეხთა მხოლოდ მცირე ნაწილი მიეკუთვნება მტკვარ-არაქსულ კომპლექსებს, უმრავლესობა კი ბედენური კერამიკის შემცველ სამარხებშია მიკვლეული. გვხვდება ის ორივე კულტურის კერამიკიან კომპლექსებშიც (ქვემო ქართლის № 9 ყორღანი). არის კომპლექსგარეშე აღმოჩენილი ცალებიც (ზეკარი, საჩხერე).

---

[1] აღსანიშნავია, რომ ორივე ვარიანტის ბრტყელი ცული გვხვდება როგორც მტკვარ-არაქსის (საჩხერე, ერევანი, ქარაზი, პულური), ისე ბედენის კულტურის კომპლექსებში. ამიტომ, უფრო მართებული ჩანს ვარაუდი ამ ცულის ორივე ვარიანტის თანადროულობის შესახებ [ჩართოლანი 1996, გვ. 56].

ამგვარი იარაღი ფართოდ იყო გავრცელებული წინა აზიაში, საიდანაც ვარაუდობენ მის გავრცელებას საქართველოში [ჯაფარიძე 1961, გვ. 169].

აქ აღმოჩენილი ღარიანი სატეხი განსხვავდება როგორც ფორმით, ისე ზომით. ასე, მაგალითად, ზეკარის, თეთრიწყაროს, ბედენისა და მარტყოფის ყორღანებში დიდი ზომის საკმაოდ მასიური სატეხია ნაპოვნი, ხოლო მარტყოფისა და ქვემო ქართლის ყორღანებში ისევე, როგორც საჩხერეში – შედარებით პატარა და წვრილი იარაღი აღმოჩნდა [Куфтин 1941, გვ. 15; ჯაფარიძე 1991, გვ. 149; სა, გვ. 139]. მოზრდილი უნდა იყოს ჟინვალის იარაღიც [Рамишвили Р. 1984, ტაბ. LXXXIII]. თვლიან, რომ მოზრდილი, მასიური სატეხი უფრო ბედენური წრის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი [ჯაფარიძე 1991, გვ. 150]. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ფორმის მიხედვით ვერ ხერხდება მტკვარ-არაქსული და ბედენური სატეხების მკვეთრი გამიჯვნა. ზოგჯერ მათ შორის მსგავსება დეტალებშიც ვლინდება. როგორც ჩანს, ორივე კულტურაში მსგავსი ფორმის იარაღი იხმარებოდა. ამაზე მიუთითებს დაახლოებით ანალოგიური ფორმის მქონე თეთრიწყაროს და ბადაანის სატეხები ერთნაირი ოთხწახნაგა ღეროთი და ღეროს ზედა ნაწილში არსებული შესქელებით [სა, ტაბ. LXXIV], ხოლო საჩხერული იარაღი, რომელიც ტრადიციულად მტკვარ-არაქსულ კულტურასაა მიკუთვნებული, რვაწახნაგოვანი ტანით უახლოვდება ბედენისა და ქვემო ქართლის № 9 ყორღანის ცალებს.[1]

საქართველოში აღმოჩენილ სატეხებთან ახლო დგას ურის [Чайлд 1956, გვ. 242, სურ. 88], ჰისარ III, ბიბლოსის, რას-შამრას სატეხები [Куфтин 1941, გვ. 15; ჯაფარიძე 1961, გვ. 169]. წინა აზიიდან შემოსული ეს იარაღი ამიერკავკასიის გზით ვრცელდება ჩრდილო კავკასიაში [ჯაფარიძე 1976, გვ. 241]. მაიკოპის კულტურაში ამ იარაღის შედრებით მომცრო ეგზემპლარები გვხვდება [სა, გვ. 140], ძირითადად მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი და ოთხწახნაგა ყუით [Иессен 1950, იხ. ტაბ.; Черных 1966, გვ. 100, სურ. 28]. უფრო მრავლად სატეხი ნოვოსვობოდნაიას ძეგლებზე გვხვდება. ნოვოსვობოდნაიას და ვოზდვიჟენსკოეს ცალები უახლოვდება ჩვენს სატეხებს ჟინვალიდან, ზეკარიდან და თეთრიწყაროდან

[1] საკოჭავზე აღმოჩენილ სატეხს საჩხერის, თეთრიწყაროს და ზეკარის იარაღებს ამსგავსებენ. მაგრამ ეს იარაღი ღარიანი არ უნდა იყოს [ღამბაშიძე, ტატიშვილი 1982, გვ. 69, ტაბ. XI_9].

[Куфтин 1941, გვ. 12; ჯაფარიძე 1976, გვ. 241; Рамишвили Р. и др. 1984]. თუმცა, ჩრდილოკავკასიური იარაღი მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი განსხვავდება კიდეც საქართველოში აღმოჩენილი, ძირითადად დაწახნაგებულტანიანი სატეხებისაგან. ამასთან, ჩრდილო კავკასიური იარაღი უფრო მეტად შეიცავს გრძლად ამოღებულღარიან ცალებს, ვიდრე ჩვენი ეგზემპლარები. ყოველივე ეს, შესაძლოა, ქრონოლოგიური სხვაობის მაჩვენებელიც იყოს, რადგან ჩრდილოკავკასიურ ამ იარაღზე გრძელი და ფართო ამოღარვა მოგვიანო ძეგლებისათვის ჩანს დამახასიათებელი [Иессен 1950, იხ. ტაბ]. ბედენისა და საჩხერის იარაღებს უახლოვებენ ასევე ადრეკატაკომბურ და დაღესტნის (ველიკენტის კატაკომბები) იარაღებსაც [Рысин 1996, გვ. 81-84]. ჩვენს ცალებთან გარკვეულ სიახლოვეს იჩენს გვიანტრიპოლიური მოკლე და მასიური სატეხი მრგვალგანივკვეთიანი ტანითა და ოთხწახნაგა ყუით [Черных 1966, გვ. 124, სურ. 34].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოში აღმოჩენილი ღარიანი სატეხებიდან ყველაზე გვიანი ჩანს ბედენის, თეთრიწყაროს, მარტყოფისა და ზეკარის ცალები. მათი უმეტესობა ბედენურ წრეს მიეკუთვნება, რომლისთვისაც დიდი ზომის სატეხებია დამახასიათებელი [ჯაფარიძე 1991, გვ. 150]. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფორმის მიხედვით ვერ ხერხდება მტკვარ-არაქსული და ბედენ-ური სატეხების მკვეთრი გამიჯვნა. როგორც ჩანს, ორივე კულტურაში მსგავსი ფორმის იარაღი იხმარებოდა.

ცულ-წერაქვიც წინააზიური წარმომავლობის იარაღია [Куфтин 1944ჯ, გვ. 302]. ამიერკავკასიაში ის საქართველოსა და სომხეთში ვრცელდება მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლოსათვის [ჯაფარიძე 1976, გვ. 131]. სომხეთში თითო ცულ-წერაქვი ცნობილია ალავერდიდან და ლენინაკანის მუზეუმიდან, რამოდენიმე ცალი კი ერევნის მახლობად აღმოჩენილი განძის შემადგენლობაში იყო [Мартиросян 1964, გვ. 32; Мунчаев 1975, გვ. 398]. საქართველოში ამგვარი იარაღი მხოლოდ მის აღმოსავლეთ ნაწილშია აღმოჩენილი – ერთი დმანისის რაიონში, მეორე – თიანეთის რაიონში, სოფ. სიმონიანთ ხევში. ორი კი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [ჯაფარიძე 1976, გვ. 129]. საქართველოში აღმოჩენილი ეს იარაღი მართალია ზომით განსხვავებულია, მაგრამ ფორმით

ძირითადად ერთგვაროვანია – აქვს შიდა მხრისაკენ მოხრილი ტანი, მოკლე და წაწვეტებული ყუა და შედარებით გრძელი პირი.

თავის დროზე სიმონიანთ ხევისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეს იარაღები ბ. კუფტინმა შეადარა ასურულსა და აქადურ საბრძოლო ცულს, გამოსახულს ნარამსუენის სტელაზე, რითაც უჩვენა კავკასიის როლი წინა აზიიდან მიმართული კულტურული ნაკადის ევროპისაკენ გადატანაში [Куфтин 1944ᲐᲑ, გვ. 302].[1] თიანეთის ცულ-წერაქვი კი, ზოგის აზრით, ყველაზე მეტად უახლოვდება ნოვოსვობოდნაიას ეტაპის იარაღს ყაბარდო-ბალკარეთში, სოფ. ლაჩინსკაიას ყორღანიდან და ცხადყოფს ამიერკავკასიის კავშირზე მაიკოპის კულტურასთან ძვ.წ. III ათასწ. ბოლო მეოთხედში [Батчаев, Кореневский 1980]. ამგვარი იარაღი საქართველოდან კიდევ უფრო მოშორებით, დნეპრზეც იქნა აღმოჩენილი [Авалишвили 1990, გვ. 156-160].

IV საფეხურზე გვხვდება ორვოლუტიანი საკინძის ორივე ტიპი. I ტიპი ცნობილია ქვასათალიდან [ჯაფარიძე 1961, გვ. 174]. იგი I საფეხურის ამავე ტიპის საკინძისაგან ჩანს განვითარებული [Дедабришвили 1969, გვ. 39]. ამგვარივეა ნაჩერქეზევის ცალებიც [ჯაფარიძე 1961, ტაბ. $XIII_{8,9}$]. ცნობილია ის ბეშთაშენიდან[2] და გუდაუთიდანაც [Куфтин 1944, სურ. 70; ჯაფარიძე 1961, გვ. 174]. ერთი ამგვარი, გრძელლეროიანი საკინძი აღმოჩნდა ქორეთის ყორღანის № 1 სამარხშიც ბედენურ კერამიკასთან ერთად [ჯაფარიძე 1961, ტაბ. XIX_1]. არის ის გიორგი წმინდაშიც.[3]. ამრიგად, ჯერ კიდევ I საფეხურზე ჩამოყალიბებული საკინძი დამახასიათებელი ხდება ამ საფეხურის შიდა ქართლისათვის [ჯაფარიძე 1976, გვ. 139].

ამას გარდა, გვხვდება წინარე საფეხურის II ტიპის საკინძიდან განვითარებული ცალებიც. ღაით-მაზზე ამგვარი ორი საკინძი აღმოჩნდა. ორივე ახლო მსგავსებას ავლენს ქვაცხელას, სათხეს ყორღანისა და ძაღინას საკინძებთან და

---

[1] ზოგი ბ. კუფტინის მოტანილ ამ პარალელს არადამაჯერებლად მიიჩნევს [Батчаев, Кореневский 1980].

[2] ზოგ მკვლევარს ბეშთაშენის საკინძის აღდგენილი სურათი საეჭვოდ მიაჩნია [ჭილაშვილი 1964, გვ. 21].

[3] ინფორმაციის მოწოდებისათვის ვუხდით მადლობას არქეოლოგ გ. გოგოჭურს.

საკიდებთან, მაგრამ მომრგვალებული თავით და ღეროსა და თავის ცალკე დამზადებითა და შეჭედვით უფრო განვითარებული ჩანს [ღლონტი 1975, გვ. 132].

აღმოსავლეთ საქართველოს მტკვარ-არაქსულ ძეგლებზე ქვის ლახტისთავი იშვიათია. ერთი მსხლისებრი ფორმის თეთრი ქვის ლახტისთავი აღმოჩნდა ბორჯომის რ-ნში საკოჭავზე [ღამბაშიძე, ტატიშვილი 1982, ტაბ. $XI_{ბ}$]. ამგვარივე ფორმის დიაბაზის ლახტისთავია ტყვიავის ყორღანშიც [მაკალათია 1943, სურ. 28]. ქვიშაქვისაგან დამზადებული ლახტისთავი იყო კორინთას სამარხშიც [ჯაფარიძე 1994].

ქვის ლახტისთავი ფართოდ იყო გავრცელებული როგორც წინა აზიის, ისე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა ადრეულ კულტურათა ძეგლებზე [Мунчаев 1961, გვ. 66]. როგორც ფიქრობენ, თავდაპირველად იგი უფრო საბრძოლო დანიშნულების იყო, მერე შეიძინა ძალაუფლების სიმბოლოს ფუნქცია [ჯაფარიძე 1994, 166-182].

ამიერკავკასიაშიც ლახტისთავი ადრევე, ჯერ კიდევ ადრესამიწათმოქმედო კულტურის ხანაში ჩნდება [ჯაფარიძე 1994]. არაერთი ლახტისთავია აღმოჩენილი მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზეც [Мунчаев 1975, გვ. 181]. ეს ლახტისთავები გაკეთებულია მერგელისაგან, დიაბაზისაგან, მარმარილოსაგან, ჰემატიტისაგან [Мунчаев 1961, გვ. 67; Ханзадян 1967, ტაბ. VI] და ძირითადად ორი ტიპისაა: ბირთვისებრი და მსხლისებრი. სომხეთში ამგვარი იარაღი აღმოჩენილია შენგავითზე, გარნისა და დვინის ნასახლარებზე [Мунчаев 1961, გვ. 67]. ორი ლახტისთავია სტეფანაკერტის ყორღანებშიც [Кушнарева, Чубинишвили, სურ. 29]. მინგეჩაურის ნამოსახლარზე სხვადასხვა ფორმის ხუთი ლახტისთავია აღმოჩენილი, ხუთივე მარმარილოსი [Асланов и др. 1959, გვ. 31, ტაბ. X]. ქვის ლახტისთავები ცნობილია ჩრდილო კავკასიიდანაც [Мунчаев 1961, გვ. 66]. არის ის ანატოლიაშიც. ჰემატიტის ლახტისთავი აღმოჩნდა კორუკუ-თეფეს გვიანკოლხურ ფენასა [Loon, Clutenbok 1970, გვ. 80-85] და არსლან-თეფეს VIB ფენაში, სადაც გვიანმტკვარარაქსული ტიპის ჭურჭელთან ერთად იყო მარმარილოს რვაწახნაგა ლახტისთავი, მსგავსი ამუკ G ცალისა [Palmieri 1981, გვ.101-119].

აღმოსავლეთ საქართველოში ქვის ლახტისთავი ძირითადად ადრეულ ყორღანებში, ბედენური კულტურის კომპლექსებშია აღმოჩენილი და როგორც ჩანს,

ძალაუფლების აღმნიშვნელ ინსიგნიას წარმოადგენდა [ჯაფარიძე 1994, გვ. 166-182].

ამ საფეხურზე ქვის ისრისპირი არაა მრავალრიცხოვანი. თრიალეთის XIX მტკვარ-არაქსული იერის მქონე კერამიკის შემცველ ყორღანში ობსიდიანის, ფოთლისებრი მოყვანილობის ორი ისრისპირია, არამკვეთრად გამოყოფილი ყუნწით [Жоржикашвили, Гогадзе,ტაბ. 45]. მტკვარ-არაქსულ ტრადიციებს აგრძელებს ხოვლეს ყორღანის № 2 ბედენური კულტურის სამარხის ყუნწიანი ქვის ისრიპირიც [ჯაფარიძე 1998, გვ. 148, სურ. 58].

ამ პერიოდში ჩნდება ისრისპირი, ღრმად ამოჭრილი ფუძით. ამირანის გორაზე [ორჯონიკიძე 1983, გვ. 78] და ღრმახევისთავის გვიანდელ კომპლექსში [აბრამიშვილი და სხვ. 1980, სურ. 3] აღმოჩენილი ამგვარი ისრისპირები დამუშავებულია ახალი, მტკვარ-არაქსის კულტურისათვის უცნობი, წვრილი პარალელური ამოღარვის ტექნიკით, რაც დამახასიათებელია ბედენური კულტურის ისრისპირებისათვის.

ამავე საფეხურზე კვლავ გვხვდება ძვლის ბიპირამიდული ისრისპირი. იგი ცნობილია ბადაანის ნასახლარიდან [სა, ტაბ. LXCXI]. აქ აღმოჩენილი ზოგიერთი ცალი მრგვალადგათლილი ყუნწითა და პირით შეიძლება შევუდართ ბედენური კულტურის ისრისპირებს [გობეჯიშვილი 1980, ტაბ. XI; Дедабришвили 1979, ტაბ. XLII]. ბოლო ხანებში ამგვარი იარაღი აღმოჩნდა აღმოსავლეთ ანატოლიაშიც – სოს ჰუიუკზეც, რომელსაც ძეგლის გამთხრელები რატომღაც საკინძად მიიჩნევენ [Sagona 1996, ტაბ. 12].

ძვლის ბიპირამიდალური ისრისპირი ცნობილია ჩრდილო კავკასიიდანაც. ერთი ამგვარი იარაღი აღმოჩნდა ბამუტის ყორღანში, რამოდენიმე კი – ნალჩიკის 27-ე ყორღანში [Мунчаев 1975, გვ. 306, 323]. როგორც ჩანს, მაიკოპის კულტურისათვის ამგვარი იარაღი კიდევ უფრო იშვიათია.

§ 3. კერამიკა. მტკვარ-არაქსის კულტურა ადრეყორღანული კულტურის გავრცელების ხანაში. ამ საფეხურის თიხის ჭურჭლის დამახასიათებელი ნიშნები კარგად ჩანს სამცხე-ჯავახეთი ძეგლების მიხედვითაც. ამირანის გორის III უბნის ორმოსამარხებში აღმოჩენილი კერამიკა შავპრიალაა, თხელკეციანი. ძირითადად გვხვდება მომცრო ზომის ჭურჭელი უმთავრესად ხელადის ტიპისა,

რომლისთვისაც დამახასიათებელია გადაშლილი პირი, მხრისკენ კონუსურად გაფართოებული ოდნავგამოყვანილი ყელი, გამობერილი მსხლისებრი ან სამნაწილადი კორპუსი და ვიწრო, ზოგჯერ შედრეკილი ძირი. ლენტური ტიპის თხელი ყური უმთავრესად ყელსა და მხარზეა მიძერწილი. არის მუხლისებრი ყურიც. ეს ჭურჭელი თითქმის მთლიანად ორნამენტირებულია. შემკობა უმთავრესად ნაკაწრითაა შესრულებული, რომლითაც გამოყვანილია ყელის ძირს შემოყოლებული დაშტრიხული სამკუთხედების მწკრივი, კორპუსის გარშემო მოცემულია ტეხილხაზოვანი დაშტრიხული ან წერტილებით შევსილი, თავჩახვეული ლენტები, რომელიც მოგვაგონებს ჯერ კიდევ წინარე საფეხურზე ცნობილ გართულებულ სპირალურ ორნამენტს და მის კიდევ უფრო მეტად სქემატიზირებულ გამოსახვას უნდა წარმოადგენდეს. ლენტები დამატებით მორთულია დაშტრიხული სამკუთხედებითაც. იშვიათად არის სქემატიზებული ზოომორფული გამოსახულება, გვხვდება ადრევე ცნობილი Z-ბრი მოტივი და სხვ.

ეს კერამიკა გარკვეულ მსგავსებას იჩენს აქვე, ამირანის გორის ძირითადი ნასახლარის კერამიკასთან, განსაკუთრებით იმ ნაწარმთან, რომლისთვისაც ასევე დამახასიათებელი ჩანს ნაკაწრით გამოყვანილი სამკუთხედები, ტეხილხაზოვანი ლენტები და სხვა სახეები. ამ მხივ აღსანიშნავია მსგავსება XXIII შენობის სამფეხა ჭურჭელთან, რომელიც ფორმითა და ორნამენტის ხასიათით ახლო დგას ორმოსამარხების თიხის ჭურჭელთან. ანალოგიური ორნამენტი ამ ნასახლარის ზოგ კომპლექსში სხვა ფორმის ჭურჭელზეცაა დატანილი. ამირანის გორის ნასახლარისა და ორმოსამარხების თიხის ჭურჭელს შორის მსგავსება ადრევე აღინიშნა [ჩუბინიშვილი 1963; ორჯონიკიძე 1983]. გამოითქვა სრულიად საპირისპირო აზრიც [Чубинишвили 1971, გვ. 73]; მაგრამ ამ კომპლექსთა კერამიკის ურთიერთსიახლოვე აშკარაა. ამ მსგავსების საფუძველზე ისიც ითქვა, რომ ეს კომპლექსები სინქრონული უნდა იყოს [Ростунов 1985, გვ. 3-42; მინდიაშვილი 1993, გვ. 97]. ორმოსამარხების თანადროული საცხოვრებელი კომპლექსების არსებობა ამირანის გორის ნასახლარის უბანზე მართლაც არაა გამორიცხული, მაგრამ ნასახლარის ძირითადი კომპლექსებისა და ორმოსამარხების სრული ქრონოლოგიური გათანაბრება არ უნდა იყოს გამართლებული. თავი რომ დავანებოთ სტრატიგრაფიულ მონაცემებს, რომლის მიხედვითაც ორმოსამარხების ქვეშ ქრონოლოგიურად ნასახლარის შესატყვისი მასალის შემცველი შენობების ნაშთებია მოქ-

ცეული [ორჯონიკიძე 1983, გვ. 86], გარკვეული სხვაობა ამ კომპლექსთა მსგავს მასალაშიც ჩანს. ორმოსამარხების თიხის ჭურჭელს მკვეთრად გამოხატული მსხლისებრი ფორმა აქვს, ვიდრე მის ანალოგებს ნასახლარი ფენიდან. ამ უკანასკნელის ორნამენტში ჯერ კიდევ არ ჩანს წერტილოვანი ორნამენტი, რომელსაც ფართო გამოყენება აქვს ორმოსამარხების კერამიკაზე. ამასთან, ორმოსამარხების კერამიკა, მსგავსად ადრეული ყორღანების თიხის ჭურჭლისა [ჯაფარიძე 1998, გვ. 68], მხოლოდ შავი ფერისაა, ხოლო ნასახლარზე ძირითადად ღია ფერის კერამიკა ჩანს. ამდენად, სახეზე გვაქვს სტრატიგრაფიულ მდგომარეობაში დაფიქსირებული, ქრონოლოგიურად ერთმანეთთან ახლო მდგომი, მაგრამ არასინქრონული, ორი კერამიკული კომპლექსი, რომელთაგან ადრეული აგრძელებს რა წინარე საფეხურის ტრადიციებს, ამავე დროს შეიცავს იმ ნიშნებსაც, რომელიც დამახასიათებელი ხდება ორმოსამარხების კერამიკისათვის.[1]

რაც შეეხება სამფეხა ჭურჭელს, იგი მტკვარ-არაქსის კულტურისათვის არაა დამახასიათებელი [ორჯონიკიძე 1983, გვ. 59]. სამაგიეროდ, ამგვარი ჭურჭელი კარგადაა ცნობილი კავკასიის ჩრდილოეთითა და სამხრეთით ადრეული ხანის კულტურაში [ჯაფარიძე 1998, გვ. 128]. იშვიათად იგი თავს იჩენს ამ კულტურაშიც. მის ერთერთ ყველაზე ადრეულ ცალს უნდა წარმოადგენდეს ქვაცხელას C_1 ფენის პირფართო, ორყურა მუცელწიბოიანი ქილა, ქუსლზე მიძერწილი სამი ბრტყელი ფეხით [ჯავახიშვილი, ღლონტი, გვ. 31]. ამგვარი ჭურჭელი არგვეთის ნასახლარზეცაა აღმოჩენილი [ფხაკაძე 1993, გვ. 64]. სამფეხა ჭურჭელს ბედენურ კომპლექსებშიც ვხვდებით. რამოდენიმე ფეხიანი ჭურჭელი ცნობილია ჩრდილო კავკასიიდანაც. ზოგი აქ აღმოჩენილ ჭურჭელს ბედენური ხანისად მიიჩნევს და შესაბამისად ამირანის გორის XXIII შენობის სამფეხას და საერთოდ, მთელ ამ კომპლექსს მტკვარ-არაქსის კულტურას არ აკუთვნებს [Мунчаев 1986, გვ. 27-38]. იგივე ჭურჭელს დასავლეთ ანატოლიურ ფორმებსაც უკავშირებენ [გოგაძე 1972, გვ. 109]. ამირანის გორის ეს ჭურჭელი მართალია რამდენადმე იზოლირებულად გამოიყურება ამ კულტურის კერამიკაში, მაგრამ იგი ტრადიციული – მტკვარ-არაქსული ტექნოლოგითაა დამზადებული და შეიცავს ამავე

[1] ამირანის გორის ცალკეული კომპლექსების შესახებ არსებული მოსაზრებების შესახებ დაწვრილებით იხ. [ორჯონიკიძე 1983].

კულტურულ წრეში ჩამოყალიბებულ ორნამენტულ სახეებს. მტკვარ-არაქსულია XXIII შენობის დანარჩენი კერამიკული ნაწარმიც, შემკული რელიეფური სპირალებით, ღარებით და სხვა ორნამენტით და არაფერი აქვს საერთო ბედენურ თუ სხვა კულტურასთან [ორჯონიკიძე 1983, გვ. 17, ტაბ. 10].

ამირანის გორის ორმოსამარხების ხელადასთან ფორმითა და ორნამენტით ახლო მსგავსებას იჩენს თრიალეთის ადრეული ყორღანების „უფროსი" ჯგუფის თიხის ჭურჭელი [ჩუბინიშვილი 1963, გვ. 82]. ამირანის გორის ამ ჭურჭლის მსგავსად თრიალეთის ჭურჭელიც ხასიათდება მხრისკენ გაფართოებული კონუსური ყელით, მსხლისებრი ან სამნაწილადი ტანით და ვიწრო, ჩამოწეული ძირით. ორნამენტს აქაც ყელის ბოლოს ჩამოყოლებული დაშტრიხული სამკუთხედების მწკრივი და ჭურჭლის კორპუსზე დატანილი, ნაკაწრით გამოყვანილი ზოვან-წერტილოვანი შემკობა წარმოადგენს [გოგაძე 1972, გვ. 22]. იგივე ნიშნებით ამირანის გორის ჭურჭელს უახლოვდება ცარცის გორაზე აღმოჩენილი ერთი ჭურჭელიც [Куфтин 1949, სურ. 31].

აღნიშნულ ფორმას ივრის ხეობაში, ბადაანისა და ორხევის ნასახლართა მასალაშიც ვხვდებით. აქ აღმოჩენილი ჭრილი და ნაკაწრი სამკუთხედებით, რომბებით, Z-ბრი სახეებით შემკული თიხის ჭურჭელი პირდაპირ პარალელებს პოულობს თრიალეთსა და ამირანის გორის ორმოსამარხების კერამიკის ორნამენტში [Мирцхулава и др. 1995, ტაბ. 135; სა, ტაბ. LXXXIII]. კახეთში, დედოფლისწყაროს რაიონში გათხრილი დალის მთის № 1 ყორღანშიც აღმოჩნდა ანალოგიური ხელადა, მსგავსი ორნამენტით [ასათიანი, მაისურაძე 1992].

რამდენადმე განსხვავებულია ჯავახეთში, დიგაშენ I ნამოსახლარზე აღმოჩენილი ორი ვიწროყელიანი, მუცელგამობერილი ხელადა პირსა და მხარზე მიძერწილი ყურით [ორჯონიკიძე 1998]. ყურის მიძერწვის მანერით ორივე ხელადა გამოირჩევა ზემოდაღწერილი ანალოგიური ჭურჭლისაგან, რომელსაც ყური ძირითადად მხართან აქვს მიძერწილი და უფრო მეტად უახლოვდება საჩხერის მოგვიანო ხანის სამარხის ერთ ხელადას [ჯაფარიძე 1961, ტაბ. XIV_6]. მაგრამ ამგვარი ჭურჭელი პირთან მიერთებული ყურით მაინც რამდენადმე იშვიათია. ამ საფეხურის ხელადების უმეტესობას ყური მხართან ან ყელსა და მხარზე აქვს მიძერწილი. კორპუსის მოყვანილობით დიგაშენის ჭურჭელს ანალოგები მარტყო-

ფულ ყორღანებშიც გააჩნია. მარყოფის № 4 ყორღანში აღმოჩენილი შავპრიალა, ვიწროყელიანი ხელადები გამობერილი მუცლითა და შევიწროვებული ძირით შეიძლება შევუდაროთ ჯავახეთის ნაწარმს [ჯაფარიძე 1998, სურ. 17]. ამავე ყორღანების ნაწარმს უახლოვდება დიგაშენის ზოგიერთი სხვა ჭურჭელიც [ორჯონიკიძე 1998, ტაბ. $I_{6,18,20}$] ისევე, როგორც დაღარულზედაპირიანი ყური [ორჯონიკიძე 1998, ტაბ. I_3]. იგი სავსებით ისეთივეა, როგორსაც ვხვდებით მარტყოფის №№ 2 და 4 ყორღანთა მასალებში [ჯაფარიძე 1998, სურ. 5, 22]. დაღარული ყური არაა დამახასიათებელი წინარე ხანის ნაწარმისათვის. იგი უცხო ჩანს მტკვარ-არაქსის კულტურაში და მხოლოდ მოგვიანებით, ძირითადად IV საფეხურზე იწყებს გამოჩენას. იგი უფრო მეტად ადრეული ყორღანების ხანის მასალაზეა წარმოდგენილი. ერთი ამგვარი ყური ზველის რაბათზეცაა აღმოჩენილი [ორჯონიკიძე 1983, ტაბ. 29_9], მსგავსი თრიალეთის XXIV ყორღანის ცალისა [გოგაძე 1972, ტაბ. 10_7]. ამგვარ ყურს ზოგჯერ ბედენური კულტურის ნასახლარზეც ვხვდებით. იგი ცნობილია ბერიკლდეების შესაბამისი ფენიდან [ჯალაბაძე 1998, ტაბ. XI].

ადრეყორღანულ, განსაკუთრებით კი ბედენურ კერამიკასთან პოულობს საერთოს ჯავახეთის მეორე ნამოსახლარის სათხე A3 უბანზე ნაპოვნი, ზემოთ უკვე სხენებული ორმაგი ყურიც [ქიქოძე და სხვ. 1998, ტაბ. III_7]. მისი უადრესი ეგზემპლარი ხიზანაანთგორის C_1 ფენის ერთ დისკოსებრ სარქველზეა დაძერწილი [კიკვიძე 1972, ტაბ. 24-3]. იშვიათად მას ვხვდებით მთიანი დაღესტნის სინქრონული ხანის კერამიკაზეც ფეხიან ჭურჭელთან და მილიან კათხასთან ერთად [Гаджиев 1991, სქემა]. მაგრამ განსაკუთრებით კარგად იგი წარმოდგენილია შიდა ქართლის ბედენური ხანის ძეგლებზე, თუმცა რამდენადმე განსხვავებული ფორმისა [ქიქოძე და სხვ. 1998, გვ. 43; ჯალაბაძე 1998, ტაბ. IV].

ადრეული ყორღანებისა და გვიანმტკვარ-არაქსულ მასალასთან იჩენს კავშირს დიგაშენ I-ის კერამიკის ორნამენტის ზოგიერთი მოტივიც. აქ აღმოჩენილ ერთ ხელადას ტანზე შემოუყვება ტეხილხაზოვანი დაშტრიხული ლენტის სარტყელი, ხოლო ყელის ბოლოს – სამი კონცენტრული ღარი, ძალზე დამახასიათებელი ელემენტი ამ კულტურათა კერამიკის შემკობისა. ტეხილხაზოვანი დაშტრიხული ლენტი კარგადაა ცნობილი ახალციხის ამირანის გორის ორმოსამარ-

ხების [ორჯონიკიძე 1983, ტაბ. 21], ციხიაგორის B და A ფენების [მახარაძე 1994, ტაბ. XXXV_2; LXI_2]. ბეშთაშენის გვიანი კომპლექსის [Куфтин 1941, ტაბ. CXXII] კერამიკაზე. მას ვხვდებით ასევე თრიალეთის, ბედენის, ქვემო ქართლის ზოგიერთი ყორღანის თიხის ჭურჭელზეც [ორჯონიკიძე 1998, გვ. 16]. ფართოდაა გავრცელებული ამგვარი შემკობა სომხეთის გვიანმტკვარ-არაქსულ კერამიკაზე, რომელიც კლასიკური სახით წარმოდგენილია შენგავითის ტიპის ძეგლებზე და მიჩნეულია შრეშ-ბლურის ჩაღარულ-ამობურცული ტექნიკით შესრულებულ ორნამენტიან კერამიკაზე მოგვიანო ხანისად [Пиотровский 1949, გვ. 175]. ტეხილხაზოვანი, დაშტრიხული ლენტი შემოუყვება ტანზე ხაშურის ნაცარგორის ერთ ბედენურ კათხასაც [ორჯონიკიძე 1992, ტაბ. IV_3], რომელიც ფორმითა და ყურის მიძერწვის მანერით ახლოს დგას დიგაშენი I-ის ზოგ ჭურჭელთან [ორჯონიკიძე 1998, ტაბ. I_8]. ბედენურ კულტურას შეიძლება დავუკავშიროთ ამ ნასახლარის მტკვარ-არაქსული იერის ერთ ჯამზე დაძერწილი რელიეფური დაკეჭნილი ზოლით შექმნილი ორნამენტიც [ორჯონიკიძე 1998, გვ. 17].

დიგაშენ I ნასახლარის კერამიკა შეიცავს ტიპიურ მტკვარ-არაქსულ რელიეფურ ორნამენტსაც. მასში ჭარბობს ზოომორფული სახეები [ორჯონიკიძე 1998, ტაბ. $I_{1,2}$]. ამგვარი ორნამენტით უმეტესად დიდი ზომის ჭურჭელია შემკული. ერთ ასეთ ჭურჭელზე, რომელსაც მტკვარ-არაქსის კულტურის დერგებისგან განსხვავებით ვიწრო ყელი აქვს, გამოსახულია რელიეფური კლაკნილი ზოლი (გველი?). ამგვარივე ჭურჭლის ფრაგმენტზეა დატანილი ძაღლისა და წეროს რელიეფური გამოსახულებაც. მსგავს ორნამენტს ვხვდებით სამშვილდის სამაროვანსა და ბადაანის ნასახლარზე [სა, ტაბ. LXXVII, LXXIX], ჟინვალში [ღლონტი 1977, გვ. 13]. წეროს გამოსახულებიანი ჭურჭელიც მრავლადაა აღმოჩენილი ქვემო ქართლის, სამცხის, თრიალეთისა და სხვა რეგიონების მტკვარ-არაქსის კულტურის სხვადასხვა ეტაპის ამსახველ ძეგლებზე [ორჯონიკიძე 1998, გვ. 17]. მისი სქემატური გამოსახულება უნდა ამკობდეს სანათურის ფასადსაც. წეროს გამოსახვა თიხის ჭურჭელზე ძალზე მიღებულ შემკობას წარმოადგენდა სამხრეთ საქართველოს მთიანეთში ამ კულტურის ადრეული საფეხურებიდანვე, რომელიც სხვადასხვა ხერხით შესრულებული, ბოლომდე გაჰყვა აქ გავრცელებული კულტურის კერამიკას.

საკუთრივ სანათური წარმოადგენს თიხის ოთხკუთხა ყუთს, რომელსაც ზემოდან და წინიდან ორი მოზრდილი ნახვრეტი აქვს დატანილი. წინა, ფასადის მხარეს ნახვრეტის გვერდებზე წეროს წყვილი რელიეფური სქემატური გამოსახულებაა დაძერწილი. სანათურის ზედა კიდე კი ნაწილობრივ დაკეჭნილია ირიბი ჭდეებით. სანათურს მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე ნაკლებად ვხვდებით, ისიც უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში. ის ცნობილია აგრეთვე აიდან (იერუსალიმთან) [გოგაძე 1972, გვ. 85]. ჩვენში მის ადრეულ ტიპებს ვხვდებით ოზნსა და ხიზანაანთგორის C_1 ფენაში. ოზნის სანათური ოთხკუთხაა, ნაკლული [Жоржикашвили, Гогадзе, ტაბ. 39], ხოლო ხიზანაანთ გორის C_1 ფენის ცალი კი მრგვალი ფორმისაა, ზემოდან და წინიდან მოზრდილი ნახვრეტით [კიკვიძე 1972, გვ. 16, ტაბ. XXIV_1]. ამირანის გორის სანათური ოთხკუთხაა, აქვს მილისებრი თავი და მოზრდილი ნახვრეტები კედელში [ჩუბინიშვილი 1963, გვ. 26, სურ. 4_{25}]. მაგრამ დიგაშენ I-ის სანათური ყველაზე მეტად ქვაცხელა B ფენის სანათურს ემსგავსება და მისგან განვითარებული ჩანს [სა, ტაბ. CI].

ყურადღებას იქცევს ფართოდ ამოღარული სპირალებითა და მეანდრებით შემკული თიხის მოზრდილი ფილის ფრაგმენტები წითელი საღებავის კვალით ამავე ნასახლარის იმ კომპლექსიდან, სადაც თიხის სანათური იყო აღმოჩენილი [ორჯონიკიძე 1998, ტაბ. II]. ორნამენტის ეს სახე ფართოდ იყო გავრცელებული გვიანმტკვარ-არაქსული პერიოდიდან მოკიდებული და კარგად ახასიათებდა არარატის ველის ჩაღარულ-ამობურცული ხერხით შემკულ კერამიკას [ჯაფარიძე 1976, გვ. 114]. იგი ასევე კარგადაა წარმოდგენილი ქვემო და შიდა ქართლის მოგვიანო ხანის ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა ქვაცხელა, ციხიაგორა, ღაითმაზი, დანგრეული გორა და სხვ. [ჯაფარიძე 1976, სურ. 47-48; ჯავახიშვილი, ღლონტი, ტაბ. IV_{138}; მახარაძე, ტაბ. XXVII, LXVIII]. ამ კულტურის სამხრეთი ოლქებისაკენ იწევს დიგაშენი I-ის ნალისებრი ზესადგრებიც [ორჯონიკიძე 1998, ტაბ. I_{10}].

ამრიგად, ნასახლარ დიგაშენ I-ის კერამიკული ნაწარმი შეიცავს როგორც ტიპიურ მტკვარ-არაქსულ მასალას, ასევე გარკვეულ კავშირს იჩენს ადრეული ყორღანების თიხის ჭურჭელთანაც. ამ მხრივ გამორჩეული ადგილი უკავია მსხლისებრი ფორმის მქონე ხელადას, რომელიც აშკარად მტკვარ-არაქსულ

ფორმებიდან არის განვითარებული და ბევრ საერთოს პოულობს ამ კულტურის მოგვიანო პერიოდის ძეგლებზე. იგივე შეიძლება ითქვას დიგაშენი I-ის მეზობელ, რამდენადმე ადრეული ხანის ნასახლარ სათხეს ხელადების შესახებაც, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს სინქრონული ძეგლების ჭურჭლების კვალად, ახლო კავშირს იჩენს ამ კულტურის ადრეულ მასალასთან, რაც მათს გენეტიკურ ერთიანობაზე უნდა მიუთითებდეს.

ამავე დროს, იგივე ნაწარმი ახლო დგას ადრეული ყორღანების, განსაკუთრებით მარტყოფული ეტაპის ჭურჭელთანაც. სათხეს, ამირანის გორის, ბადაანის, ილტოს და სხვ. ძეგლების მტკვარ-არაქსული თიხის ჭურჭელი პირდაპირ ანალოგებს პოულობს თრიალეთის, მარტყოფის და სხვა ადრეული ყორღანების ნაწარმში, რაც მათი ერთი ძირიდან – მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკული ტრადიციებიდან აღმოცენებაზე მიუთითებს [ჯაფარიძე 1998, გვ. 71]. მტკვარ-არაქსული და ახალმოსულთა კულტურათა შერწყმის ადგილად კი ადრეულ ყორღანთა კონცენტრაციის არე – თრიალეთი და იორ-ალაზნის აუზია მიჩნეული [მახარაძე 1994, გვ. 68].

მტკვარ-არაქსულია ორნამენტიც – ნაკაწრით გამოყვანილი დაშტრიხული სამკუთხედები, ტეხილხაზოვანი ლენტები, ფრინველის სქემატური გამოსახულება და სხვ. ამიტომ უსაფუძვლოდ მიიჩნევენ მოსაზრებას ნაკაწრი ორნამენტის ჩრდილოეთიდან გავრცელების შესახებ [ჯაფარიძე 1998, გვ. 69]. ეს ორნამენტი ფართოდაა გავრცელებული შენგავითის რიგის ძეგლებსა და მის მონათესავე აღმოსავლეთ ანატოლიის ზოგიერთი ნამოსახლარის კერამიკაზე [Ханзадян 1967, ტაბ. 23; Ханзадян 1979, ტაბ I-III; Sagona 1984]. ამ ორნამენტით მტკვარ-არაქსულ ტრადიციებზე ჩამოყალიბებული იმ ხელადების მორთვა, რომელთაც ადგილობრივი, ძირითადად შიდა ქართლური ძირი უნდა ჰქონდეს, წარმოგვიდგება როგორც ამ კულტურის ორი ლოკალური ვარიანტის – სამხრეთული და შიდა ქართლური კერამიკული ტრადიციების შერწყმად. რამდენადაც მსგავსი ფორმის ჭურჭელი სხვაგან ნაკლებადაა გავრცელებული[1] და მას უმთავრესად აღმოსავ-

[1] ზოგჯერ აღნიშნავენ ამირანის გორის გვიანი ხანისა და აღმოსავლეთ ანატოლიის ნამოსახლარის ქარაზის ზედა ფენების კერამიკას შორის დიდ სიახლოვეს, რაც არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს. ქარაზის ამ ფენების კერამიკა სრულიად განსხვავებული ტიპისაა და ნაკლებად უკავშირდება აღმოსავლეთ საქართველოს მეტ-ნაკლებად თანადროულ ძეგლებს.

ლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ვხვდებით, ეს პროცესი აქვე, შიდა ქართლსა და მის მიმდებარე მხარეებში უნდა ვივარაუდოთ.

მტკვარ-არაქსის კულტურის ელემენტებს გამოკვეთილად შეიცავს ამ საფეხურის ტოლჩაც, რომელიც ორი ტიპითაა წარმოდგენილი. ერთი ბიკონუსური მოყვანილობისაა, ფართო ყელით და ვიწრო ძირით. კორპუსი და ყელი მას შემკული აქვს ჭრილხაზოვანი Z-ბრი ორნამენით, რომელიც ძალზე მოგვაგონებს გვიანმტკვარ-არაქსული ხანის ტეხილხაზოვან შემკობას [გოგაძე 1972, გვ. 23]. ეს ტრადიციები ვლინდება ყურის მიძერწვის მანერისა და მის პროფილირებაშიც. ტანის შუა ნაწილზე გამოყოფილი ვიწრო რელიეფური სარტყლით გადმოცემულია გადმონაშთის სახით შემორჩენილი კორპუსის სამნაწილადიანობა. აღსანიშნავია, რომ ტოლჩის ეს ტიპი თითქმის ყოველთვის თან სდევს მსხლისებრ ხელადას და მარტყოფული ეტაპის ყველა ყორღანისთვისაა დამახასიათებელი [ჯაფარიძე 1998, გვ. 70]. გვიანმტკვარ-არაქსული კერამიკული ტრადიციების არსებობა კიდევ უფრო მეტად ხაზგასმულია ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტით შემკულ ხოვლეს № 1 ყორღანის ძირვიწრო ჭურჭელზე [ჯაფარიძე 1998, გვ. 149, სურ. 59].

მეორე ტიპის ტოლჩას სამარხებს გარდა ნამოსახლარებზეც ვხვდებით. ხელადის მსგავსად ამ ჭურჭელსაც აქვს მკვეთრად გამობერილი, ზოგჯერ სუსტად გამოხატული სამნაწილადი ტანი და ანალოგიური სახის შემკობა. ყური მიძერწილი აქვს პირსა და მხარზე.

ამგვარი ჭურჭელი აღმოჩენილია ამირანის გორის ორმოსამარხებში [ორჯონიკიძე 1983, ტაბ. 21_6], ბადაანის ნასახლარსა და ორმოსამარხებში [სა, გვ. 76, ტაბ. LXXXIV$_1$], ილტოს ორმოსამარხებში [Дедабришвили 1969, სურ.6-8], ნიჩბისის № 1 ყორღანში [Апакидзе и др. 1982, ტაბ. 176_3], თრიალეთის XIII ყორღანში [Жоржикашвили, Гогадзе, ტაბ. 48]. ერთი ამგვარივე ფორმის ჭურჭელი აღმოჩნდა დმანისის № 1 ბედენური მასალის შემცველ ყორღანშიც [Кахиани и др. 1995, ტაბ. 98]. ცნობილია ის ციხიაგორის B_2 ფენიდან [მახარაძე 1994, ტაბ. XXXV] და ჟინვალის ორმოებიდან [სა, ტაბ. CIII]. ამ ტიპის ტოლჩაც მტკვარ-არაქსული ელემენტების მატარებელია [გოგაძე 1972, გვ. 19] და წარმოქმნილი

ჩანს ქვაცხელა-ციხიაგორა B, ამირანის გორის ნასახლარი ფენებიდან ცნობილი მსგავსი ფორმების განვითარების საფუძველზე.

ამ საფეხურის ზოგიერთი ძეგლისათვის დამახასიათებელია მტკვარ-არაქსის კულტურისათვის რამდენადმე უცხო ტიპის ჭურჭელი – თიხის ვაზა. მის უადრეს, რამდენადმე თავისებური იერის მქონე ცალებს ჯერ კიდევ ხიზანაანთ გორა – ქვაცხელა C ფენაში ვხვდებით [სა, ტაბ. XCI; XCVIII]. მაგრამ ამგვარი ჭურჭელი უფრო IV საფეხურზე მკვიდრდება და ძირითადად წარმოდგენილია ბეშთაშენის მესამე კომპლექსის [Куфтин 1941, გვ. 111], ილტოსა [Дедабришвили 1969, სურ, 6-7] და ჟინვალის [ღლონტი 1982 გვ. 5-8] მასალებში. ამ უკანასკნელზე იგი ყველაზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი.[1] ეს ჭურჭელი მართალია, არაა დამახასიათებელი მტკვარ-არაქსის კულტურისათვის, მაგრამ მისი დამზადების ტექნიკა და ორნამენტი ამ კულტურის კერამიკის ტრადიციებს ავლენს [Дедабришвили 1969, გვ. 58]. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: ზედა წარმოადგენს ფართო, ცილინდრულყელიან და გამობერილმუცლიან ჯამს. ქვედა კი ღრუქუსლიან, გაშლილ მრგვალ ძირს. ზოგს პირსა და მხარზე მიძერწილი აქვს ნახევარსფერული ყური. შემკობას წარმოაგენს ყელის ბოლოსა შემოყოლებული ღარები, კორპუსის ზედა ნაწილზე დატანილი კოპები, სამი ვერტიკალური რელიეფური ზოლი და სხვ.

თიხის ვაზა ფართოდ იყო გავრცელებული სამხრეთ ევროპისა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ადრეული ხანებიდანვე. ბ. კუფტინმა ბეშთაშენში აღმოჩენილი ამგვარი ჭურჭელი ანატოლიის (ალიშარი) და ირანის (თეფე ჰისარ I) ცალებს დაუკავშრა [Куфтин 1941, გვ. 111]. მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს ნაწარმს უფრო მეტად უახლოვდება ამუკის ძვ.წ. III ათასწ. მეორე ნახევრის საწყისი საუკუნეებით დათარიღებული თიხის ვაზები [ღლონტი 1982, გვ. 8]. ასევე, ახლო პარალელები ეძებნება მას ცენტრალურ ანატოლიაში, ბეიჯესულტანის ადრებრინჯაოს ხანის II საფეხურის ღრუფეხიან ვაზებშიც [Lloyd, Mellaart, ტაბ. XXIV_2]. ბოლო ხანებში ამგვარი ჭურჭელი დაღესტნის ზღვის-

[1] ზ. მახარაძის მოსაზრებით, ჟინვალის ორმოების ადრეული ჯგუფის კერამიკა, რომელსაც ის ციხიაგორის B, ფენისშემდევნო ხანის ამსახველად თვლის, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ანატოლიიდან მოსახლეობის შემოღწევის გზის მაჩვენებელია.

პირა ზოლში – კაიაკენტშიც აღმოჩნდა. მას მტკვარ-არაქსის კულტურის ადგილობრივი ვარიანტის სპეციფიკურ ფორმად მიიჩნევენ [Магомедов 1996, გვ. 69-72]. თუმცა, გამორიცხული არაა ეს ჭურჭელი დაღესტანში აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ კახეთის გზით გავრცელებულიყო.

თიხის ვაზის გარდა იორ-ალაზნის აუზის ნასახლართა კერამიკული ნაწარმი ერთმანეთს უკავშირდება ჭურჭლს კორპუსის წყვილი, მრგვალი, მოზრდილი ფოსოებით შემკობითაც. ამგვარად მორთული კერამიკა აღმოჩენილია ბადანის, ილტოსა და ორხევის ნამოსახლარებზე [Мирцхулава и др. 1980, ტაბ. LV; Мирцхулава и др. 1995, ტაბ. 133; Дедабришвили 1969, სურ. 13]. მას იმთავითვე მიექცა ყურადღება და ბედენურ კერამიკას დაუკავშირდა [Дедабришвили 1969, გვ. 57]. ბედენურსავე დაუკავშირდა სომხეთის ძეგლების – გარნისისა და ელარის ფოსოებით მორთული კერამიკაც [Ханзадян 1969, გვ. 173]. მაგრამ საკუთრივ ბედენური ფოსოებიანი კერამიკის კვლევამ შემკობის ამ წესის ადრეული – მტკვარ-არაქსული ფესვები გამოავლინა. გაირკვა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურაში კერამიკის შემკობის ამ ხერხს საკმაოდ ადრეულ ეტაპიდანვე იყენებდნენ, მართალია, რამდენადმე განსხვავებული სახისას. ამგვარად ორნამენტირებული კერამიკის გავრცელების არეალად მიჩნეული იქნა ქვემო ქართლის ველი, დასავლეთი აზერბაიჯანი, არარატის ველი და ურმიის ტბის ნაპირები [გობეჯიშვილი 1980, გვ. 58-62]. აღმოსავლეთ საქართველოს ამ საფეხურის აღნიშნული ძეგლების კერამიკის შემკობა მართლაც ბევრ საერთოს პოულობს ამ კულტურის სამხრეთ არეალზე. მაგრამ განსაკუთრებულ სიახლოვეს იჩენს ელარისა და მასთან ახლო მდგომი ძეგლების მოგვიანო ფენების კერამიკასთან [Ханзадян 1979, გვ. 28, სურ. 25]. ზოგ აქაურ ძეგლზე ფოსოებით მორთულია არა მარტო თიხის ჭურჭელი, არამედ ზესადგრებიც [Ханзадян 1967, ტაბ.XVIII]. წყვილი ფოსოებით კერამიკის შემკობა ასევე ახასიათებს ირანის გეოი-თეფეს, სადაც ის K_2 ფენის დროს ჩნდება და მყარად იკიდებს ფეხს K ფენის დასასრულ ფაზაზე. ეს ფაზა ელარის ამგვარი კერამიკის შემცველი კომპლექსების თანადროული ჩანს და ძვ.წ. III ათასწ. შუა ხანებით ან უფრო მოგვიანო ხანით თარიღდება [Burton-Brown 1948, გვ. 34; Sagona 1984, ქრ. ტაბულა; გოგაძე 1972, გვ. 95; Ханзадян 1979, გვ. 28], რაც დასაშვებს ხდის მსხვილი ფოსოებით კერამიკის

შემკობის წესის გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოში სამხრეთის ამ ოლქებს დავუკავშიროთ.

ამ საფეხურზე მომხდარი გლობალური ხასიათის ძვრები მოზრდილი ჭურჭლის – დერგისა და ქოთნის ფორმასაც დაეტყო. წამყვანი ხდება კვერცხისებრი ფორმის უმთავრესად ორყურა, უყელო ან დაბალყელიანი ჭურჭელი, რომელზეც იშვიათი ხდება ყელის გადასვლა კორპუსზე წიბურით. მაგრმა მტკვარ-არაქსული კერამიკული ტრადიციები მაინცაა შემონახული ჭურჭლის ზედაპირის დამუშავებაში, ყურის ფორმასა და ორნამენტის ზოგიერთ მოტივში. ჩამოთვლილი ნიშნებით ერთიანდება ძირითადად ნასახლარებზე აღმოჩენილი მოზრდილი ჭურჭელი ციხიაგორას A ფენიდან [მახარაძე 1994, ტაბ. LV, LVI], ბადაანიდან [სა, ტაბ. LXXXI, LXXXIII], ხაშურის ნაცარგორის ზედა ფენებიდან [Рамишвили А. 1991, ტაბ. 44, 46], ზველის რაბათიდან [ორჯონიკიძე 1983, ტაბ. 29], დიგაშენი I-დან [ორჯონიკიძე 1998, ტაბ. II] და სხვ. ამ ნასახლარებზე დადასტურებულია მტკვარ-არაქსისა და ადრეული ყორღანების, ძირითადად – ბედენური კერამიკის თანაარსებობა. როგორც ჩანს ამავე რიგის ძეგლებთან უნდა გაერთიანდეს ღრმახევისთავის მოგვიანო კომპლექსიც. აქ აღმოჩენილი დერგები [აბრამიშვილი და სხვ., სურ. 8, 10] ახლო დგას როგორც აღნიშნული ნასახლარების, ისე ბედენური კულტურის წნორისა და ბედენის [Дедабришвили 1979, ტაბ. XX, XXIII; გობეჯიშვილი 1980, გვ. 19, სურ. 5] ყორღანების დერგებთან [ორჯონიკიძე 1992, გვ. 5]. ბედენური კერამიკის ნიშნებს ავლენს ღრმახევისთავზე აღმოჩენილი კერამიკის შემკობის ზოგიერთი ხერხიც. ამ მხრივ აღსანიშნავია ჭურჭლის ტანის მორთვა შიგნიდან გამოყვანილი



სურ. 74. ღრმახევისთავი

კოპებით, რაც უცხოა მტკვარ-არაქსის კულტურისათვის [ორჯონიკიძე 1983, გვ. 39]. ყურადღებას იქცევს ღრმახევისთავის კერამიკის ორნამენტის კიდევ ერთი სახე — სამი ვერტიკალური პარალელური რელიეფური ზოლი. იგი ამ საფეხურზე იჩენს თავს და საერთო ხდება როგორც მტკვარ-არაქსული, ისე ბედენური კერამიკისათვის [ორჯონიკიძე 1996, გვ. 2]. მსგავსი ორნამენტით შემკული ჭურჭელი ცნობილია ბადაანიდან [Мирцхулава и др. 1981, ტაბ. XXVI_6], ხაშურის ნაცარგორიდან [ორჯონიკიძე 1992, ტაბ. IV_4], ციხიაგორის A ფენიდან [მახარაძე 1994, ტაბ. LXXI_4], ჟინვალიდან [ღლონტი 1982, გვ. 7].

აღსანიშნავია მოხატული კერამიკის არსებობაც ამ საფეხურის თიხის ნაწარმში. მოხატული კერამიკა მტკვარ-არაქსის კულტურაში არაა ფართოდ გავრცელებული. მას ძირითადად შიდა ქართლში ვხვდებით ჯერ კიდევ წინარე საფეხურების დროიდან მოკიდებული. IV საფეხურზე ამ ხერხით შემკული კერამიკა კვლავაც აგრძელებს არსებობას, როგორც ჩანს, ძირითადად იმავე ტერიტორიაზე. ბეშთაშენის III კომპლექსის ზოგი კერამიკული ფრაგმენტი მოხატულია წვერით ზემოთ მიმართული სამკუთხედების მწკვრივით [Куфтин 1941, ტაბ. CXXI]. ეს მოტივი, შესრულებული ჭრილი და ნაკაწრი ტექნიკით ძალზე დამახასიათებელია ამ საფეხურის კერამიკული ნაწარმისათვის. მოხატვით არის გამოყვანილი სვასტიკის გამოსახულებაც, აღმოჩენილი არაგვის ხეობის თიხის ჭურჭელზე [ღლონტი 1985, გვ. 20]. სვასტიკის რელიეფური გამოსახულება სპირალთან კომბინაციით მოცემულია ორხევის შენობის პლატფორმის გვერდზე [Мирцхулава и др. 1997, გვ. 26, ტაბ. 15]. ეს მოტივი ჩვენში ამ საფეხურზე ჩნდება. იგი კარგადაა ცნობილი მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთი არეალის ძეგლებზე — აღმოსავლეთ ანატოლიაში — პულურსა და არსლან-თეფეზე [Sagona 1984, form 124], აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში — ტაბარა ელ აკრადზე [Hood 1951, გვ. 131, სურ. 7]. მას ვხვდებით სომხეთის გვიანმტკვარ-არაქსულ კერამიკაზე ვიწრო, დაშტრიხული, ტეხილხაზოვანი ლენტების სახით [Ханзадян 1967, ტაბ. XXIII; Кушнарева, Чубинишвили, სურ. 25]. აღსანიშნავია, რომ სომხეთში ეს ორნამენტი ნაკაწრითაა გამოყვანილი.

მტკვარ-არაქსისა და ბედენის კულტურათა ურთიერთობა კარგად გამოჩნდა ბოლო წლებში შიდა ქართლში შესწავლილ ნასახლართა — ხაშურის ნაცარ-

გორისა და კავთისხევის ციხიაგორის კერამიკული ნაწარმით. ხაშურის ნაცარ-
გორაზე ისევე, როგორც ციხიაგორაზე აღმოჩენილი ორივე კულტურის თიხის
ჭურჭელი ხელითაა ნაძერწი. ხაშურის ნაცარგორაზე გვხვდება შავად, ლეგად და
მოვარდისფრო-მოწაბლისფროდ გაპრიალებული როგორც დიდი ზომის, სქელ-
კედლა, ისე მომცრო ჭურჭელი. აღსანიშნავია, რომ ნასახლარის უადრეს ჰორი-
ზონტებში წარმოდგენილია მხოლოდ მტკვარ-არაქსული ბიკონუსურტანიანი, ზა-
რისებრი ფორმის, უორნამენტო თიხის ჭურჭელი, რომელიც შიდაქართლურ
ლოკალურ ვარიანტს მიეკუთვნება. იგი მომდევნო ჰორიზონტებზეც განაგრძობს
არსებობას უკვე ბედენურ კერამიკასთან ერთად. არსებული მასალებით ძნელია
იმის მტკიცება, ამგვარი კერამიკა ნასახლარზე ადრებრინჯაოს ხანის ბოლომდე
გვხდება თუ არა. ყოველ შემთხვევაში, III ჰორიზონტის ჩათვლით იგი აშკარადაა
წარმოდგენილი. მის ზემოთ მდებარე I და II ჰორიზონტებში კი თითქოს აღარ
ჩანს და მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა მის გარეშე განაგრძობს არსე-
ბობას. აქ, სულ ზედა ჰორიზონტზე, თიხის მრგვალ, შვერილებიან კერასა და მის
გარშემო აღმოჩენილ თიხის ჭურჭელში ყურადღებას იქცევს ცალყურა ხელადა
მკვეთრად გამობერილი ტანით, რომელიც მსხლისებრ ჭურჭელს უნდა წარმო-
ადგენდეს, კარგად ცნობილ ფორმას მარტყოფული ეტაპის თიხის ნაწარმისათვის.
II ჰორიზონტზე აღსანიშნავია პირმოყრილი ჯამებისა და ნაკაწრით გამოყვანილი
„Z"-ბრი ორნამენტით შემკული შავპრიალა ფრაგმენტები. როგორც ცნობილია,
შიდა ქართლური ნაწარმისათვის ამგვარი ჯამი არაა დამახასიათებელი. რაც
შეეხება აღნიშნულ ორნამენტს, იგი დამახასიათებელია გვიანმტკვარ-არაქსული
თიხის ჭურჭლისათვის, მათ შორის მარტყოფული ძეგლებისათვისაც, რომლის
კვალსაც აქ უფრო ადრეულ ჰორიზონტებშიც ვხვდებით [ორჯონიკიძე 1992, გვ.
4]. მარტყოფული ელემენტების მატარებელია ხაშურის ნაცარგორაზე აღმოჩე-
ნილი ორი ცალყურა ხელადაც [Рамишвили 1991, ტაბ. 46], რომელთა ახლო
ანალოგებს ვხედავთ ენამთისა და სამგორის რამდენადმე ვიწროყელიან
ჭურჭელში [ჯაფარიძე 1998, სურ. 37, 45]. ფრაგმენტებად წარმოდგენილი ზო-
გიერთი კერამიკა მარტყოფულს გარდა ასევე შეიძლება დავუკავშიროთ მტკვარ-
არაქსის კულტურის გვიანდელ, უფრო სამხრეთის არეალზე გავრცელებულ
ნაწარმსაც, რომელსაც ხშირად ვხვდებით შიდა ქართლის ძეგლებზეც [ორჯო-
ნიკიძე 1992, გვ. 3]. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ არსებული მონაცემებით

ხაშურის ნაცარგორის მტკვარ-არაქსულ მასალაში არ ჩანს არარატის ველისათვის დამახასიათებელი სამნაწილადტანიანი ჭურჭელი და არც ჩაღარულ-ამობურცული სპირალური ორნამენტი დაფიქსირებულა.

ამრიგად, ხაშურის ნაცარგორის ზედა ჰორიზონტებში ბედენური კერამიკა მარტყოფული, ხოლო ქვედა ჰორიზონტებში მარტყოფულს გარდა, მტკვარ-არაქსის კულტურის შიდა ქართლური ვარიანტის ნაწარმთან ერთად გვხვდება. ეს უკანასკნელი კი დომინირებს ამ ჰორიზონტებს ქვეშ მოქცეულ ადრეულ ჰორიზონტებში [ორჯონიკიძე 1992].

რამდენადმე განსხვავებული სურათი ჩანს ციხიაგორაზე. აქ, B დონის სამივე ნასახლარი ფენის კერამიკა ძირითადად ერთგვაროვანია. მასში უმეტესად მტკვარ-არაქსის კულტურის შიდაქართლური ვარიანტისათვის დამახასიათებელი ფორმებია წარმოდგენილი [მახარაძე 1994, გვ. 49]. ამას გარდა, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტით შემკულ სამნაწილად ჭურჭელს, რომელიც არარატის ველის ძეგლებს უახლოვდება, რაც ყველაზე ნათლად B_2 ფენაშია ასახული [მახარაძე 1994, გვ. 52]. ამ კერამიკული კომპლექსის შესატყვისად მიჩნეულია მარტყოფული ჯგუფის ყორღანები, ღაითმაზი, დანგრეული გორა და სხვ. [მახარაძე 1994, გვ. 53]. ნასახლარის B_1 და A დონეების მასალა საგრძნობლად განსხვავდება ქვედა დონის ნაწარმისაგან. თავს იჩენს ბედენური კერამიკა, ირღვევა შიდაქართლური კულტურის სტაბილური ხასიათი [მახარაძე 1994, გვ. 55]. A დონის მტკვარ-არაქსული კერამიკა, რომელიც აქ მოპოვებული თიხის ჭურჭლის უდიდეს ნაწილს შეადგენს, კვლავ შეიცავს გვიან-მტკვარ-არაქსული ხანის შემკობას – გართულებულ სპირალს, მაგრამ წამყვანი ხდება მკვეთრი ჭრილხაზოვანი და ფაქიზი გრავირებული ორნამენტით შესრულებული სახეები – ტეხილი ხაზები, ყელის ბოლოს შემოყოლებული დაშტრიხული სამკუთხედები, რომელთა უახლოეს ანალოგად თრიალეთის ადრეული ყორღანების მასალაა მიჩნეული [მახარაძე 1994, გვ. 57, 76]. A დონის მასალაში მკვეთრად აისახა მტკვარ-არაქსული და ბედენური კულტურების კერამიკის თანაარსებობის პერიოდი [მახარაძე 1994, გვ. 60].

ილტოს ორმოსამარხებში აღმოჩენილი გრაფიკული ორნამენტით შემკული მსხლისებრი ფორმის თიხის ჭურჭელი ახლო დგას თრიალეთის ადრეული ყორ-

ღანების, სამგორის ყორღანისა და ამირანის გორის ორმოსამარხების კერამიკასთან [Дедабришвили 1969, გვ. 57]. საკუთრივ ნასახლარის კერამიკა კი წარმოდგენილია ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიისა და აქვე, ილტოს სამარხებში აღმოჩენილის მსგავსი თიხის ჭურჭელი [Дедабришвили 1969, გვ. 54-57]. აქვე აღმოჩენილი ზოგი ნაწარმი შემკული მრგვალი ფოსოებითა და მუხლისებრი ყურებით უახლოვდება ბედენისა და ხოვლეს ყორღანების, ასევე ქორეთის № 1 სამარხის ნაწარმს [Дедабришвили 1969, გვ. 60].

ზველის რაბათზეც გამოვლინდა მტკვარ-არაქსისა და ადრეული ყორღანების შესატყვისი თიხის ჭურჭელი. მტკვარ-არაქსული ნაწარმი წარმოდგენილია შავ და მოვარდისფრო პრიალა მრგვალი სარქველებით, მენისკური ყურებით, შვერილიანი კერის ფრაგმენტებით და სხვ. კერამიკის მეორე ჯგუფი შეიცავს ქილის ფორმის სხვადასხვა ჭურჭელს, ზედა ნაწილზე ლენტური ან მრგვალგანივკვეთიანი ყურით. იგი გამოწვისა და ზედაპირის გაპრიალებით ახლოს დგას მტკვარ-არაქსულ ნაწარმთან, მაგრამ ფორმით, ორნამენტის ზოგიერთი სახით და უსწორმასწორო ზედაპრით განსხვავდება მისგან. შემკობას წარმოადგენს კორპუსის ზედა ნაწილზე შემოყოლებული რელიეფური დაკეჭნილი ზოლი, შვერილები, ნაკაწრი პარალელური ვერტიკალური ხაზები და სხვ. ერთ მოზრდილ მოვარდისფრო დერგს აქვს ფართო, კვერცხისებრი კორპუსიდან მკვეთრად გამოყოფილი დაბალი ცილინდრული ყელი. მხარზე ამოღარული გლუვი ზოლების სარტყელი შემოუყვება, რომლის ქვეშ მოპირდაპირე მხარეს ოთხი შიგნიდან გამოყვანილი კოპია გამოსახული [ორჯონიკიძე 1983, ტაბ. 29_4]. მეორე დერგი უყელოა, შესქელებული პირით. აქვს სფერული კორპუსი, ზედა ნაწილზე ფართო, ლენტური ყურებით. იგი შავპრიალაა, დაჰკრავს ბედენური კერამიკის ლითონისებრი ბზინვარება. სფერულტანიანია თხელკედლა, გოფრირებულზედაპირიანი კათხაც, პირსა და მხარზე თხელი ყურით [ორჯონიკიძე 1983, ტაბ. 30_1].

კერამიკის ეს ჯგუფი ახლო დგას თრიალეთის ყორღანების ბედენურ ნაწარმთან, რომელთანაც აახლოვებს გამობერილი, ბირთვისებრი ან კვერცხისებრი კორპუსი, მკვეთრად გამოყოფილი ცილინდრული დაბალი ყელით. ამავე ნიშნებით იგი უახლოვდება კახეთისა და ქვემო ქართლის ბედენური ყორღანების კოპებითა და კანელურებით შემკულ თიხის ნაწარმს. ამავე დროს იგი ემსგავსება შენგავითის ზედა ფენის მხარზე კოპებითა და დაშტრიხული სამკუთხედებით შემკულ

დერგსაც [ორჯონიკიძე 1983, გვ. 39]. ილტოს, ციხიაგორის A ფენის და სხვა ძეგლების თიხის ჭურჭელთან დგას ახლოს ზველის მოზრდილი, ქილისებრი ჭურჭელი, რომელსაც ზოგჯერ რელიეფური დაკეჭნილი ზოლის სარტყელიც შემოუყვება ტანზე. ანალოგიური ფორმისა და შემკობის მქონე ჭურჭელი ცნობილია ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაშიც. ველიკენტის ნასახლარზე, სპირალებით შემკულ მტკვარ-არაქსულ ჭურჭელთან ერთად აღმოჩენილი დიდი ზომის ორყურა დერგი ზუსტად იმეორებს ზველის ჭურჭლის ფორმას [ორჯონიკიძე 1983, გვ. 43].

ზველის რაბათის კერამიკას ემსგავსება მეზობლად მდებარე მეორე ნასახლარის – ლოდობანას რელიეფური დაკეჭნილი რანტითა და ფრჩხილისებრი ჩანაჭდევებით შემკული თიხის ჭურჭელიც. აქვეა აღმოჩენილი მტკვარ-არაქსული ტიპის კერამიკაც [Дедабришвили 1969; ორჯონიკიძე 1983, გვ. 24].

ძველი ტრადიციების განგრძობაზე ლაპარაკობს ამ საფეხურის სტაციონარული თუ გადასატანი მრგვალი, შვერილებიანი და შუაგულამოღებული კერაც. ოღონდ ახლა მრგვალ, შვერილებიან კერას დამატებითი ელემენტიც უჩნდება ტყუპი, მომცრო შვერილის სახით. მრგვალი, შვერილიანი კერა გამოვლენილია ჟინვალში, ილტოს ნასახლარზე [Глонти 1984, გვ. 34; Дедабришвили 1969, გვ. 64]. დამატებითი ტყუპი მომცრო შვერილი აქვს ორხევის ნამოსახლარზე აღმოჩენილ კერას [ПАИ 1997, ტაბ. 15]. კერა მსგავსი შვერილებით ცნობილია ხაშურის ნაცარგორიდან [Рамишвили 1991, ტაბ. 46]. მრგვალი კერის ეს ელემენტი ამ საფეხურზე იჩენს თავს და თუ არ ჩავთვლით ერთ ორკაპაქიმიან კერას ქულბაქებიდან [ჯაფარიძე 1961, გვ. 73], არ გვხვდება წინარე საფეხურის შიდაქართლურ კულტურულ წრეში დამოწმებულ კერაზე, რომელიც კორპუსისა და შვერილების სისადავით გამოირჩევა სომხეთისა და აღმოსავლეთ ანატოლიის კერებისაგან [ჯავახიშვილი 1984, გვ. 34]. ზველის რაბათზე აღმოჩენილი ამგვარი კერის ქიმი შემკულია ღარებითა და ფოსოებით [ორჯონიკიძე 1983, ტაბ. 30_2]. ასეთივეა შენგავითისა და არიჭის კერებიც [Ханзадян 1967, გვ. 66; Хачатрян 1975, გვ. 72]. ზოგჯერ შვერილებით ზოომორფული თუ ანტროპომორფული სახეებია გამოყვანილი. აღსანიშნავია ციხიაგორის A ფენის კერა, რომელსაც ფოსოებით გაკეთებული თვალებიანი ტყუპი შვერილი აქვს [მახარაძე 1994, გვ.

42, ტაბ. LVII]. თვალებიანია ამავე ნასახლარის B ფენაში აღმოჩენილი ერთი შვერილიც [მახარაძე 1994, ტაბ. LXX]. ბერიკლდეების ბედენური ფენის წრიული, ბორტიანი კერა ზოგჯერ შემკულია ანტროპომორფული წყვილი გამოსახულებით, რომელსაც ობსიდიანით ინკრუსტირებული თვალები აქვს [ჯალაბაძე 1998, გვ. 62]. ობსიდიანით ინკრუსტირებულთვალებიანი მოზრდილი, ტყუპი შვერილი გააჩნია ზველის რაბათის კერასაც, რომელიც მტკვარ-არაქსული და ბედენური კერამიკის შემცველ ფენაში აღმოჩნდა [ორჯონიკიძე 1983, გვ. 64]. შესაძლოა, მრგვალი კერის ფრაგმენტს წარმოადგენს აქვე აღმოჩენილი თიხის მასიური ნატეხი, ზემოდან დაძერწილი წყვილი მომცრო შვერილით [ორჯონიკიძე 1983, ტაბ. 30]. შვერილებიანია ჯავახეთში აღმოჩენილი ერთი ოთხკუთხა კერაც. მისი თაღოვანი ფასადი მრგვალი შტამპითა და ფოსოებითაა ორნამენტირებული. მისი ზუსტი ანალოგები ჩვენთვის უცნობია და მხოლოდ ზოგიერთი ნიშნის გათვალისწინებით (ზედაპირის დამუშავების ტრადიციული ტექნიკა, სხვა კულტურებში შვერილიანი კერის არარსებობა) ვფიქრობთ მტკვარ-არაქსის კულტურული წრისადმი მისი მიკუთვნების შესაძლებლობას [ორჯონიკიძე 1983, გვ. 64].

ამრიგად, მრგვალი კერები ტყუპი, ზოგჯერ თვალებიანი შვერილებით IV საფეხურზე ჩნდება როგორც მტკვარ-არაქსულ, ისე ბედენურ კომპლექსებში და ამ კულტურათა შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთობას ასახავს. თავის დროზე, ახლო პარალელური მასალის არარსებობის პირობებში, ზველის კერა ზოგადად არიჭისა და ქარაზის მტკვარ-არაქსულ კერებს დაუკავშირდა [ორჯონიკიძე 1983, გვ. 64], მაგრამ ბერიკლდეების კერების აღმოჩენის შემდეგ, რომელთა გენეტიკური სიახლოვე მტკვარ-არაქსულ ცალებთან იმთავითვე იქნა შენიშნული ალ. ჯავახიშვილის მიერ, ცხადი გახდა, რომ უახლოესი ანალოგიები მას შიდა ქართლის ბედენურ ჰეგლებზე აქვს.

ამავე საფეხურზე კვლავ გვხვდება ნალისებრი ზესადგარი, ოღონდ რამდენადმე განსხვავებული სახისა. დიგაშენ I-ის ნასახლარზე ზოგიერთ ამგვარ ზესადგრის ფრაგმენტს ზედა კიდე დაჭდეული აქვს, რაც წინარე საფეხურის მასალაში არ შეიმჩნეოდა [ორჯონიკიძე 1998, გვ. 17].

ამ საფეხურის კერამიკული ნაწარმის ერთ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ცილინდრული ტიპის სადგარი. იგი ჭურჭლის ყელის მსგავსი ფორმისაა, ღრუ,

შუაში შევიწროვებული, ზოგჯერ ბრტყელი ძირით. მართალია, მსგავსი სადგარი წინარე საფეხურზე იჩენს თავს – მის უადრეს ეგზემპლარს აღმოსავლეთ საქართველოში უნდა წარმოადგენდეს ქვაცხელა B ფენის ცალი [ჯავახიშვილი, ღლონტი, ტაბ. IV], მაგრამ IV საფეხურზე მისი რაოდენობა და გავრცელების არეალი იზრდება. მას ვხვდებით ბადაანისა [სა, ტაბ. LXXXIII] და ციხიაგორის B_1 ფენის [მახარაძე 1994, ტაბ. XLV_7] ნასახლარებზე. ამგვარივე ფორმისაა კორუკუ-თეფესა და იანიკ-თეფეს ცალებიც [Sagona 1994, Form. გვ. 212, 215]. ცნობილია ის არსლან თეფეს VIB პერიოდის მტკვარ-არაქსულ მასალებშიც და უხვადაა შემკული ჭრილხაზოვანი ტეხილი ორნამენტით [Palmieri 1981, გვ. 112], რომელიც ძალზე მოგვაგონებს იანიკ თეფეს ბრტყელძირა ამგვარივე სადგრის ორნამენტს [Кушнарева, Чубинишвили, სურ. 36-9]. საქართველოსაგან განსხვავებით ბრტყელძირა სადგარი უფრო სომხეთის ძეგლებს ახასიათებს, სადაც იგი ცნობილია შრეშ-ბლურიდან, ელარიდან და სხვ. [Ханзадян 1967, ტაბ. XVIII; Sagona 1984, Form. გვ. 118-119]. მას ვხვდებით ქვემო ქართლშიც, ღაით-მაზზე გვიანმტკვარ-არაქსული ხანის არარატული ვარიანტის კერამიკასთან ერთად. იგი ძალზე ემსგავსება ელარის სადგარს. ამგვარი სადგარი მიჩნეულია უცხოდ მტკვრის აუზისათვის და დამახასიათებლად არაქსის აუზისათვის [ღლონტი 1975, გვ. 133]. ერთი ამგვარი ბრტყელძირა სადგრის ფრაგმენტი ჯავახეთშიცაა ნაპოვნი [ორჯონიკიძე 1989, სურ. I_{15}]. ზველსა და ლოდობანზე აღმოჩენილია რქისებრი ზესადგარიც, საკმაოდ ტრანსფორმირებული ვარიანტი ადრე ცნობილი ამგვარივე ტიპის ზესადგრისა [ორჯონიკიძე 1983, ტაბ. 30, 32].

ამრიგად, მტკვარ-არაქსის კულტურის ტრადიციების არსებობა IV საფეხურის კერისა და ზესადგრის მიხედვითაც დგინდება, კვლავ გვხვდება მტკვარ-არაქსული ტიპის თიხის ჭურჭელი, მისთვის დამახასიათებელი ორნამენტირებული მოტივები ახლაც ცოცხლობს. ეს კულტურა გარკვეულწილად თვითონ ზემოქმედებს ახალმოსულთა კულტურაზე, რაც მარტყოფული ჯგუფის ყორღანთა კერამიკულ ნაწარმზეც აისახა. იგი მტკვარ-არაქსის კულტურის ორგანულ ნაწილადაა მიჩნეული [გოგაძე 1972, გვ. 21-24; მახარაძე 1994, გვ. 57].

ზოგან მარტყოფული და ბედენური ნაწარმი ერთადაა წარმოდგენილი [ჯაფარიძე 1998, გვ. 140]. ზოგიერთ ნასახლარზე მტკვარ-არაქსის კულტურასთან თანაარსებობს ადრეყორღანული კულტურის ერთ-ერთი ჯგუფი. მაგრამ მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაქრობის შემდეგ ყველა იმ ნასახლარზე, სადაც მტკვარ-არაქსისა და ადრეული ყორღანების თანაარსებობაა შენიშნული, ცხოვრება საერთოდ ქრება და აღარ გრძელდება ადრეყორღანულ ხანაშიც. ეს მოვლენა იმდროინდელი საზოგადოების მეურნეობის ხასიათში მომხდარი ცვლილებებით, ადრეყორღანული კულტურის ორივე ჯგუფის მატარებელი ტომების მეურნეობის ერთგვაროვნებითა და სტაციონარული ტიპის ცხოვრებასთან შეუგუებლობითაა ახსნილი [ჯაფარიძე 1998, გვ. 175]. თუმცა, ამ მოსაზრებას რამდენადმე ეწინააღმდეგება მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალური ეტაპის ზოგიერთი ნამოსახლარის მონაცემები, რომლებზეც ადრეყორღანულ კულტურასთან თანაარსებობა დგინდება. ამ ნამოსახლართა მიხედვით თითქოს ისე ჩანს, რომ ახალი კულტურა კარგად მოერგო მტკვარ-არაქსულ გარემოს და ამ კულტურის სამეურნეო ტრადიციების გამგრძელებელი გახდა [მინდიაშვილი 1993, გვ. 9]. შესაძლოა, ეს არ იყო საყოველთაო, დამახასიათებელი მოვლენა მთელი ამიერკავკასიისათვის, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იგი მტკიცდება იმ ნასახლარების მაგალითზე, სადაც კარგად ჩანს, რომ ადრეყორღანული კულტურის მატარებელი მოსახლეობა საცხოვრებლად იყენებდა წინარე-მტკვარ-არაქსული კულტურის წიაღში ჩამოყალიბებული ნაგებობის ტრადიციულ ტიპს, სარგებლობდა ამ კულტურისათვის დამახასიათებელი მრგვალი, შვერილიანი კერით, ზესადგრით, თიხის ჭურჭლით, ლითონის ზოგიერთი იარაღით და სხვ. [ორჯონიკიძე 1992, რამიშვილი 1991]. სტრატიგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყოველივე ამას აქ სისტემატური ხასიათი ჰქონდა და ამ კულტურათა თანაარსებობა დროის საკმაო მონაკვეთის განმავლობაში გრძელდებოდა. ამ საფეხურის მთელ რიგ ნასახლარებზე აღმოჩენილია მტკვარ-არაქსის კულტურის შიდა ქართლური ტიპის საცხოვრებელი – ოთხკუთხა ფორმის, სარლასტით ნაგები შენობა, თიხალესილი იატაკის ცენტრში ტრადიციული კერით. აღმოსავლეთ საქართველოს იმ ნასახლარებზე, სადაც განსხვავებული ტიპის ნაგებობებია წარმოდგენილი, მაინც მტკვარ-არაქსის კულტურას უკავშირდება. წინარე კულტურასთან კავშირი შეინიშნება ბედენური კულტურის საკულტო

ძეგლზე – ბერიკლდეების ნამოსახლარზეც. მისი სწორკუთხა, დერეფნიანი, კედელთან შემაღლების მქონე შენობები ადრეული პერიოდის არქიტექტურის ტრადიციებს ავლენს და მტკვარ-არაქსულ ნაგებობებს მოგვაგონებს [ჯალაბაძე 1998, გვ. 62]. როგორც ჩანს, არსებობის ათასწლოვანი პერიოდის განმავლობაში შემუშავებული მტკვარ-არაქსული ტრადიციებს გამოყენება ადრეული ყორღანების გამოჩენის შემდეგაც ჰქონდა, რაც არქიტექტურის გარდა, სამარხის ტიპშიც აისახა. ყორღანული სამარხის გარდა, რომელსაც ამ საფეხურზე გაბატონებული მდგომარეობა უკავია დასაკრძალავ ნაგებობათა შორის, კვლავ გვხვდება წინარე პერიოდში დამოწმებული ორმოსამარხი, თუმცა იშვიათად. ამგვარი სამარხი უფრო შიდა ქართლის ჩრდილო ზოლშია გამოვლენილი. მას ვხვდებით სოფ. კორინთასთან და ქვასათალზე. ცნობილია ის სოფ. ორხევიდან და ახალციხის ამირანის გორის III უბანზეც. ადრეყორღანების თანადროული ორმოსამარხების არსებობა მტკვარ-არაქსული ტრადიციების შემონახვაზე უნდა მიუთითებდეს.

მტკვარ-არაქსული ტრადიციები აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყოველი რეგიონის მატერიალურ კულტურაში შემორჩა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ტრადიციები არ იყო ერთგვაროვანი და ადრეყორღანების გავრცელების დროისათვის მასში მტკვარ-არაქსის კულტურის სხვადასხვა ჯგუფის თუ ლოკალური ვარიანტის ნიშნები შეინიშნება. ზოგჯერ ეს ნიშნები რამდენადმე შეცვლილი სახითაა წარმოდგენილი, რაც შესაძლოა ახალ კულტურასთან კონტაქტის შედეგად იყოს წარმოქმნილი, ან საკუთრივ მტკვარ-არაქსის კულტურის ლოკალური ვარიანტების ურთიერთქმედების პროცესს ასახავდეს. ყოველივე ეს კარგად აისახა იორ-ალაზნის ორმდინარეთის ძეგლებზე. ჩანს, ეს რეგიონი ახლა უფრო ინტენსიურადაა ათვისებული, ვიდრე წინა ორ საფეხურზე იყო [კიკვიძე 1976, გვ. 64]. აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ზოგ მკვლევარს აფიქრებინებს ამ რეგიონზე, როგორც ერთგვარ კულტურულ გზაჯვარედინზე, სადაც თავს იყრის როგორც ჩრდილოკავკასიური, ისე სამხრეთული ელემენტები. ამდენად, აქ გავრცელებული კულტურა არ შეიძლება ერთ რომელიმე ლოკალურ წრეს მიეკუთვნოს. თუმცა, შიდა ქართლურ კულტურულ წრესთან განსაკუთრებულ სიახლოვის არსებობა ხაზგასმულია თიხის ჭურჭლის იგივეობით, მრგვალი, შვერილიანი კერის იდენტურობითა და იმ ელემენტების არარსებობით, რომლებიც უცხოა ორივე რეგი-



სურ. 75. მტკვარ-არაქსის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში. IV საფეხური

ონისათვის [Дедабришвили 1970, გვ. 15; კიკვიძე 1976, გვ. 64; ჯაფარიძე 1976, გვ. 114]. მიუხედავად იმისა, რომ შიდა ქართლის კულტურულ წრესთან მისი სიახლოვე ეჭვს არ იწვევს, ეს შედარება გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს. შიდა ქართლური კერამიკა მაინც თავისებურებით ხასიათდება – მისთვის დამახასიათებელი ზარისებრი ფორმის ბიკონუსური ჭურჭელი ნაკლებადაა გავრცელებული იორ-ალაზნის აუზის ძეგლებზე. მისთვის ასევე უცხოა ჩაღარულ-ამობურცვით შესრულებული გართულებული სპირალური ორნამენტით შემკული კერამიკაც, რომლის გავრცელება საქართველოს შიდა რაიონებში ამ კულტურის სამხრეთული ვარიანტის გააქტიურების მანიშნებლადაა მიჩნეული და უფრო მეტად შესამჩნევია ქვემო და შიდა ქართლში [ჯაფარიძე 1976 გვ. 113; მახარაძე 1994, გვ. 65]. იორ-ალაზნის აუზი კი როგორც ჩანს, ამ მოვლენის მიღმა დარჩა. მიუხედავად ამისა, სამხრეთთან კავშირი მაინც შეინიშნება, თუმც იგი მაინცდამაინც მასშტაბური არ ჩანს. აქ დადასტურებული წყვილი მსხვილი ფოსოთი

ჭურჭლის მორთვის ტრადიცია მჭიდროდ უკავშირდება მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთ ოლქებს, განსაკუთრებით ელარისა და გეოი-თეფეს გვიან კომპლექსებს, რომელთაც ადგილობრივი, უფრო ადრეული საფუძველი გააჩნიათ. ეს ძეგლები ძვ.წ. III ათასწ. შუა ხანებით და შემდგომი საუკუნეებით თარიღდება [Burton-Brown 1968, გვ. 34; Ханзадян 1979, გვ. 28; Sagona 1984, იხ. ქრონოლოგიური ტაბულა; გოგაძე 1972, გვ. 95], რაც დასაშვებს ხდის იორ-ალაზნის აუზში ამ ოლქებიდან გარკვეული იმპულსების გამოჩენის შესაძლებლობას. როგორც ჩანს, ეს იმპულსები მნიშვნელოვანი არ უნდა ყოფილიყო, რადგან ამგვარი ორნამენტი არ ჩანს შიდა ქართლში და არც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მხარეებში შეინიშნება მაინცდამაინც.

მაგრამ გაცილებით მჭიდრო ურთიერთობა მართლაც შიდა ქართლთან უფრო ჩანს, რაც განპირობებულია ორივეგან ჭრილი და ნაკაწრი ორნამეტით შემკული მსხლისებრი ჭურჭლის არსებობით, რომელიც ამავე დროს საერთოა აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებისთვისაც. მათ ასევე აერთიანებს მრგვალი, შვერილებიანი კერა, ზოგიერთი ტიპის ზესადგარი, თიხის ვაზა და სხვ. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აკავშირებს ილტო-თიანეთისა და ჟინვალის მხარეებს, ასევე თრიალეთსაც, სადაც ამგვარი ჭურჭელი ცნობილია ბეშთაშენიდან [Куфтин 1941, გვ. 111]. გამორიცხული არაა ამგვარი ჭურჭლის წარმომავლობა დაუკავშირდეს ანატოლია-აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს, სადაც მას ადრეული ტრადიციები გააჩნია [Куфтин 1941, გვ. 111; ღლონტი 1982, გვ. 5-8]. იორ-ალაზნის რეგიონიდან უნდა გავრცელებულიყო ის ჩრდილო კავკასიაში – დაღესტანში.

იორ-ალაზნის აუზის ძეგლთა მასალების ერთიანობის მიუხედავად, რამდენადმე განსხვავებულია ილტოს ნამოსახლარი, აქ, მტკვარ-არაქსული იერის კერამიკის გვერდით თავს იჩენს ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიისათვის დამახასიათებელი თიხის ნაწარმი და ხოვლეს ყორღანისა და ქორეთის № 1 სამარხის თიხის ჭურჭლის მსგავსი კერამიკა [Дедабришвили 1969, გვ. 58]. კერამიკის ეს ორივე ჯგუფი კი ახლო პარალელებს პოულობს ბედენური კულტურის მასალებში. ამდენად, ილტოს სახით საქმე გვაქვს ნასახლართან, სადაც თავს იყრის მტკვარ-არაქსისა (მარტყოფის) და ბედენის კულტურათა ნაწარმი [Джавахишвили 1973, გვ. 269].

კულტურის სიჭრელე იორ-ალაზნის რეგიონის ნაგებობის ტიპშიც აისახა. მართალია, აქ ტრადიციული, შიდა-ქართლურ კულტურულ წრეში ჩამოყალიბებული, სარ-ლასტით ნაგები კუთხეებმომრგვალებული შენობა დომინირებს (ბადაანი, ორხევი), მაგრამ ვხვდებით განსხვავებულ-მიწურ ნაგებობასაც, რომელიც უცხოა მტკვარ-არაქსის კულტურისათვის [Чубинишвили 1971, გვ. 105] და უფრო უკავშირდება დაღესტანს, რომელთანაც კავშირი ილტოს ნასახლარის კერამიკითაც გამოჩნდა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ბადაანის ნასახლარზე წნულ-თიხალესილი შენობის ქვეშ აღმოჩენილი მიწური ნაგებობა, რომელიც დროით დიდად არ უნდა განსხვავდებოდეს ზედა ნაგებობისაგან [Мирцхулава и др. 1982, გვ. 22]. მიწურის ტიპის ნაგებობა მართალია უცნობი არაა მტკვარ-არაქსის კულტურისათვის, მას ამ კულტურის ადრეული საფეხურის კოდის ნასახლარზე ვხვდებით [Пхакадзе 1972], მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ფართოდ არც შემდგომ ხანებში გავრცელებულა და იშვიათობას წარმოადგენს არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოსათვის, არამედ საერთოდ მტკვარ-არაქსის კულტურისათვისაც [Чубинишвили 1971, გვ, 105]. ამგვარი ნაგებობა უფრო ჩრდილო კავკასიისათვის, განსაკუთრებით დაღესტნის ადრებრინჯაოს ხანის მოგვიანო ეტაპის ნამოსახლარებს ახასიათებს [Гаджиев 1991]. ცნობილია ის აზერბაიჯანიდანაც – მინგეჩაურის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარიდან, რომელსაც ზოგი ავტორი ამ კულტურის საწყის ეტაპს აკუთვნებს [Мунчаев 1975, გვ. 193; Чубинишвили 1971, გვ. 106], რაც ძნელი გასაზიარებელია. აქ აღმოჩანილი თიხის ჭურჭელი ვიწრო, ჩამოწეული ძირით და შავპრიალა ვარდისფერსარჩულიანი კერამიკა ამ ნამოსახლარს ქრონოლოგიურად ბადაანის ნამოსახლართან უნდა ათანაბრებდეს. მის შედარებით მოგვიანო ასაკით განსაზღვრას მხარს უნდა უჭერდეს სიმეტრიულად ფუძეამოღარული ისრისპირების აბსოლუტური დომინირება მინგეჩაურის ნასახლარზე აღმოჩენილ ქვის ისრისპირებში [Асланов и др. 1959, ტაბ. IX, X].

ახალი, ადრეყორღანული კულტურის გამოჩენას აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარეში, მათ შორის შიდა ქართლში გარკვეული ძვრები მოჰყვა, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ძლიერ მტკვარ-არაქსულ კულტურაზე მნიშვნელოვანი გავლენა მაინცდამაინც არ მოუხდენია. იგი ძირითადად ადგილობრივ

ტრადიციებზეა დაფუძნებული [ჯაფარიძე 1996, გვ. 106-126]. შიდა ქართლის რიგ ნასახლარებზე კვლავ ჩანს ამ რეგიონისათვის ტრადიციული, სარ-ლასტით ნაგები ოთხკუთხა არქიტექტურა. მართალია, ამ საფეხურის ზოგ ნასახლარზე ტრადიციული არქიტექტურიდან რამდენადმე გადახვევაც შეინიშნება,[1] მაგრამ ამას სპორადული ხასიათი აქვს, არ ცვლის არქიტექტურასა და სამშენებლო საქმეში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებს და საკუთრივ მტკვარ-არაქსის კულტურის შიგნით მიმდინარე პროცესებს უკავშირდება ისევე, როგორც მასობრივი ნაწარმი – კერამიკა, რომელშიც აღარ ჩანს, ან ნაკლებადაა შემორჩენილი შიდა ქართლური თიხის ჭურჭელი. წამყვანი ადგილი სამხრეთული იერის ნაკაწრითა და ამოღარვით შემკულ კერამიკას უკავია [მახარაძე 1994, გვ. 47; ორჯონიკიძე 1992]. მტკვარ-არაქსულია ყორღანულ სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარის ნაწილიც. კვლავ გვხვდება წინარე საფეხურისათვის დამახასიათებელი ორმოსამარხებიც, რომლებშიც განსხვავებულ კულტურათა ნაწარმის გვერდით მტკვარ-არაქსული თიხის ჭურჭელიც ჩნდება [ჯაფარიძე 1961, გვ. 210; ჯაფარიძე 1998, გვ. 164].

მტკვარ-არაქსისა და ადრეული ყორღანების კულტურათა ურთიერთობა უფრო მკაფიოდ გამოჩნდა შიდა ქართლში ბოლო წლებში შესწავლილი ნასახლარების – ხაშურის ნაცარგორისა და კავთისხევის ციხიაგორის მიხედვით. ამ თვალსაზრისით საინტერესო მონაცემებს გვაწვდის ხაშურის ნაცარგორა, სადაც სტრატიგრაფიულად განლაგებულ რამოდენიმე ჰორიზონტზე მტკვარ-არაქსულ კერამიკასთან ერთად ბედენის კულტურის თიხის ჭურჭელიც აღმოჩნდა, რამაც ამ ძეგლის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ზოგიერთი მკვლევარი ხაშურის ნაცარგორის იმ კომპლექსებს, სადაც ერთადაა აღმოჩენილი მტკვარ-არაქსული და ბედენური კერამიკა, მიიჩნევს ადრებრინჯაოს ხანის დასასრულის ან ოდნავ მოგვიანო პერიოდის ამსახველად [Пхакадзе 1988, გვ. 56]; ზოგი ავტორის აზრით, აქ ერთსა და იმავე ფენაშია ფინალური მტკვარ-არაქსული და მარტყოფული მასალები [Пицхелаури 1988, გვ. 230]. ხაშურის ნაცარგორისა და ბერიკლდეების აღმოჩენების საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება, რომ ბედენის ტიპის ძეგლები მარტყოფის ყორღანებზე ადრეულია [Лордкипанидзе 1989,

---

[1] წნული თოლოსების არსებობას აღნიშნავენ არაგვის ხეობაშიც [ღლონტი 1996, გვ. 15-18].

გვ. 118]. ზოგიც თვლის, რომ ეს ნასახლარი შუაბრინჯაოს ხანის მარტყოფ-ბედენური ეტაპისაა [Путуридзе 1991, გვ. 214]. ეს ძეგლი ნახსენებია კოლხური კულტურის გენეზისის საკითხებთან დაკავშირებითაც [Гогадзе 1991, გვ. 127]. ზოგის აზრით, აქ პირველად ხდება შესაძლებელი თვალი გავადევნოთ მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში ბედენური კულტურის გაჩენას და განვითარებას [Рамишвили 1991, გვ. 25].

როგორც აღვნიშნეთ, ხაშურის ნაცარგორის რამდენიმე ჰორიზონტზე მტკვარ-არაქსის კულტურის შიდა ქართლური და სამხრეთული ვარიანტის კერამიკა ბედენურთან თანაარსებობს. სულ ზედა ჰორიზონტებზე კი შიდა ქართლური ნაწარმი თითქმის აღარ ჩანს და ბედენურ კერამიკასთან ერთად აქ სამხრეთი ოლქებისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი აგრძელებს არსებობას, რომელიც ამავე დროს შეიცავს მარტყოფული ჯგუფისათვის დამახასიათებელ „Z"-ებრ ნაკაწრ ორნამენტს, მსხლისებრ ხელადას და სხვ. აღსანიშნავია, რომ ხაშურის ნაცარგორაზე ვერ ვხედავთ ციხიაგორისათვის კარგად ცნობილ, არარატის ველისათვის დამახასიათებელ, ჩაღარულ-ამობურცული ხერხებით გამოყვანილ გართულებულ სპირალურ ორნამენტს. როგორც ჩანს, არარატული ვარიანტის გავლენები აქეთ ველარ აღწევს. იგი თითქმის უცნობია დასავლეთ საქართველოსათვის. ეს ვარიანტი შიდა ქართლის ჩრდილო ზოლისთვისაც უცნობი დარჩა [ორჯონიკიძე 1998, გვ. 20].

სამაგიეროდ, კარგადაა წარმოდგენილი ამგვარი ორნამენტით შემკული კერამიკა ციხიაგორაზე, სადაც მას ჯერ კიდევ წინარე საფეხურზე ვხვდებით, ხოლო IV საფეხურზე გადმონაშთის სახით კვლავაც განაგრძობს არსებობას, მაგრამ წამყვანი უკვე ჭრილი გრავირებული ორნამენტი ხდება, რომელიც ახლო ანალოგებს თრიალეთის ადრეული ჯგუფის ყორღანებში პოულობს [მახარაძე 1994, გვ. 57]. აქ აღმოჩენილი კერამიკა ასევე მჭიდრო კავშირშია ბაბა-დერვიშის, შენგავითის და სხვა გვიანმტკვარ-არაქსული ძეგლების მასალასთან. საყურადღებოა, რომ აქაც, ხაშურის ნაცარგორის ზედა, სინქრონული ჰორიზონტების მსგავსად, აღარ ჩანს შიდაქართლური ჭურჭელი და მის ადგილს მარტყოფული ტიპის ნაწარმი იკავებს, რომელიც თანაარსებობს ბედენის კულტურის კერამიკასთან.

მტკვარ-არაქსისა და ბედენის კულტურების თიხის ნაწარმის თანაარსებობა უნდა ჩანდეს თრიალეთში - ბეშთაშენის III კომპლექსში, რომელსაც ბ. კუფტინი შენგავითის მასალას უდარებდა [Куфтин 1941, გვ. 112]. აქ აღმოჩენილი კერამიკა, შემკული წვრილი ნაკაწრი ტეხილხაზოვანი დაშტრიხული ლენტების ორმაგი სარტყლით ბედენური კულტურის ნაწარმსაც მოგვაგონებს [მახარაძე 1994, გვ. 73].

გვიანმტკვარ-არაქსული კერამიკის შემცველია ღრმახევისთავის მასალის ნაწილიც. აქ აღმოჩენილი კერამიკული ფორმები და ორნამენტი – ტანზე ვერტიკალური სამი რელიეფური ზოლი, შიგნიდან გამოყვანილი კოპები – ანალოგებს ბედენურ წრეშიც პოულობს. ამ უკანასკნელის არსებობაზე კერამიკის გარდა მიუთითებს ფუძეამოღარული ისრისპირიც, ზუსტი ასლი ბედენური ყორღანების იარაღისა.

ქვემო ქართლის ვაკეზე ამ დროისა უნდა იყოს ღაითმაზი, რომლის კერამიკა შეიცავს სამნაწილადტანია ჭურჭელს შემკულს ჩაღარულ-ამობურცული სპირალებით, ნაკაწრი ზოომორფული სახეებით და გეომეტრიული ორნამენტით. ეს კერამიკა ახლო დგას არარატის ველის გვიანმტკვარ-არაქსულ კერამიკასთან [ჯაფარიძე 1976, გვ. 114]. უახლოვდება შიდა ქართლის ძეგლებზე აღმოჩენილ მასალასაც. მისი კერამიკის შემკობის ზოგი სახე ზუსტ ანალოგებს პოულობს ციხიაგორის IV საფეხურის თიხის ჭურჭლის ორნამენტში [მახარაძე 1994, ტაბ. LXVII, XLVII]. ქვემო ქართლში ძირითადად სამარხეული ძეგლებია მიკვლეული. აქ გათხრილი ყორღანების უმეტესობა ბედენური კულტურის ნაწარმს შეიცავდა. ზოგ მათგანში შეინიშნება ბედენურ და მარტყოფულ მასალათა თანაარსებობა [ჯაფარიძე 1975, გვ. 157]. როგორც ჩანს ამ ვაკეზე, საზამთრო საძოვრების გამო ამ ორი ნაკადის შეხვედრების რაიონია [ჯაფარიძე 1975, გვ. 158]. იგივე მდგომარეობა ჩანს თრიალეთში, წალკის პლატოზე, სადაც ასევე საუკეთესო საძოვრებია [ჯაფარიძე 1998, გვ. 94]. ამ თვალსაზრისით არანაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ჯავახეთის პლატოსაც, რომელიც ადრევე აღმოსავლეთ საქართველოს უმთავრეს საზაფხულო საძოვარს წარმოადგენდა, რომლითაც უკვე იმ დროიდან უნდა ესარგებლათ მიმდებარე დაბლობებში მცხოვრებ ტომებს [Чубинишвили 1971, გვ. 59]. აქ გავრცელებული მტკვარ-არაქსული კერამიკა ატარებს

როგორც შიდაქართლურ, ისე სომხეთის ძეგლებისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ ელემენტს. მათი ერთად აღმოჩენა სომხეთის ელემენტების ჯავახეთში შიდა ქართლის გზით მოხვედრას გვაფიქრებინებს [ორჯონიკიძე 1998, გვ. 20]. მტკვარ-არაქსის კულტურის ეს ვარიანტი მტკვრის ხეობის საშუალებით აღწევს ქვემო და შიდა ქართლს, სადაც საკმაოდ მძლავრ კერას ქმნის [ჯაფარიძე 1976, გვ. 142; მახარაძე 1994, გვ. 65]. როგორც ჩანს, ამ ვარიანტს ჯავახეთში გავრცელების იმ მასშტაბისათვის არ მიუღწევია, როგორსაც აღნიშნულ რეგიონებში. აქ ცოტაა, ან საერთოდ არ არსებობს მისი ისეთი წამყვანი ნიშნები, როგორიცაა მრგვალი ფორმის შენობა, ჩაღარულ-ამობურცული გართულებული სპირალური ორნამენტი, სპეციფიური ტიპის ზესადგრები და სხვ. აქაური კულტურა, სამხრეთული იმპულსების მიუხედავად, ადრევე ჩამოყალიბებულ ტრადიციებს აგრძელებს და ადგილობრივ ნიადაგზე ვითარდება [ორჯონიკიძე 1998, გვ. 21]. აქ აღმოჩენილი ნაგებობები სამხრეთ საქართველოს ქვით მშენებლობის ტრადიციებს აგრძელებს, კვლავ იგება ამ რეგიონისათვის ტრადიციული – ოთხკუთხა ფორმის შენობები. მტკვარ-არაქსულია თიხის ჭურჭელიც, რომელიც ფორმითა და ორნამენტით ახლო დგას მარტყოფულ ნაწარმთან. კერამიკის ერთი ნაწილი შემკულია ბედენის კულტურისათვის ცნობილი ხერხებით [ორჯონიკიძე 1998]. რაც შეეხება ყორღანს, სამარხის ეს ტიპი ჯავახეთის პლატოზე ნაკლებადაა წარმოდგენილი. მართალია, ადრეული ყორღანები იშვიათად აქაც იჩენს თავს – ერთი ბედენური ხანის ყორღანი გათხრილია ფარავნის ტბასთან, ზღვის დონიდან 2000 მ სიმაღლეზე, მეორე – სოფ. სათხესთან, გვიანმტკვარ-არაქსული ეტაპისა, მაგრამ ადრეული ყორღანების კულტურაზე მსჯელობა უფრო ნასახლართა კერამიკული მასალის საფუძველზეა შესაძლებელი. ძნელია იმის ახსნა, რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ამ ხანის ყორღანების სიმცირე წალკის მოსაზღვრე ჯავახეთის პლატოზე, რომელსაც ამ რეგიონთან მსგავსი გეოგრაფიული პირობები აახლოვებდა. ამ პერიოდში, როცა შეინიშნება მესაქონლეობის როლის ზრდა და საზაფხულო საძოვრებად მაღალმთიანი პლატოების ინტენსიური გამოყენების დაწყება [ჯაფარიძე 1998, გვ. 137], ჯავახეთის პლატოს მნიშვნელოვანი როლი უნდა მინიჭებოდა. გამორიცხული არაა ადრეული ყორღანების სიმცირე უბრალოდ,ამ რეგიონის არქეოლოგიურად არასაკმარისი შესწავლით აიხსნას, ან ყორ-

ღანული კულტურის ფართო გავრცელებას ხელი შეუშალა აქ დამკვიდრებულმა მძლავრმა მტკვარ-არაქსულმა კერამ. მიუხედავად ამისა, ამ ზეგნიდან მომდინარე არქეოლოგიურ მასალაში მაინც შეინიშნება ადრეული ყორღანებისათვის დამახასიათებელი კერამიკა, მათ შორის ბედენური კულტურისაც [ორჯონიკიძე 1998, გვ. 21]. მისი არსებობის არაპირდაპირ მანიშნებლად შეიძლება ჩაითვალოს აქვე, არტაანის მტკვრის ხეობის შუაბრინჯაოს ხანის ყორღანებში მოპოვებული თიხის ჭურჭელი, რომელიც მტკვარ-არაქსულის გარდა შეიცავს ბედენური კერამიკის ნიშნებსაც: სამფეხა ჭურჭელს [ჯაფარიძე და სხვ. გვ. 32, სურ. 6], შვერილიან და სიგრძივ ამოღარულ ყურებს [ჯაფარიძე და სხვ. 1981, გვ. 49, სურ. 16]. ზოგჯერ ყურის ზედა ნაწილს ბედენური ეგზემპლარების მსგავსად „ულვაშისებრი" რელიეფური გაგრძელება აქვს [ჯაფარიძე და სხვ. 1981, ტაბ. 39]. ჭურჭლის მხარს შემოყოლებული რელიეფური დაკეჭნილი ზოლი და კოპების მწკრივი [ჯაფარიძე და სხვ. 1981, გვ. 111, სურ. 48; გვ. 22, სურ. 2; გვ. 58, სურ. 21], შიგნიდან გამოყვანილი და წრეებით შემოსაზღვრული კოპები [ჯაფარიძე და სხვ. 1981, გვ. 63, 126, სურ. 58]. ყოველივე ეს დამახასიათებელია ბედენური წრის ძეგლებისათვის და უცხოა მტკვარ-არაქსული ნაწარმისათვის. ამიტომ, ალბათ გაძნელდება იმ მოსაზრების გაზიარება, რომ მესხეთ-ჯავახეთში ადრეყორღანების კულტურა არ გავრცელებულა [ჯაფარიძე 1998, გვ. 142]. ვფიქრობთ, ადრებრინჯაოს ხანის კულტურის განვითარება აქაც, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსი გზით წარიმართა [ორჯონიკიძე 1998, გვ. 21].

რაც შეეხება სამცხეს, აქაც ვხვდებით მტკვარ-არაქსის კულტურის ნაწარმთან ერთად ბედენურ კერამიკას სოფ. ზველსა და ლოდობანზე. აქ აღმოჩენილი კერამიკა ახლო პარალელებს პოულობს ილტოს, ციხიაგორა A ფენის, ხაშურის ნაცარგორისა და სხვა ძეგლების მასალებში. ბედენურ კულტურაში ეძებნება ანალოგები ზველის ობსიდიანით ინკრუსტირებულთვალებიან კერასაც. ადრეული ყორღანების სამცხეში გავრცელების სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს ადრებრინჯაოს ხანის ერთი ყორღანი, რომელიც ამირანის გორის ნასახლარზე ყოფილა აგებული [Чубинишвили 1971, გვ. 71]. მიუხედავად ამისა, მესხეთში ამ ხანის ყორღანები ფაქტიურად უცნობი რჩება. ამის თაობაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყორღანული კულ-

ტურის ელემენტები თანდათან ყალიბდება ახალი, ეთნოკულტურული ტრადიციების საფუძველზე და ერწყმის ადგილობრივს, რაც სხვადასხვა ოლქში განსხვავებული ინტენსიობით მიმდინარეობდა [Лордкипанидзе 1989, გვ. 139]. საფიქრებელია, რომ მესხეთში მტკვარ-არაქსის ამ საფეხურის კულტურა უფრო მყარ ნიადაგზე იდგა, განსხვავებით საქართველოს სხვა რეგიონებისაგან. ამასთან, ადრეყორღანულმა ელემენტმა აქ რამდენადმე შესუსტებული სახითაც მიაღწია და ადვილად შეერწყა ადგილობრივ კულტურას [ორჯონიკიძე 1983, გვ. 106].

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მხარეში ადრეყორღანული კულტურის გავრცელების შემდეგაც მტკვარ-არაქსის კულტურა კვლავაც განაგრძობს არსებობას, რაც ამ ტრადიციების სიძლიერით, მისთვის დამახასიათებელი რიგი ელემენტების ხანგრძლივად შემონახვაში გამოიხატება. ზოგან ამ კულტურის ელემენტებს მომდევნო – შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებზეც ვხედავთ. განსაკუთრებით ნათლად ადრეული კერამიკის ტრადიციების შემორჩენას მესხეთში გათხრილი ამ ხანის ყორღანული სამარხების მასალაში ამჩნევენ [ჯაფარიძე და სხვ. 1981 გვ. 169].

როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის ძლიერი გავლენის ქვეშ ექცევა მარტყოფული კულტურა. მარტყოფული ყორღანების სამარხეული ინვენტარის უმრავლესობა მტკვარ-არაქსულ ელფერს ატარებს [ჯაფარიძე 1998, გვ. 71]. ჩანს, რომ ახალმოსულთა კულტურა ადგილობრივ ნიადაგზეა დაფუძნებული, შერწყმულია ამ ორი კულტურის ტრადიციები, რასაც ადგილი უნდა ჰქონოდა ამ ყორღანთა კონცენტრაციის არეზე – თრიალეთსა და იორ-ალაზნის აუზში [მახარაძე 1994, გვ. 68]. ასეთი დასკვნის სასარგებლოდ ლაპარაკობს პირველ რიგში ყორღანული კერამიკა, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში მტკვარ-არაქსული ტრადიციების მატარებელია. ეს განსაკუთრებით ვლინდება წამყვანი ტიპების ფორმებში, რომელთა პროტოტიპებს ვხედავთ როგორც საერთოდ მტკვარ-არაქსის კულტურის არეალზე, ისე, განსაკუთრებით, შიდა ქართლური ლოკალური ვარიანტისათვის დამახასიათებელ კომპლექსებში. სწორედ ამ ვარიანტის გავრცელების არეალზე პოულობს ძირითადად ახლო პარალელებს მარტყოფულ ყორღანებში აღმოჩენილი მსხლისებრი ფორმის ხელადა, რომელიც ასე ფართოდაა წარმოდგენილი მის სამარხეულ ინვენტარში. ხშირად ამგვარი ყორღანული ჭურჭელი შემკული ჭრილხაზოვანი სახეებით, მსგავსებას ავლენს მტკვარ-

არაქსის კულტურის სამხრეთული ვარიანტის ორნამენტთან. იგივე შეიძლება ითქვას ყორღანებში აღმოჩენილი ცალყურა კათხის შემკობასთან დაკავშირებითაც. ზოგჯერ სამხრეთული ნიშნების არსებობა ჭურჭლის ტანის სამნაწილადობაშიც ვლინდება. ამდენად, მარტყოფული კერამიკის სახით ჩვენ წარმოგვიდგება მტკვარ-არაქსის კულტურის შიდაქართლური და სამხრეთული ვარიანტების ელემენტების შერწყმა, რაც ყორღანების კერამიკაზეც აისახა. ანალოგიური ფორმისა და შემკობის მქონე კერამიკა ყორღანებს გარდა აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ძეგლებზეცაა აღმოჩენილი და საერთოა ძირითადად ამ რეგიონისათვის.

სამხრეთით ყორღანები ნაკლებად ვრცელდება [ჯაფარიძე 1998, გვ. 173]. მარტყოფული კერამიკის შემცველი უნდა იყოს სომხეთში, იჯევანის ყორღანის ერთი კომპლექსი [Гаспарян 1987]. ბოლო ხანებში ამგვარი კერამიკა აღმოჩნდა აღმოსავლეთ ანატოლიაშიც – სოს ჰუიუკზე [Sagona და სხვ. 1996], თუმცა იგი იქ მაინც ნაკლებადაა წარმოდგენილი და ძირითადად შენგავითის ტიპის კერამიკასთან ერთად გვხდება. როგორც ჩანს, სამხრეთით ყორღანების გავრცელება ძირითადად ამიერკავკასიის გზით უნდა ვივარაუდოთ [ჯაფარიძე 1998, გვ. 173]. მარტყოფული კერამიკის გამოჩენა სომხეთსა და ანატოლიაში ასევე ამიერკავკასიასთან – სამხრეთ საქართველოსთან უნდა იყოს დაკავშირებული. მის უფრო ინტენსიურ გავრცელებას სამხრეთის მიმართულებით, საფიქრებელია, ხელს უშლიდა იმ რეგიონებში ჯერ კიდევ მძლავრად წარმოდგენილი მტკვარ-არაქსის კულტურა, რომლის საბოლოო ჩაქრობა იქ მოხატულკერამიკიან კულტურებს უკავშირდება [ჯაფარიძე 1998, გვ. 178].

სამხრეთით არც ბედენის კულტურის ყორღანები ვრცელდება მაინცდამაინც [ჯაფარიძე 1998, გვ. 172]. იჯევანის ყორღანის ბედენური კომპლექსის სიახლოვე კახეთისა და ბედენის ყორღანთა მასალებთან ზოგს იმაზე აფიქრებინებს, რომ სომხეთში ეს კულტურა საქართველოდანაა შესული [ორჯონიკიძე 1996, გვ. 2]. ამ კულტურის ნიშნებს ვხვდებით არარატის ველზეც. შენგავითის ზედა ფენის ზოგი ბირთვისებრტანიანი მოზრდილი ჭურჭელი ახლოს დგას ბედენურ ნაწარმთან, განსაკუთრებით უახლოვდება ის კახეთის ყორღანებისა და ზველის რაბათის დერგებს [ორჯონიკიძე 1983, გვ. 39]. ბედენურთან სიახლოვეს იჩენს შენგავითის

ბიკონუსური ფორმის ჭურჭელიც [Sagona 1984, Form 178], რომელსაც ანალოგები კახეთისა და ქვემო ქართლის ყორღანულ მასალაში ეძებნება [ორჯონიკიძე 1996, გვ. 4, ტაბ. $III_{ა}$]. მაგრამ ეს კულტურა მაინც სუსტადაა წარმოდგენილი და როგორც ჩანს, იქ უფრო მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანშენგავითური ვარიანტი ვითარდება [ჯაფარიძე 1998, გვ. 131]. კიდევ უფრო ნაკლებად ვხვდებით ბედენურ ელემენტებს აღმოსავლეთ ანატოლიაში.



სურ. 76. ბედენური და მტკვარ-არაქსული კერამიკის თანაარსებობა.
1. ლოდობანა, 2. ზველი, 3. ხაშურის ნაცარგორა, 4. ქვასათალის № 6 სამარხი, 5. ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვანი, 6. ილტო, 7. თრიალეთის XI, XLVI ყორღანები, 8. ღრმახევისთავის გვიანი კომპლექსები, 9. დმანისის № 1 ყორღანი, 10. ქვემო ქართლის V და IX ყორღანები

როგორც ცნობილია, ბედენური კერამიკა ზოგიერთი მსგავსების მიუხედავად მტკვარ-არაქსის კულტურასთან მკვეთრ სხვაობას ავლენს ჭურჭლის ძირითადი ფორმებისა და ორნამენტის მხრივ. სადღეისოდ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არაერთი ძეგლია შესწავლილი, სადაც ამ კულტურათა კერამიკა ერთადაა წარმოდგენილი, რაც მათ თანადროულობაზე მიუთითებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ კომპლექსების მტკვარ-არაქსული ნაწარმი არაა ერთგვაროვანი და შეიცავს ამ კულტურის სხვადასხვა ლოკალური ვარიანტის ამსახველ თიხის ჭურჭელს. მასში ნათლად ისახება მტკვარ-არაქსის კულტურის ჩრდილო კავკასიური (ქვემო ქართლის № 9 ყორღანი), შიდა ქართლური (ხაშურის

ნაცარგორის, ქვასათალის № 6 სამარხი) და განსაკუთრებით, სამხრეთული (ციხიაგორა A, ქვემო ქართლის № 5 ყორღანი, ზველი, ილტო) ელემენტების მქონე კერამიკული ნაწარმი [ორჯონიკიძე 1996].

მტკვარ-არაქსისა და ბედენის კულტურათა თანაარსებობა და ურთიერთობა სიმბიოზური იერის თიხის ჭურჭელზეც აისახა. ბედენურ კერამიკაზე მტკვარ-არაქსულ ელემენტებს მიეკუთვნება: კორპუსზე დატანილი მსხვილი მრგვალი ფოსო, ტეხილხაზოვანი დაშტრიხული ლენტი, ყელის ბოლოს შემოყოლებული დაშტრიხული სამკუთხედების მწკრივი, მენისკური ყური და სხვ., ხოლო მტკვარ-არაქსულ კერამიკაზე ბედენური ნიშნები ვლინდება სარტყლებს შორის მოქცეული ურთიერთპერპენდიკულარული მოკლე ხაზებით, სართულება განლაგებული სამკუთხედების მწკრივებით და სხვ. ამგვარადაა შემკული თრიალეთის XI, XLVI, მარტყოფის № 2 [ორჯონიკიძე 1996, გვ. 4], ქვემო ქართლის № 5 და ივანოვკის № 2 [Шатберашвили 1997, ტაბ. 59] ყორღანთა თიხის ჭურჭელი. ამ კულტურებისათვის საერთოა მტკვარ-არაქსის კულტურაში ადრევე დამკვიდრებული შენობის ტიპი, ზემოთ აღნიშნული ზოგიერთი კერა-ზესადგარი და სხვ. ყოველივე ეს აღნიშნულ კულტურათა შორის არსებული მჭიდრო ურთიერთობის მანიშნებელი უნდა იყოს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ყველაზე მეტად გავრცელებული მოსაზრების თანახმად ბედენური კულტურის ადგილი ქრონოლოგიურად მარტყოფულ და შუაბრინჯაოს ხანის კულტურებს შორისაა განსაზღვრული [ჯაფარიძე 1982, გვ. 37; Пицхелаури 1987, გვ. 21]. ეს მოსაზრება ემყარება რადიონახშირბადის მეთოდით მიღებულ თარიღებს და მომდევნო ხანის კულტურასთან შენიშნულ ზოგიერთი საერთო ნიშნის არსებობას, თუმცა, მეტ მნიშვნელობას მაინც ტრადიციული მეთოდებით მიღებულ შედეგებს ანიჭებენ [ჯაფარიძე 1998, გვ. 152; მაზარაძე 1994, გვ. 61]. ბედენური კულტურის ადგილის ასეთი განსაზღვრის ლოგიკურობის მიუხედავად ზოგიერთი მონაცემი კულტურათა ამ თანმიმდევრობას თითქოს პირიქითაც წარმოაჩენს. თავის დროზე, კერამიკული მასალის საფუძველზე თრიალეთის ზოგი ბედენური ყორღანი აქვე აღმოჩენილ მარტყოფული კერამიკის შემცველ ყორღანებზე ადრეულად იქნა მიჩნეული [Burney 1958, გვ. 176]. თუმცა, ეს მოსაზრება კერამიკაში ადგილობრივი ტრადიციების არდანახვისა და

სტრატიგრაფიული მონაცემების არქონის პირობებში იქნა გამოთქმული. ანალოგიური თანმიმდევრობა ხოვლეს ყორღანის სტრატიგრაფიიდან გამომდინარე მონაცემებზე დაყრდნობითაც გამოითქვა [ორჯონიკიძე 1980, გვ. 52; შატბერაშვილი]. ბოლო ხანებში ბერიკლდეებისა და ხაშურის ნაცარგორის გათხრებმა ეს საკითხი კიდევ ერთხელ წამოწია წინ [ლორთქიფანიძე 1989, გვ. 118]. უნდა ითქვას, რომ ბერიკლდეების ნამოსახლარზე მარტყოფული ნაწარმი ნაკლებადაა წარმოდგენილი, რის გამოც ამ ძეგლის მიხედვით ბედენურ და მარტყოფული კულტურების ურთიერთობაზე ლაპარაკი გაძნელდება. განსხვავებული სურათია ხაშურის ნაცარგორაზე, სადაც ბედენური კერამიკა ნასახლარის ადრებრინჯაოს ხანის ზედა ჰორიზონტებში მარტყოფულ, ხოლო ქვედაში მარტყოფულის გარდა მტკვარ-არაქსის კულტურის შიდა ქართლურ თიხის ნაწარმთან ერთად გვხვდება [ორჯონიკიძე 1992]. ეს გარემოება თავისთავად განსაზღვრავს ბედენური კულტურის დამოკიდებულებას არამარტო მარტყოფულ, არამედ მტკვარ-არაქსულ კულტურასთანაც სტრატიგრაფიულად განლაგებულ არაერთ ჰორიზონტზე. მტკვარ-არაქსის, მარტყოფისა და ბედენის კერამიკის თანაარსებობა ჩანს ციხიაგორის ნამოსახლარის ზედა ფენებშიც, სადაც უკვე აღარ გვხვდება შიდა ქართლური ტიპის მტკვარ-არაქსული ნაწარმი [მახარაძე 1994]. მტკვარ-არაქსისა და ბედენის კულტურათა თიხის ჭურჭლის თანაარსებობის სხვა შემთხვევებზე ზემოთ უკვე იყო მინიშნებული.

თიხის ჭურჭლის გარდა მტკვარ-არაქსისა და ადრეული ყორღანების ურთიერთობის თვალსაზრისით საინტერესო სურათს გვიჩვენებს ლითონის იარაღთა წამყვანი ტიპების შეჯერებაც. თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ ამ იარაღთა ფორმებით მტკვარ-არაქსის კულტურა გაცილებით ახლოს დგას ბედენურთან, ვიდრე მარტყოფულ ყორღანებთან, რომელთანაც კავშირი ძირითადად ცულებით ჩანს. მტკვარ-არაქსის კულტურას ბედენურთან აკავშირებს ბრტყელი, ყუნწიანი, მოგრძო სამკუთხა პირიანი სატევრისპირი. საჩხერის სამაროვნის სატევრისპირებს უახლოვდება ბედენური კომპლექსების სატევრისპირები ბაკურციხისა და კაჭრეთის ყორღანებიდან [Пицхелаури 1982, ტაბ. XX; ბუჩუკური 1985]. ასევე, ქორეთის № 1 ბედენური სამარხის ცალი [ჯაფარიძე 1961, სურ. 29] და ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვნის იარაღი [ჯორბენაძე და სხვ. 1996, გვ. 115-122]. მარტ-

ყოფული კომპლექსებისათვის ამგვარი იარაღი უცნობია. სამაგიეროდ, იგი ბედენურ კომპლექსებთან სიახლოვეს იჩენს ფოთლისებრი სატევრისპირით [სა, გვ. 140], რომელიც ჩრდილოურ სატევარს ეშსგავსება და არაფერი აქვს საერთო მტკვარ-არაქსული იარაღთან [ჯაფარიძე 1998, გვ. 78]. თუ არ ჩავთვლით ადრეული პერიოდის ხიზანაანთ გორის D ფენის ერთადერთ ცალს, მტკვარ-არაქსის კულტურისათვის იგი საერთოდ უცხოა. მარყოფულ ყორღანებში არ გვხვდება შუბისპირი. ბედენურში კი ის ცნობილია ბაკურციხის ყორღანიდან [Пицхелаури 1982, ტაბ. XX]. მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში ეს იარაღი წარმოდგენილია სწორ და მოკაულღეროიანი ტიპებით. უკანასკნელის ზოგიერთი ეგზემპლარი (მოსკოვის ისტორიული მუზეუმიდან, ზაპესიდან) ფართო სამკუთხა მოყვანილობის პირით, მასიური ღეროთი და მოკაული ყუნწით გამორიცხული არაა საფუძვლად დასდებოდა ტექნიკურად მასზე განვითარებულ ბედენის შუბისპირებს ბაკურციხის ყორღანიდან [Пицхелаури 1982, ტაბ. XX]. შუბისპირზე მეტად მტკვარ-არაქსულ და ბედენურ კომპლექსებს აახლოვებს ღარიანი სატეხი. მარტყოფულ ყორღანებში ამგვარი იარაღი იშვიათია [ჯაფარიძე 1998, გვ. 82]. ღარიან სატეხებს ვხვდებით ბადაანისა და ჟინვალი ნასახლარებზე მტკვარ-არაქსულ კერამიკასთან ერთად [Глонти 1984, გვ. 36; სა, ტაბ. LXX]. ბედენურ კომპლექსებში მას ვხვდებით ბედენის №№ 2, 5, ქვემო ქართლის № 9, მარტყოფის №№ 3, 5 ყორღანებიდან [გობეჯიშვილი 1980, ტაბ. X; ჯაფარიძე 1998, სურ. 25, 28, 52]. მსგავსება ამ კულტურათა ღარიან სატეხებს შორის ზოგჯერ დეტალებშიც ვლინდება (მაგ. ბედენის № 2 ყორღანისა და ბადაანის ცალები).

ბრტყელი ცული აერთიანებს მტკვარ-არაქსის კულტურასა და ყორღანების ორივე ჯგუფს. რაც შეეხება ყუახვრელიან ცულს, მტკვარ-არაქსულ ცულებთან ყველაზე ახლოს ისევ ბედენური კომპლექსების იარაღები დგას. ეს განსაკუთრებით ითქმის ვიწროტანიან ყუამილიან ცულზე, რომელსაც ყუაზე ირიბი პარალელური ღარები გასდევს. ამგვარი ცულები აღმოჩნდა ბადაანისა და ცარცის გორაზე [ჯაფარიძე 1961, ტაბ. XV; სა, ტაბ. LXX], ხოლო ბედენის ძეგლებზე მას ვხვდებით ქორეთის ყორღანის № 1 სამარხსა და ბერიკლდეების ნამოსახლარზე [ჯაფარიძე 1961, ტაბ. XIX; ჯალაბაძე 1998, ტაბ. IX]. საერთო ტიპოლოგი-

ური სიახლოვის გარდა მათ შორის მსგავსება ცალკეულ ნიშნებშიც ჩანს. ქორეთის ყორღანის № 1 სამარხის გრეხილღეროიანი ორვოლუტიანი საკინძი [ჯაფარიძე 1961, ტაბ. XIX,] ასევე პოულობს ანალოგებს მტკვარ-არაქსის კულტურის შიდა ქართლის ძეგლებზე.

ამრიგად მტკვარ-არაქსის კულტურასთან ადრეული ყორღანების კომპლექსების ლითონის წამყვანი იარაღების შეჯერებით მეტი საერთო ბედენის იარაღებთან ჩანს. ზოგჯერ მსგავსება დეტალებშიც ვლინდება, რაც ამ კომპლექსების თანადროულობის მაჩვენებელი უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ორივეგან ქვისა და ძვლის ისრისპირების არსებობა. ეს იარაღი არ გვხვდება მარტყოფის კულტურაში [ჯაფარიძე 1998, გვ. 81]. მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება.

სადღეისოდ არაა განსაზღვრული ბედენის კულტურის ფორმირების არეალი. ეს კულტურა ხასიათდება ევროპისა და წინა აზიის ადრეულ კულტურათა ელემენტების ერთობლიობით [გობეჯიშვილი, 1980; გოგაძე 1972]. მიუხედავად ამისა, მისი კერამიკული კომპლექსი სიახლოვეს ყველაზე მეტად მაინც მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ჭურჭელთან ავლენს [ჯაფარიძე 1998, გვ. 131]. როგორც ჩანს, მასში აისახა ამ კულტურათა ურთიერთობა, რის შედეგადაც, როგორც ფიქრობენ, შიდა ქართლსა და მის მიმდგომ მხარეებში უნდა ჩამოყალიბებულიყო ბედენური კულტურა [ჯაფარიძე 1998, გვ. 143]. ამ ურთიერთობათა თვალსაზრისით ხაშურის ნაცარგორა ერთერთი ყველაზე ადრეული ნამოსახლარი უნდა იყოს.[1] მასზე მართლაც ჩანს მათი ხანგრძლივი თანაარსებობა. თანმხლები მტკვარ-არაქსული კერამიკა თითქოს კიდევ უფრო აძველებს ბედენური კულტურის გამოჩენის დროს შიდა ქართლში, მაგრამ ხაშურის ნაცარგორის შერეულკერამიკიან უადრეს ჰორიზონტშიც კი ბედენური კერამიკა უკვე სავსებით ჩამოყალიბებული სახითაა წარმოდგენილი. ამიტომ, ნაკლებ სარწმუნო ჩანს ბედენის კულტურის ჩამოყალიბება შიდა ქართლში მტკვარ-არაქსის კულტურთან ურთიერთობას დაუკავშირდეს.

მტკვარ-არაქსისა და ბედენის კულტურათა ურთიერთობა ჩანს, დიდხანს არ გაგრძელებულა. ცხოვრება ამ ნასახლარებზე მალე ქრება, მაგრამ როგორც თვლიან, ბედენის კულტურა კვლავ აგრძელებს არსებობას [ჯაფარიძე 1998, გვ. 95-96;

---

[1] ხაშურის ნაცარგორის ქვედა ჰორიზონტებზე ბედენური კერამიკის თანმხლები შიდაქართლური ტიპის მტკვარ-არაქსული თიხის ჭურჭელი ქმნის ცდუნებას კიდევ უფრო მეტად დაძველდეს ბედენის კულტურის აქ გამოჩენის დრო, ვიდრე ეს ადრე იყო მიჩნეული [ორჯონიკიძე, 1992, გვ. 7]

მახარაძე 1994, გვ. 60]. ბედენის კულტურას ხშირად უკავშირებენ მტკვარ-არაქსისა და მარტყოფის კულტურათა განადგურებას [ჯაფარიძე 1991, გვ. 285; მახარაძე 1994, გვ. 71; ჯაფარიძე 1998, გვ. 84, 144]. თუმცა, შესაძლოა ეს მოსაზრება აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რეგიონზე თანაბრად არ გავრცელდეს. იმ ნასახლარებზე, სადაც ამ კულტურათა თანაარსებობა შეინიშნება, ცხოვრება უმეტეს შემთხვევაში მართლაც უცბად წყდება [ჯაფარიძე 1998, გვ. 285], ე.ი. არსებობას ერთდროულად წყვეტს აქ წარმოდგენილი ყველა კულტურა.ამიტომ, საეჭვოა ეს მოვლენა ბედენის კულტურას მიეწეროს. მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაქრობა აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარეში განსხვავებულ მიზეზებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, რომელთა კვლევა ჯერ კიდევ მომავლის საქმეს წარმოადგენს.

ლიტერატურა

აბესაძე ც. - ლითონის წარმოება ამიერკავკასიაში ძვ.წ. III ათასწლეულში. თბ., 1969.

აბრამიშვილი რ., გიგუაშვილი ნ., კახიანი კ. - ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980.

ავალიშვილი გ. - მტკვარ-არაქსის კულტურის ევროპული პარალელების შესახებ. არქეოლოგიური კრებული, I, თბ., 1994, გვ. 54-60.

ასათიანი ნ., მაისურაძე ბ. - შირაქის არქეოლოგიური ექსპედიციის 1985-87 წწ. მუშაობის შედეგები. თსუ შრომები, № 310, თბ., 1992, გვ. 151-164.

ბუჩუკური ა. - კაჭრეთის ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულის გორასამარხი. არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1985., 1985, გვ. 9-13.

გაგოშიძე ი., ქორიძე ე., გოგიჩაიშვილი ა. - შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1979-1981 წწ. საველე მუშაობის ანგარიში, სსმაე, VIII, თბ., 1986.

გაგოშიძე ი. - არქეოლოგიური გათხრები ფრონეს ხეობაში 1997 წელს. კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია, I, თბ., 1998, გვ. 15-16.

გაგოშიძე ი. - არქეოლოგიური გათხრები ტახტისძირში (ქარელის რ-ნი). კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), თბ., 1997, გვ. 16-17.

გოგაძე ე. - თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბ., 1972.

გობეჯიშვილი გ. - თეთრიწყაროს ნასახლარი, თბ., 1978.

გობეჯიშვილი ე. - ბედენის გორასამარხების კულტურა, თბ., 1980.

გრიგოლია გ., ტატიშვილი თ. - ქვემო ქართლის უძველესი ძეგლები. სიგკ, I თბ., 1960.

თბილისი I, თბ., 1978.

თუშიშვილი ნ. - მადნისჭალის სამაროვანი, თბ., 1972.

კალანდაძე კ. - ადრესამიწათმოქმედო ტომების კულტურის ნაშთები აბასთუმანში. საისტორიო კრებული, V, თბ., 1976, გვ. 371-390.

კაპანაძე მ. - ზეიანის № 2 გორასამარხი. არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1986, გვ. 12-23.

კიკვიძე ი. - მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976.

კიკვიძე ი. - ხიზანაანთგორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, თბ., 1972.

კილურაძე თ. - აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია, თბ., 1976.

მაკალათია ს. - ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1943.

მარუაშვილი ლ. - საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1964.

მახარაძე ზ. - ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი, თბ., 1994.

მახარაძე ზ., ორჯონიკიძე ა., მინდიაშვილი გ. - საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის ლითონის იარაღის ტიპოლოგია. თბ., 1999(ხელნაწერი).

მახარაძე ზ. - კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის ახალი აღმოჩენები. კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია, I, თბ., 1998, გვ. 24-25.

მინდიაშვილი გ. - ადრებრინჯაოს ხანის სამარხი ნაომარი გორის ნამოსახლართან. არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1977, გვ. 19-23.

მინდიაშვილი გ. - „არქეოლოგიური ძიებანისა“ და „ზეინის № 2 გორასამარხის“ შესახებ. მაცნე, № 2, თბ., 1990, გვ. 171-181.

მინდიაშვილი გ. - ადრეული ყორღანები სამხრეთ კავკასიაში (სოციალ-ეკონომიკური ასპექტი). საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1993.

მირცხულავა გ. - სამშვილდე, თბ., 1975.

მუსხელიშვილი დ. - საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977.

მცხეთა, VII, თბ., 1985.

მცხეთა, VIII, თბ., 1988.

მცხეთა, IX, თბ., 1989.

ნადიმაშვილი ს. – გუდაბერტყა-ციხიაგორა. ლიახვი, გორი, 1963.

ნებიერიძე ლ. – დასავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები, თბ., 1986.

ნებიერიძე ლ. – საკულტო რიტუალები. ძიებანი, № 3, 1999, გვ. 5-18.

ორჯონიკიძე ა. – სამცხე-ჯავახეთის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების პერიოდიზაცია-ქრონოლოგიისათვის. მაცნე, № 3, 1980, გვ. 41-55.

ორჯონიკიძე ა. – სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში, თბ., 1983.

ორჯონიკიძე ა. – მტკვარ-არაქსის კულტურის ახალი მასალები ჯავახეთის პლატოდან. მაცნე, № 2, 1989, გვ. 172-176.

ორჯონიკიძე ა. – შერეულკერამიკიანი კომპლექსები შიდა ქართლიდან. პრეპრინტი, თბ., 1992.

ორჯონიკიძე ა. – მტკვარ-არაქსის კულტურა სამხრეთ საქართველოს მთიანეთში (ჯავახეთი): განვითარების ძირითადი ეტაპები. II სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო". მოხსენებათა თეზისები. თბ., 1994.

ორჯონიკიძე ა. – მტკვარ-არაქსულ და ბედენურ კულტურათა ურთიერთობისათვის სამხრეთ კავკასიაში, თბ., 1976. პრეპრინტი.

ორჯონიკიძე ა. – ზოგი რამ ბრინჯაოს ხანის შესწავლის ისტორიიდან მესხეთ-ჯავახეთში, თბ., 1997. პრეპრინტი.

ორჯონიკიძე ა. – ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი დიგაშენ I. ძიებანი, № 1, თბ., 1998, გვ. 15-22.

საქართველოს არქეოლოგია, II, თბ., 1993.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.

ფიცხელაური კ. – იორ-ალაზნის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბ., 1965.

ფხაკაძე გ. – ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი მეტეხთან. მაცნე, № 6, 1967, გვ. 318-326.

ფხაკაძე გ. – დასავლეთი ამიერკავკასია ძვ.წ. III ათასწლეულში, თბ., 1993.

ფხაკაძე გ. – ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963.

ფხაკაძე გ. – მტკვარ-არაქსული კერა-სადგრების გავრცელების საკითხისათვის. V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო". მოხსენებათა თეზისები, თბ;. 1998, გვ. 5-6.

ფხაკაძე გ., ორჯონიკიძე ა. – ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიციის 1979 წლის მუშაობის ანგარიში (ხელნაწერი).

ქავთარაძე გ. – საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე, თბ., 1981.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. საბჭოთა საქართველო, თბ., 1981.

ქიქოძე ზ., კოლი ფ., მინდიაშვილი გ., ორჯონიკიძე ა. – ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალა სამხრეთ საქართველოდან. ძიებანი, - 2, 1998, გვ. 42-51.

ქორიძე დ. – თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955.

ღამბაშიძე ო., ტატიშვილი თ. – მასალები თორის წინაფეოდალური ხანის ისტორიული გეოგრაფიისათვის. სიგკ, VI, 1982.

ღლონტი ლ. – მტკვარ-არაქსის კულტურის დასახლება. საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1970.

ღლონტი ლ. – მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971), თბ., 1975.

ღლონტი ლ. – წარჩინებული ქალის სამარხი ქვაცხელების სამაროვანზე. სსმმ, 36-B, თბ., 1982, გვ. 61-69.

ღლონტი მ. – ცხოველის გამოსახულებიანი ჭურჭელი არაგვის ხეობიდან. არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1977, გვ. 12-19.

ღლონტი მ. – თიხის ვაზები არაგვის ხეობიდან. არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1982, გვ. 5-9.

ღლონტი მ. – არაგვის ხეობის მოხატული ჭურჭელი. არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1985, გვ. 17-21.

ღლონტი მ. – მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელებისათვის არაგვის აუზში. სამეცნიერო სესია. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1996.

შანშაშვილი ნ. – ნიშნები და სიმბოლოები მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკაზე, თბ., 1999.

ჩართოლანი შ. – ძველი სვანეთი, თბ., 1996.

ჩიქოვანი თ. – ეთნოარქეოლოგიური ეტიუდები. თბ., 1989.

ჩუბინიშვილი ტ. – ამირანის გორა, თბ., 1963.

ჭილაშვილი ლ. – ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964.

ჭილაშვილი ლ. – არეში, თბ., 1991.

ჯავახიშვილი ა. – საქართველოს გეოგრაფია, I, თბ., 1926.

ჯავახიშვილი ი. – საქართველოს საზღვრები, თბ., 1919.

ჯავახიშვილი ა., ღლონტი ლ. – ურბნისი I, თბ., 1962.

ჯავახიშვილი გ. – ანტროპომორფული პლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში, თბ., 1984.

ჯალაბაძე მ. – ბედენის კულტურა შიდა ქართლში (ბერიკლდეების ნამოსახლარი), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1998.

ჯანდიერი ე. – ჯავახეთის ახალქალაქის ისტორიისათვის. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 1969.

ჯაფარიძე ო., ჩუბინიშვილი ტ. – ახლად აღმოჩენილი ენეოლითური და ბრინჯაოს ხანის კულტურული კერა ქართლში. სსმმ, XV-B, 1948, გვ. 23-31.

ჯაფარიძე ო. – არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1955.

ჯაფარიძე ო. – ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961.

ჯაფარიძე ო., კიკვიძე ი., ავალიშვილი გ., წერეთელი ა. – მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, თბ., 1981.

ჯაფარიძე ო. – არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969.

ჯაფარიძე ო. – ბრინჯაოს ხანის ყორღანები. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1965-1971), თბ., 1975.

ჯაფარიძე ო. – ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976.

ჯაფარიძე ო. – ერთი სამარხეული კომპლექსი ქსნის ხეობიდან. არქეოლოგიური კრებული, I, 1994, გვ. 166-182.

ჯაფარიძე ო. – საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991.

ჯაფარიძე ო. – ეთნოკულტურული პრობლემები აღმოსავლეთ საქართველოში ძვ.წ. III ათასწ. მეორე ნახევარში. თსუ შრომები, № 321, თბ., 1996, გვ. 106-126.

ჯაფარიძე ო. – ქართველი ტომების ისტორიისათვის ძვ.წ. III ათასწლეულში, თბ., 1998.

ჯიბლაძე ლ. – კოლხეთის დაბლობის ყუახვრელიანი ცულების წარმომავლობის საკითხისათვის. თბ., 1992. პრეპრინტი.

ჯორბენაძე ბ., ჩიქოვანი გ., გოგოჭური გ. – ადრეული პერიოდის არქეოლოგიური მასალები ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვნიდან. ლეგია და კომპანიის უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, თბ., 1996, გვ. 115-122.

Авалишвили Г. – К вопросу о связях Закавказья с Центральной Европой в раннебронзовом веке. მაცნე, № 2, თბ., 1990.

Антонова Е., Есаян С. – Антропоморфная скульптура Армянского нагорья V-III тыс. до н.э.: местная специфика и межрегиональные связи. Древний Восток. Этнокультурные связи, М., 1988, стр. 219-237.

Апакидзе А. и др. – Мцхетская экспедиция 1980 г. ПАИ в 1980 г. Тб.. 1982, стр. 35-39.

Асланов Г., Ваидов Р., Ионе Г. – Древний Мингечаур, Баку, 1959.

Археология. Бронзовый век. М., 1994.

Бадалян Р. – Раннебронзовое поселение близ с. Карнут. ИФЖ, № 1, 1984, стр. 229-238.

Батчаев В., Кореневский С. – Находка оригинального топора в майкопском погребении у с. Лачинскай. КСИА, № 161, 1980.

Всемирная история, т. I, М., 1956.

Гаджиев М. – Раннеземледельческая культура Северо-Восточного Кавказа, М., 1991.

Гамбашидзе О., Гамбашидзе И. – Работы Месхет-Джавахетской экспедиции. ПАИ 1987. Тб., 1995, стр. 48-54.

Гамбашидзе О., Квижинадзе К., Гамбашидзе И. – Основные результаты работ Месхет-Джавахетской экспедиции в 1985-86 гг. ПАИ в 1986 г. Тб., 1991.

Гамбашидзе О., Квижинадзе К. – Работы Месхет-Джавахетской экспедиции. ПАИ в 1978 г. Тб., 1981, стр. 57-64.

Гамбашидзе О., Квижинадзе К., Орджоникизе А. – Отчет работы Месхет-Джпавахетской археологической экспедиции. ПАИ в 1977 г. Тб., 1980.

Гаспарян С. – Раскопки кургана в селе Беркабер Иджеванского района. ИФЖ, 1987, № 1.

Гогадзе Э. – Хронология памятников колхидской культуры эпохи средней бронзы и некоторые вопросы культурной атрибуции вариантов общеколхидской культуры эпохи ранних металлов. Кавказ в системе палеометаллических культур Евразии. т. II. Тб., 1991, стр. 111-131.

Глонти Л., Джавахишвили А. – Новые данные о многослойном памятнике эпохи энеолита – поздней бронзы в Шида Картли – Бериклдееби. КСИА, 192, М., 1987, стр. 80-87.

Глонти М. – Памятники Арагвского ущелья раннебронзовой эпохи. Душетская научная конференция. Тб., 1984, стр. 33-39.

Дедабришвили Ш. – Памятники эпохи ранней и средней бронзы. ТКАЭ, I, Тб., 1969.

Дедабришвили Ш. – Курганы Алазанской долины. Тб., 1979.

Дедабришвили Ш. – Культура эпохи ранней и средней бронзы Иоро-Алазанского бассейна. Автореферат кандидатской диссертации. Тб., 1970.

Джавахишвили А. – Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V-III тыс. до. н.э. Тб., 1973.

Джапаридзе О. – Из истории археологического изучения Грузии. ВГМГ, 36-В, Тб., 1982, с. 29-32.

Есаян С. – Скульптура древней Армении. Ер., 1980.

Жоржикашвили Л., Гогадзе Э. – Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тб., 1974.

Иессен А. – К хронологии "Больших кубанских курганов". СА, 1950, с. 157-200.

Кавтарадзе Г. – К хронологии эпохи энеолита и бронзы Грузии. Тб., 1983.

Кахиани К. и др. – О работе экспедиции машаверского ущелья. ПАИ в 1987 г. Тб., 1995, с. 62-69.

Каландадзе К. – Древнейшее поселение в Абастумани. ПАИ в 1972 г. Тб., 1973, с. 9-10.

Куфтин Б. – Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.

Куфтин Б. – Урартский "колумбарий" у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит. ВГМГ, 13-В, Тб., 1944; 2- К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе. ВГМГ, XII-В, 1944.

Куфтин Б. – Археологические раскопки 1947 г. в Цалкском районе. Тб., 1948.

Куфтин Б. – К проблеме энеолита Внутренней Картли и Юго Осетии, ВГМГ, XIV-В, 1947.

Куфтин Б. – Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949.

Кушнарева К., Чубинишвили Т. - Древние культуры Южного Кавказа, Л., 1970.

Кушнарева К. – Южный Кавказ в IX-II тыс. до н.э. СПб., 1993.

Лордкипанидзе О. – Наследие древней Грузии, Тб., 1989.

Любин В. – Археологическая разведка в окрестностях г. Сталинира. КСИИМК, вып. 60, М., 1950.

Магомедов Р. – Материалы к изучению погребального обряда эпохи ранней бронзы в приморском Дагестане. Между Азией и Европой. СПб., 1996, стр. 69-72.

Массон В. – Средняя Азия и Иран в III тыс. до н.э. КСИА, 93, 1963.

Махмудов Ф., Мунчаев Р., Нариманов И. – О древнейшей металлургии Кавказа. СА, № 4, 1968, стр. 16-26.

Марковин В. – Памятники эпохи бронзы в ущелье р. Аргун. КСИА, № 88, 1962, стр. 45-50.

Мартиросян А. – Армения в эпоху бронзы и раннего железа. Ер., 1964.

Мерперт Н. – Об этнокульурной ситуации IV-III тыс. до н.э. в циркумпонтийской зоне. Древний Восток. Этнокультурные связи. М., 1988, стр. 7-36.

Микеладзе Т. – К археологии Колхиды. Тб., 1990.

Микеладзе Т. и др. – Исследования Колхидской археологической экспедиции. ПАИ 1974 г. Тб., 1976, стр. 34-41.

Миндиашвили Г., Квиникадзе Д. – Экспедиция Горийского района. ПАИ в 1988 г. Тб., 197, стр. 20-24.

Мирцхулава Н. – Отчет работы археологического отряда Эрцо-Тианетской комплексной экспедиции. ПАИ в 1978 г. Тб., 1981.

Мирцхулава Г., Мирцхулава Н., Сонгулашвили Т. – работы археологичесукой экспедиции Иорского ущелья. ПАИ в 1980 г. Тб., 1982.

Мирцхулава Г., Мирцхулава Н. – Археологическая экспедиция Иорского ущелья. ПАИ 1983 г. Тб., 1986.

Мирцхулава Г. – Некоторые определяющие признаки куро-аракской культуры. Кавказ в системе палеометаллических культур Евразии. II. Тб., 1991, стр. 36-49.

Мирцхулава Г., Мирцхулава Н. – Экспедиция Иорского ущелья. ПАИ в 1987 г. Тб., 1995, стр. 78-79.

Мирцхулава Г., Мирцхулава Н. - Экспедиция Иорского ущелья. ПАИ в 1988 г. Тб., 1997, стр. 24-26.

Мунчаев Р. – Древняя культура Северо-Восточного Кавказа. М., 1961.

Мунчаев Р. – Кавказ на заре бронзового века. М., 1975.

Мунчаев Р. – Погребальные комплексы с сосудами на ножках из Бамутских курганов эпохи бронзы. Новое в археологии Северного Кавказа. М., 1986, стр. 27-38.

Небиеридзе Л. – Археологические исследования в Терджольском р-не. ПАИ в 1983 г. Тб., 1986.

Орджоникидзе А. – Работы Джавахетской экспедиции на памятниках бронзового века. ПАИ в 1987 г. Тб., 1995, стр. 80-82.

Орджоникидзе А. – Куро-аракская культура в центральных областях Грузии (Шида Картли): основные этапы развития. Тб., 1996. Препринт.

Петросян Л. – Раскопки памятников Кети и Васкеаска. Ер., 1989.

Пиотровский Б. – Поселения медного века в Армении. СА, № 11, 1949.

Пицхелаури К., Дедабришвили Ш. – Археологические исследования на новостройках ГССР. Тб., 1976.

Пицхелаури К. – Центральное Закавказье в конце III и начале II тыс. до н.э. Кавказ в системе палеометаллических культур Евразии. Тб., 1987, стр. 21-26.

Пицхелаури К. – основные направления социально-экономического развития кавказских обществ эпохим бронзы и железа. ТКАЭ, VIII, Тб., 1988.

Пицхелаури К. – Новые находки Кахетской археологической экспедиции. ПАИ 1978 г. Тб., 1981, стр. 64-70.

Пицхелаури К. и др. – Полевые исследования Кахетской экспедиции. ПАИ 1987 г. Тб., 1995, стр. 76-78.

Путуридзе М. – Традиции и инновации в Триалетской культуре эпохи средней бронзы. Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, т. II, Тб., 1991.

Пхакадзе Г. – К изучению памятников Риони-Квирильского бассейна. СА, № 2, 1988.

Пхакадзе Г. – Археологические исследования в селе Кода. Археологические исследования на новостройках ГССР. Тб., 1976.

Пхакадзе Г., Каландадзе К., Орджоникидзе А. – Результаты работ Абастуманской экспедиции. ПАИ в 1980 г. Тб., 1982.

Рамишвили Р. и др. – Работы Жинвальской археологической экспедиции. ПАИ в 1981 г. Тб., 1984.

Рамишвили Р. и др. – Археологическое изучение Арагвского ущелья. ПАИ в 1984-85 гг. Тб., 1987.

Рамишвили Р. и др. – Археологическая экспедиция горного региона Восточной Грузии. ПАИ в 1986 г. Тб., 1991, стр. 89-95.

Рамишвили А. – Раскопки в Хашурском районе в 1984-86 гг. ПАИ в 1986 г. Тб., 1991.

Рамишвили А. – Археологические раскопки в Хашурском районе. ПАИ в 1987 г. Тб., 1995, стр. 69-74.

Рысин М. – К проблеме синхронизации памятников среднего бронзового века Северного и Южного Кавказа. Между Азией и Европой. СПб., 1996, стр. 81-84.

Ростунов В. – Куро-аракские могильники Северной Осетии. Погребальный обряд древнего и средневекового населения Северного Кавказа. Орджоникидзе, 1988, стр. 21-64.

Ростунов В. – Куро-аракская культура на Центральном Кавказе. Античность и варварский мир. Орджоникидзе, 1985, стр. 3-42.

Ростунов В., Наглер А. – Об этнокультурных и социально-экономических процессах в Центральном Закавказье к концу III тыс. до н.э. Кавказ и цивилизации Древнего Востока. Орджоникидзе, 1989, стр. 86-88.

Техов Б. – Очерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тб., 1971.

Ханзадян Э. – Культура Армянского нагорья в III тыс. до н.э. Ер., 1967.

Ханзадян Э. – Элар-дарани. Ер., 1979.

Хачатрян Т. – Древняя культура Ширака. Ер., 1975.

Цитланадзе Л. и др. – Археологические исследования в долине р. Нареквави. ПАИ в 1974 г. Тб., 1976, стр. 49-50.

Цитланадзе Л. и др. – Итоги археологических исследований "Мчадиджварис гора". ПАИ в 1977 г. Тб., 1980, стр. 55-60.

Цитланадзе Л. и др. – раскопки населенного холма в с Мчадиджвари. ПАИ в 1976 г. Тб., 1979, стр. 88-91.

Цквитинидзе З. – Поселение куро-аракской культуры из Орцклеби. Палеолит Кавказа и сопредельных территорий. Тб., 1990. стр. 131-135.

Чайлд Г. – Древнейший Восток в свете новых раскопок. М., 1956.

Чубинишвили Т., Татишвили Т., Гамбашидзе О. – Археологические разведки в южных районах Грузии (Месхет-Джавахети) в 1953-1955 гг. СА, № 4, 1957, стр. 116-127.

Чубинишвили Т. – К древней истории Южного Кавказа. Тб., 1971.

Чубинишвили Т. и др. – Итоги полевой работы Квемо-Картлийской археологической экспедиции. ПАИ в 1974 г. Тб., 1976.

Черных Е. – История древнейшей металлургии Восточной Европы. М., 1966.

Шатберашвили З. – Результаты полевых работ Марабда-Ахалкалакской экспедиции. ПАИ в 1988 г. Тб., 1997, стр. 63-64.

Amiran R. – Ancient pottery of the Holy Land. 1970.

Bilgi Ö. Some unstratified metal weapons from the East Anatolian museums. Between the rivers and over the mountains. Roma, 1993. pp. 601-604.

Burton-Brown T. – Excavations in Azerbaijan 1948. London, 1951.

Braidwood R., Braidwood L. – Excavations in the Plain of Antioch. Chicago, 1960.

Bokai P., Kooring D. – Archaeology in Jordan. AJA, v. 99, n. 3, 1995.

Burney Ch. – Eastern Anatolia in the Chalcolithic and Early Bronze Age. AS, VIII, 1958, pp. 157-209.

Ertem H. – Han Ibrahim Sah Kazisi, 1970, KP, 1970.

Esin U. – Tepesik excavations. 1970. Kp. 1970. Ankara, 1972.

Javakhischvili A. – Ausgrabungen in Berikldeebi (Schida Kartli), Georgica, 21, 1998, pp. 7-16.

Hood S. – Excavations at Tabara el Arkad, AS, n. 1, 1951.

Isaac B., Kikodze Z., Kohl Ph., Mindiashvili G., Ordzhonuikidze A., White G. – Archaeological investigations in Southern Georgia 1993, Iran, 32, 1994.

Kelly-Buccelati M. – The excavations at Korucutepe. Turkey, 1968-1970. JNES, v. 33, n. 1.

Lamb W. – The culture of north-east Anatolia and its neighbours. AS, v. IV, 1954.

Lloyd S., Melaart J. – Beycesultan, I, II.

Loon M., Giutenbock H. – Korucutepe Excavations. KP, 1970, pp. 80-85.

Osten H. – Alishar Hüyük, p. I.

Özgüç T., Akok M. – Objects from Horostepe, TTK, 21, n. 82, 1957.

Palmieri A. – Excavations at Arslantepe (Malatya), AS, n. 31, 1981, p. 101-119.

Pearce J., Carson E., Kohl P., Edens C. – International program for research in the Caucasus. Field seasons 1990 and 1991. Bulletin of the Asia Institute. 1992.

Sagona A. – The Caucasian region in the early bronze age. 1984.

Sagona A., Pemberton E., McPhee I. – Excavations at Büyüktepe Höyök 1992. AS, XLII. 1993, pp. 69-83.

Sagona A., Erkmen M., Sagona C., Thomas I. – Excavations at Sos Hüyük, 1995, AS, 1996, v. XLVI, pp. 27-52.

Stronach D. – The development and diffusion of metal types in Early Bronze Age Anatolia. AS, 7, 1957.

Wooley L. – Ur excavations. v. II, 1934.

შემოკლებათა განმარტება

სა – საქართველოს არქეოლოგია

სიგკ – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული

სინ – საქართველოს ისტორიის ნარკვევები

სკ – საისტორიო კრებული

სსმაე – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები

სსმმ – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე

ქსე – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია

АО – Археологические открытия

ВГМГ – Вестник государственного музея Грузии

ИФЖ – Историко-филологический журнал

КСИА – Краткие сообщения института археологии

КСИИМК – Краткие сообщения института истории материальной кульуры

ПАИ – Полевые археологические исследования

СА – Советская археология

ТКАЭ – Труды Кахетской археологической экспедиции

AJA – American Journal of Archaeology

AS – Anatolian Studies

JNES – Journal of Near-Estern Studies

KP – Keban Project

TTK -- Turk Tatich Kurumu

გარეკანზე - თიხის კერის ანტროპომორფული შვერილი ობსიდიანის თვალებით. ზველი, რაბათი.

მხატვარი – ნ. კვინიკაძე